



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის
სამართლის სკოლა

ქართული სამართლის მიმოხილვა
GEORGIAN LAW REVIEW

New Vision University
Law School

18/2018

წინამდებარე გამოცემა აერთიანებს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის იურიდიული ეთიკის მიმართულების კვლევებსა და იურიდიული ეთიკის მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსით შერჩეულ ნაშრომებს.

იურიდიული ეთიკის მიმართულების საქმიანობის მიზანია პროფესიული სტანდარტების შესახებ ცნობიერების ამაღლება. იგი ჩამოყალიბდა 2017 წელს და დღემდე აგრძელებს საქმიანობას აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) პროგრამის ხელშეწყობით.

კვლევითი ნაშრომების მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ნაშრომების შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

These research papers were made possible by the generous support of the American People through the United States Agency for International Development (USAID). The contents are the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of East-West Management Institute, USAID or the United States Government.



USAID
ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

სარჩევი

უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატზე ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების გავრცელება,

ანა ლორია

1

პერსონალური მონაცემების დაცვის ფარგლები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში ადვოკატის პერსონალური მონაცემების საჯაროდ განთავსების ჭრილში,

თამარ ხატიაშვილი / მარიამ ბერიძე

18

სამართალწარმოების მონაწილეთა ინტერესების ბალანსირების მექანიზმი,

ბონდო ალასანია

69

ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კონფიდენციალობის ვალდებულებისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვით,

სოფიო ჩაჩავა

117

ჰონორარი, მინდობილი თანხები და ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებები,

ანა ლორია

138

კონფიდენციალურობის პრინციპის უტილიტარიანისტული ანალიზი ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში,

ლაშა ლურსმანაშვილი

178

ნდობის პრინციპის მნიშვნელობა ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში,

სოფიო ტოლიაშვილი

232

პასუხისმგებლობა ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპების დარღვევისათვის (გადაწყვეტილებათა ანალიზი),

ნათია სვანიძე / სალომე აბულაძე

250

**უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ
ადვოკატზე ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის საქართველოს
კანონმდებლობით განსაზღვრული წესების გავრცელება**

ანა ლორია*

1. შესავალი

გლობალიზაციის შედეგად მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, წარმოიშვა სხვადასხვა ქვეყანაში ლიცენზირებული ადვოკატების მომსახურებით სარგებლობის საჭიროება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია წინასწარ განისაზღვროს ის უფლებები და მოვალეობები, რომელიც უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატს გააჩნია საქართველოში იურიდიული მომსახურების გაწევისას. საქართველოში საადვოკატო მომსახურება შესაძლოა განახორციელოს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც ჩაბარებული აქვს სპეციალიზაციის გამოცდა და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში (იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 1, 10). საქართველოს კანონი პირდაპირ განსაზღვრავს იმ პირთა ჯგუფს, ვინც უფლებამოსილია საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა. აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი, ერთი შეხედვით, გამორიცხავს მხოლოდ უცხო ქვეყანაში ლიცენზირებული ადვოკატების მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას საქართველოს ტერიტორიაზე. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსიც მხოლოდ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრ ადვოკატებზე ვრცელდება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გარკვეული უფლებები და მოვალეობები არ უნდა გავრცელდეს უცხო ქვეყანაში ლიცენზირებული ადვოკატების მიმართ, რომლებიც ფუნქციურად ანალოგიურ საქმიანობას ახორციელებენ. ამის ბევრი მაგალითია მსოფლიოში¹ და ამის საჭიროება დღეს ჩვენთანაც დადგა.

* ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის ეთიკის კათედრის თანათავმჯდომარე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი.

¹ იხ. საქმე 155/79, AM & S Europe Limited vs Commission of the European Communities [1982]; იხ. საქმე C-550/07, Akzo Nobel Chemicals Ltd and Akros Chemicals Ltd v European Commission [2010]; იხ. Renfield Corp. v. E. Remy

ევროკავშირმა 1998 წელს მიიღო დირექტივა 98/5/EC², რომელიც ეხება ადვოკატის პროფესიაში პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობას ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებში, სადაც ადვოკატს კვალიფიკაცია არ მოუპოვებია. მითითებული დირექტივა მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე ვრცელდება და არ არეგულირებს ადვოკატის სამართლებრივ სტატუსსა და პრივილეგიის გავრცელების ფარგლებს იმ ადვოკატებისათვის, რომლებმაც ლიცენცია ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში მოიპოვეს. ამდენად, აღნიშნული საკითხი დღესაც არ არის დარეგულირებული. სამწუხაროდ, ჯერ არც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და არც სასამართლოს მიეცა საშუალება, ემსჯელა ამ საკითხზე.

მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება პრივილეგირებული კომუნიკაციის დეფინიცია, საკანონმდებლო ხარვეზები და პრივილეგიის გავრცელების ფარგლები, როგორც საქართველოს, ასევე ევროპის, ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეგულაციებისა და პრაქტიკის მაგალითებზე. ნაშრომში არ იქნება საუბარი იმაზე, რამდენად უნდა მივანიჭოთ უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატს უფლება სრულად განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა საქართველოში. ნაშრომში საუბარი იქნება პრივილეგიის მიზნებიდან გამომდინარე გარკვეული წესების გავრცელების ფარგლებზე/საგამონაკლისო შემთხვევებზე, რომელიც უკავშირდება კონფიდენციალობასა და პრივილეგირებულ ინფორმაციას. კერძოდ, ნაშრომი მიმოიხილავს კონფიდენციალობისა და ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის გავრცელების ფარგლებს უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატზე, რომელმაც შესაძლოა საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა, იქონიოს კომუნიკაცია თავის კლიენტთან, გასცეს იურიდიული კონსულტაცია/რჩევა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე და ა. შ.

Martin & Co., S.A., 98 F.R.D. 442, 444 [D. Del. 1982]; *ob. IBM Corp v. Phoenix International (computers) Ltd*, [1995], F.S.R. 184; *ob. R (on the application of Prudential plc and another) (Appellants) v Special Commissioner of Income Tax and another (Respondents)*, [2013], UKSC 1.

² *ob. დირექტივა 98/5/EC – ადვოკატის პროფესიაში პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებში, სადაც ადვოკატს კვალიფიკაცია არ მოუპოვებია*, [1998].

2. პრივილეგირებული ინფორმაცია

კლიენტის კონფიდენციალობის დაცვა და პრივილეგირებული კომუნიკაცია ადვოკატის უმნიშვნელოვანესი პროფესიული პასუხისმგებლობაა. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, კერძოდ, საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დასამკვიდრებლად, აუცილებელია, ადვოკატმა, სხვა მოვალეობებთან ერთად, სწორად გამოიყენოს ეს პრივილეგია და საქმის ნებისმიერ ეტაპზე დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ეს უფლება ასევე მივანიჭოთ ისეთ ადვოკატებს, რომელთაც საქართველოში არ მოუპოვებიათ ადვოკატის ლიცენზია, თუმცა გარკვეული იურიდიული მომსახურება გაწეული აქვთ საქართველოში და თავისი ქვეყნის კანონმდებლობით წარმოემვათ ამ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება.

(1) პრივილეგირებული ინფორმაციის ცნება

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა პირდაპირ არ გვთავაზობს პრივილეგირებული ინფორმაციის დეფინიციას. თუმცა, პრივილეგიასთან დაკავშირებული ნორმების ანალიზიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია გამოიხატება ადვოკატის უფლებაში, ჩვეულებრივი პირებისაგან განსხვავებით, არ დაიკითხოს მოწმედ და არ დაეკისროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება. ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია უზრუნველყოფილია, როგორც ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით, არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი). (იხ. ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 38.3).

ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის მიყურადება და ჩაწერა დაუშვებელია, ხოლო მათ შორის მიმოწერა - ხელშეუხებელი. (იხ. ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 38.7).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ადვოკატს არ ევალება გამოვიდეს მოწმედ ან გადასცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი: ა) იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; და ბ) იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 50).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, არ შეიძლება მოწმედ გამოძახებულ და დაკითხულ იქნენ წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 141“გ“).

ამდენად, კანონმდებლობა პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს ადვოკატს ჩვეულებრივ მოქალაქესთან შედარებით მაშინ, როდესაც სახეზეა დაცვის უფლების განხორციელება და ანიჭებს მას უფლებას, არ გაამჟღავნოს ინფორმაცია.

(2) განსხვავება ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიასა და კონფიდენციალობას შორის

პრივილეგირებულ ინფორმაციას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც კონფიდენციალურ ინფორმაციას, რაც ერთი შეხედვით, შეცდომა არ არის, თუმცა ამ ორ ცნებას არც იდენტური მნიშვნელობა აქვს. კონფიდენციალური ინფორმაცია ბევრად ფართო ცნებაა და პრივილეგირებულ ინფორმაციასთან ერთად მოიცავს ბევრ სხვა ინფორმაციას, რომელიც ადვოკატმა კლიენტის საქმის წარმოების პროცესში შექმნა ან მოიპოვა.

საქართველოს კანონმდებლობით არ არის დიფერენცირებული ადვოკატ-კლიენტს შორის პრივილეგირებული და კონფიდენციალური ინფორმაცია, რის გამოც პრაქტიკაში ხშირად ხდება მათი აღრევა.

კონფიდენციალობისა და პრივილეგირებული ინფორმაციის განსხვავებაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი:

პირველი, კონფიდენციალური ინფორმაცია გაცილებით ფართო ცნებაა ვიდრე პრივილეგირებული ინფორმაცია და მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელიც ადვოკატმა კლიენტის საქმის წარმოების დროს მოიპოვა, ხოლო პრივილეგირებული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციას, იქნება ეს ზეპირი, წერილობითი, სატელეფონო თუ ელექტრონული საშუალებებით განხორციელებული კომუნიკაცია³. პრივილეგირებულად ითვლება მხოლოდ კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია, დაცვის უფლებით სარგებლობის დროს. შესაბამისად, ადვოკატის მიერ ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე, რომელიც ჩაითვლება კონფიდენციალურად – არ ვრცელდება ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია.

მეორე განმასხვავებელი ნიშანი სამართლებრივ სისტემაში მათ გადანაწილებას უკავშირდება. კერძოდ, კონფიდენციალობა წარმოადგენს ეთიკურ ვალდებულებას მაშინ, როდესაც ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია წარმოადგენს ადვოკატისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებას, არ მისცეს ჩვენება კლიენტთან კომუნიკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შესახებ.⁴

მესამე განმასხვავებელი ნიშანი არის მიზანი. იმისათვის, რომ ინფორმაცია ჩავთვალოთ კონფიდენციალურად, არ აქვს მნიშვნელობა, რა მიზნით აწვდის კლიენტი ადვოკატს ინფორმაციას, მაშინ, როდესაც ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაციაზე პრივილეგია

³ იხ. Michmerhuizen S., Confidentiality, Privilege: A Basic Value in Two Different Applications, American Bar Association, Center for Professional Responsibility, 2007.

<https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/professional_responsibility/confidentiality_or_attorney.authcheckdam.pdf>, [10.09.2018].

⁴ იხ. Michmerhuizen S., Confidentiality, Privilege: A Basic Value in Two Different Applications, American Bar Association, Center for Professional Responsibility, 2007.

<https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/professional_responsibility/confidentiality_or_attorney.authcheckdam.pdf>, [10.09.2018].

მხოლოდ იმ შემთხვევაში ვრცელდება, თუ ეს კომუნიკაცია შედგა დაცვის უფლებით სარგებლობის დროს. კერძოდ, ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაციის პრივილეგირებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ამ კომუნიკაციის მიზანი იყოს დაცვის უფლების განხორციელება.

შესაბამისად, მიუხედავად კონფიდენციალური ინფორმაციისა და პრივილეგირებული კომუნიკაციის მსგავსებისა, არ შეიძლება ეს ორი ცნება მივიჩნიოთ იდენტურად, რადგან კონფიდენციალობა გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე პრივილეგირებული ინფორმაცია, კონფიდენციალობისაგან განსხვავებით პრივილეგირებული ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატ-კლიენტს შორის კომუნიკაციას და კლიენტისაგან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც დაცვის უფლებით სარგებლობის დროს იქნა ადვოკატის მიერ მოპოვებული.

(3) პრივილეგირებული ინფორმაციის დაცვის მიზანი

პრივილეგირებული ინფორმაცია დაცულია გამჟღავნებისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ინფორმაცია ხელშეუხებელია. პრივილეგირებული ინფორმაციის დაცულობა გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით⁵. ამ სამართლებრივი აქტების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ პრივილეგირებული ინფორმაციის ხელშეუხებლობის მიზანი არის დაცვის უფლების ეფექტიანი უზრუნველყოფა და ადვოკატის როლი ამ უფლების რეალიზებაში.

იმისათვის, რომ დაცვის უფლება იყოს უზრუნველყოფილი, აუცილებელია დასაცავ პირს მივანიჭოთ იმის გარანტია, რომ მის მიერ ადვოკატისადმი განდობილი ინფორმაცია ხელშეუხებელია და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში შეიძლება გავრცელდეს (გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა⁶). თუ დასაცავ პირს არ ექნება

⁵ მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით.

⁶ იგულისხმება კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საგამონაკლისო შემთხვევები, რომელსაც ადგენს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

ეს პრივილეგია, ის, დიდი ალბათობით, არ გაუმჟღავნებს ადვოკატს სრულ ინფორმაციას თავის საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატს კი, თავის მხრივ, არ ექნება შესაძლებლობა, განახორციელოს სრულყოფილი და კვალიფიციური დაცვა.

იურიდიული რჩევის დოქტრინის შემზღვეველი და მაკონტროლებელი სისტემა ეფუძნება სამართლის უზენაესობის რწმენას, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის კომუნიკაცია, როდესაც კლიენტებს ადვოკატებისაგან, მათ სამართლებრივ უნარებზე დაყრდნობით, სამართლებრივი დახმარების მიღების იმედი აქვთ, დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ არ მოექცევიან არანაირი კრიტიკის ქვეშ, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი – იქნება ეს პოლიცია, აღმასრულებელი, ბიზნესკონკურენტი, ინკვიზიციური ინსტიტუციის წარმომადგენელი თუ ვინმე სხვა პირი.⁷

რიგ ქვეყნებში⁸ კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის არამიზნობრივი გამჟღავნება სისხლის სამართლის დანაშაულია; თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, კონტინენტური სამართლის ქვეყნების უმრავლესობის ჩათვლით, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ადვოკატის მიერ მართლმსაჯულების ადმინისტრირების საჯარო ვალდებულებად მეტად ითვლება, ვიდრე კლიენტის მიმართ ვალდებულებად.⁹

(4) პრივილეგირებული ინფორმაციის გამჟღავნების უფლება

პრაქტიკოს ადვოკატებში, ხშირად დისკუსიის თემას იმის დადგენა წარმოადგენს, თუ ვის გააჩნია პრივილეგირებული ინფორმაციის დაცვაზე უარის თქმის უფლება. ამ საკითხს მეტ-ნაკლებად არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა და უთითებს, რომ ამ

⁷ იხ. Three Rivers District Council and others (Respondents) v. Governor and Company of the Bank of England (Appellants), გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატა [2005], A.C.610, იხ. წიგნიდან მოლიტერნო ჯ. და ჰარისი ჯ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, ი. ჯაფარიძის თარგმანი, ე. გასიტაშვილის და ი. კორმახიას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 119.

⁸ მაგ. იაპონია (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 134), საფრანგეთი (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 226-13).

⁹ იხ. მოლიტერნო ჯ. და ჰარისი ჯ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, ი. ჯაფარიძის თარგმანი, ე. გასიტაშვილის და ი. კორმახიას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 117.

უფლებაზე უარის თქმა შეუძლია კლიენტს – დასაცავ პირს. თუმცა, კანონმდებლობა აწესებს საგამონაკლისო შემთხვევებს, რა დროსაც ადვოკატსაც ენიჭება უფლება, გაამჟღავნოს პრივილეგირებული ინფორმაცია. ეს საგამონაკლისო შემთხვევებია: 1) თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისათვის წინასწარ არ აუკრძალავს; 2) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისაგან თავის დასაცავად; და 3) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას (იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.3). თუმცა, აქ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ერთი საკითხი – ამ გამონაკლის შემთხვევებშიც კი, ადვოკატს უფლება აქვს გაამჟღავნოს პრივილეგირებული ინფორმაცია მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც საკმარისი იქნება მისი მოთხოვნის დასადასტურებლად. სხვა შემთხვევაში, თუნდაც რომელიმე საგამონაკლისო წესის წინაპირობა სახეზე გვქონდეს, შესაძლოა მაინც დადგეს ადვოკატის დისციპლინირების საკითხი პრივილეგირებული ინფორმაციის გამჟღავნების საფუძველით.

3. პრივილეგიის გავრცელების ფარგლები

(1) კვალიფიკაცია პრაქტიკაში

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს ადვოკატს, რომელიც არის თავისუფალი პროფესიის პირი, ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და, ამავდროულად, გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში (იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1). ადვოკატად შესაძლებელია ჩაითვალოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა (პროკურატურის მუშაკთა) საკვალიფიკაციო გამოცდა; ან არის იუსტიციის საბჭოს ყოფილი წევრი და აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის

გამოცდილება (იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 10). მოცემული ჩანაწერი პირდაპირ უთითებს, რომ უცხო ქვეყანაში ლიცენზირებული ადვოკატი, რომელიც შესაძლოა მსგავს ფუნქციებს ახორციელებდეს, არ ჩაითვლება ადვოკატად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. თუმცა, პრივილეგიის მიზნებიდან გამომდინარე, გარკვეული წესების გავრცელების საკითხი არც კანონმდებლობით და არც პრაქტიკით არ არის ჯერ-ჯერობით დარეგულირებული. ამიტომ მნიშვნელოვანია, ამ მხრივ, გადავხედოთ უცხო ქვეყნების გამოცდილებას.

(2) ევროპული რეგულაცია

ევროკავშირმა 1998 წელს მიიღო დირექტივა 98/5/EC¹⁰, რომელიც ეხება ადვოკატის პროფესიაში პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობას ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებში, სადაც ადვოკატს კვალიფიკაცია არ მოუპოვებია (შემდგომში „დირექტივა“). მოცემული დირექტივის თანახმად, ადვოკატად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე და უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საქმიანობა (იხ. დირექტივა, მუხლები 1(2ა), 6, 7, 18). შესაბამისად, დირექტივა ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე და არ არეგულირებს ადვოკატის სამართლებრივ სტატუსსა და პრივილეგიის გავრცელების ფარგლებს იმ ადვოკატებისათვის, რომლებმაც ლიცენზია ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში მოიპოვეს. თუმცა, მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს მიეცა საშუალება, ემსჯელა უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატებზე პრივილეგიის გავრცელების ფარგლების შესახებ რამდენიმე პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

¹⁰ დირექტივა 98/5/EC – ადვოკატის პროფესიაში პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებში, სადაც ადვოკატს კვალიფიკაცია არ მოუპოვებია, [1998].

(3) მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს
პრეცედენტული გადაწყვეტილება პრივილეგიის
გავრცელების ფარგლებზე

უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატზე პრივილეგიის გავრცელების ფარგლებზე იმსჯელა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2010 წლის გადაწყვეტილებაში, საქმეზე Akzo Nobel Chemicals Ltd and Akcros Chemicals Ltd vs. European Commission¹¹. 2010 წელს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება, რომლითაც პრივილეგიის წესები არ გავრცელდა კორპორაციასა და მისი შიდა იურისტის კომუნიკაციაზე ევროგაერთიანების ანტიმონოპოლიური გამოძიების კონტექსტში. ამ გადაწყვეტილებით, სასამართლომ გამოხატა განსხვავებული მიდგომა კორპორაციის შიდა იურისტთან (in-house lawyer) და დაქირავებულ ადვოკატთან (outside counsel) მიმართებით. მოცემულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ იმ ფაქტის დადგენა, რომ კომუნიკაცია შედგა კორპორაციასა და დაქირავებულ ადვოკატს შორის, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მივიჩნიოთ ამგვარი კომუნიკაცია პრივილეგირებულად. მნიშვნელოვანია ამავდროულად, რომ ეს კომუნიკაცია არ სცილდებოდეს დაცვის უფლების გამოყენების ფარგლებს. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ პრივილეგიის წესები არ შეიძლება გავრცელდეს კომპანიასა და მის შიდა იურისტს (in-house lawyer) შორის კომუნიკაციაზე, რადგან მათ შორის არსებობს შრომით ურთიერთობა, ადვოკატი ბოლომდე არ არის დამოუკიდებელი თავისი საქმიანობის განხორციელების დროს და ის გვერდს ვერ აუვლის იმ კომერციულ სტრატეგიას, რაც კომპანიამ შეიმუშავა. ამასთან, კომპანიის შიდა იურისტი ეკონომიკურად დამოკიდებულია კომპანიაზე. სასამართლომ არ გაიზიარა მომჩივანის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიის შიდა იურისტი არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი და მასზე ვრცელდება ყველა ეთიკური უფლება-მოვალეობები, რის გამოც

¹¹ იხ. საქმე #C-550/07, Akzo Nobel Chemicals Ltd and Akcros Chemicals Ltd vs. European Commission, [2010].

უთანაბრდება დაქირავებულ ადვოკატს და მისი სამსახურებრივი ურთიერთკავშირი კომპანიასთან გავლენას არ ახდენს მის დამოუკიდებლობაზე. სასამართლომ დაადგინა: იმისათვის, რომ კომუნიკაციაზე გავრცელდეს პრივილეგია, აუცილებელია შემდეგი კუმულატიური წინაპირობების არსებობა: 1) კომუნიკაცია კავშირში უნდა იყოს დაცვის უფლების გამოყენებასთან; და 2) კომუნიკაცია უნდა ხორციელდებოდეს კომპანიასა და გარეშე – დაქირავებულ ადვოკატს შორის, რომელიც არ იქნება კომპანიასთან „შეზოჭილი სამსახურებრივი ურთიერთობით“¹².

პრაქტიკოს ადვოკატებსა და ბიზნესმენებში მწვავე დისკუსიის საგანი გახდა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მოცემული გადაწყვეტილება, რის შემდეგაც, ფაქტობრივად, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა კორპორაციის მიერ შიდა იურისტის მომსახურებით სარგებლობის მიზანშეწონილობა.

(4) დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთში პრივილეგიის წესები ვრცელდება, როგორც ბრიტანეთში ლიცენზირებულ დამოუკიდებელ ადვოკატზე, ასევე კორპორაციის შიდა იურისტზე, რომელთაც აქვთ სოლისიტორის ან ბარისტერის ლიცენზია. ასევე დიდი ბრიტანეთი ავრცელებს პრივილეგიის წესებს უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატებზეც, რომლებიც იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები არიან და აქვთ მინიჭებული შესაბამისი კვალიფიკაცია სხვა ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დიდი ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე – R (on the application of Prudential plc and another) (Appellants) v Special Commissioner of Income Tax and another (Respondents), იმსჯელა იმ საკითხის ირგვლივ, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატად პრივილეგიის გავრცელების მიზნებისთვის და მიუთითა, რომ საგადასახადო ინსპექტორის (რომელიც არ არის ადვოკატი) მიერ

¹² იხ. საქმე #C-550/07, Akzo Nobel Chemicals Ltd and Akros Chemicals Ltd vs. European Commission, [2010].

მიცემულ რჩევაზე ვერ გავრცელდებოდა ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის წესები, რადგან ადვოკატად შესაძლოა ჩაითვალოს ბარისტერი, სოლისიტორი ან სათანადოდ კვალიფიციური უცხოელი ადვოკატი (an appropriately qualified foreign lawyer)¹³. ბრიტანეთის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატებზე პრივილეგიის წესები ვრცელდება იმის მიუხედავად, ეს ადვოკატი სამართლებრივ რჩევას აძლევს დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის, თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც მან ლიცენზია მოიპოვა. შესაბამისად, პრივილეგიის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის წესებს დიდი ბრიტანეთი ავრცელებს ასევე უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატებზეც. საქმეზე IBM Corp v. Phoenix International (computers) Ltd დიდი ბრიტანეთის სასამართლომ პრივილეგიის წესები გაავრცელა ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიცენზირებულ ადვოკატზე, რომელმაც სამართლებრივი რჩევა გასცა დიდ ბრიტანეთში, დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობიდან გამომდინარე¹⁴.

(5) ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, პრივილეგიის წესები ვრცელდება ასევე უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ, როგორც დამოუკიდებელ ადვოკატზე, ისე კომპანიის შიდა იურისტზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები „გაცემენ იურიდიულ რჩევებს და არ მოქმედებენ, როგორც კორპორაციის ბიზნეს პარტნიორები“¹⁵.

საქმეზე Renfield Corp v. E Remy Martin & Co. SA¹⁶ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა საოლქო სასამართლომ

¹³ იხ. R (on the application of Prudential plc and another) (Appellants) v Special Commissioner of Income Tax and another (Respondents), [2013], UKSC 1.

¹⁴ იხ. IBM Corp v. Phoenix International (computers) Ltd, [1995], F.S.R. 184.

¹⁵ იხ. მოლიტერნო ჯ. და ჰარისი ჯ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, ი. ჯაფარიძის თარგმანი, ე. გასიტაშვილის და ი. კორმახიას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 161.

¹⁶ იხ. Renfield Corp. v. E. Remy Martin & Co., S.A., 98 F.R.D. 442, 444 [D. Del. 1982].

იმსჯელა, როგორც ადვოკატის როლსა და ფუნქციებზე მართლმსაჯულების სისტემაში, ასევე პრივილეგირებული კომუნიკაციის დაცვის მიზანსა და მისი გავრცელების ფარგლებზე.

მოცემულ საქმეზე, სადავო იყო პრივილეგიის გავრცელების ფარგლები კომპანია Remy-ს ხელმძღვანელებსა და მის ორ ფრანგ თანამშრომელ ადვოკატს შორის. სასამართლომ იმსჯელა პრივილეგიის მინიჭების საკითხზე მოპასუხის კუთვნილ იმ დოკუმენტებზე, რომელიც განთავსებული იყო როგორც საფრანგეთის, ასევე ნიუ-იორკის ოფისში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მტკიცებულებების შესახებ ჰააგის კონვენცია არეგულირებს საფრანგეთში განთავსებული დოკუმენტების წარდგენის საკითხს, თუმცა მხარეები ვერ შეთანხმდნენ ამ კონვენციის გარკვეული დებულებების მნიშვნელობაზე. კერძოდ, კონვენციით, „პირმა შესაძლოა, უარი თქვას მტკიცებულებების გადაცემაზე, თუ მას აქვს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, უარი თქვას მტკიცებულების მიცემაზე: ა) იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ხდება აღსრულება ან ბ) წარმომავლობის სახელმწიფოს კანონმდებლობით (იხ. ჰააგის მტკიცებულებათა კონვენცია, მუხლი 11).¹⁷ ფედერალურმა საოლქო სასამართლომ იმსჯელა ამ საკითხზე და განმარტა, რომ თუ პრივილეგია აღიარებულია რომელიმე ქვეყნის (აღსრულების ან წარმომავლობის) კანონით, მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ უფლებით. ასევე, სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის საქმიანობის „ფუნქციურ იდენტურობაზე“ და განმარტა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეში კომუნიკაცია შედგა კორპორაციასა და მის ფრანგ თანამშრომელ ადვოკატებს შორის, რომლებიც საფრანგეთის კანონმდებლობითაც არ ითვლებოდნენ ლიცენზირებულ ადვოკატებად, პრივილეგია მაინც უნდა მიენიჭოს ამგვარ კომუნიკაციას, რადგან ეს ფრანგი ადვოკატები ფუნქციურად იდენტურები იყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიცენზირებული ადვოკატებისა. მიუხედავად იმისა, რომ იდენტური სისტემა არ არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის, რომელიც

¹⁷ იხ. მოლიტერნო ჯ. და ჰარისი ჯ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, ი. ჯაფარიძის თარგმანი, ე. გასიტაშვილის და ი. კორმახიას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 173-174.

საადვოკატო საქმიანობას არეგულირებს, სასამართლომ განმარტა, რომ მთავარია არსებობდეს ორი კრიტერიუმი: პირველი – არის თუ არა პირი კომპეტენტური, გასცეს იურიდიული რჩევა და მეორე – აქვს თუ არა მას ამის უფლება მინიჭებული კანონით? შესაბამისად, რადგან საფრანგეთის კანონმდებლობით, კორპორაციის ფრანგ თანამშრომელ ადვოკატებს უფლება ჰქონდათ გაეცათ კვალიფიციური რჩევა და ეს უფლება მათ საფრანგეთის კანონმდებლობით ჰქონდათ მინიჭებული, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა საოლქო სასამართლომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიცენზირებული ადვოკატების იდენტური ფუნქციების მატარებლად ჩათვალა ისინი და სრულად გაავრცელა პრივილეგიის წესები მათ შორის განხორციელებულ კომუნიკაციაზე¹⁸.

(6) საქართველო

საქართველოში საადვოკატო საქმიანობას არეგულირებს საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, თუმცა ამ სამართლებრივ აქტებში არაფერია ნახსენები უცხო ქვეყანაში ლიცენზირებული ადვოკატის უფლებებსა და მოვალეობებზე, თუ ასეთი პირები საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე. როდესაც ვმსჯელობთ პრივილეგიის მიზნებიდან გამომდინარე შესაბამისი წესების გავრცელებაზე უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატებზე, სავარაუდოდ, უნდა ამოვიდეთ ქვეყნის უზენაესი კანონიდან – საქართველოს კონსტიტუციიდან, რომლითაც გარანტირებულია დაცვის უფლებით სარგებლობა. საქართველოს კონსტიტუციით, დაცვის უფლება გარანტირებულია... ადვოკატის უფლებების შეუფერხებლად განხორციელება გარანტირებულია კანონით (იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წლის რედაქცია, მუხლი 31.1). იმისათვის, რომ დაცვის უფლება სრულად იყოს უზრუნველყოფილი, მხარეს უნდა მიეცეს უფლება, გააკეთოს

¹⁸ იხ. Renfield Corp. v. E. Remy Martin & Co., S.A., 98 F.R.D. 442, 444 [D. Del. 1982].

თავისუფალი არჩევანი, თუ მას სურვილი აქვს, სამართლებრივი რჩევა მიიღოს ასევე უცხო ქვეყანაში ლიცენზირებული ადვოკატებისაგან. აუცილებელია ასეთ დროს გავრცელდეს პრივილეგიის ფარგლები უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატებზე, რათა არ დადგეს არც ადვოკატის დისციპლინირებისა ან სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (მაგალითად, იაპონელი ან ფრანგი ადვოკატის შემთხვევაში) მიცემის საფრთხე და არ დადგეს დაცვის უფლების ხელყოფის საფრთხე. რაც შეეხება განსხვავებულ მიდგომას დამოუკიდებელ ადვოკატსა და კორპორაციის შიდა იურისტს შორის, აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკით.

საქმეზე 002/14¹⁹ ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მიუხედავად მოპასუხე ადვოკატის არგუმენტაციისა, რომ ადვოკატის ლიცენზია არ ყოფილა მისი დასაქმების წინაპირობა, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ვინაიდან ადვოკატი ბანკის ინტერესების სასამართლოში წარმომადგენლობის მომენტისთვის იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრი, გარდა შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებებისა, ადვოკატი იზღუდებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებითაც.

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა ასევე ეთიკის კომისიამ 2014 წელს გაცემულ რეკომენდაციაში²⁰ 012/14, სადაც მიუთითა, რომ კომპანიის იურისტზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, თუკი იურისტი ირიცხება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში.

შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკით, თუ კორპორაციის შიდა იურისტი/ადვოკატი გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში და წევრობა არ აქვს შეჩერებული ან შეწყვეტილი, მასზე ვრცელდება ყველა ის უფლება და მოვალეობა, მათ შორის ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია, რაც დადგენილია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებით.

¹⁹ იხ. ეთიკის კომისიის 2014 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #002/14.

²⁰ იხ. ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 ივნისის რეკომენდაცია, #012/14.

რაც შეეხება უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატზე პრივილეგიის გავრცელების წესებს, სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი არც კანონმდებლობით და არც ეთიკის კომისიისა თუ სასამართლო პრაქტიკით არ არის პირდაპირ დადგენილი და მნიშვნელოვანია, ამ მხრივ სწორი და მართებული პრაქტიკის დანერგვა.

4. დასკვნა

უცხო ქვეყანაში ლიცენზირებული ადვოკატების სამართლებრივი მომსახურებით სარგებლობა სულ უფრო აქტუალური ხდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მხრივ, განისაზღვროს პრივილეგიის გავრცელების ფარგლები ასეთ ადვოკატებთან მიმართებით. იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატებზე არ გავავრცელებთ პრივილეგიის წესებს, იარსებებს საფრთხე, რომ ასეთ პირებს დაიბარებენ მოწმედ და მათ მოუწევთ იმ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაციის დროს მიიღეს დაცვის უფლების განხორციელების პროცესში. აღნიშნული კი, თავის მხრივ, წარმოშობს მათი დისციპლინირების ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს იმ ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე, სადაც მათ მოიპოვეს ადვოკატის ლიცენზია.

მოცემულ საკითხიზე მსჯელობისას, მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმი უნდა იყოს ფუნქციური იდენტურობა იმ ადვოკატებს შორის, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყანაში მიენიჭათ ადვოკატის კვალიფიკაცია. თუ ამ ადვოკატების საქმიანობა ფუნქციურად იდენტურია და ის კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობას ემსახურება, მაშინ მათზე უნდა გავრცელდეს პრივილეგიის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესები, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ადვოკატებს ლიცენზია არ მოუპოვებიათ საქართველოში.

პრივილეგირებული ინფორმაციის დაცვის მიზნიდან გამომდინარე, როდესაც ეთიკის კომისია ან სასამართლო იმსჯელებს მოცემულ საკითხზე, მნიშვნელოვანია, განიხილოს როგორც სხვადასხვა ქვეყანაში ლიცენზირებული ადვოკატების მიერ

გაწეული საქმიანობის ფუნქციური იდენტურობა, ასევე მომსახურების გაწევის მიზანი, გაითვალისწინოს საერთაშორისო პრაქტიკა და გაავრცელოს პრივილეგიის წესები უცხო ქვეყანაში ლიცენზირებულ ადვოკატებზეც, რომლებიც საქართველოში სამართლებრივ რჩევას გასცემენ დაცვის უფლების განხორციელების ფარგლებში.

**პერსონალური მონაცემების დაცვის ფარგლები საქართველოს
ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში
ადვოკატის პერსონალური მონაცემების
საჯაროდ განთავსების კრილში**

თამარ ხატიაშვილი* / მარიამ ბერიძე**

I. შესავალი

წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ (შემდგომში – ასოციაცია) ეთიკის კომისიის (შემდგომში – ეთიკის კომისია) გადაწყვეტილებებში ადვოკატების შესახებ პირადი ინფორმაციის შემცველი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საჯაროდ (ასოციაციის ვებგვერდზე) განთავსებისა და გასაჯაროების ლეგიტიმურობა და მისი ფარგლები.

ბოლო წლების განმავლობაში ეთიკის კომისიის მიერ ხორციელდებოდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების და ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ) საჯაროდ ასოციაციის ვებგვერდზე განთავსება ე.წ. პდფ-ის ფორმატში უვადოდ.¹

ერთ-ერთმა ადვოკატმა მიმართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა მისი დისციპლინირების შესახებ ასოციაციის ვებგვერდზე 2014-2015 წლებში განთავსებულ გადაწყვეტილებებში პერსონალური მონაცემების დაფარვა, რომელიც მისი თანხმობის გარეშე იყო მითითებული. ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად, ეთიკის კომისიის მიერ არ მოხდა პერსონალური მონაცემების დაფარვა, შესაბამისად, ადვოკატმა განცხადებით მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. ინსპექტორის

* ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტი, ადვოკატი.

** ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის ეთიკის კათედრის ასისტენტ-მკვლევარი.

¹ www.gba.ge.

გადაწყვეტილებით სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ დაევალა დისციპლინირებული ადვოკატის პერსონალური მონაცემების დაფარვა და მისი განთავსების მიზნობრიობის შესწავლა. აღნიშნულმა დავამ მოგვიანებით გადაინაცვლა თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა ასოციაციის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ასოციაციის მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში და სასამართლოს გადაწყვეტილებით (რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა), უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და შესაბამისად, პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.²

კვლევის მიზანია, დასმული პრობლემის ირგვლივ არსებული წყაროების, საერთაშორისო გამოცდილებისა და რელევანტური სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთოს საჭიროებები/ინტერესები და შემუშავდეს ქმედითი რეკომენდაციები.

კვლევაში განხილულია როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო აქტებით განსაზღვრული რეგულაციები პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. კერძოდ, შესწავლილია, თუ რა ფარგლებშია ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია და რა შეზღუდვები არსებობს ინფორმაციის გაცემისას. ნაშრომში ასევე განხილული იქნება როგორც საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების, ასევე ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

II. ინფორმაციის თავისუფლება

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ინფორმაციის თავისუფლების ფარგლები და მისი შეზღუდვის გამართლების ლეგიტიმური საფუძვლები. შესაბამისად, საწყის ეტაზე განიხილება ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობა, სამართლებრივი საფუძვლები და განვითარების მოკლე ისტორია.

² თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 05 ოქტომბრის #38/904-17 განჩინება.

მსოფლიოში პირველი ინფორმაციის თავისუფლების აქტი 1766 წელს იქნა მიღებული. ინფორმაციის თავისუფლება დღევანდელი მდგომარეობით, აღიარებულია ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად, მათ შორის, გაეროს, ევროპის საბჭოს, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და აფრიკული კავშირის მიერ. თუმცა, ამ საყოველთაო აღიარებამდე, ცალკეულ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მრავალი ეტაპის გავლა დასჭირდათ.³

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, „აღნიშნული მოიცავს პირის უფლებას კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე დაცული ინფორმაციას, ასევე შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტებს. აღსანიშნავია, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია პირის შესახებ არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ „ადამიანის“ თანხმობის გარეშე, კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა.“⁴

ინფორმაციის თავისუფლების პრინციპებიდან უნდა გამოვყოთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი – ღიაობის პრინციპი. მაქსიმალური ღიაობის პრინციპი გულისხმობს საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის მიმართ არსებულ ღიაობის პრეზუმფციას. იმ შემთხვევაში, თუ ორგანო უარს

³ ჩაბრავა, ელისო, ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი – შედარებითი ანალიზი, IDFI, 2012, 5.

⁴ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი:

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.
2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუციელებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზიგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

განაცხადებს ინფორმაციის გაცემაზე, მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარი განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისების ფარგლებში. თავად კანონს უნდა გააჩნდეს გავრცელების ფართო სპექტრი, იგი არ უნდა ზღუდავდეს ინფორმაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა წრეს. ამასთან, იმ დაწესებულებების რიცხვიც, რომლებზეც კანონით დადგენილი ვალდებულებები ვრცელდება, მაქსიმალურად უნდა მოიცავდეს საჯარო ფუნქციის მქონე ყველა უწყებას.⁵

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება წარმოადგენს ევროკავშირის ინსტიტუტებში გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს, იგი ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების სწორ მმართველობასა და ევროპის მოქალაქეთა და ევროპის კავშირის ინსტიტუტების კომუნიკაციის განვითარებას.⁶

ხელმისაწვდომობის უფლება თავის თავში უმეტესად მოიაზრებს იმ ინფორმაციას, რომელიც უკვე წერილობით არსებობს, ხოლო დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში აღნიშნული მხოლოდ „ოფიციალურ დოკუმენტებს“ მოიცავს, ანუ მასში არ შედის შიდა მოხმარების დოკუმენტები, თუ დოკუმენტების სამუშაო ვერსიები. ამერიკის შეერთებულ შტატებში საჯარო დაწესებულებაში დაცულ ინფორმაციას, მისი ფორმატის მიუხედავად, ჩანაწერებს უწოდებენ, ხოლო ესტონეთში, გაერთიანებულ სამეფოსა და შოტლანდიაში ნებისმიერი ფორმით ჩაწერილი ინფორმაცია მოიაზრება როგორც საჯარო ინფორმაცია.⁷ „ევროპის საბჭოს კონვენცია ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ, საჯარო

⁵ იქვე, 6.

⁶ Tsukhishvili, Nino, The right of access to information in the European Union institutions and the role of the European Ombudsman in this process, Institute for Development of Freedom of Information, 2013 (July), 2.

⁷ ჩაბრავა, ელისო, ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი-შედარებითი ანალიზი, IDFI, 2012, 46.

დაწესებულებებს აკისრებს ვალდებულებას, პროაქტიულად გამოაქვეყნონ მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია“.⁸

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ყველაზე პროგრესული ინფორმაციის თავისუფლების აქტებიც კი ითვალისწინებენ ინფორმაციის კატეგორიას, რომელიც, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, რეგულირების სპეციალურ რეჟიმს ექვემდებარება. ასეთ გამონაკლისების რიცხვს მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც ეხება ქვეყნის თავდაცვას, საერთაშორისო ურთიერთობებს, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. ერთი მხრივ, ასეთი გამონაკლისების არსებობა აუცილებელია კონკრეტული საზოგადოებრივი ინტერესის დასაცავად, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ გამონაკლისების წრე მკაცრად იყოს შეზღუდული, ხოლო მათ პრაქტიკაში გამოყენება – ზომიერი.⁹

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გამონაკლისების დაწესების განსხვავებული მოდელები არსებობს ქვეყნების მიხედვით, მაგ: ესტონეთის საჯარო ინფორმაციის აქტი განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ჩამონათვალსაც, რომელსაც ენიჭება „შიდა მოხმარების“ დოკუმენტის კვალიფიკაცია.¹⁰ „ასეთს მიეკუთვნება: სახელმწიფო ზედამხედველობის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია; ინფორმაცია, რომლის გამოქვეყნებაც ზიანს მიაყენებს ქვეყნის საგარეო ურთიერთობებს, პირადი ინფორმაცია და სხვა.“¹¹

⁸ იქვე, სქოლიო 172 კონვენცია ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ, მე-10 მუხლი.

⁹ ჩაბრავა, ელისო, ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი – შედარებითი ანალიზი, IDFI, 2012, 40.

¹⁰ იქვე, „აქტის თანახმად, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისათვის მისაკუთვნებლად, ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა ესტონეთის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის საფუძველზე უნდა შეიზღუდოს. ინფორმაციის კლასიფიცირების უფლებამოსილებით სარგებლობს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც გამონაკლისებს მისაკუთვნებელ ინფორმაციას ანიჭებს „შიდა მოხმარების“ მონაცემის სტატუსს.“

¹¹ ჩაბრავა, ელისო, ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი – შედარებითი ანალიზი, IDFI, 2012, 41.

საჯარო ინფორმაციის გაცემისას არსებობს ე. წ. სამეტაპიანი ტესტი. იგი იძლევა საშუალებას, მოხდეს ინდეტიფიცირება, თუ რა სახის ინფორმაცია ექვემდებარება სახელმწიფო/ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გამჟღავნებას. პირველი – ინფორმაცია არის კანონით დაცული და არ ექვემდებარება გამჟღავნებას; მეორე – გამჟღავნება გამოიწვევს დაცული ინტერესისათვის ზიანის მიყენებას; მესამე – აღნიშნული ზიანი აღემატება საზოგადოებრივ ინტერესს, გამჟღავნებული იყოს კონკრეტული ინფორმაცია. ქვეყნების უმრავლესობა ხელმძღვანელობს აღნიშნული ტესტით.¹²

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მაგალითად, მექსიკასა და იამაკაში გაწერილია როგორც ცალკე უფლება, რომელზეც გარკვეული გამონაკლისები ვრცელდება, მაშინ როცა დიდ ბრიტანეთსა და ტაილანდში აღნიშნული უფლება უფრო პროცედურული ნორმებით არის გადმოცემული. აღნიშნული გულისხმობს, ნებისმიერი პირის უფლებას, მიმართოს საჯარო დაწესებულებას და შესაბამისი პროცედურული და მატერიალური ნორმების გათვალისწინებით გამოითხოვოს ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ არც ისე ცალსახაა, რამდენად ქმნის ეს არსებით სხვაობას პრაქტიკაში, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა „უფლებაზე“ (მოთხოვნაზე) დაფუძნებული მიდგომა დროთა განმავლობაში უფრო რელევანტური და მისაღები აღმოჩნდეს.¹³

საინტერესოა სამხრეთი აფრიკისა და იამაკის მიდგომა, სადაც გაწერილია დოკუმენტებისა და ჩანაწერების ხელმისაწვდომობის უფლება, მაშინ როდესაც კანონმდებლობათა უმეტესობით დადგენილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება. ხოლო რამდენიმე ქვეყანა, მაგალითად, უგანდა, იცნობს როგორც დოკუმენტებისა და ჩანაწერების გაცნობის, ასევე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას.¹⁴

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყანაში კანონი ითვალისწინებს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპებს, რასაც ეფუძნება კანონი, ან განსაზღვრავს მის მიზნებსა და ფუნქციებს. პრინციპები, რომლებსაც ხშირად ვხვდებით, მოიცავს

¹² მენდელი, ტობი, ინფორმაციის თავისუფლება: შედარებითი სამართლებრივი კვლევა; მეორე გამოცემა, იუნესკო, პარიზი, 2008, 149.

¹³ იქვე, 141, 150.

¹⁴ იქვე.

გამჭვირვალობის ხელშეწყობას, ეფექტიანი და ანგარიშვალდებული მთავრობის ჩამოყალიბებას, საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, დემოკრატიული და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული კულტურის ჩამოყალიბებისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობას. პრინციპების არსებობას ბევრი დადებითი მხარე აქვს, კერძოდ, იგი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ინტერპრეტაციის საშუალება, რათა უკეთ განიმარტოს ის ბუნდოვანება, რომელსაც ვაწყდებით პერსონალურ მონაცემთა ხელმისაწვდომობის და სხვა საჯარო ინტერესის კონფლიქტის წარმოშობისას. კანონმდებლის მიზანი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჭრილში უნდა იყოს პირადი სფეროსა და საჯარო ინტერესის დაბალანსებული დაცვის უზრუნველყოფა.¹⁵ ზემოხსენებული ბალანსის დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა დეტალურად ადგენს ინფორმაციის გასაჯაროებისა და მის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს.¹⁶

მაგალითისათვის, დიდ ბრიტანეთსა და ტაილანდში, სამეფო ოჯახთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საგამონაკლისო წესს ითვალისწინებს მარეგულირებელი კანონმდებლობა, ხოლო სამხრეთი აფრიკის შემთხვევაში, შეზღუდვა არსებობს შიდა შემოსავლების სამსახურის მიერ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. კვლევის ავტორის განმარტებით, უმეტესად, უარის თქმის საფუძვლად მითითებულია „ლეგიტიმური ინტერესის“ არარსებობა, თუმცა ავტორი მიიჩნევს, რომ ხშირ შემთხვევაში, მას გაუმართლებლად ფართოდ განმარტავენ. ასეთი მიდგომა კი, თავის მხრივ, პრობლემას ქმნის. სწორედ ამიტომ ბევრი ქვეყანა „ლეგიტიმური ინტერესის“ არსებობის ფარგლების დავიწროებას ცდილობს.¹⁷

საქართველოს შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის არსი და მისი გაცემის წესი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არის განსაზღვრული. საჯარო ინფორმაცია მოიცავს საჯარო დაწესებულებაში ნებისმიერი სახით დაცულ

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე, 141.

¹⁷ იქვე, 148.

ინფორმაციას.¹⁸ კანონით ასევე განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ღიაობის საკითხი, თუმცა იმ გამონაკლისებით, თუ იგი არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან კანონით დადგენილ პერსონალურ მონაცემებს.¹⁹ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის და გაცემის ფორმები განსაზღვრულია შემდეგი სახით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის დაცული საჯარო დაწესებულებაში, გაცენოს მას დედანში.²⁰ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია როგორც მატერიალური სახით – განცხადების წარდგენით, ასევე ელექტრონული ფორმით (ასეთი მომსახურების არსებობის შემთხვევაში). ასევე აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას განცხადებაში არ არის აუცილებელი, მიეთითოს მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.²¹

III. პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება შესაძლებელია ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ საფუძვლად იქნეს განხილული. შესაბამისად, კვლევის ამ ნაწილში გაანალიზებულია პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციები, როგორც საერთაშორისო ასევე შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე.

¹⁸ საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საჯარო ინფორმაცია ეს არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.“

¹⁹ საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი.

²⁰ საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილი.

²¹ საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლი.

1. პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულირება თანამედროვე სისტემებში

„პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის პრეამბულაში განმტკიცებულია მონაწილე სახელმწიფოთა ნება, შექმნან პიროვნების უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის გარანტიები.²² პერსონალური მონაცემების დაცვის და საჯარო ინტერესზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა სისტემისათვის დამახასიათებელია განსხვავებული მიდგომები. მაგალითისათვის, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში სასამართლო გადაწყვეტილებებში მხარეთა სახელები და გვარები, როგორც წესი, რედაქტირებულია პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, ხოლო პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში სასამართლო გადაწყვეტილებები სრულად ხელმისაწვდომია, რადგან ამ შემთხვევაში, უპირატესობა ღია მართლმსაჯულებას ენიჭება.²³

პრეცედენტულ სამართალში გამჭვირვალობის ასეთი ხარისხი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ინტერნეტის გამოყენებით ხელმისაწვდომია ისეთი პერსონალური მონაცემები, როგორცაა სამედიცინო ჩანაწერები, მოქალაქეთა მისამართები, ინფორმაცია ნასამართლეობასთან დაკავშირებით. სამოქალაქო საქმეთა მონაწილეებისა თუ ადვოკატებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვა მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა მას შემდეგ, რაც ფედერალურმა და შტატების მთავრობამ მნიშვნელოვანი დოკუმენტების საჯაროდ, ელექტრონულად განთავსება დაიწყო. ამაში შედის სასამართლო დოკუმენტები, გადაწყვეტილებები,

²² „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენცია, მიღებული 1981 წლის 28 იანვარს; რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 28 ოქტომბრის #2010-III დადგენილებით; ძალაშია საქართველოსთან მიმართებაში 2006 წლის 01 აპრილიდან. პრეამბულა; 1-ლი მუხლი.

²³ Mendel, Toby, Court Decisions in Georgia: How to Negotiate the Minefield Between Access and Respect for Privacy, 2017, 1.

ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და სხვა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები და დოკუმენტები ყველაზე სენსიტიური ინფორმაციის შემცველია. ისინი ხშირად შეიცავს პირად, ინტიმურ, საბანკო, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სავაჭრო საიდუმლოებებს, ასევე სოციალური დაცვის პირად ნომერსაც კი.²⁴ სასამართლო დოკუმენტების ინტერნეტით გავრცელება საშუალებას აძლევს ყველა ინტერნეტმომხმარებელს, წვდომა ჰქონდეს პირის პერსონალურ მონაცემებთან. მაშასადამე, ცალსახაა, რომ უნდა გაივლოს ზღვარი პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და საზოგადოების უფლებას შორის, ჰქონდეს ინფორმაცია მართსაჯულებისა და სასამართლო სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით.²⁵

კიდევ ერთი სირთულე, რაც საჯაროობამ განაპირობა, არის სხვადასხვა დანაშაულთა ზრდის ხელშეწყობა, რადგან მთავრობის და სასამართლო დოკუმენტების გამოყენება ხდება პერსონალური მონაცემების მოსაპოვებლად. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ქმნის დანაწევრებული საზოგადოების ჩამოყალიბების რისკს. ასეთ გარემოში შესაძლებელი ხდება ინდივიდის კატეგორიზაცია მის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციით დატოვებული ელექტრონული კვალის საშუალებით, რომლითაც მქლავდნება მისი პერსონალური მონაცემი.²⁶

საგულისხმოა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომხრეები მოუწოდებენ, სახელმწიფოს პერსონალური მონაცემების ონლაინ გამჟღავნების აკრძალვისკენ. აღნიშნული მოთხოვნის რამდენიმე მიზეზი არსებობს, მათ შორის: პერსონალური მონაცემების გავრცელება ზრდის პიროვნების ვინაობასთან დაკავშირებული თაღლითობის რისკს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი დანაშაულია; გარდა ამისა, დამსაქმებლებსა და დამქირავებლებს

²⁴ Blankley, Kristen M., Are Public Records Too Public? Why Personally Identifying Information Should Be Removed from Both Online and Print Versions of Court Documents, 2004, 414.

²⁵ იქვე, 416.

²⁶ Barber, Grayson, Personal Information in Government Records: Protecting the Public Interest in Privacy, 2009, 63.

შეუძლიათ გამოიყენონ ეს ინფორმაცია დისკრიმინაციულად; ოჯახის შესახებ პერსონალური მონაცემების გამჟღავნებამ შესაძლოა, პირს სირთულეები და უხერხულობა შეუქმნას, ამასთან, ადვოკატებმა შესაძლოა ტაქტიკა კლიენტის პერსონალური ინფორმაციის დაცვისკენ მიმართონ და არა საქმის მოგებისკენ. აღსანიშნავია, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის პერსონალური მონაცემების დაცვაზე აქცენტი განპირობებულია იმით, რომ საბოლოო შედეგად სასამართლო გადაწყვეტილებებში ასახული პერსონალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტის საშუალებითაც. ამასთანავე, შესაძლებელია, არსებობდეს ისეთი შემთხვევაც, როდესაც პირიქით, ადვოკატი ბოროტად ისარგებლებს არსებული მდგომარეობით და მეორე მხარისთვის არასასურველი ინფორმაციის გამჟღავნების მუქარით შეეცდება საქმის მოგებას.²⁷ საოჯახო დავებთან დაკავშირებული პერსონალური და ინტიმური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება მარტივად არის შესაძლებელი. მაგალითად, თუ მოხდება მხარეთა მხოლოდ ინიციალების და არა სრული სახელების გამოქვეყნება, ისე როგორც ეს ხდება არასრულწლოვანთა საქმეებთან მიმართებით. სასამართლო დოკუმენტებიდან პერსონალური მონაცემების ამოღებით საქმის გადაწყვეტა სამართლებრივ საკითხებზე იქნება დამოკიდებული და არა პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების მუქარაზე.²⁸

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მიდგომის მომხრეთა განმარტებით საჯარო ინფორმაცია გულისხმობს, რომ იგი საჯაროა გავრცელების ფორმის მიუხედავად. რადგან, თუ შესაძლებელია ამ ინფორმაციის სასამართლოში წაკითხვა, ასლის გადაღება თუ გამოთხოვა, მაშინ ეს დოკუმენტები ინტერნეტის საშუალებითაც უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ამასთან, ისინი განმარტავენ, რომ ინტერნეტის მეშვეობით გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა ადვოკატებისათვის დროისა და თანხის დაზოგვის საშუალებაა.²⁹

²⁷ Blankley, Kristen M., Are Public Records Too Public? Why Personally Identifying Information Should Be Removed from Both Online and Print Versions of Court Documents, 2004, 417, 421.

²⁸ იქვე, 417, 421

²⁹ იქვე, 417, 421

„პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ მიღებული ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის № 95/46/EC დირექტივა³⁰ (შემდგომში დირექტივა) განამტკიცებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს, განსაზღვრავს საჯარო და კერძო დაწესებულებათა მიერ მონაცემთა დამუშავების წესს, მონაცემთა დაცვის სუბიექტთა უფლებებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.³¹

მიუხედავად იმისა, რომ დირექტივა შინაარსობრივად არ იყო ინოვაციური და რიგი ცნებები სხვა მარეგულირებელ ტექსტებზეა დაფუძნებული, მან მაინც იქონია ძალიან დიდი გავლენა მთელ ევროკავშირზე და შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩამოყალიბდა როგორც მონაცემთა დაცვის პრინციპების მბოჭავი და ჰარმონიული ჩარჩო ყველა წევრი სახელმწიფოსთვის.³² დირექტივა შედგება 34 მუხლისგან. მისი დებულებები შეეხება მონაცემების ხარისხს, დამუშავების განსაკუთრებულ კატეგორიებს, მონაცემთა სუბიექტების უფლებებს, კონფიდენციალურობას, უსაფრთხოებას, პასუხისმგებლობას და სხვა სანქციებს, ასევე ქცევის წესსა და ზედამხედველობის ორგანოებს.³³

დირექტივის თანახმად, პერსონალური მონაცემი შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ ლეგიტიმური მიზნით, რომლისთვისაც მოხდა მისი შეგროვება, ასევე მისი შენახვა უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომლითაც არ არის შესაძლებელი პირის იდენტიფიცირება იმ ვადაზე მეტი დროით, ვიდრე ეს საჭიროა ამ

³⁰ „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ № 95/46/EC დირექტივა, მიღებული ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბერს, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046>.

³¹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“; <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/63200,2>.

³² Robinson, Neil/Graux, Hans/Botterman, Maarten/Valeri, Lorenzo, Review of the European Data Protection Directive, Information Commissioner's Office, RAND Europe, 2009, 7, 8.

³³ იქვე.

მიზნის მისაღწევად.³⁴ ამასთან, პერსონალური მონაცემები შეიძლება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით დამუშავდეს, ან თუ სახეზეა საჯარო ან კერძო პირის ლეგიტიმური ინტერესი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ინტერესი ლახავს მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტურ, უფლებებსა და თავისუფლებებს.³⁵

დირექტივაში გამოყენებული ტერმინს „დამუშავებას“ ფართო გავრცელების არეალი აქვს და მოიცავს ყველა ნახევრად ავტომატურ, ავტომატურ თუ სხვა გზით განხორციელებულ მონაცემთა დამუშავების შემთხვევებს, გარდა ორი გამონაკლისისა. პირველი: ეს არის შემთხვევა, როდესაც ფიზიკური პირი აშუშავებს მონაცემებს აშკარად პირადი ან სამეურნეო/სამეწარმეო საქმიანობისთვის და მეორე: როდესაც იგი ხვდება კავშირის სამართლის გავრცელების ფარგლებს გარეთ ან, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც იგი ეხება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, თავდაცვას, სახელმწიფო უსაფრთხოებას ან სისხლის სამართლის საქმის აღსრულებას.³⁶ დირექტივა დამმუშავებელს აკისრებს ვალდებულებას, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია დამუშავების მიზნებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.³⁷ გამჭვირვალობის ამ ვალდებულების შეუსრულებლობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ინფორმაციის უკანონო გზით მოპოვება.³⁸ დირექტივის მე-17 მუხლით დადგენილია დაცვის ძირითადი მოთხოვნები პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებას, მიიღოს ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლის საშუალებითაც შეძლებს მონაცემთა დაცვას და თავიდან

³⁴ Fred H. Cate, The EU Data Protection Directive, Information Privacy, and the Public Interest 1995, 433, სქოლო 22.

³⁵ იქვე, სქოლიო 22.

³⁶ Hustinx, Peter, EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation, 2013, 10.

³⁷ „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ დირექტივა მიღებულ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის № 95/46/EC; მუხლი 10-11 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046>.

³⁸ Hustinx, Peter, EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation, 2013, 10.

აირიდეbs მათ უკანონო გამჟღავნებას, შეცვლასა თუ განადგურებას.³⁹

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული დოკუმენტით გაწერილია სამეთვალყურეო ორგანოს შექმნის ვალდებულება. აღნიშნული ორგანო უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი და ჰქონდეს შესაბამისი უფლებამოსილებები, რათა განახორციელოს ზედამხედველობა წევრ სახელმწიფოებში ეროვნული კანონის შესრულებაზე.⁴⁰

დირექტივასთან შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს კანონიც. „2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ (შემდგომში ასოცირების შესახებ შეთანხმება), რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს“. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ მე-14 მუხლი დათმობილი აქვს პერსონალურ მონაცემებს, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონეზე დაცვისა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.⁴¹

2. პერსონალური მონაცემების დაცვის მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის თანახმად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის ანგარიშის აქტუალური საკითხები)

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს ახასიათებთ გარკვეული კლასიფიკაცია. ძირითადი უფლება არის ინდივიდის სუბიექტური დამცავი უფლება სახელმწიფოსთან მიმართებით. აღნიშნული უფლებები სახელმწიფოს

³⁹ „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ მიღებულ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის № 95/46/EC დირექტივა, მუხლი 17, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046>.

⁴⁰ Hustinx, Peter, EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation, 2013, 11.

⁴¹ იქვე, მუხლი 14.

ავალდებულებენ „თავი შორს დაიჭიროს“ ინდივიდისაგან, არ ჩაერიოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სფეროში. მაგალითად: სიცოცხლის ძირითადი უფლება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და ა. შ.⁴² ასევე უნდა აღნიშნოს ინდივიდის უფლება, ჰქონდეს პოზიტიური მფარველობა სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნული უფლებები ადგენენ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას ინდივიდის უფლებები მესამე პირთა მხრიდან ხელყოფისაგან. სწორედ ამ უფლებათა (დამცავი და პოზიტიური მფარველობითი) ერთობლიობის დაცვის კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება.⁴³

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში, იმპლემენტაციის კუთხით, საქართველოს მხრიდან ნაკისრი ვალდებულება იყო დაცვის ისეთი სამართლებრივი დონის შემუშავება, რომელიც სულ მცირე შეესაბამება დირექტივასა და ასოცირების შესახებ შეთანხმების 1-ლი დანართით გათვალისწინებულ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს.⁴⁴ აქედან გამომდინარე, 2011 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (შემდგომში კანონი), რომლის მიზანია „პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა“.⁴⁵ კანონის მეორე მუხლი ეთმობა ტერმინთა განმარტებებს და აყალიბებს ისეთ ცნებებს, როგორცაა

⁴² ავთანდილი, დემეტრაშვილი, ირაკლი, კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, 2008, 72, 73.

⁴³ იქვე 73, 74.

⁴⁴ „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ დანართი I თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება; <http://mfa.gov.ge/ევროკავშირი-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია/Association-Agreement.aspx>

⁴⁵ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 1-ლი მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>.

„პერსონალური მონაცემი“⁴⁶, „მონაცემთა სუბიექტი“⁴⁷, „მონაცემთა დამუშავება“⁴⁸, „მონაცემთა დამმუშავებელი“⁴⁹ და სხვა. მესამე მუხლით გაწერილია კანონის მოქმედების სფერო. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კანონი კერძო სექტორზეც ვრცელდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა, ვინაიდან პერსონალურ მონაცემთა დიდი ნაწილი კერძო სექტორში მუშავდება, ხოლო აქამდე არსებული რეგულაციით პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული

⁴⁶ „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.

პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>.

⁴⁷ „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>.

⁴⁸ „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-2 მუხლის „დ“ ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>

⁴⁹ „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-2 მუხლის „ი“ საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

მოწესრიგება უმეტესად⁵⁰ საჯარო სექტორს შეეხებოდა.⁵¹ კიდევ ერთი კანონით გათვალისწინებული სიახლეა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტის ჩამოყალიბება.⁵² იგი 2013 წლის ივლისში შეიქმნა და მისი მიზანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ზედამხედველობა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი.⁵³

კანონის მე-5 (მაგ.: „მონაცემთა სუბიექტის თანხმობა“ ან „მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად“) და მე-6 მუხლები განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესსა და საფუძვლებს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული მუხლები უნდა გათვალისწინებულ იქნეს ამავე კანონის მე-4 მუხლთან მიმართებით. მე-4 მუხლი ეთმობა მონაცემთა დამუშავების პრინციპებს. მაშასადამე მხოლოდ რომელიმე საფუძვლის არსებობა არ არის საკმარისი წინაპირობა მონაცემთა დამუშავებისათვის, აუცილებელია იგი ემსახურებოდეს კონკრეტული მიზნის მიღწევას და იყოს პროპორციული.⁵⁴

ამასთან, მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებაა, აღრიცხოს მონაცემთან დაკავშირებული მოქმედებები.⁵⁵ კანონის მეოთხე თავი დათმობილი აქვს მონაცემთა „სუბიექტის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე და მოითხოვოს უკანონოდ დამუშავებული მონაცემების

⁵⁰ გამონაკლისია მაგ.: „საქართველოს კანონი კომერციული ბანკების შესახებ“, ასევე „საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ“ და სხვა, განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/63200>, 1.

⁵¹ იქვე, 1, 5.

⁵² იქვე, 8.

⁵³ <https://personaldata.ge/ge/about-us/inspector>.

⁵⁴ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“; <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/63200>, 5.

⁵⁵ „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>.

განადგურება,⁵⁶ ხოლო მეშვიდე თავით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის.⁵⁷

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის ანგარიშში⁵⁸ აისახა სწორედ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ პერსონალური მონაცემების ინტერნეტსივრცეში გასაჯაროების საკითხი, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ინსპექტორს განცხადებით მიმართა ადვოკატმა, რომელიც მიუთითებდა, რომ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ვებგვერდზე განთავსებული იყო მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ 2014 და 2015 წლის გადაწყვეტილებები. მოქალაქემ აღნიშნულ გადაწყვეტილებებში თავისი მონაცემების დაფარვის თხოვნით მიმართა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, თუმცა ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.⁵⁹ ინსპექტორის განმარტებით, „ხშირ შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების/გასაჯაროების კონკრეტულ ვადას, ხოლო ორგანიზაციებს არ აქვთ განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების კონკრეტული და მკაფიო მიზანი. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებლები მონაცემთა დამუშავების მიზნის მიღწევის შემდეგ არ შლიან არასაჭირო პერსონალურ მონაცემებს, არ ბლოკავენ მათ ან არ ინახავენ პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით. ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია ინტერნეტსივრცეში გასაჯაროებული მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ვადები, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, მონაცემების გასაჯაროების ყოველი დამატებითი დღე არსებითად ზრდის მონაცემთა სუბიექტის კანონიერი ინტერესებისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს.“⁶⁰

⁵⁶ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“; <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/63200>, 6.

⁵⁷ „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ VII თავი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>.

⁵⁸ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის ანგარიში

⁵⁹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის ანგარიში, 42.

⁶⁰ იქვე, 44.

IV. ადვოკატთა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების საჯაროობა დისციპლინირების მიზნის ჭრილში

კვლევის მოცემულ ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების საჯაროობის ლეგიტიმური მიზანი და მისი ფარგლები. კერძოდ, პირველ რიგში დასმულია საკითხი, თუ რამდენად უნდა იყოს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე დისციპლინირებული ადვოკატის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ⁶¹ ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის; როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილება. ამასთან, განხილვის საგანია, ასეთის დაშვების შემთხვევაში, რა მიზანს ემსახურება ადვოკატის პერსონალური მონაცემების მითითება კონკრეტულ გადაწყვეტილებებში; ასევე დასაფიქრებელია, თუ რა მოცულობით შეიძლება მიეწოდოს დაინტერესებულ პირს დისციპლინირებული ადვოკატის პერსონალური მონაცემების და გამოყენებული დისციპლინირების ზომის შესახებ ინფორმაცია. სამსჯელოა ასევე, რამდენად არსებობს გამოხატული მიზანი დისციპლინირების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ, კვლავ საჯაროდ იქნეს განთავსებული (ადვოკატის ასოციაციის წევრობის სრულ პერიოდში) ადვოკატის პერსონალური მონაცემები.

1. დისციპლინური წარმოების საჯაროობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1979 წელს ადვოკატთა ასოციაციამ შეიმუშავა პოლიტიკა, რომლის ფარგლებში მიღებულ იქნა რეკომენდაცია N 7. რეკომენდაციის თანახმად, ადვოკატთა დისციპლინური კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ დარღვევა სახეზეა.⁶² ე.წ. „კლარკის ანგარიშის“ მიღებამდე უმეტესწილად დისციპლინური წარმოების შედეგები

⁶¹ აქ იგულისხმება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი www.gba.ge.

⁶² https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/resources/report_archive/mckay_report.html#14

კონფიდენციალური იყო შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენამდე.⁶³ რეკომენდაციის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ შტატებმა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებების საჯაროობას, ვერ წარმოადგინეს შესაბამისი არგუმენტები და მტკიცებულებები, რომლებიც ადვოკატებისათვის ზიანის მიყენებას დაადასტურებდა. შესაბამისად, საჯაროობის წინააღმდეგ არსებული არგუმენტები ემოციურ საფუძვლებზეა დამყარებული და არა გამოცდილებაზე.⁶⁴ ორეგონის შტატის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის განმარტებით, დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას, შეაფასოს აღნიშნული ინფორმაცია და გადაწყვიტოს, რამდენად სურს კონსულტაციისთვის მიმართოს ამა თუ იმ ადვოკატს. თუ ადვოკატი დისციპლინირებულია, კლიენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გადაწყვიტოს, რამდენად არის ეს ფაქტი მისთვის საკმარისი არგუმენტი, რომ არ მიმართოს ამ ადვოკატს კონსულტაციისთვის. მოხსენების თანახმად, დახურული სისტემა საზოგადოების ნდობას პროფესიის მიმართ ჩრდილს აყენებს, ამის საპირისპიროდ კი ორეგონის შტატში ღია სისტემის არსებობამ (15 წლის განმავლობაში) დაადასტურა, რომ საჯარო სისტემა არ აყენებს ადვოკატებს რეალურ ზიანს და სამართლიანობას უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის.⁶⁵

საგულისხმოა, რომ სასამართლო პრაქტიკაში დიდწილად მიჩნეულია, რომ ეთიკის ნორმები მთლიანად ემსახურება კლიენტზე ზრუნვის ვალდებულებას; სასამართლოების უმცირესობა მიიჩნევს, რომ პროფესიული ეთიკის დარღვევა წარმოადგენს ადვოკატის მხრიდან პროფესიული შეცდომის (არასათანადო პრაქტიკა) პრეზუმფციას.⁶⁶

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ როტუნდა, რონალდ დ., იურიდიული ეთიკა (ორი სიტყვით), მესამე გამოცემა, 2007, 14.

2. ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს მიდგომა

ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს 2011 წლის მონაცემების მიხედვით, ადვოკატთა დისციპლინირების საჯაროობის თვალსაზრისით, წვერი ქვეყნების მიხედვით წარმოდგენილია არაერთგვაროვანი მიდგომა. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ყოველი ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულია, შესაბამისად, საჯაროობის სტანდარტებიც კანონმდებლობიდან გამომდინარე დგინდება ინდივიდუალურად.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა დისციპლინირების შესახებ გადაწყვეტილებების საჯაროობის კუთხით კლასიფიცირებისას გამოიკვეთა ქვეყნები რომლებიც ცალსახად მხარს უჭერენ დისციპლინირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საჯაროობას და აღნიშნულის განსახორციელებლად სხვადასხვა მექანიზმს იყენებენ, მაგალითისათვის, სლოვაკეთი ადვოკატისათვის საჯარო საყვედურის გამოცხადებისას ინფორმაციას აქვეყნებს ადვოკატთა ასოციაციის პერიოდულ გამოცემაში.⁶⁷

ასევე წარმოდგენილია ქვეყნები, რომლებიც უარს ამბობენ დისციპლინირების შესახებ გადაწყვეტილების საჯაროობაზე და მიღებული გადაწყვეტილება კონფიდენციალურობის დაცვით ინახება ადვოკატთა ასოციაციაში.

თუმცა ზემოხსენებული მიდგომებისგან განსხვავებით, ვხვდებით შერეული ტიპის მოდელებსაც. შვედეთის შემთხვევაში, სადისციპლინო კომისიამ საქმის მნიშვნელობიდან და დარღვეული პრინციპების აქტუალურობიდან გამომდინარე, შესაძლოა, გაასაჯაროოს მიღებული გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ.⁶⁸

⁶⁷ http://www.ccbe.eu/NTCdocument/Table_discipline__Ma1_1335781934.pdf. 8.

⁶⁸ იქვე. 3.

3. ადვოკატთა დისციპლინირების რეგულირება, გასაჯაროების ფარგლები და მიზნები

საქართველოში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა, რამდენად უნდა განთავსდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები საჯაროდ შესაბამისი პერსონალური მონაცემების მითითებით, რა შემთხვევებში და რა ვადით. აღნიშნულ კითხვებაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს, რა დოზითა და ფარგლებით არის დღეს მოწესრიგებული აღნიშნული საკითხი. რამდენად არის გამოკვეთილი დისციპლინირების მიზნები და საჭიროებები. სად არის დამატებითი რეგულირების საჭიროება იმგვარად, რომ აღნიშნული სრულად ეხმიანებოდეს ადვოკატის დისციპლინირების შესახებ არსებულ რეგულირებას და თანამედროვე გამოწვევებს.

3.1 დისციპლინირების რეგულირება ქართულ კანონმდებლობაში

ადვოკატთა პროფესიისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანი არის თვითრეგულირება. შესაბამისად, ადვოკატთა პროფესიის წარმომადგენლები (როგორც პროფესიული ჯგუფი), თავად მთავრობის მხრიდან ნებისმიერი სახის ჩარევისგან დამოუკიდებლად, აკონტროლებენ წევრების ქცევას.⁶⁹

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „ადვოკატმა ზუსტად და განუზრელად უნდა დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“.⁷⁰ აღსანიშნავია, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 – მე-9 მუხლების და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.

ადვოკატთა დისციპლინირების წესი და პროცედურა მოწესრიგებულია სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

⁶⁹ მოლიტერნო, ჯ/ჰარისი, ჯ. ჩ., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, სახელმძღვანელოთა ამერიკული სერია, 2014, 34.

⁷⁰ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

მიერ დამტკიცებულ დებულებაში „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“.

3.2 დისციპლინირების მიზანი

როგორც უკვე აღინიშნა, ადვოკატთა დისციპლინირების საფუძვლები და პროცედურები მოწესრიგებულია, ერთი მხრივ, საქართველოს კანონში „ადვოკატთა შესახებ“ და მეორე მხრივ – სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დამტკიცებულ დებულებაში „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“. თუმცა არც კანონში⁷¹ და არც ხსენებულ დებულებაში არ არის მითითებული დისციპლინირების მიზანი. საადვოკატო ეთიკის პრინციპების დარღვევა და, შესაბამისად, დამრღვევის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, ადვოკატის დასჯა, რომელიც შედეგობრივად პრევენციულ ხასიათის მატარებელია, მეორე მხრივ, დისციპლინირების არსებობის მექანიზმი ხელს უწყობს ადვოკატის პროფესიის განვითარებას, ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. და ბოლოს დისციპლინირების ერთ-ერთ გამოხატულ მიზანს წარმოადგენს საზოგადოების და, მათ შორის, კონკრეტული კლიენტის ინტერესების დაცვა.

ადვოკატის დისციპლინირების არაპირდაპირი მიზანი შესაძლოა იყოს კლიენტის ინტერესის დაცვა ადვოკატისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების კუთხით.

4. საჯაროობა

4.1 დისციპლინირების პროცესი საჯაროობის ჭრილში

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ეთიკის კომისიის სხდომა დახურულია. ამასთანავე, ეთიკის კომისია უფლებამოსილია, ორივე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩაატაროს საჯარო სხდომა. ეთიკის

⁷¹ იგულისხმება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი.

კომისიის გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება. მხარეებს უფლება აქვთ, მიიღონ ეთიკის კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება.“ აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე დასაფიქრებელია კანონმდებლის ნება – რამდენად მოიცავს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება მის საჯარო სივრცეში განთავსებას, დისციპლინირებული ადვოკატის პერსონალური მონაცემების მითითებით. ამასთან, საკითხავია, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება რამდენად ვრცელდება ყველა საქმეზე, მიუხედავად იმისა, ეთიკის კომისიის მიერ განხორციელდა თუ არა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის რეკომენდაციის შედეგად, 2017 წლის 7-8 ივლისის შეხვედრაზე⁷² სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მმართველმა ორგანოებმა მიიღეს ერთგვარი გადაწყვეტილების პროექტი (რომელიც საჭიროებს დამატებით ლეგიტიმაციას ასოციაციის საერთო კრების მიერ), ეთიკის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებების ასოციაციის ვებგვერდზე გამოქვეყნების მარეგულირებელი პროცედურის შესახებ. კერძოდ, დისციპლინური წარმოების შეწყვეტის, კომისიის მიერ დისციპლინური დევნის დაწყებაზე უარის თქმის, ადვოკატის გამართლების ან კომისიის მიერ კერძო სარეკომენდაციო წერილის გაცემის შემთხვევაში, გადაწყვეტილებების გამოქვეყნება ადვოკატების სახელების გარეშე მოხდება. ხოლო, დისციპლინური სანქციის დაკისრებისას, კომისიის გადაწყვეტილებები გამოქვეყნდება ადვოკატის სახელის და სიითი ნომრის მითითებით, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადით. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, ადვოკატის პერსონალური მონაცემები წაიშლება (აღნიშნული გადაწყვეტილების პროექტით შეიცვალა ასოციაციის მიდგომა, უვადოდ ყოფილიყო გასაჯაროებული დისციპლინირებული ადვოკატების პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში). გამოქვეყნების იგივე წესი გამოიყენება საქართველოს უზენაესი სასამართლოს

⁷² <http://ewmi-prolog.org/ka/news/2017-07-28-saqartvelos-advokatta-asociaciam>.

დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებების გასაჯაროების შემთხვევაშიც.⁷³

აღსანიშნავია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს საჯაროობის კუთხით მსგავს დიფერენციაციას. აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია შეიცავდეს დისკრიმინაციის ნიშნებს. 2014 წელს საქართველოში მიღებულ იქნა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. ამ კანონის მიზანია, მოხდეს დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ფიზიკური და იურიდიული პირების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებით თანასწორი სარგებლობის უზრუნველყოფა.⁷⁴ გასათვალისწინებელია რომ დისკრიმინაციის აკრძალვა არ ნიშნავს ყველა სახის განსხვავებული მოპყრობის შეზღუდვას, მნიშვნელოვანია აღნიშნულის ობიექტური და გონივრული გამართლება, შესაბამისი დასაბუთებით.⁷⁵ „იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად ჩაითვალოს, პირველ რიგში იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევის ინტერესს და დაცული უნდა იყოს გონივრული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის, ანუ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და შესაფერისი.“⁷⁶

⁷³ იქვე.

⁷⁴ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ საქართველოს კანონი, 02/05/2014 წ. პირველი მუხლის თანახმად „ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.“

⁷⁵ „დისკრიმინაციის აკრძალვა“ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, 4, <http://gdi.ge/uploads/other/0/188.pdf>.

⁷⁶ იქვე.

სწორედ ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ეთიკის კომისიის მხრიდან თავისივე გადაწყვეტილებებში ადვოკატის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების მიზანი არ იქნება დასაბუთებული, აღნიშნული შესაძლოა, მიჩნეულ იქნას დისკრიმინაციულ მიდგომად.

4.2 გასაჯაროების ვადები

როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მმართველი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების პროექტის სახით განისაზღვრა ნებისმიერი დისციპლინური პასუხისმგებლობისათვის (გარდა ადვოკატისათვის სარეკომენდაციო წერილის გაცემისა) ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში სტანდარტულად სამი წლის ვადით ადვოკატის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება.⁷⁷ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ადვოკატის დისციპლინური სახდელის შემდეგ სახეებს: გაფრთხილება; საადვოკატო უფლებამოსილების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.⁷⁸ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების თანახმად, ადვოკატის გაფრთხილება გაქარწყლებულად ჩაითვლება პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, ხოლო ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში აღნიშნული დისციპლინური სახდელი გაქარწყლდება წევრად აღდგენიდან 1

⁷⁷ <http://ewmi-prolog.org/ka/news/2017-07-28-saqartvelos-advokatta-asociaciam>.

⁷⁸ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი: 1. ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია: ა) გაფრთხილება; ბ) საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით; გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. 2. ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია: ა) კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა; ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

წლის გასვლის შემდეგ.⁷⁹ ადვოკატის უფლებამოსილების შეწყვეტისას ადვოკატს შეუძლია, კვლავ გაწევრიანდეს ასოციაციაში 3 წლის გასვლის შემდეგ.⁸⁰ ამ რეგულაციების გათვალისწინებით, კონკრეტულ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას აქვს თავისი მოქმედების ვადა, შესაბამისად, ამ ვადის გასვლის შემდეგ დისციპლინური სახდელი ითვლება გაქარწყლებულად. კვლავაც მსჯელობის საგნად რჩება სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების პროექტის დასაბუთება საჯაროობის სამწლიან ვადასთან დაკავშირებით.⁸¹ ლეგიტიმური იქნება, ეთიკის კომისიამ საკუთარ გადაწყვეტილებებში ინდივიდუალურად განსაზღვროს, სახდელის მიზნებიდან გამომდინარე, რა ვადით უნდა მოხდეს დისციპლინირებული ადვოკატის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება.

4.3 საჯაროობის ხარისხის შედარება დისციპლინირების სხვა შემთხვევებთან

აღსანიშნავია რომ მოსამართლეებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეულ დიფერენცირებას პერსონალური მონაცემების საჯაროობის კუთხით, შესაბამისი დისციპლინური სახდელის და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენების გათვალისწინებით. როდესაც საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია განიხილავს სადისციპლინო საქმეს და მოსამართლეზე გაიცემა კერძო სარეკომენდაციო ბარათი, მისი შინაარსი კონფიდენციალურია. „კერძო სარეკომენდაციო ბარათი ეგზავნება მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ მოსამართლეს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საჩივრის

⁷⁹ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, დამტკიცებული 2010 წლის 11 დეკემბრის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე, მუხლი 24.

⁸⁰ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁸¹ <http://ewmi-prolog.org/ka/news/2017-07-28-saqartvelos-advokatta-asociaciam>.

(განცხადების/შეტყობინების) ავტორს. საჩივრის (განცხადების/შეტყობინების) ავტორი ვალდებულია, ხელი მოაწეროს კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსის გაუმჟღავნებლობის შესახებ ხელწერილს. კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლის სხვა ორგანოსთვის ან თანამდებობის პირისთვის გაგზავნა დაუშვებელია.”⁸² ხოლო რაც შეეხება სადისციპლინო კოლეგიის და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებებს, მოსამართლეებისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე, ისინი მოსამართლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდზე კანონიერ ძალაში შესვლისთანავე, თუ თავად მოსამართლე არ მოითხოვს დისციპლინური პროცესის გასაჯაროებას. ყველაზე მძიმე სახდელის – მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, გადაწყვეტილება სრულად ქვეყნდება.⁸³

აღნიშნული საკითხი პრაქტიკაში განსხვავებულად არის მოწესრიგებული. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ოფიციალურ ვებგვერდზე პრაქტიკისა და სტატისტიკის განყოფილებაში დევს დეტალური ინფორმაცია 2004 წლიდან 2013 წლის ჩათვლით განხილულ დისციპლინურ საქმეთა შესახებ, თუმცა აღნიშნული დოკუმენტაცია მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევებში (რაც კანონის თანახმად სრულად ქვეყნდება), არ შეიცავს მოსამართლეთა პერსონალურ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს.⁸⁴

საინტერესოა, პარალელი გავავალოთ ადვოკატების და ექიმების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებთან მიმართებაში. საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ ითვალისწინებს ექიმებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებს და პროცედურას; აღსანიშნავია, რომ დისციპლინური წარმოების საქმის განხილვას

⁸² საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ 75⁴⁴-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁸³ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ 75⁷³-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁸⁴ <http://dcj.court.ge>.

შეიძლება დაესწრონ მხოლოდ მხარეები.⁸⁵ კანონი არ უშვებს მიღებული გადაწყვეტილების საჯაროობას. ექიმის სერტიფიკატის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი ჩანაწერი კეთდება სახელმწიფო სასერტიფიკატო რეესტრში.⁸⁶ ეს უკანასკნელიც არ არის განთავსებული საჯაროდ ვებსივრცეში. საინტერესოა, დადგინდეს ამ ორი პროფესიის შემთხვევაში, სადაც სახეზეა კლიენტის/პაციენტის ინტერესის უპირატესობა, რატომ გვაქვს განსხვავებული მოწესრიგება და პრაქტიკა შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან. უდავოა, რომ კლიენტმა/პაციენტმა უნდა მიიღოს კვალიფიციური მომსახურება სათანადო უფლებამოსილების მქონე პირისაგან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მომსახურების მიმღებს ჰქონდეს ინფორმაცია, ხომ არ აქვს ექიმს/ადვოკატს შესაბამისი საქმიანობის დამადასტურებელი ლიცენზია შეჩერებული ან შეწყვეტილი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ექიმები, რომლებსაც შეუჩერდათ ან გაუუქმდათ ლიცენზია გადადიან ერთი შტატიდან მეორეში და იქ ეწევიან საექიმო საქმიანობას. ამ თვალსაზრისით, არსებობს შტატების მიხედვით ონლიან საძიებო ბაზა, მაგ: ალაბამას შტატში, სადაც ექიმის სახელის, გვარის, ლიცენზიის ნომრის მიხედვით შესაძლებელია, მოხდეს დაინტერესებული პირის მიერ ინფორმაციის მიღება, ასევე შესაბამისი დისციპლინირების შესახებ გადაწყვეტილების პდფ-ის ფორმატში ჩამოტვირთვა.⁸⁷ ამ საკითხის ეროვნულ დონეზე უკეთ დასარეგულირებლად საჭიროა შესაბამისი მექანიზმის შემუშავება როგორც საკანონმდებლო კუთხით, ასევე მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან. სასურველია, არსებობდეს გარკვეული ბაზა სადაც საჯაროდ იქნება განთავსებული შეჩერებული/შეწყვეტილი ან და ლიცენზიის არმქონე პირის (ადვოკატი/ექიმი) შესახებ ინფორმაცია, რომელთანაც ბენეფიციარს ექნება თავისუფალი წვდომა ყოველგვარი ბიუროკრატიული მექანიზმების გარეშე. ამ შემთხვევაში სავარაუდოდ გამართლებული იქნებოდა ექიმის/ადვოკატის პერსონალური მონაცემების საჯარო

⁸⁵ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 87-ე მუხლი.

⁸⁶ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 79-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁸⁷ <http://projects.propublica.org/graphics/investigating-doctors>.

განთავსების საკითხი, შესაბამისი დისციპლინირების ვადის მოქმედების პერიოდში.

საგულისხმოა, რომ უკანონო სამედიცინო/საექიმო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და ითვალისწინებს შესაბამის ჯარიმას.⁸⁸ საადვოკატო საქმიანობის ერთი სპეციალიზაციის მქონე პირის მიერ სხვა კატეგორიის საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევის შემთხვევას (მაგ: სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატის მიერ სამოქალაქო სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევა) ეთიკის კომისია განიხილავს ადვოკატთა ეთიკის კოდექსის დარღვევად, კვალიფიციურობის პრინციპთან მიმართებით.⁸⁹ თუმცა სახელმწიფოს მხრიდან, რაიმე სახის სანქცია ამ თვალსაზრისით არ არის განსაზღვრული. აღნიშნული შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც სამომავლო მსჯელობის საგანი, რომელიც სათანადო შესწავლა/ანალიზის შემდგომ ასევე შესაძლებელია მოექცეს საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში.

შეჯამების სახით, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ინფორმაციის მიღება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას, მომხმარებელმა მიიღოს საუკეთესო მომსახურება. თუმცა დაცული უნდა იყოს ის ფარგლები და ზომიერება, რა მიზნის მიღწევასაც ემსახურება პერსონალური მონაცემების გასაჯაროება. დღევანდელი მდგომარეობით, ეროვნულ დონეზე შესამუშავებელია ზემოთ განხილული პროფესიებისათვის დისციპლინირების განსაკუთრებით მკაცრი ზომების გამოყენებისას (საქმიანობის ლიცენზიის შეჩერება/შეწყვეტა), ბენეფიციართათვის ინფორმაციის მარტივად მიწოდების მექანიზმები.

⁸⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44²-ე მუხლი.

⁸⁹ სსიპ „ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

V. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე

იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს ნაშრომში დასმულ ძირითად საკითხებს, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ასევე ამ მიმართულებით არსებული სასამართლო პრაქტიკა და შესაბამისი დასკვნები.

1. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 09 თებერვალს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება #1/2/622, საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის⁹⁰ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან. ზემოხსენებული პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში ელექტრონულ ფორმატში ჩანაწერები ინახება მუდმივად“.

სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა ზემოხსენებული ბრძანების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებაში. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით „...დაცულია პირის უფლება, აკონტროლოს საკუთარი თავის წარმოჩენა საზოგადოების თვალში და პიროვნული განვითარებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელების თავისუფლება. პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც გარე სამყაროსთან ურთიერთობის

⁹⁰ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე ინდივიდის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას“.⁹¹

ადამიანის უფლებათა შორის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რომელიც უზოგადესი ხასიათის მატარებელია. „კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიზანია, დაუცველი არ დარჩეს ცხოვრების ის სფეროები, რომლებიც პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებებით არ არის მოცული. კონსტიტუციის მე-16 მუხლი ქმნის კონსტიტუციური დაცვის გარანტიას ურთიერთობებისთვის, რომლებიც არ თავსდება კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა შეადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს“.⁹²

სასამართლოს განმარტებით სადავო ნორმა დაუსაბუთებლად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ უფლებას, აღნიშნული ინფორმაციის სახელმწიფოს მიერ უვადოდ შენახვის დაწესება არალეგიტიმურია და კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას საჭიროებს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, „უფლების მზღლუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაძეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“.⁹³

⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოვლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“, II-3.

⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-55.

⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დასადგენად, ლეგიტიმური მიზნის არსებობასთან ერთად, აუცილებელია შემოწმდეს უფლების შეზღუდვის პროპორციულობა. საკონსტიტუციო სარჩელის ავტორის განმარტებით, მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მუდმივად შენახვა პირადი ცხოვრების უფლების არათანაზომიერი შეზღუდვაა.

„სასამართლო ზემოხსენებული უფლების შეზღუდვის კონტექსტში პარალელს ავლებს სისხლის სამართალში ნასამართლობის გაქარწყლებისა და მოხსნის ინსტიტუტზე, ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილ წესზე, რომლის თანახმადაც, „თუ ადმინისტრაციულ სახდელდადებულს სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იგი ჩაითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად“. ჩადენილი გადაცდომისთვის პასუხისგების შემდგომ პირს აქვს რეაბილიტაციის უფლება უსაფუძვლო დიფერენცირებისგან თავისუფალ გარემოში, რაც ასევე გულისხმობს სახელმწიფოს წინაშე მისი განსხვავებული სტატუსის განსაზღვრას მხოლოდ გონივრული, სასჯელის მიზნების შესაბამისი ვადით.“⁹⁴ „თანაზომიერების პრინციპის უმთავრესი მოთხოვნაა, რომ უფლების შეზღუდვა არ განხორციელდეს იმაზე მეტად, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის საჭირო. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ პირის შესახებ რაიმე ინფორმაციის ფლობას, აუცილებელია თანაზომიერების პრინციპის დასახელებული მოთხოვნის განუხრელად დაცვა. კერძოდ, დასაშვებია სახელმწიფომ პირის შესახებ ინფორმაცია შეინახოს მხოლოდ იმ გონივრული ვადითა და მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური საჯარო მიზნების მისაღწევად“.⁹⁵

⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილება #1/2/622, საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი 25-ე და 26-ე პუნქტები, 16, 17.

⁹⁵ იქვე, 28-ე პუნქტი, 17.

„ასევე გასათვალისწინებელია, რომ სადავო ნორმა არ ახდენს დიფერენცირებას სამართალდარღვევის ხარისხის და სიმძიმის მიხედვით, რამდენად ლეგიტიმურია პირადი მონაცემების უვადოდ შენახვა სახელმწიფოს მხრიდან, როდესაც სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი აქტუალობას და სამართლებრივ მნიშვნელობას კარგავს. ასევე საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, კონკრეტული ქმედება სამართალდარღვევად აღარ ითვლება. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ნორმის ზოგად ხასიათზე და ხაზს უსვამს შეზღუდვის არათანაზომიერებას. ზემოთ მოყვანილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა ერთმნიშვნელოვნად არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.“⁹⁶

საბოლოოდ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელეს საკონსტიტუციო სარჩელი დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის⁹⁷ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.

სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, საჯარო დაწესებულების მიერ ზუსტად განისაზღვროს ის მიზანი, რისთვისაც ხდება პირადი ინფორმაციის სამუდამოდ შენახვა. ასეთი მიზნის არარსებობის ან დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულების მოქმედება არათანაზომიარია და ზღუდავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილება #1/2/622, საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი 31-33 პუნქტები, 19.

⁹⁷ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1-ელი მარტის №271 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში დისციპლინირებული ადვოკატის მაიდენტიფიცირებელი პირადი მონაცემების მითითება და, ამასთან, მათი საჯარო სივრცეში მუდმივად განთავსება (დისციპლინირების ვადის გასვლის შემდგომაც კი) პირდაპირპროპორციულად აისახება ადვოკატის პიროვნული განვითარების უფლებაზე. ასოციაციის მხრიდან აღნიშნულის ლეგიტიმაცია საჭიროებს მყარ დასაბუთებას. იმ შემთხვევაში, თუ ვივარაუდებთ, რომ მიზანი, დაცული იქნეს კლიენტის ინტერესი, მიიღოს ინფორმაცია დისციპლინირებული ადვოკატის შესახებ – გამართლებულია, გასათვალისწინებელია, რამდენად ადეკვატურად აისახება ეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზე. სასურველია, არსებობდეს დიფერენციაცია დარღვევის ხასიათსა და დისციპლინირების ზომის გამოყენებას შორის. თუ ადვოკატს შეუჩერდა ან შეუწყდა საადვოკატო საქმიანობის უფლება, აღნიშნულის გასაჯაროება შესაძლოა გამართლებული იყოს სანქციის მოქმედების პერიოდში. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იცავს კლიენტს, მიიღოს საუკეთესო მომსახურება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირისაგან. ამ შემთხვევაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ერთგვარად იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარი არასასურველი შედეგის მიმართ. აღნიშნული ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, დაცულ იქნეს კლიენტის ინტერესი. მაგრამ, თუ შევადარებთ ამ მდგომარეობას ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით გაფრთხილების მიცემის შემთხვევას, ადვოკატის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას სავარაუდოდ ვერ ექნება პოზიტიური შედეგი. ეს გარემოება მოსალოდნელია, რომ უარყოფითად აისახება ადვოკატისა და არსებული ან პოტენციური კლიენტის ურთიერთობაზე.

გასათვალისწინებელია, რომ მოცემული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ არალეგიტიმურად ჩათვალა სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ სამართალდამრღვევი სუბიექტის შესახებ ინფორმაციის საჯარო დაწესებულების მიერ სამუდამოდ შენახვა. მით უფრო, რომ ეს ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის დაინტერესებული პირებისათვის. ხოლო ადვოკატთა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების შემთხვევაში

(შეცვლილი პოზიციის შედეგად, კერძოდ 2017 წლის 7-8 ივლისის შემდგომ არსებული გადაწყვეტილების პროექტი⁹⁸). დისციპლინირების ღონისძიების ნებისმიერი სახის გამოყენებისას, ადვოკატის შესახებ პერსონალური ინფორმაციის სამი წლის ვადით გასაჯაროება საჭიროებს კვალიფიციურ დასაბუთებას და მაღალ ლეგიტიმაციას.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

პერსონალური მონაცემების დაცვის კონტექსტში ერთ-ერთი საინტერესო გადაწყვეტილება იქნა მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2017 წლის 05 ოქტომბერს საქმე #3ბ/904-17. აპელანტს წარმოადგენდა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მოპასუხე – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

საქმის ფაბულა შეეხებოდა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე განთავსებულ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას, სადაც ადვოკატის თანხმობის გარეშე განთავსებული იყო მისი პირადი ხასიათის ინფორმაცია, კერძოდ, სახელი, გვარი და სიითი ნომერი. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატს დისციპლინური სახდელის სახით მიეცა გაფრთხილება. ადვოკატმა განცხადებით მიმართა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ და მოითხოვა მისი პირადი ხასიათის ინფორმაციის დეპერსონალიზება, რაზეც მიიღო უარი. ამის შემდეგ ადვოკატმა მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. ინსპექტორის გადაწყვეტილებით სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ დაევალა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 2 თვის ვადაში: 1) შეფასება და განსაზღვრა – რა ვადით და რა მოცულობით არის საჭირო პერსონალური მონაცემების შემცველი ეთიკის კომისიისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების კუთვნილ ვებგვერდზე – www.gba.ge საჯაროდ განთავსება შესაბამისი

⁹⁸ <http://ewmi-prolog.org/ka/news/2017-07-28-saqartvelos-advokatta-asociaciam>.

კანონიერი მიზნის მისაღწევად; 2) ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღების უზრუნველყოფა, რომელიც ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, შესაძლებელს გახდის გასაჯაროებული მონაცემების წაშლას, განადგურებას ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით დამუშავებას; 3) მიღებული გადაწყვეტილების/გატარებული ზომების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინფორმირება. ამავე გადაწყვეტილებით სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ მიეცა რეკომენდაცია, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დაებლოკა ვებგვერდის შესაბამის ბმულებზე განთავსებული სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის შესაბამისი გადაწყვეტილება.“⁹⁹

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა ასოციაციის სარჩელი, რის შემდეგაც იგი გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაცია, სამართლებრივი შეფასება და ძალაში დატოვა ინსპექტორის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ძირითად არგუმენტს წარმოადგენა ის გარემოება, რომ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების ასოციაციის ვებგვერდზე პერსონალიზებული ფორმით გამოქვეყნება ემსახურება ადვოკატის პროფესიის კორპორაციულ ინტერესს, ატარებს დისციპლინურ გადაცდომათა პრევენციულ ხასიათს და ყველა იმ გადაწყვეტილებაში, სადაც ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, ადვოკატის ვინაობა უნდა ყოფილიყო საჯარო. ვინაიდან კომისია ასაჯაროებდა ადვოკატის ჩვეულებრივი კატეგორიის პერსონალურ

⁹⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 05 ოქტომბრის საქმე #33/904-17 განჩინება, 5;

მონაცემებს, მონაცემთა დამუშავებისას არ ირღვეოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილი პრინციპები და ამ სახით მონაცემთა დამუშავების გარეშე შეუძლებელი იყო სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის„ ეთიკის კომისიის მიზნის რეალიზაცია. მათივე განმარტებით „ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების შესახებ“ დებულების 24-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის გაქარწყლების წესი არის კომისიის სახელმძღვანელო ნორმა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრის დროს და არ უკავშირდება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების საჯაროობას. ასევე ასოციაციამ აღნიშნა რომ კომისიის გადაწყვეტილების საჯაროობა ადვოკატის ვინაობის მითითებით არ წარმოადგენს ცალკე სახდელის ან ადვოკატის პასუხისმგებლობის დამძიმების ფორმას და შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჯაროება არ უკავშირდება ადვოკატისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობის გაქარწყლების ვადას. კომისია გაქარწყლების 6-თვიანი ვადით მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს.¹⁰⁰

„საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკითხის შეფასება უნდა მოხდეს როგორც ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების, ასევე აღნიშნული დოკუმენტის განუსაზღვრელი ვადით გასაჯაროების მიზნებიდან გამომდინარე. ასოციაციის მიერ ინფორმაციის გასაჯაროების და საზოგადოებისათვის მისი ხელმისაწვდომობის მიზნის და თანმდევი შედეგების განსაზღვრა არგუმენტაციას საჭიროებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ასოციაციის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს მესამე პირთა (კლიენტი) ინტერესების დაცვა და ადვოკატი სწორედ აღნიშნულის განხორციელების საშუალებაა. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვის, ადვოკატის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და მისი უფლებების დაცვის მიზანს. ამასთან, ამ მიზნის მისაღწევად,

¹⁰⁰ იქვე, 4, 5.

ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა, საზოგადოებაში ადვოკატისადმი ნდობის და რეპუტაციის ამაღლება“.¹⁰¹

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ასოციაციის მოსაზრება, ერთი მხრივ, მუდმივად ჰქონდეს დაცული ინფორმაცია ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ, ხოლო, მეორეს მხრივ, მოახდინოს საზოგადოებისათვის ამავე ინფორმაციის მუდმივად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. „სასამართლოს მოსაზრებით, ასოციაციის მიზანს წარმოადგენს არამხოლოდ მისი წევრის (ადვოკატის) ქცევებზე რეაგირების ფაქტების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვა, არამედ, წევრთა მორალურ რეპუტაციაზე ზრუნვა და მათ მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება.“¹⁰² სასამართლო ასევე მსჯელობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში ადვოკატის პერსონალური მონაცემების საჯაროობისას (იმ პირობებში როდესაც დისციპლინური სახდელი გაქარწყლებულია) რამდენად სწორედ იქნება აღქმული არსებული და პოტენციური კლიენტების მხრიდან ადვოკატის პროფესიონალიზმი და მისი კვალიფიკაციის საკითხი. არსებობს რისკი, რომ შესაბამისი პირთა წრის მიერ არასწორედ იქნეს შეფასებული ზემოხსენებული გადაწყვეტილებები, რაც გამოიწვევს არათანაზომიერ ზიანს, რომელიც მიადგება ადვოკატს როგორც პერსონალური, ასევე პროფესიული თვალსაზრისით“.¹⁰³ „საქალაქო სასამართლო ავლებს პარალელს დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტის არსებობაზე, რომლის მიზანი პიროვნების პატივისცემის უფლებას უკავშირდება. პირს, რომელიც კონკრეტული ქმედების ჩადენისათვის სასჯელს იხდის, მუდმივად არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ დიდი ხნის წინ ჩადენილი ქმედების გამო მსჯავრდებისა და სასჯელის მოხდიდან წლების გასვლის შემდეგაც, მაინც დამნაშავეს სტატუსს ატარებდეს. აღნიშნულით ვერ მიიღწევა სახელმწიფოს მიზანი, რაც სასჯელის აღსრულებას და დამნაშავეს რესოციალიზაციას უკავშირდება. ასევე

¹⁰¹ იქვე, 12, 13.

¹⁰² იქვე, 14.

¹⁰³ იქვე, 14.

მნიშვნელოვანია დასაბუთდეს – რატომ აღემატება ინფორმაციის სამუდამოდ (ადვოკატის წევრობის უფლებამოსილების ვადით) გასაჯაროების ინტერესი კლიენტის ინტერესის დაცვის მიზანს.¹⁰⁴

სასამართლო სამართლებრივ დასაბუთებაში უთითებს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2014 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში გაკეთებულ განმარტებაზე (საქმე C-131/12, გუგლი ესპანეთი და გუგლის კორპორაცია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ესპანეთის სააგენტოსა და კოსტეჟა გონზალეზის წინააღმდეგ). „საქალაქო სასამართლომ „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ მიღებულ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის № 95/46/EC დირექტივაზე მითითებით განმარტა, რომ ინტერნეტში საძიებო სისტემის მეშვეობით ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც ავტომატურად ახდენს ინდექსირებას და ინტერნეტმომხარებლისათვის შესაძლებელს ხდის მისი გარკვეული სახით კლასიფიცირებას, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც პერსონალური მონაცემების დამუშავება (როდესაც ეს ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს). სადავო ინფორმაციის არსებობა საძიებო სისტემაში სუბიექტის მიმართ უკვე ქმნის წინასწარ შექმნილ განწყობას/ზიანის საფრთხეს. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია, მისი ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე მოითხოვოს, რომ სადავო ინფორმაცია აღარ იძებნებოდეს საძიებო სისტემაში მისი სახელის მეშვეობით, ეს უფლებები გადაწონის არა მხოლოდ საძიებო სისტემის ოპერატორის ეკონომიკურ ინტერესებს, არამედ ასევე საჯარო ინტერესებსაც. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ აღიარა პირის უფლება „იყო დავიწყებული“, და დაადგინა, რომ პირს შესაძლებლობა აქვს აკონტროლოს პერსონალური მონაცემები, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ინფორმაცია ინტერნეტში კანონიერად არის განთავსებული. მონაცემთა დამუშავებლები ვალდებული არიან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასონ, არსებობს თუ არა საკმარისი საჯარო ინტერესი, რომ ეს ინფორმაცია

¹⁰⁴ იქვე, 15.

ინტერნეტმომხმარებელმა დაუბრკოლებლად მიიღოს. ამგვარი ინტერესის არარებობის შემთხვევაში კი, ინფორმაცია საძიებო სისტემიდან უნდა წაიშალოს.¹⁰⁵

ზემოხსენებული სასამართლოების პოზიციების შეჯამებით, გამოიკვეთა ის მთავარი საკითხები, რასაც პროცესის მსვლელობისას ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან ვერ გაეცა არგუმენტირებული პასუხები. სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებაზე რამდენიმე კონტექსტში. სასამართლოს შეფასებით, პერსონალური მონაცემების გასაჯაროებისას, გამოხატული უნდა იყოს მისი მიზანი. კლიენტის ინტერესების დაცვის ჭრილში დასაფიქრებელია, გასაჯაროება ხომ არ იწვევს ან მომავალში გამოიწვევს დაცვის სუბიექტთა (ამ შემთხვევაში – კლიენტის) ინტერესებზე არასწორ ზეგავლენას. სასამართლომ ხაზი გაუსვა დისციპლინირების მიზანს, როგორც პრევენციული ხასიათის ღონისძიებას, რაც დაუსაბუთებლად არ უნდა ლახავდეს ადვოკატის კვალიფიკაციას და ერთმნიშვნელოვნად ემსახურებოდეს მხოლოდ მის დისკრედიტაციას. ეთიკის კომისიის მუშაობის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ დისციპლინირებული ადვოკატის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება, მისი მიზანია, დაამკვიდროს გონივრული და სწორი პრაქტიკა ეთიკურ საკითხებთან მიმართებაში, გააძლიეროს ნდობა ადვოკატთა კორპუსის მიმართ და ამით შექმნას პროფესიის დაცვის მექანიზმები. რაც შეეხება დისციპლინირებული ადვოკატის პერსონალური მონაცემების სამუდამოდ გამოქვეყნებას, არ იკვეთება აღნიშნულის ლეგიტიმაციის მიზანი. ასევე სასამართლო ცალსახად არ ეთანხმება დისციპლინირებული ადვოკატის შესახებ პერსონალური მონაცემების ონლაინ (ვებგვერდის მეშვეობით) მოძიების მექანიზმის არსებობას, იმ პირობებში როდესაც ყველა პირს აქვს უფლება „იყოს დავიწყებული“ და ამ მიზნით მოითხოვოს საკუთარი პერსონალური მონაცემების წაშლა.

¹⁰⁵ იქვე, 13, 14.

3. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება

3.1 „გუგლის“ საქმის გამოყენების შესახებ

ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განჩინების მსჯელობისა და სამართლებრივი დასაბუთების დიდი ნაწილი ეთმობა „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ მიღებულ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის № 95/46/EC დირექტივის¹⁰⁶ საფუძველზე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს დიდი პალატის მიერ C-131/12 საქმეზე 2014 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებას,¹⁰⁷ რომელიც „გუგლის ქეისის“ სახელითაა ცნობილი, სასურველია შეფასდეს, თუ რატომ იხელმძღვანელა სასამართლომ სწორედ ამ გადაწყვეტილებით. აღნიშნული დირექტივის მიზანია, დაიცვას ფიზიკური პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან მიმართებით.¹⁰⁸ წინამდებარე ქვეთავში მიმოხილული იქნება, თუ რამდენად რელევანტური და გასათვალისწინებელია აღნიშნული საქმე სააპელაციო სასამართლოს დავის საგანთან მიმართებით.

¹⁰⁶ „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ მიღებული ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის № 95/46/EC დირექტივის 1-ლი მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი; <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046>.

¹⁰⁷ JUDGMENT OF THE COURT (Grand Chamber) 13 May 2014, Case C-131/12 Google Spain SL, Google Inc v Agencia Española de Protección de Datos (AEPD), Mario Costeja González, <http://eurlex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62012CJ0131>.

¹⁰⁸ „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ მიღებული ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის № 95/46/EC 1-ლი მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი; <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046>.

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, რადგან ფაქტობრივი გარემოებები განსხვავებულია და არ მისადაგება ამ კონკრეტულ დავას. ასოციაცია სავსებით მართებულად განმარტავს, რომ გუგლის ქეისისგან განსხვავებით ადვოკატის დისციპლინირების შესახებ ინფორმაცია გუგლის საძიებო სისტემის გამოყენებით ხელმისაწვდომი არ არის, რადგან იგი განთავსებულია ასოციაციის ვებგვერდზე პდფ-ის ფორმატით და ხელმისაწვდომი მხოლოდ ასოციაციის ვებგვერდზეა დამატებითი ინფორმაციის მითითებით.¹⁰⁹

2010 წლის 5 მარტს კოსტეჟა გონზალეზმა საჩივრით მიმართა „ესპანეთის მონაცემთა დაცვის სააგენტოს“ (Agencia Española de Protección de Datos) ესპანეთი ბეჭდური მედიის (La Vanguardia Ediciones SL) ერთ-ერთი ყოველდღიური გაზეთის, გუგლი ესპანეთისა და გუგლის კორპორაციის წინააღმდეგ. საჩივრის ავტორი განმარტავდა, რომ მისი სახელის საძიებო ველში მითითებით (Google Search) ხსენებული გაზეთის ორი გვერდის ბმულის მოპოვება ხდებოდა, სადაც საუბარი იყო უძრავი ქონების აუქციონის შესახებ და სოციალური დაცვის ვალების ამოღებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაზე. გონზალეზის თქმით, მასთან დაკავშირებული ეს წარმოება უკვე წლებია სრულად მოგვარებული და გადაწყვეტილია, შესაბამისად, დღეს ამ ინფორმაციის კვლავ ხელმისაწვდომობა სრულიად არარელევანტური იყო. მისი მოთხოვნა ბეჭდური მედიის მიმართ იყო, რომ გაზეთის აღნიშნული გვერდები ამოეღოთ, შეეცვალათ ან საძიებო სისტემის საშუალების გამოყენებით, მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები დაცული ყოფილიყო. ასევე იგი ითხოვდა, რომ გუგლ ესპანეთსა და გუგლის კორპორაციას დავალებოდა, ამოეღო ან დაეფარა მისი პერსონალური მონაცემები იმგვარად, რომ იგი საძიებო სისტემის შედეგებში არ ყოფილიყო ნაჩვენები მითითებული გაზეთის ბმულთან.¹¹⁰

¹⁰⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 05 ოქტომბრის განჩინება, საქმე #33/904-17, 18.

¹¹⁰ JUDGMENT OF THE COURT (Grand Chamber) 13 May 2014, Case C-131/12 Google Spain SL, Google Inc v Agencia Española de Protección de Datos (AEPD),

„ესპანეთის მონაცემთა დაცვის სააგენტომ“ განიხილა საჩივარი და ბეჭდური მედიის მიმართ დაყენებული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან მიიჩნია, რომ გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნება სამართლებრივად გამართლებული იყო. იქიდან გამომდინარე, რომ ეს მოხდა შრომის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანებით და მიზნად ისახავდა აუქციონის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას, რათა რაც შეიძლებოდა, მეტ პრეტენდენტს მიეღო მასში მონაწილეობა. ამასთან, საჩივარი დაკმაყოფილდა „გუგლი ესპანეთისა“ და გუგლის კორპორაციის მიმართ, რადგან ჩაითვალა, რომ საძიებო სისტემის ოპერატორებზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები ვრცელდება, ვინაიდან ისინი ახორციელებენ მონაცემთა დამუშავებას და საინფორმაციო საზოგადოებაში მოქმედებენ როგორც შუამავლები. „ესპანეთის მონაცემთა დაცვის სააგენტოს“ მოსაზრებით უნდა მომხდარიყო შესაბამისი მონაცემების ამოღება ან აკრძალულიყო მათდამი წვდომა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მონაცემები ხელყოფს პერსონალური მონაცემის დაცვისა და ადამიანის ღირსების ფუნდამენტალურ უფლებას ფართო გაგებით. „ესპანეთის მონაცემთა დაცვის სააგენტომ“ ისიც განმარტა, რომ პერსონალური მონაცემის დაცვის უფლება ფართო გაგებით პირის უბრალო სურვილსაც კი მოიცავს, რომ კონკრეტული ინფორმაცია მის შესახებ არ იყოს ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის და რომ ამის უზრუნველყოფის ვალდებულება პირდაპირ საძიებო სისტემის ოპერატორებს უნდა დაეკისროს.¹¹¹

3.2 „გუგლის“ საქმის ანალიზი

„გუგლ ესპანეთმა“ და გუგლის კორპორაციამ ცალ-ცალკე სარჩელები წარადგინეს უმაღლესი ეროვნული სასამართლოს (Audiencia Nacional) წინაშე. სასამართლომ განმარტა, რომ მთავარი საკითხი დაცვის ფარგლებში იყო განსაზღვრულიყო, თუ რა ვალდებულება

Mario Costeja González, <http://eurlex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62012CJ0131>.

¹¹¹ იქვე.

აკისრია საძიებო სისტემების ოპერატორებს იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც არ სურთ, რომ თავიანთი პერსონალური მონაცემები მესამე პირთა ვებგვერდებზე საჯაროდ იყოს განთავსებული.

სასამართლოს შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ დირექტივა განიმარტოს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებთან მიმართებით, რადგან მისი მიღების ეტაპზე აღნიშნული ტექნოლოგიური საშუალებები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები არ არსებობდა. უმაღლესმა ეროვნულმა სასამართლომ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს დიდ პალატას (წინასწარი გადაწყვეტისთვის) დირექტივის რამდენიმე მუხლის განმარტებათვის კითხვებით მიმართა.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს დიდი პალატისთვის დასმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო, უნდა ჩაითვალოს თუ არა საძიებო სისტემის მოქმედება მონაცემთა დამუშავებად, დირექტივით განსაზღვრული მნიშვნელობის შესაბამისად,¹¹² როდესაც ეს ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს. საძიებო სისტემის მოქმედება მოიცავს ინტერნეტში მესამე პირთა მიერ განთავსებული ინფორმაციის მოძიებას, მის ავტომატურ ინდექსაციას, დროებით შენახვასა და შემდეგ ამ ინფორმაციის ინტერნეტის მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამ საკითხზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, კიდევ ერთი კითხვა იყო, განიხილებოდა თუ არა საძიებო სისტემის ოპერატორი მონაცემთა

¹¹² მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერ მოქმედება ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ მიღებულ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის № 95/46/EC მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი; <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046>

დამმუშავებლად.¹¹³ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ მნიშვნელოვანი განამრტება გააკეთა და მიიჩნია, რომ პირს აქვს უფლება „იყოს დავიწყებული“ (derecho al olvido). აღნიშნული გულისხმობს, რომ შესაძლოა პერსონალური მონაცემი კონკრეტული პირის შესახებ საჯარო გახდა კანონიერი საფუძვლით, თუმცა მიუხედავად ამისა პირს აქვს უფლება, გარკვეული დროის შემდეგ მისი პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია აღარ იყოს ხელმისაწვდომი. უნდა შეფასდეს, რამდენად არსებობს საჭიროება, პირის სახელი ჯერ კიდევ იყოს დაკავშირებული კონკრეტულ გარემოებასთან და აქვს თუ არა მას უფლება, მოითხოვოს აღნიშნული ინფორმაციის წაშლა. ამ უფლების წარმოშობისთვის საკმარისია ის გარემოებაც, რომ კონკრეტული ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა ზიანს აყენებდეს ინფორმაციის სუბიექტს და მას შეუძლია მოითხოვოს მისი წაშლა. პირის ეს უფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საძიებო სისტემის ოპერატორის ეკონომიკური ინტერესი ან საზოგადოების ინტერესი, ჰქონდეს წვდომა ამ ინფორმაციაზე.¹¹⁴

3.3 გუგლის საქმის გამოსადეგობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიმართ არსებულ დავაში

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ პოზიცია, რომ გუგლის ქეისი არ მიესადაგება მათ დავას, არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან სწორედ ამ საქმეშია მიმოხილული საძიებო სისტემასთან მუშაობის პრინციპი და განმარტებულია დირექტივის მუხლები, რომლითაც ფასდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და დამმუშავებელი. თბილისის საქალაქო

¹¹³ მონაცემთა დამმუშავებლად მიიჩნევა ნებისმიერი ფიზიკური თუ ურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება, წარმომადგენელი ან ნებისმიერი სხვა ორგანო რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ მიღებულ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის № 95/46/EC მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი; <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046>

¹¹⁴ იქვე

სასამართლომ აღნიშნული საქმე სავარაუდოდ სწორედ იმიტომ გამოიყენა თავის დასაბუთებაში, რომ მასში საუბარია საჯარო ინტერესისა და კერძო პირის ინტერესების შეპირისპირებაზე. სასამართლომ გაიზიარა, რომ პირის უფლება „იყოს დავიწყებული“, ამ შემთხვევაში, რელევანტურია, რადგან როგორც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, შესაძლოა კონკრეტული ინფორმაციის გასაჯაროება ლეგიტიმურად მოხდა, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შესაძლოა, ეს ინფორმაცია სუბიექტისთვის ზიანის მომტანი გახდეს. აღნიშნული ზიანის გამორიცხვა კი ამ ინფორმაციაზე წვდომის აკრძალვით ან შეზღუდვით უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის ინტერესის დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საზოგადოების ან საძიებო სისტემის ოპერატორის ეკონომიკური ინტერესი. თუმცა აღსანიშნავია, როდესაც პერონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა კონკრეტული მიზეზით ხდება, როგორცაა თავად სუბიექტის მიერ შესრულებული როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასეთ შემთხვევაში, საჯარო ინტერესი უპირატესია და ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევა გამართლებულია სუბიექტის მონაცემთა საძიებო სისტემაში ჩართვის კუთხით.

ამ დავის მონაწილე ადვოკატი გ. ქ., მსგავს გარემოებაზე მიუთითებდა, როდესაც განმარტავდა, რომ დღესდღეობით მისდამი დისციპლინური სახდელი გაქარწყლებულია და არ არსებობს არავითარი საჭიროება, ეს მონაცემები კვლავ საჯაროდ იყოს ხელმისაწვდომი.¹¹⁵ ასევე, ზემოხსენებული მსჯელობა ცხადყოფს, რომ ინფორმაციის განთავსება ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისას არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განთავსების შესახებ გადაწყვეტილების გადახედვა არ მოხდეს მომავალში. მსგავსი ინფორმაციის განთავსებისას აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ის ზიანი, რომელიც შესაძლოა მიადგეს ინფორმაციის სუბიექტს.

სწორედ ამიტომ განმარტავს თბილისის სააპელაციო სასამართლო, რომ ადვოკატთა ასოციაციის ვალდებულებას წარმოადგენს არამხოლოდ, კონკრეტული ადვოკატის ქცევაზე

¹¹⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 05 ოქტომბერის განჩინება, საქმე #33/904-17, 12

რეაგირება, არამედ ზოგადად წევრთა მორალურ რეპუტაციაზე ზრუნვა და ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის ამაღლება. შესაბამისად, მოსაზრება, რომ გაქარწყლების წესი მხოლოდ სახელმძღვანელო ნორმა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გასაჯაროება არ არის ცალკე სახდელის ფორმა¹¹⁶, მეტ არგუმენტაციას საჭიროებს.¹¹⁷ მაშასადამე, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლო გუგლის ქეისსა და ღირექტივაზე მითითებით, აყალიბებს პოზიციას, რომ თითოეულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა მოხდეს შეფასება, თუ რამდენად მგრძნობიარე ინფორმაციის შემცველია გასაჯაროებული პერსონალური მონაცემები. თუ იგი ინფორმაციის სუბიექტისთვის ზიანის მომტანია და არ არსებობს მისი ამ ეტაპზე საჯაროდ ხელმისაწვდომობის საფუძველი, (თუნდაც თავდაპირველად მისი გამოქვეყნება ლეგიტიმური საფუძველით მომხდარიყო), ინფორმაცია უნდა წაიშალოს.¹¹⁸

დასკვნა

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა საკითხები, რომელთა შესახებ დისკუსიის გაგრძელება სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა“ და ექსპერტების მიერ მიზანწონილი იქნება.

საკითხის რელევანტურობის გათვალისწინებით, საჯარო განხილვის წამოწყების მიზნით, კვლევის დასკვნით ნაწილში გაზიარებულია ცალკეული რეკომენდაციები და სადისკუსიო საკითხები.

ადვოკატთა დისციპლინირების პროცედურა მოწესრიგებულია სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დამტკიცებულ დებულებაში „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“. თუმცა არც კანონში¹¹⁹ და არც დებულებაში არ არის მითითებული დისციპლინირების მიზანი. მნიშვნელოვანია, მოხდეს შესაბამისი

¹¹⁶ იქვე, 12

¹¹⁷ იქვე, 14, 35

¹¹⁸ იქვე, 14, 35

¹¹⁹ იგულისხმება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი

მარეგულირებელი აქტების დონეზე აღნიშნული საკითხის მოწესრიგება. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ადვოკატთა დისციპლინირების მიზნები, რათა შემუშავდეს მისი მიღწევის საშუალებების ადეკვატური გამოყენების მექანიზმები.

როგორც კვლევაში გამოიკვეთა, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მიიღოს რეალური ინფორმაცია ადვოკატის კვალიფიკაციის შესახებ. აღნიშნული ემსახურება კლიენტის ინტერესების დაცვას. თუმცა ამ პროცესში საჭიროა ბალანსი, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ინტერესის და, მეორე მხრივ, ადვოკატის პერსონალური მონაცემების საჯაროობას შორის. საზოგადოებრივი ინტერესი უპირობოდ ვერ გადაწონის ადვოკატის პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესს.

მნიშვნელოვანია, ეთიკის კომისიის მიერ ინდივიდუალურად დადგინდეს ადვოკატის შესახებ პერსონალური მონაცემების გასაჯაროების ფარგლები, კონკრეტული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებიდან გამომდინარე. შესაძლებელია, ადვოკატის პერსონალური მონაცემების (სახელი, გვარი, სიითი ნომერი) გასაჯაროება გამართლებული იქნება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მხოლოდ ადვოკატისათვის უფლებამოსილების შეჩერების (შესაბამისი ვადით) ან შეწყვეტის შემთხვევაში.

დღევანდელი მდგომარეობით, ეროვნულ დონეზე შესამუშავებელია, ადვოკატების დისციპლინირების განსაკუთრებით მკაცრი ზომების გამოყენებისას (საქმიანობის უფლების შეჩერება/შეწყვეტა), ბენეფიციართათვის ინფორმაციის მარტივად მიწოდების მექანიზმი. ასოციაციის გადაწყვეტილების პროექტი - დისციპლინირებული ადვოკატის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების (უპირობოდ) სამწლიან ვადასთან დაკავშირებით - დამატებით ანალიზსა და დასაბუთებას საჭიროებს, რათა მიღებული ზომა პროპორციული და გამართებული იყოს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადვოკატთა დისციპლინირების შესახებ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები მარტივად, საძიებო სისტემის გამოყენების საშუალებით არ არის ხელმისაწვდომი, რადგან ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე გადაწყვეტილებები თავსდება პდფ-ის ფორმატით და მათი მოძიებისათვის საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მითითება.

კერძოდ, მათი განთავსება ხდება წლების მიხედვით, საქმის ნომრის ქვეშ, ასევე გამოყენებული დისციპლინირების ზომის მიხედვით. მაშასადამე, მხოლოდ ადვოკატის სახელით და გვართ დაინტერესებული პირი ვერ შეძლებს სასურველი ინფორმაციის მიღებას. აქედან გამომდინარე საკითხავია თუ რა მიზანს ემსახურება გადაწყვეტილებათა ამგვარი ფორმით განთავსება, რადგან თუ მიზანი მეტი ღიაობა, საჯაროობა და საზოგადოების ინფორმირების უზრუნველყოფაა, ცალსახაა, რომ ამგვარი სისტემით ინფორმაციის მოპოვება დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული და შესაბამისი მიზნის მიღწევას არ ემსახურება. აღნიშნული მიდგომა არც არის გამართლებული, რაც სასამართლო დავის ფარგლებშიც ნათლად დადასტურდა.¹²⁰

სასურველია, შემუშავდეს ელექტრონული ბაზა, რომლის საშუალებითაც ყოველგვარი დამატებითი მოქმედებების განხორციელების გარეშე¹²¹ მომხმარებელი მარტივად შეძლებს ინფორმაციის მიღებას. ხოლო გადაწყვეტილებათა მოძიება შესაძლებელი იქნება ადვოკატთა ეთიკის კოდექსით გამყარებული კონკრეტული პრინციპების დარღვევის მიხედვით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ეთიკის კომისიის მიერ შესაბამისი ნორმის განმარტების სწრაფად მოძიებას¹²² და უკვე არსებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის საძიებო ბაზის ამგვარი მოწესრიგება ასევე გარკვეულწილად უზრუნველყოფს ადვოკატთა პერსონალური მონაცემების უფრო მაღალი ხარისხით დაცვას (ზემოთხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით), რადგან გადაწყვეტილებათა ფილტრაცია არ მოხდება ადვოკატის პერსონალური მონაცემების

¹²⁰ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 05 ოქტომბრის საქმე #33/904-17 განჩინება,

¹²¹ აქ იგულისხმება სასურველი ინფორმაციის მისაღებად მომხმარებლის მიერ ინდივიდუალურად ეთიკის კომისიის ყველა გადაწყვეტილების ჩამოტვირთვა და შემდეგ შინაარსის გაცნობა;

¹²² ამ შემთხვევაში საუბარია ადვოკატების მიერ ეთიკის კომისიისადმი შეკითხვით მიმართვის საკითხზე. ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდაცია გაიცემა ზეპირი ან წერილობითი ფორმით. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, დამტკიცებული 2010 წლის 11 დეკემბრის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე, თავი VIII.

მითითების მეშვეობით, არამედ მეტი აქცენტი გაკეთდება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების შინაარსობრივ მხარეზე.

მნიშვნელოვანია, ადვოკატთა ასოციაციამ გააგრძელოს მსჯელობა 2017 წლის 7-8 ივლისის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების პროექტის, დისციპლინირებული ადვოკატების პერსონალური მონაცემების (უპირობოდ) სამწლიანი ვადით გასაჯაროების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით. სხვაგვარად, შესაძლოა ამ საკითხის ირგვლივ კვლავ წარმოიშვას ახალი დავა, რაც დადებითად არ აისახება თავად ასოციაციის რეპუტაციასა და საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ხარისხზე.

გაზიარებულ უნდა იქნეს ასოციაციის მხრიდან სასამართლოს მსჯელობა ადვოკატთა მორალური მხარდაჭერის და რეპუტაციის ამალგების შესახებ. საჭიროა ასოციაციის (ეთიკის კომისიის) მეტი ქმედითობა კონკრეტულ შემთხვევაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. ასოციაციისთვის მნიშვნელოვანია და მომავალშიც უნდა იყოს, დაიცვას თითოეული წევრი დაუსაბუთებელი დისკრედიტაციისაგან.

**სამართალწარმოების მონაწილეთა ინტერესების
ბალანსირების მექანიზმი**

ბონდო ალასანია*

1. საადვოკატო საქმიანობის დილემა

ადვოკატს, კლიენტისათვის კვალიფიციური და სრულყოფილი რჩევის მისაცემად შესაძლოა, დასჭირდეს კონკრეტული დოკუმენტის ან საგნის გამოკვლევა. ან შესაძლოა, კლიენტმა თვითონ მიაწოდოს ადვოკატს საქმესთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეეხება მოპარულ ქონებას, უკანონო იარაღს ან კონტრაბანდას.¹ ზოგიერთი მოსაზრებით, ადვოკატმა უნდა გადასცეს ასეთი ინფორმაცია ან ნივთები საგამომიებო ორგანოებს მას შემდეგ, რაც ის შეისწავლის და გააანალიზებს მათ. სხვა მოსაზრების მიხედვით, ადვოკატმა უნდა დააბრუნოს მიღებული ინფორმაცია და მასალები, თუ ეს შესაძლებელია. საქართველოს კანონმდებლობა სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში მხარეებს ავალდებულებს შესაძლო მტკიცებულებების გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეთათვის გადაუცემელი ან ნაწილობრივ გადაცემული მასალები არ იქნება მიღებული მტკიცებულებად.²

თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ასეთმა მასალებმა შესაძლოა, საფუძველი დაუდოს კლიენტის დანაშაულში მხილებას, კლიენტი დიდი ალბათობით არ გადასცემს მათ ან აუკრძალავს ადვოკატს ასეთი ქმედების განხორციელებას.³ გარდა ამისა, აღნიშნული ქმედების განხორციელებას ადვოკატს უკრძალავს საქართველოს კანონმდებლობა,⁴ თუმცა იმ დათქმით, რომ ასეთი

* ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის დოქტორანტი, ადვოკატი.

¹ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 2.

² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი.

³ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 2.

⁴ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.

ქმედება არ უნდა არღვევდეს კანონს ან პროფესიული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენის თავიდან ასარიდებლად, ადვოკატმა შესაძლოა აღარც დაიწყოს ამ მასალებისა და ინფორმაციის მოძიება და გამოკვლევა.⁵ ეს კი დიდი ალბათობით, გამოიწვევს განსახილველი საქმის არაჯეროვან გამოკვლევას და ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედების არასრულფასოვანი ანალიზიდან გამომდინარე, მისთვის არათანაზომიერი სასჯელის დაკისრებას. ამ მოსაზრებაში დასარწმუნებლად განვიხილავთ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ რამდენად გამართლებულია ასეთი მოთხოვნების არსებობა და რამდენად აბალანსებს ის კლიენტის ინტერესებსა და საზოგადოებრივი სიკეთის დაცვის მოთხოვნებს.

დილემა წარმოიშობა, როდესაც ადამიანი, რომელსაც ადვოკატის ოფისში მიაქვს დანაშაულის იარაღი და ეუბნება ადვოკატს, რომ ამ იარაღით მან მოკლა ადამიანი, ან მიუთითებს იმ ადგილს, სადაც მან დამალა დანაშაულის იარაღი.⁶ როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, თუ მან აღმოაჩინა კლიენტის ჩანაწერებში ინფორმაცია გადასახადების დამალვის ან თაღლითობის შესახებ? ეს საკითხები წარმოშობს სერიოზულ პრობლემას ადვოკატებისათვის. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ 7 ინტერესი: 1. კლიენტის უფლება ერთგულ ადვოკატსა და კონფიდენციალურ რჩევაზე; 2. ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია; 3. აშშ-ს მოქალაქისათვის აშშ-ს კონსტიტუციის მე-5 და მე-6 შესწორებები, ხოლო საქართველოს მოქალაქისათვის კონსტიტუციის 31-ე მუხლი; 4. ადვოკატის უფლება, თავიდან აირიდოს დისციპლინირება და მის მიმართ ბრალის წარდგენა; 5. სახელმწიფოს ინტერესი, გამოიძიოს დანაშაული; 6. მოპარული ქონების მესაკუთრის უფლება, დაიბრუნოს თავისი საკუთრება; 7. საზოგადოების უსაფრთხოება.⁷

⁵ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 2.

⁶ იქვე, 5.

⁷ იქვე.

თუმცა, თუ დავაჯგუფებთ ამ 7 ინტერესს, დავინახავთ, რომ პირველი სამი ინტერესი უკავშირდება კლიენტს, მე-4 – ადვოკატს, ხოლო დანარჩენი სამი კი – სხვა პირებს (საზოგადოების წევრებს, სახელმწიფოს). შესაბამისად, გვაქვს სამი მხარის ინტერესი, რომელთა სამართლიანი ბალანსის არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ეფექტური მართლმსაჯულების მისაღწევად.

კლიენტის ინტერესია, თავიდან აირიდოს თავისი ჩადენილი ქმედების გამო გათვალისწინებული სასჯელის მიღება და ამ მიზნით, ის ცდილობს, გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული ყველა უფლება. ხშირად ამ მიზანს ემსახურება ადვოკატისთვის მიცემული ინსტრუქცია, რომელიც შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას და საფრთხეს უქმნიდეს ადვოკატის რეპუტაციასა და უდანაშაულობას. საადვოკატო საქმიანობის პრინციპი სავალდებულოდ მიიჩნევა კლიენტის ინტერესების დაცვას, რაც აძლიერებს კლიენტის მხრიდან ადვოკატის მიმართ ზემოქმედების შესაძლებლობას. რთულ ვითარებაში აღმოჩენილი პირი, რომელიც მიმართავს ადვოკატს, ერთგულ და კვალიფიციურ მომსახურებასთან ერთად მოითხოვს მისგან გარკვეული ინფორმაციისა თუ მასალების საიდუმლოდ შენახვას. ასეთი ინფორმაცია და მასალები უმრავლეს შემთხვევაში, დაკავშირებულია დანაშაულთან, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში – მათი შენახვაც კი დანაშაულია.

განვიხილოთ ასეთ შემთხვევებში ადვოკატის მიერ შესაძლო ქმედებების ვარიანტები. თუ ადვოკატი შეინახავს კლიენტის მიერ ოფისში მიტანილ იარაღს, მას შესაძლოა წარუდგინონ ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვაში ან გამოძიებისათვის ხელშეშლაში მტკიცებულების დამალვის გზით. თუ ის გადაცემს იარაღს გამოძიებას, მაშინ მის კლიენტს დაუმტკიცდება დანაშაულის ჩადენა, რადგან იარაღზე იქნება კლიენტის ანაბეჭდები. თუ ადვოკატი გაწმენდს იარაღს ანაბეჭდებისაგან, მაშინ მას შესაძლოა, წაუყენონ ბრალი მტკიცებულების გაყალბებასა და განადგურებაში. შესაძლოა, ადვოკატმა არ დაიტოვოს იარაღი და დაუბრუნოს ის კლიენტს, მაგრამ ჩნდება საფრთხე იმისა, რომ ის

შეიარაღებული ადამიანი ივლის ქუჩაში, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ მოკლა სხვა ადამიანი.⁸

ამავე დროს აუცილებლად უნდა დავსვათ კითხვა, როდის უნდა დაარღვიოს ადვოკატმა კონფიდენციალობის პრინციპი, როდესაც საქმე ეხება ცეცხლსასროლ იარაღს, ფინანსურ დანაშაულს თუ სხვა საკითხს, რომელმაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. იქნებ, უმჯობესია, ვიზრუნოთ არა ყველა მხარის ინტერესების დაცვაზე, არამედ ერთმანეთთან დაპირისპირებული ინტერესების შემცირებასა და გაქრობაზე.⁹ ამისათვის აუცილებელია, რომ ადვოკატს, რომელსაც უშუალო შეხება აქვს ბრალდებულთან, ჰქონდეს ნებისმიერი შესაძლო მტკიცებულების მიღების, გამოკვლევისა და შენახვის საკანონმდებლო დონეზე დაცული უფლება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აკადემიური კვლევა განხორციელდა კევინ რეიცის¹⁰ მიერ 1992 წელს. ამ კვლევაში განხილულია, რამდენად კანონიერია ადვოკატის მიერ მტკიცებულების ფლობა და რამდენად შესაძლებელია წყაროს იდენტიფიცირება. რეიცი იცავს კლიენტის უფლებას და სთავაზობს აშშ-ს საზოგადოებას „პრივილეგიის დაცულობას“ აშშ-ს კონსტიტუციის მე-5 შესწორების დონის საკანონმდებლო რეგულაციით, რომლის მიხედვითაც, ადვოკატი შეძლებს ნებისმიერი ინფორმაციისა და ნივთიერი მტკიცებულების გამოკვლევას კანონის აღსრულების უნებლიე აგენტად გადაქცევის გარეშე. მაგრამ ამ იდეამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.¹¹

ამის საპირისპიროდ, გილერსი ორ ფაქტორს აღნიშნავს: პირველი, ადვოკატმა უნდა განსაზღვროს ის შედეგები, რომელთა დადგომა შესაძლოა გამოიწვიოს მისი კლიენტის ან სხვა წყაროს მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ ან ნივთებმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით, და ყოველმხრივ შეეცადოს ამ

⁸ იქვე, 5.

⁹ იქვე, 7.

¹⁰ Kevin R. Reitz, Clients, Lawyers and the Fifth Amendment: The Need for a Projected Privilege, 41 DUKE L.J. (1992), 572.

¹¹ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 8.

მასალებისადმი კანონიერ მოპყრობას, და მეორე, ადვოკატმა უნდა განსაზღვროს, აქვს თუ არა ასეთი ნივთებისა და ინფორმაციის ფლობის კანონიერი უფლება.¹²

რეიცისა და გილერსის ამ მოსაზრებებს შორის მინდა, ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ადვოკატი არის მართლმსაჯულების ის ფიგურა, რომლის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი საქმიანობა მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების ნდობას სისტემის მიმართ. თუ მას ექნება საკანონმდებლო დონეზე მინიჭებული უფლება მიიღოს, შეინახოს, გამოიკვლიოს და, თუ გამართლებულად ჩათვლის, გაამჟღავნოს კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია ან მასალები, გაიზრდება მისი საზოგადოებრივი ავტორიტეტი. წინასწარ არ უნდა ჩამოვიყალიბოთ შეხედულება, რომ ადვოკატი, რომელიც მიიღებს რაიმე ობიექტს, შეცვლის, გაანადგურებს ან რაიმე სახით შეამცირებს საქმისათვის მის ღირებულებას.

პირიქით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადვოკატის მფლობელობაში არსებული ობიექტი გულისხმობს სამართლიანი და ობიექტური მართლმსაჯულების ეფექტურ განხორციელებასა და კლიენტის ინტერესების კანონიერ დაცვას. საზოგადოების მიდგომა უნდა ამყარებდეს შეხედულებას, რომ კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატი იმოქმედებს კანონიერად და კეთილსინდისიერად.

გილერსს მიაჩნია, რომ „იმ შემთხვევაშიც კი თუ ადვოკატის მფლობელობაში აღმოჩნდება ისეთი ობიექტი, რომელიც არ არის მნიშვნელოვანი სამართლებრივი რჩევის მისაცემად, მაგრამ შესაძლოა, გადაიქცეს რეალურ მტკიცებულებად, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს ოფიციალურ სამართალწარმოებას“.¹³ ცხადია, რომ ყველა ადვოკატი ვერ იქნება მოწოდების სიმაღლეზე და ზოგიერთ მათგანს მიზნის მისაღწევად, შესაძლოა გაუჩნდეს წესების დარღვევით მოქმედების სურვილი, მაგრამ თუ საზოგადოების მიზანი ობიექტური და სანდო მართლმსაჯულების შექმნაა, ადვოკატთა კორპუსის მიმართ უნდა გაიზარდოს კანონმდებლის ნდობა და მხარდაჭერა.

¹² იქვე, 9.

¹³ იქვე, 20.

2. ადვოკატის მიერ შესაძლო მტკიცებულებების ფლობასთან დაკავშირებული რეგულირება აშშ-ს ზოგიერთ იურისდიქციაში

2.1. ნიუ-იორკის რეგულაციები

ნიუ-იორკში მოღვაწე ადვოკატი, რომელიც შეინახავს რაიმე ქონებას, უნდა დარწმუნდეს, რომ ეს ქონება მოპარული არ არის, რადგან ამის გამო მას შესაძლოა, ბრალი წაუყენონ.¹⁴ დანაშაულის ხარისხი, შეცდომიდან სერიოზულ ძალადობრივ დანაშაულამდე, ძირითადად დამოკიდებულია ქონების ბუნებასა და ღირებულებაზე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მოპასუხე უნდა მოქმედებდეს საკუთარი ან სხვა არამესაკუთრის სასარგებლოდ და თავისი ქმედებით ხელს უნდა უშლიდეს მესაკუთრეს ქონების დაბრუნებაში.¹⁵ ამ ნორმისთვის მთავარი ის არის, რომ ადვოკატის ქმედება ხელს არ უნდა უშლიდეს მესაკუთრის მიერ მისი უფლების განხორციელებას და ნაკლებად მნიშვნელოვანია ადვოკატის მიერ ქონების ფლობის ფაქტი.

ნიუ-იორკის კანონმდებლობა დანაშაულად მიიჩნევს ნარკოტიკული და სხვა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო ფლობას: „პირი დამნაშავეა მეშვიდე ხარისხში, თუ ის

¹⁴ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 22, ნიუ-იორკის სასჯელის კანონი ადგენს: „პირი დამნაშავეა მეხუთე ხარისხში თუ იცის, რომ დანაშაულებრივად ფლობს მოპარულ ქონებას საკუთარი ან სხვა არამესაკუთრე პირის მიერ სარგებლის მიღების მიზნით და ხელს უშლის მესაკუთრის მიერ ამ ქონების დაბრუნებას.“

¹⁵ For example, possession of stolen property is a Class A misdemeanor regardless of the value of the property. Id. But if the property is worth more than \$3000, the defendant can be charged with a Class D felony. Id. § 165.50. If the property is worth more than one million dollars, possession is a more serious Class B felony. მაგალითად, მოპარული ქონების ფლობა არის „ა“ კლასის დანაშაული, მიუხედავად ქონების ღირებულებისა. მაგრამ, თუ ქონების ღირებულება 3000 აშშ დოლარზე მეტია, მოპასუხე შესაძლოა, გასამართლდეს „დ“ კლასის – მძიმე დანაშაულისთვის, ხოლო თუ ქონების ღირებულება მილიონ აშშ დოლარზე მეტია, მისი ფლობა უფრო სერიოზული „ბ“ კლასის – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულით განისაზღვრება.

მართლსაწინააღმდეგოდ ფლობს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებს“.¹⁶

სხვადასხვა გარემოება, რომელიც დაკავშირებულია ასეთი ნივთიერებების ფლობასთან, განსაზღვრავს დანაშაულის ხარისხს, დაკავშირებულია ნივთიერებების შემადგენლობასა და ოდენობასთან, მაგრამ განმსაზღვრელი „მართლსაწინააღმდეგოდ ფლობაა“. ეს ნიშნავს, რომ ფლობა უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის კანონით დადგენილ ნორმებს, რომელიც ადგენს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ფლობის პირობებს. შესაბამისად, ადვოკატი, რომელიც მიიღებს, შეინახავს ან გაანადგურებს ნარკოტიკულ საშუალებას, ჩაიდენს დანაშაულს და ხელს შეუშლის მართლმსაჯულებას. ნიუ-იორკელი ადვოკატი, რომელთანაც აღმოჩნდება ნარკოტიკული საშუალება, დაასკვნის, რომ მან უნდა გადასცეს ეს ნივთიერება ადმინისტრაციულ ორგანოებს, მიუხედავად იმისა, რომ: ა) ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ამის შესახებ არაფერი იციან და ბ) ასეთი ქმედება ზიანს მიაყენებს მის კლიენტს.

შესაძლოა, ადვოკატის ქმედება გამართლდეს, რადგან ნარკოტიკული ან სხვა ნივთიერება არ გაიყიდება და ვერავინ გამოიყენებს მას, მაგრამ უფრო რეალურია, რომ ეს ქმედება აღმოჩნდეს მისი კლიენტისთვის ბრალის წაყენების საფუძველი. თუ ადვოკატს აქვს ლეგიტიმური მიზანი, გამოიკვლიოს ნარკოტიკული საშუალება (მაგალითად შეამოწმოს მართლაც ნარკოტიკია თუ არა და განსაზღვროს მისი სისუფთავე და ხარისხი) და ვერ შეძლებს კლიენტისთვის მის დაბრუნებას, კლიენტის მიერ ადვოკატისგან რჩევის მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული იქნება თუ რამდენად უტყუარი მტკიცებულების ძალა ექნება ამ ნარკოტიკს მისი ბრალის დასამტკიცებლად მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციული ორგანოები მიიღებენ მას ადვოკატისგან.¹⁷ ნაკლებად წარმოსადგენია, რომ ასეთი

¹⁶ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 24.

¹⁷ იქვე.

მოცემულობის შემთხვევაში, კლიენტმა ადვოკატს გადაცეს მისი დანაშაულები მამხილებელი ნივთიერება.

ასეთ პრობლემას მხოლოდ ნარკოტიკები არ ქმნიან. ნებისმიერმა მასალამ, დოკუმენტმა ან ობიექტმა შეიძლება წარმოქმნას დილემა, მაგალითად, ყალბმა ფულმა, ცეცხლსასროლმა იარაღმა ქურდობის იარაღებმა და მოწყობილობებმა, ტერორისტული, ძალადობის ან საზოგადოებისთვის მიუღებელი ქმედებების შემცველმა მასალებმა.¹⁸ ამდენად, ადვოკატისთვის კონკრეტული სახის შესაძლო მტკიცებულებებთან დაკავშირებული განსხვავებული რეგულაციების დადგენა შესაძლოა არ იყოს გამართლებული.

გამართლებულია მიდგომა, რომელიც იცავს ადვოკატს მისთვის კლიენტის ან სხვა პირის მხრიდან გადაცემული მასალების საგამოძიებო ორგანოებისათვის წარდგენისაგან, მაგრამ იმ პირობით, რომ ასეთმა ქმედებამ არ უნდა დააზიანოს სახელმწიფო ინტერესები. როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც ეს ორი პოზიცია ერთმანეთს უპირისპირდება?¹⁹ მაგალითად, თუ შესაძლო მტკიცებულება არის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელზეც კლიენტის ანაბეჭდებია? უნდა გადასცეს ეს ნივთი ადვოკატმა გამოძიებას, თუ უნდა დაიცვას კლიენტი ბრალის წაყენებისგან? თუ პირველ ვარიანტს აირჩევს, მაშინ დააზარალებს კლიენტის ინტერესებს, ხოლო თუ მეორეს – დაზარალებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები. მაგრამ რატომ უნდა ზრუნავდეს ადვოკატი მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის ინტერესებზე? შესაბამისად, კლიენტისა და სახელმწიფოს ინტერესების დაპირისპირების შემთხვევაში, ადვოკატმა კლიენტის ინტერესებს უნდა მიანიჭოს უპირატესობა.

აშშ-ში მოღვაწე ნებისმიერი ადვოკატი, რომელიც ასეთ სიტუაციას წააწყდება, აღმოაჩენს, რომ აშშ-ს კანონმდებლობა ძალიან დამაბნეველია. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მოდელური წესი 3.4ა, შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი განმარტებით, რომ „ადვოკატმა უკანონოდ არ უნდა შეზღუდოს სხვა მხარის მტკიცებულებებზე წვდომის შესაძლებლობა, უკანონოდ არ

¹⁸ იქვე, 18.

¹⁹ იქვე.

უნდა გაანადგუროს დოკუმენტი ან სხვა მასალები, რომლებიც შესაძლოა მომავალში გახდეს მტკიცებულება. ადვოკატი ასევე არ უნდა დაეხმაროს სხვა პირს ასეთი ქმედების განხორციელებაში.“ ხაზგასასმელია, რომ ამ წესში მითითებულია, რომ თუ ეს ქმედება კანონიერია, მაშინ ის ეთიკურიცაა, თუ არა, მაშინ არღვევს ეთიკის ნორმებს.²⁰

2.2. კოლუმბიის ოლქის წესი 3.4.ა

ეს წესი მსგავსია ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის 3.4.ა პუნქტისა, რომელიც ადგენს, რომ ადვოკატმა „არ უნდა შეუშალოს ხელი მხარეს მტკიცებულების შესახებ ინფორმაციის მიღებაში, არ შეცვალოს, გაანადგუროს ან დაეხმაროს სხვა პირის ამის განხორციელებაში, თუ ადვოკატმა იცის, რომ ეს მტკიცებულება შეიძლება გამოკვლეულ იქნას სასამართლოში. თუ ადვოკატი მიიღებს მტკიცებულებას არა კლიენტის, არამედ სხვა პირისგან, მან უნდა იმოქმედოს იმ განზრახვით, რომ დაცული და დაბრუნებული იქნება აღნიშნული მტკიცებულება.“²¹

გილერსი მიიჩნევს, რომ ეს განმარტება ბუნდოვანია, კერძოდ:

„– წესი და კომენტარი უკრძალავს ადვოკატს მტკიცებულების დამალვას, მაგრამ არ უთითებს, სისხლის სამართლის წესების გარდა, რომელი აქტი ადგენს ამ აკრძალვას;

– თუ მტკიცებულება არის ვინმეს საკუთრება (არა კლიენტის) ადვოკატმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა დააბრუნოს ის და ამავე დროს არ დაარღვიოს კონფიდენციალობის პრინციპი, თუმცა არ ადგენს ეს როდის მოხდება. თუ ადვოკატი ვერ ახერხებს ქონების დაბრუნებას, სავარაუდოდ შეუძლია მისი დაბრუნება, თუმცა უნდა გაითვალისწინოს კანონმდებლობის მოთხოვნები მოპარული საკუთრების და მართლმსაჯულების ხელის შეშლის თვალსაზრისით, რომელიც შესაძლოა ამის საწინააღმდეგოს ადგენდეს.

– ადვოკატს შეუძლია დაუბრუნოს კლიენტს ნებისმიერი მტკიცებულება, გარდა უკანონო ნარკოტიკებისა და ცეცხლსასროლი

²⁰ იქვე, 7.

²¹ იქვე, 38.

იარადისა, რომლის დაბრუნებასაც სავარაუდოდ მოითხოვს შესაბამისი კანონმდებლობა.

– ადვოკატთა ასოციაციის საბჭოს ოფისს სავარაუდოდ სურს, ასეთი რეგულაციით დაეხმაროს ადვოკატს „სათანადო პირისთვის“ მასალის დაბრუნებაში ადვოკატის ანონიმურობისა და კლიენტის ნდობის დაცვის პირობით“.²²

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოლუმბიის ოლქის წესები უფლებას აძლევს ადვოკატს მიიღოს ნივთიერი მტკიცებულებები, კანონის დაცვით შეინახოს ისინი და არ შეცვალოს ან გაანადგუროს ისინი, თუ შესაძლოა, რომ მათი გამოყენება საჭირო გახდეს სასამართლოში ან დაუბრუნოს კლიენტს, თუ მისი ფლობა არ არის კანონის საწინააღმდეგო. კანონი მოითხოვს ადვოკატისგან ქონების მესაკუთრესთვის დაბრუნებას, თუ ეს ქმედება თანხვედრაშია კონფიდენციალობის დაცვის პრინციპთან. უფრო მეტიც, თუ მოპარული ქონების შენახვა ეწინააღმდეგება კანონს, მისი მესაკუთრისთვის დაბრუნება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ქმედება გაამჟღავნებს კონფიდენციალურ ინფორმაციას. წესი არ მოითხოვს ადვოკატისგან მტკიცებულებების ადმინისტრაციული ორგანოებისათვის გადაცემას თუ კანონმდებლობა ამას არ მოითხოვს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეთიკურ ნორმებს მოქმედების განსაზღვრული არეალი აქვთ და ისინი ექვემდებარებიან კანონს.

2.3. აშშ-ს ფედერალური კანონმდებლობის ზოგიერთი რეგულაცია

აშშ-ში მოღვაწე ადვოკატის საქმიანობის მარეგულირებელ ეთიკურ ნორმებს ადგენენ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის სტანდარტები, ამერიკის სამართლის ინსტიტუტის გადაწყვეტილებები ადვოკატთა საქმიანობის რეგულირების შესახებ და ეთიკის კოდექსის პროფესიული ქცევის 3.4. წესი. გილერსის აზრით, არც ერთი მათგანი არ არის ადეკვატური.²³

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სტანდარტი 4-4.6 მოითხოვს ადვოკატისგან „მისი კლიენტის ინტერესების

²² იქვე, 39.

²³ იქვე, 35.

წინააღმდეგ მოქმედებას, მაშინაც კი თუ კანონი ამას არსებითად არ აწესებს“. სტანდარტი განიხილავს სიტუაციას, როდესაც ადვოკატი იღებს საქმესთან დაკავშირებულ მასალას და ვალდებულია გადასცეს ის საგამომიებო ორგანოებს ან გაამხილოს მათი ადგილმდებარეობა. აღნიშნულის განხორციელება სავალდებულოა მაშინაც კი, როდესაც ამას შედეგად კლიენტისათვის ბრალის წაყენება მოჰყვება. ეს კი ზოგიერთ შემთხვევაში, წყაროს დასახელებისა და ინფორმაციის ანონიმურად მიწოდების დროსაც ხდება.²⁴ ამ რეგულაციით ადვოკატთა ასოციაცია პირდაპირ მოითხოვს ადვოკატისგან, რომ მისი კლიენტის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება საადვოკატო საქმიანობის ძირითად პრინციპებს.

„ერთ-ერთი გარემოება იქმნება, როდესაც კანონი ან სასამართლო ბრძანება მოითხოვს ამას. თუ კანონი გამჟღავნებას არ მოითხოვს, სტანდარტი მაინც აწესებს ასეთ ვალდებულებას, თუ მასალა არის კონტრაბანდული ან საფრთხის შემცველი. ამ შემთხვევაში ადვოკატმა უნდა დაუბრუნოს წყაროს მასალა და გააფრთხილოს მისი განადგურების ან შენახვის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით. თუ ადვოკატი ვარაუდობს, რომ ასეთი მასალა შეიძლება განადგურდეს ან მისი გამოყენებით საფრთხე შეექმნას საზოგადოების უსაფრთხოებას, ან შეუძლებელია მისი წყაროსთვის დაბრუნება (თუ წყარო საპატიმროშია), ადვოკატს უფლება აქვს, გონივრული ვადის განმავლობაში შეინახოს ის“.²⁵ ამ მიდგომით ადვოკატი გადაქცეულია კანონის აღსრულების აგენტად და მან უნდა იზრუნოს შესაძლო მტკიცებულებების დაცვასა და უსაფრთხოებაზე. თუმცა, თუ ადვოკატი „გარკვეული ვადით“ შეინახავს ამ მასალას, მაშინ ჩნდება ალბათობა, რომ ამ ვადის არაკეთილსინდისიერად გამოყენების შემთხვევაში მტკიცებულების ღირებულება შემცირდეს ან საერთოდ განადგურდეს. ამ შემთხვევაში კი, ასეთი რეგულაცია აზრს დაკარგავს.

ამ რეგულაციის მიხედვით, ნარკოტიკი, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი, მოპარული ქონება და სხვა მსგავსი შესაძლო

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე.

მტკიცებულებები ადვოკატმა უნდა გადასცეს სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, ითხოვს თუ არა ამას კანონი, რადგან მისი ფლობა ადვოკატის მიერ უკანონო იქნება. აღსანიშნავია, რომ ადვოკატმა შესაძლოა, ურჩიოს კლიენტს კონკრეტული ქონების განადგურება, თუ ამით არ დაარღვევს სისხლის სამართლის კანონმდებლობას ან თუ ამით ხელს არ შეუშლის გამოძიებას. ამ სტანდარტის არსებობა შესაძლოა გამართლებული იყოს იმით, რომ კლიენტი დიდი ალბათობით გაანადგურებს შესაძლო მტკიცებულებას, ხოლო ადვოკატი, საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით სავარაუდოდ არ განახორციელებს ასეთ ქმედებას, მაშინაც კი თუ მისი ქმედების გამო კლიენტს გამამტყუნებელ განაჩენს გამოუტანენ. მიმემ მდგომარეობაა საკანონმდებლო დონეზე, კერძოდ, ადვოკატების საქმიანობის მარეგულირებელი კანონის 119-ე მუხლი ამბობს:

„ადვოკატის დანაშაულთან დაკავშირებულ ნივთიერ მტკიცებულებასთან მიმართებით ადვოკატი,

1. მისი საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნიდან გამომდინარე, უფლებამოსილია შეინახოს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები, გამოიკვილოს ისინი ისე, რომ არ დაამახინჯოს, გაანადგუროს ან შეცვალოს მათი ფიზიკური და ბუნებრივი მდგომარეობა; მაგრამ

2. პირველ პუნქტში აღნიშნული მოქმედების განხორციელებისას ადვოკატმა უნდა აცნობოს საგამომიებო ორგანოებს მტკიცებულების მიღებისა და მისი გამოკვლევის თაობაზე.“²⁶

გილერსისთვის გამოაგნებელია ამ ჩანაწერის შინაარსი. „წარმოვიდგინოთ კლიენტი, რომელიც ჯერ არ არის ბრალდებული საგადასახადო დანაშაულში, ძალიან გარისკავს თუ ადვოკატს გადასცემს თავის დოკუმენტაციას. თუ ადვოკატი დაასკვნის, რომ კლიენტის ქმედებებში არის დანაშაულის ნიშნები, მაშინ მისთვის გადაცემული დოკუმენტაცია შესაძლოა, გახდეს მტკიცებულება და იგი ვალდებული ხდება გადასცეს გამოძიებას ინფორმაცია.“ 119-ე

²⁶ იქვე, 37, მითითებით Law Governing Lawyers § 119 (2000).

მუხლი არ უშვებს დოკუმენტაციის კლიენტისთვის უკან დაბრუნების შესაძლებლობას.²⁷

119-ე მუხლის კომენტარი სრულიად საპირისპიროს აცხადებს: „ზოგიერთი გადაწყვეტილება ადგენს დამატებით მიდგომას ამ საკითხთან დაკავშირებით – შესაძლებელია წარმომდგენი მხარისთვის მტკიცებულების დაბრუნება იმ პირობით, რომ არ იქნება შეცვლილი ან განადგურებული მტკიცებულების პირვანდელი სახე და ბუნება. ამის შესაძლებლობა ყოველთვის არ არის. ეს მიდგომა არ იმუშავებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადვოკატს წინასწარ ეცოდინება, რომ დაბრუნების შემდეგ მხარე შეცვლის ან გაანადგურებს მას.“²⁸

შესაბამისად, კლიენტი, რომელიც გადაცემს დოკუმენტებს ადვოკატს სამართლებრივი რჩევის მისაღებად, დიდი ალბათობით უნდა ელოდეს, რომ მისი მასალები აღმოჩნდება სახელმწიფოს ხელში და ის მომენტალურად ჩაერთვება პროცესში.

აშშ-ს ფედერალური კოდექსის ერთი კონკრეტული მუხლის მიხედვით,²⁹ „ნებისმიერ პირს, რომელიც კორუფციული განზრახვით

1) ცვლის, ანადგურებს, ამახინჯებს, ფარავს ჩანაწერს, დოკუმენტს ან სხვა ობიექტს, ან ცდილობს ამის გაკეთებას ობიექტის მთლიანობისთვის ზიანის მიყენების ან მისი შემდგომი გამოყენების შეუძლებლობის მიზნით, ან

2) სხვაგვარად ხელს უშლის, ზეგავლენას ახდენს ან აფერხებს ნებისმიერი სახის ოფიციალური სამართალწარმოების განხორციელებას ან ცდილობს ამის გაკეთებას, შეეფარდება ჯარიმა ან პატიმრობა 20 წლამდე ვადით ან ორივე ერთად.“³⁰

ეს მუხლი 2002 წელს დაემატა სარბან-ოქსლის კანონს³¹, რომლის მიხედვითაც, ფედერალური კანონმდებლობა ახდენს

²⁷ იქვე, 38.

²⁸ იქვე.

²⁹ The Code of Laws of the United States of America (18 U.S. Code), § 1512(c)

³⁰ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 19.

³¹ Sarbanes-Oxley Act of 2002, Pub. L. No. 107-204, § 1102, 116 Stat. 745, 807 (codified in scattered sections of 11, 15, 18, 28, and 29 U.S.C.).

„ოფიციალური სამართალწარმოების“, მათ შორის, სასამართლომდე სამართალწარმოების დეფინიციას.³² ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე დიდწილად არის დამოკიდებული საქმეზე საბოლოო განაჩენის დადგომა, ამდენად, მნიშვნელოვანია აშშ-ის სასამართლოების მიდგომა პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით.

აშშ-ის როგორც ქვედა, ასევე უმაღლესი სასამართლოები აცხადებენ, რომ საკმარისია ოფიციალური სამართალწარმოება იყოს მხოლოდ განჭვრეტადი. ოფიციალურ სამართალწარმოებაში შედის ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის მიერ მტკიცებულების დასაშვებობაზე საქმის წარმოებაც და კანონით განსაზღვრული ფედერალური მთავრობის სააგენტომდე სამართალწარმოებაც. კრიმინალის გაუმჭვირვალე დაცვის საწინააღმდეგოდ ფედერალური კანონმდებლობა ადგენს: „ეს მუხლი არ კრძალავს და არ სჯის კანონიერად და კეთილსინდისიერად წარმოდგენილ სამართლებრივ მოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოსალოდნელ ოფიციალურ სამართალწარმოებასთან“.³³ რამდენიმე საქმის მაგალითზე შეგვიძლია განვიხილოთ, როგორ ხორციელდება აშშ-ის სასამართლოს პრაქტიკაში მტკიცებულებებთან დაკავშირებული საქმეების განხილვა და გადაწყვეტა.

³² U.S.C. § 1512(f) „1) არ არის აუცილებელი, რომ ოფიციალური სამართალწარმოება იყოს მომზადების პროცესში დანაშაულის ჩადენის დროისთვის; 2) ჩვენება, ჩანაწერი, დოკუმენტი ან რაიმე სხვა სახის ობიექტი არ არის აუცილებელი, რომ იყოს დასაშვები, როგორც პრივილეგიის უფლებისგან თავისუფალი მტკიცებულება.“

³³ U.S.C. § 1515(c)

3. აშშ-ის სასამართლოს სისტემის მიდგომა ადვოკატის მიერ შესაძლო მტკიცებულებების გამოყენებასთან დაკავშირებით

3.1. მასალებისა და ჩანაწერების განადგურების შედეგები

3.1.1. „უოტერგეიტის“ სკანდალთან დაკავშირებით თეთრ სახლში განვითარებული მოვლენები და ადვოკატების რჩევები

საინტერესოა იმ ჩანაწერების შესახებ მსჯელობა, რომლებმაც გამოიწვია აშშ-ის პრეზიდენტ ნიქსონის გადადგომა. რა რჩევები მიიღო ნიქსონმა ადვოკატებისგან მტკიცებულებების შენახვის ან მათი განადგურების თაობაზე, შესაძლებელია გავიგოთ მისი პარტნიორისა და თეთრი სახლის თანამშრომლის ლეონარდ გარმენის ავტობიოგრაფიდან, საიდანაც ირკვევა, რომ გარმენმა ურჩია ნიქსონს, რომ არ გაენადგურებინა მასალები, რადგან ასეთი ქმედება შესაძლოა, ყოფილიყო დანაშაული.³⁴ სავარაუდოა, რომ ადვოკატი მრავალი წლის შემდეგაც არ განაცხადებს თავისი ან თავისი კლიენტის საწინააღმდეგო მოქმედებების შესახებ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ რეალობის დადგენას მნიშვნელობა აქვს შესაძლო მტკიცებულებებთან დაკავშირებით გამართლებული მოქმედების დასადგენად. ამ დეტალების გასარკვევად სტეფან გილერსი შეხვდა გარმენს, რომელმაც განუცხადა, რომ იმ დროისთვის რამდენიმე მოხელეს უკვე ჰქონდა ბრალი წაყენებული და თუ მართლაც პრეზიდენტმა მიიღო ჩანაწერების განადგურების შესახებ გადაწყვეტილება, ეს არ იქნებოდა ადვოკატებისა და იურიდიული მრჩევლების მონაწილეობით. ამას პრეზიდენტი დამოუკიდებლად გააკეთებდა. გასათვალისწინებელია, რომ ეს ჩანაწერები არ იყო ციფრული და ისინი ინახებოდა მაგნიტურ ფირებზე, რომელთა განადგურებასაც დიდი დრო და რესურსი დასჭირდებოდა.³⁵ შესაბამისად, ასეთი მოქმედებების განხორციელებას მინიმუმ ზემდგომი პასუხისმგებელი პირის

³⁴ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 2.

³⁵ იქვე, 2.

ბრძანება და სააღსრულებო მოქმედებების კარგი კოორდინაცია დასჭირდებოდა.

მაგრამ, როგორც გარმენმა³⁶ განაცხადა, ჩანაწერების განადგურების შესახებ არანაირი გადაწყვეტილება არ ყოფილა შეგნებულად მიღებული და მოვლენები თავისთავად განვითარდა. შესაბამისად, ადვოკატებისა და იურისტების დადანიშნულებაც არ მომხდარა.³⁷ თუმცა, საყოველთაოდ ცნობილი მოვლენები განვითარდა ისე, რომ პრეზიდენტი ნიქსონი გადადგა თანამდებობიდან, ხოლო მისმა შემცვლელმა გერალდ ფორდმა გაანთავისუფლა ის ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან.

³⁶ Interview with Leonard Garment in N.Y.C., N.Y. (May 20, 2009). Garment believes that Nixon had no interest in destroying the tapes because they were "historically unique presidential memoirs" and "financially priceless." GARMENT, *supra* note 1, at 281. So it would not have mattered to Nixon whether he could legally do so. Garment also came to conclude, along with the "Watergate revisionists," that, legal or not, if Nixon had destroyed the tapes, he would have survived politically. *Id.* at 280-81. Nixon later remembered it differently. In 1984, he told CBS in a televised interview that one reason for his failure to destroy the tapes was bad advice "from well-intentioned lawyers who had sort of the cockeyed notion that I would be destroying evidence." John Herbers, Nixon, in TV Talk, Shuns Watergate Apology, N.Y. TIMES, Apr. 6, 1984, at A17. ლეონარდ გარმენის მოსაზრებით, ნიქსონს არ ჰქონდა განზრახვა, გაენადგურებინა ჩანაწერები, რადგან ისინი იყო „ისტორიულად უნიკალური და შეუფასებელი საპრეზიდენტო მოგონება“. შესაბამისად, ნიქსონისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა სამართლებრივ მოთხოვნას ამ ჩანაწერების განადგურების თაობაზე - ის ამას არ გააკეთებდა. გარმენი დარწმუნებულია, რომ თუ ნიქსონი გაანადგურებდა ჩანაწერებს, ის პოლიტიკურად გადაურჩებოდა „უოტერგეიტის სკანდალს“. თუმცა პრეზიდენტი ნიქსონი განსხვავებულად იხსენებდა ამ მოვლენებს. 1984 წლის სატელევიზიო ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მან ჩანაწერები არ გაანადგურა ადვოკატების რჩევის გამო.

³⁷ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 3.

3.1.2. ადვოკატის მიერ შესაძლო მტკიცებულებების განადგურება კონექტივუტის ეკლესიის მოთხოვნით

„უოტერგეიტის“ სკანდალიდან 30 წლის შემდეგ განხილულ საქმეში ყველაფერი გაცილებით ცუდად დამთავრდა ადვოკატისთვის და არა კლიენტისთვის. კონექტივუტის ეკლესიამ, მისი მომღერალთა გუნდის დირჟორის კომპიუტერში აღმოაჩინა ბავშვთა პორნოგრაფია, რის გამოც დირიჟორი გადადგა. თუმცა, ეკლესიამ მოთხოვა მისი ადვოკატისაგან, რომ არ გაემჟღავნებინა ეს დანაშაული.³⁸ ადვოკატმა რასელმა მიიღო გადაწყვეტილება, დაეცვა ეკლესიის რეპუტაცია და გაანადგურა აღნიშნული ჩანაწერები.³⁹ სავარაუდოდ, ადვოკატი მოქმედებდა თავისი კლიენტის ინტერესების დასაცავად, რის გამოც მან დარტყმის ქვეშ დააყენა საკუთარი უსაფრთხოება.

ფედერალურმა პროკურორმა წაუყენა ადვოკატ რასელს ბრალი მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლაში ორი მუხლით, რომლებიც ცალ-ცალკე ითვალისწინებდა ოცწლიან პატიმრობას.⁴⁰ აღსანიშნავია, რომ გარმენმა და რასელმა სწორად შეაფასეს ის შესაძლებლობა, რომ არსებული ჩანაწერები დიდი ალბათობით გახდებოდა მტკიცებულება, მაგრამ განსხვავებულად მოიქცნენ. კერძოდ, გარმენმა არ მისცა განადგურების რჩევა პრეზიდენტს, ხოლო რასელმა გაანადგურა ჩანაწერები, რაც დანაშაულს წარმოადგენს.

საინტერესოა ბრალდების უარყოფის შუამდგომლობაში რასელის განცხადება, სადაც მან განაცხადა, რომ „არ იცოდა გამოძიების შესახებ და ვერ დაუშვა, რომ დაიწყებოდა „ოფიციალური სამართალწარმოება“. ცხადია, მოსამართლემ უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რადგან განჭვრეტადობა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. საბოლოოდ რასელს მიუსაჯეს

³⁸ United States v. Russell, 639 F. Supp. 2d 226, 230 (D. Conn. 2007), www.law.justia.com

³⁹ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 3.

⁴⁰ იქვე, 4.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 6 თვის განმავლობაში და პრობაცია ერთი წლის განმავლობაში. სასჯელის განმავლობაში ის ჩამოაშორეს იურიდიულ პრაქტიკას, ხოლო შემდეგ კი ავტომატურად აღუდგინეს ეს უფლება.⁴¹

რასელს თავი უნდა შეეკავებინა კომპიუტერში დაცული მასალების განადგურებისაგან ან გადაეცა ის ადმინისტრაციული ორგანოებისათვის, მიუხედავად კლიენტის პოზიციისა. თუ რასელი დაუბრუნებდა კომპიუტერს ეკლესიას, უნდა გაეფრთხილებინა კლიენტი, რომ ბავშვთა პორნოგრაფიის შენახვა დანაშაული იყო. პრობლემა უფრო რთულდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ რასელის კლიენტი შეიძლება დირიჟორი ყოფილიყო. ვალდებული იქნებოდა რასელი, ამ შემთხვევაშიც გადაეცა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის კომპიუტერი? შეეძლო ადვოკატ რასელს, დაებრუნებინა კომპიუტერი თავისი კლიენტისთვის სიტყვებით: „ამის შენახვა დანაშაულია და მისი განადგურებაც დანაშაულია“, თუ რასელის მიერ კომპიუტერის დაბრუნება უკვე დანაშაული იქნებოდა?⁴²

ამ ორი საქმიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადვოკატმა არ უნდა გაანადგუროს მის ხელთ არსებული შესაძლო მტკიცებულებები, მიუხედავად იმისა, თუ რას მოითხოვს მისგან კლიენტი ან რა შედეგით შეიძლება დასრულდეს მისთვის ამ მასალების სახელმწიფო ორგანოებისთვის გადაცემა. ადვოკატის ასეთი ქმედება საქართველოში დიდი ალბათობით გამოიწვევდა ადვოკატის დისციპლინირებას, მაგრამ აშშ-ში განსხვავებული მიდგომაა ამ საკითხთან დაკავშირებით.

⁴¹ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 24.

⁴² იქვე, 25.

3.2. დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ მათი სახელმწიფო ორგანოებისთვის გადაცემის ვალდებულება

3.2.1. ფიშერი აშშ-ს⁴³ წინააღმდეგ საქმე

1976 წელს აშშ-ს შემოსავლების სამსახურმა მოითხოვა კლიენტის ბუღალტრების მიერ შექმნილი იმ სამუშაო დოკუმენტების ამოღება, რომლებიც მიაწოდეს ადვოკატებს. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა არ არღვევდა აშშ-ს კონსტიტუციის მე-5 შესწორებით დადგენილ მოთხოვნებს, ადვოკატებს შეეძლოთ, მოეთხოვათ მისი ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცვა და უარი ეთქვათ ამოღების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან ეს დოკუმენტები გადაეცა ადვოკატებს სამართლებრივი რჩევის მისაღებად. მაგრამ თუ კლიენტს მოთხოვდნენ ამ დოკუმენტების წარმოდგენას, მათზე ვერ გავრცელდებოდა ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „თუ დოკუმენტი ადვოკატის მფლობელობიდან რთულად ამოსაღები იქნება, მაშინ კლიენტები არ მოერიდებიან ადვოკატებისათვის მათ მიწოდებას და მათთვის იურიდიული რჩევის მიღება დარჩება ხელმისაწვდომი. თუმცა, თუ სხვაგვარად იქნება ეს საკითხი დარეგულირებული, კლიენტები უარს იტყვიან დოკუმენტების ადვოკატებისათვის გადაცემაზე“.⁴⁴

ორი საკითხი უნდა გამოვკვეთოთ. პირველი, და უფრო მნიშვნელოვანი, ადვოკატისთვის გადაცემა უნდა იყოს მისგან მხოლოდ სამართლებრივი რჩევის მიღების მიზნით. სასამართლომ რამდენჯენმე გაიმეორა ეს ფორმულა და მთავრობაც დაეთანხმა ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის ხელშეუხებლობას, თუ მათ შორის კომუნიკაცია და მასალების გადაცემა სამართლებრივი რჩევის მისაღებად ხორციელდებოდა. მეორე, არა აშშ

⁴³ 425 U.S. 391 (1976). The decision resolved two different cases, *Fisherv. United States and United States v. Kashmir*, see *Fisher*, 425 U.S. at 391, but the relevant facts of the two cases were identical and the Court did not distinguish between them. გადაწყვეტილება შეეხო ორ განსხვავებულ საქმეს, მაგრამ რადგან ფაქტები ერთი და იგივე იყო, სასამართლომ ვერ დაინახა განსხვავება მათ შორის.

⁴⁴ Gillers, Stephen, *Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence*, 63 *Stanford Law Review* 813, 2010-2011, 13.

კონსტიტუციის მე-5 შესწორება, არამედ ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია იცავს ადვოკატს გამჟღავნების ვალდებულებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლება არ არის კონსტიტუციის დონეზე დაცული.⁴⁵

ფიშერის საქმეში გადასახადის გადამხდელებმა მოიგეს ბრძოლა, მაგრამ წააგეს ომი. სასამართლომ დაადგინა, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება, უარი ეთქვათ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენაზე, რადგან აშშ კონსტიტუციის მე-5 შესწორება გულისხმობს პირად მფლობელობაში არსებულ დოკუმენტებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, საქმე ეხებოდა ბუღალტრების მიერ ნაწარმოებ სამუშაო დოკუმენტაციას.⁴⁶

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გარდა შინაარსისა, ამ დოკუმენტაციის შესწავლით შესაძლოა დადგენილიყო

⁴⁵ იქვე, 14

⁴⁶ A separate issue in Fisher was whether and when the Fifth Amendment protects the contents of particular documents in a person's possession. In Fisher, the documents were workpapers prepared by an accountant and the Court was unanimous that they were not protected. See *id.* at 396-401. But what if the item is the client's personal diary? The Supreme Court has not directly addressed this question. *Boyd v. United States*, 116 U.S. 616, 634-35 (1886), held "that a compulsory production of the private books and papers of the owner of goods sought to be forfeited... is compelling him to be a witness against himself, within the meaning of the Fifth Amendment to the Constitution." But Fisher began to chip away at *Boyd*. And lower courts take the view that *Boyd* is dead. See, e.g., *In re Grand Jury Subpoena*, 1 F.3d 87, 93 (2d Cir. 1993). Whether it is dead or alive is irrelevant to my argument. ფიშერის საქმეში განსხვავებული საკითხი შეეხებოდა პირის მფლობელობაში არსებული დოკუმენტის შინაარსის დაცვას აშშ კონსტიტუციის მე-5 შესწორების მიერ. ფიშერის საქმეში დოკუმენტები იყო ბუღალტრების მიერ მომზადებული სამუშაო მასალა, რომელიც სასამართლოს ერთსულოვანი პოზიციის მიხედვით, არ იყო მე-5 შესწორებით დაცული. საქმეში ბოიდი აშშ-ის წინააღმდეგ, დადგინდა, რომ „პირადი საბუთებისა და ჩანაწერების სავალდებულო წარდგენა აიძულებს მოპასუხეს თავის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას, რაც ეწინააღმდეგება მე-5 შესწორებას“. სასამართლომ განსხვავებული მიდგომა ახსნა იმით, რომ ბოიდი გარდაცვლილი იყო, ხოლო ფიშერი – ცოცხალი. გილრისის აზრით, მისი არგუმენტების მიმართ მნიშვნელობა არ აქვს მოპასუხე ცოცხალია თუ არა.

„საკომუნიკაციო ასპექტები“, რომლებიც დიდი ალბათობით არც კი იქნებოდა დოკუმენტაციის შინაარსთან კავშირში.⁴⁷

რა ასპექტები იგულისხმა ამ შემთხვევაში სასამართლომ? „დოკუმენტების მოთხოვნის დათანხმება მყისიერად აღიარებს მოთხოვნილი დოკუმენტების არსებობას და მათ ფლობას ან კონტროლს გადასახადის გადამხდელის მიერ. ეს ასევე ადასტურებს გადასახადის გადამხდელის რწმენას, რომ ეს სწორედ ის დოკუმენტებია, რომელიც მოითხოვა შემოსავლების სამსახურმა“. ფიშერის საქმეში არც ერთი ასეთი „ჩვენების“ მიცემის საფრთხე არ იყო. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ „დოკუმენტების არსებობა და ადგილმდებარეობა არის ცხადი და გადასახადის გადამხდელი ფაქტობრივად არაფერს ამატებს მთავრობის ხელთ არსებულ ინფორმაციას იმით, რომ აღიარებს მათ ფლობას“.⁴⁸ ასევე ვერ მოახდენდა გადასახადის გადამხდელი წარმოებული დოკუმენტების სინამდვილის დადასტურებას, რადგან ისინი ბუღალტრების მიერ იყო ნაწარმოები და მხოლოდ ისინი შეძლებდნენ ამ დოკუმენტების სინამდვილის დამოწმებას. ამ საქმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუ ადვოკატს აქვს ობიექტის მიღების საფუძვლიანი და სამართლებრივი მიზეზი, მისი კლიენტი მიიღებს სრულყოფილ და ინფორმირებულ სამართლებრივ რჩევას.

3.2.2. ამერიკის შეერთებული შტატები დოს წინააღმდეგ⁴⁹

ამ საქმეში განიხილებოდა კორუფციის შესაძლო არსებობა მუნიციპალურ კონტრაქტებთან დაკავშირებით. დო იყო რამდენიმე საწარმოს ერთპიროვნული მესაკუთრე და პირადად აწარმოებდა მათ დოკუმენტაციას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ: „დოკუმენტაციის ამოღება არ მოითხოვს გადასახადის გადამხდელისაგან რაიმე სახის ზეპირი განმარტების ან ჩვენების მიცემას ამოღებულ დოკუმენტებში არსებული მონაცემების შესახებ.“ რადგან საქმე ეხებოდა ბრალდებულის მიერ ნაწარმოები

⁴⁷ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 15.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ United States v. Doe, 465 U.S. 605 (1984), www.supreme.justia.com.

დოკუმენტაციის შინაარსს, სასამართლომ მიიჩნია, რომ „მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხემ თვითონ აწარმოა ეს დოკუმენტაცია, იქ არსებული მონაცემები არ იყო მე-5 შესწორებით დაცული.“ სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ აშშ კონსტიტუციის მე-5 შესწორება „არ იცავს რაიმე სახის კერძო დოკუმენტაციის შინაარსს“. შესაბამისად, კლიენტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათი ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებაა ადვოკატთან ურთიერთობიდან გამომდინარე დაცული კონფიდენციალობის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც კვალიფიკური რჩევის მიღებას, ასევე არასასურველი მასალების გაუხმაურებლობას.

3.2.3. აშშ ჰუბელის წინააღმდეგ⁵⁰

ვებსტერ ჰუბელმა მოითხოვა მე-5 შესწორების გამოყენება და მიიღო იმუნიტეტი, მაგრამ მოუწია 13 120-გვერდიანი დოკუმენტაციის სასამართლოსთვის წარდგენა. წარდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, მას წაუყენეს ბრალი გადასახადებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო. ჰუბელმა მოითხოვა იმუნიტეტი და განაცხადა, რომ მის მიერ სხვა საქმესთან დაკავშირებით წარდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, მას წარუდგინეს ახალი ბრალი, რაც ეწინააღმდეგებოდა მე-5 შესწორებას.⁵¹

აშშ-ს უმაღლესი სასამართლო დაეთანხმა ჰუბელს და უარყო მთავრობის პოზიცია, რომ რადგან მოპასუხემ თვითონ წარმოადგინა დოკუმენტაცია, მთავრობას სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა არ მოეთხოვებოდა. მოსამართლე სტივენსმა დაწერა: „ის ფაქტი, რომ მთავრობა ცდილობს, არ გამოიყენოს პირის მიერ ნაწარმოები მასალები, ღიად ტოვებს კითხვას, ხომ არ გამოიყენა „ნაწარმოები“ ჩვენების მიცემის კუთხით იმისთვის, რომ ბრალი წარედგინა მოპასუხისთვის. ჩანს, რომ გამოიყენა.“⁵²

⁵⁰ United States v. Hubbell, 530 U.S. 27 (2000), www.supreme.justia.com.

⁵¹ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 16.

⁵² იქვე.

ამოღების მოთხოვნაში ცხადად ჩანს, რომ პროკურორი მოითხოვს მოპასუხისგან დახმარებას როგორც პოტენციური წყაროს, ასევე წარმოებული დოკუმენტაციის შინაარსის შესახებ. თუ ფართოდ დავაკვირდებით მოთხოვნილი დოკუმენტების 11 კატეგორიას, მათი წარმოება და შეკრება დაკითხვის ეკვივალენტურია. უდავოა, რომ მოთხოვნილი 11 კატეგორიის დოკუმენტების წარმოდგენამ შესაძლოა ბრალდების წაყენების საშუალება მისცეს პროკურორს.⁵³

მთავრობა დაეყრდნო ფიშერის საქმეში გამოყენებულ ტერმინს „მოსალოდნელი დასკვნა“, რომელიც გულისხმობდა, რომ ბუღალტრების მიერ ნაწარმოები დოკუმენტების არსებობა „მოსალოდნელი რეალობა“ იყო.⁵⁴ თუმცა ამ საქმეში სხვა რეალობა იყო. ფიშერის საქმეში მთავრობამ უკვე იცოდა, რომ დოკუმენტები უკვე იყო ადვოკატის მფლობელობაში და დამოუკიდებლად შეეძლოთ დაედასტურებინათ მათი არსებობა და ნამდვილობა იმ ბუღალტრების მეშვეობით, რომლებმაც ისინი აწარმოეს, მაგრამ ჰუბელის შემთხვევაში, მთავრობას არ უჩვენებია, რომ წინასწარ იცოდა იმ 13 120-გვერდიანი დოკუმენტაციის ადგილსამყოფელი, რომელიც საბოლოოდ წარმოადგინა დაცვის მხარემ.

არ იქნება გადაჭრბებული, თუ ვიტყვით, რომ მთავრობამ მიმართა ჰუბელს: „მომაწოდე შენს ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს შენ მიერ დანაშაულის ჩადენას და მე იმუნიტეტით აღვჭურავ შენს ქმედებას დოკუმენტაციის წარმოების პროცესში“.⁵⁵ ბრალდების მხარის მოთხოვნის სისუსტე არის ის, რომ მან დაცვის მხარის მიერ წამოდგენილი დოკუმენტების გამოყენებით უკვე დაარღვია იმუნიტეტის უფლება. მიუხედავად იმისა, გამოიყენებდა თუ არა მთავრობა ამ დოკუმენტაციას ჰუბელის წინააღმდეგ, მათი წარმოდგენა დაცვის მხრიდან იყო პირველი ნაბიჯი პროკურატურის მოქმედებათა ჯაჭვში და შესაბამისად, პროკურატურა ვერ დაამტკიცებდა, რომ ბრალდება ამ დოკუმენტაციის გარეშეც იარსებებდა.

⁵³ იქვე, 16.

⁵⁴ იქვე, 17.

⁵⁵ იქვე.

ეს საქმეები მნიშვნელოვანია, რადგან 1. „წარმოების დაცვის დოქტრინის“⁵⁶ მიხედვით, სასამართლოს არ შეუძლია აიძულოს (სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობის მუქარით) ადვოკატი, წარადგინოს მისთვის კლიენტის მიერ გადაცემული მასალები. ასევე არ შეუძლია მთავრობას, მოითხოვოს ადვოკატისაგან ასეთი მასალების წარდგენა დისციპლინირების ან ბრალის წარდგენის მუქარით; 2. რომელი წყაროსგანაც არ უნდა იყოს მიღებული მასალები, ადვოკატი უფლებამოსილია, გაეცნოს და შეისწავლოს ისინი, რათა მიაწოდოს კლიენტს სრული და ინფორმირებული სამართლებრივი რჩევა.⁵⁷

3.3. დანაშაულის იარაღის, მისი მდებარეობისა და დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების, შენახვის და გამოყენების თავისებურებები

3.3.1. ოლველის საქმე⁵⁸

ოლველის კლიენტი გრეი ბრალდებული იყო დანით მკვლელობის საქმეში, რომელიც განხილულ იქნა 1964 წელს. გამომძიებელმა გამოიძახა ოლველი, რათა მას წარმოედგინა „თავის მფლობელობაში

⁵⁶ The Fifth Amendment provides that no person “shall be compelled in any criminal case to be a witness against himself.” The Supreme Court has, since 1976, applied the so-called “act-of-production doctrine.” Under this doctrine, a person can invoke his Fifth Amendment rights against the production of documents only where the very act of producing the documents is incriminating in itself. აშშ-ს კონსტიტუციის მე-5 შესწორება ადგენს, რომ „არც არავინაა მოვალე, რაიმე კრიმინალურ შემთხვევაში თავის თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება“. აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ 1976 წლის შემდეგ მიიღო „დოკუმენტის წარმოდგენის დოქტრინა“, რომლის მიხედვითაც, პირს შეუძლია დაეყრდნოს მე-5 შესწორებას და არ წარადგინოს დოკუმენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად დოკუმენტის წარდგენა შეიძლება გახდეს დანაშაულში ბრალდების საფუძველი.

⁵⁷ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer’s Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 17.

⁵⁸ State Ex Rel. Sowers v. Olwell, 64 Wn.2d 828 (1964), 394 P.2d 681, The State of Washington, on the Relation of Leo M. Sowers, Respondent, v. David H. Olwell, Appellant, No. 37212, www.supreme.justia.com.

და კონტროლის ქვეშ არსებული ყველა დანა, რომელიც დაკავშირებული იყო გრეისთან“. გამომძიებელი ეყრდნობოდა იმ განცხადებას, რომელიც გრეიმ გააკეთა ადვოკატის ღონისძიების შეფარდებისას. ოლველმა უარი განაცხადა დანის წარმოდგენაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატ ოლველს შეეძლო, მიეღო მისი კლიენტისგან დანა „გონივრული ვადით“, რათა უკეთ მომზადებულიყო დაცვის განსახორციელებლად, ხოლო შემდეგ კი უნდა გადაეცა ეს ნივთი პროკურორისთვის. ადვოკატი არ უნდა დაკითხულიყო და არც უწყება უნდა გაეგზავნათ მისთვის ამ მოქმედების გამო. დანას პრივილეგიის უფლება არ იცავდა, მაგრამ გრეის მიერ ადვოკატისთვის დანის გადაცემა პრივილეგირებული ინფორმაცია იყო. ადვოკატისთვის გაგზავნილი უწყება საკმაოდ ფართო იყო ამისთვის და არღვევდა კონფიდენციალობის პრინციპს.⁵⁹

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დაადგინა, რომ ოლველს ჰქონდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში დანის დატოვების უფლება, რაც სასარგებლო იყო დაცვისთვის, მაგრამ ათწლეულების შემდეგ სასამართლოები დარწმუნებით ამბობენ, რომ: „ადვოკატი არ უნდა ინახავდეს დანაშაულის მტკიცებულებას, რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს ის დაცვის პოზიციების დასახმარებლად.“ იმ დროს, როდესაც სასამართლო უშვებს, რომ პროკურორმა „უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე მტკიცებულებების მსაჯულთა წინაშე წარმოდგენისას, რათა არ მოხდეს მტკიცებულების წყაროს გამჟღავნება“, დაუდგენელია, მხოლოდ კლიენტი შეიძლება იყოს⁶⁰ ადვოკატისთვის მტკიცებულების წყარო თუ ადვოკატიც შეიძლება იყოს პროკურორის წყარო. უზუსტობას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ გრეის უკვე წაყენებული ჰქონდა ბრალი, როდესაც გაირკვა, რომ მან მკვლელობა სხვა დანით ჩაიდინა.⁶¹ მნიშვნელოვანია, რომ ასეთ

⁵⁹ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 26.

⁶⁰ Rubin v. State, 602 A.2d 677, 689 (Md. 1992), www.supreme.justia.com.

⁶¹ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 26.

შემთხვევებში, ადვოკატი დაცული იყოს საკანონმდებლო დონეზე, რადგან მის მიმართ გადაჭარბებულმა ზეწოლამ შესაძლოა გაანადგუროს კლიენტის ინტერესების დაცვის სურვილიც კი.

3.3.2. რუბინის საქმე⁶²

1992 წლის საქმეში განსასჯელმა უშუალოდ არ მიაწოდა დანაშაულთან დაკავშირებული საგნები (ტყვიები) ადვოკატ რუბინს. ადვოკატის მიერ დაქირავებულმა გამომძიებელმა ტყვიები იპოვა კლიენტის ჩანთაში, მაშინ როცა კლიენტი ავად იყო. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ამ გარემოებას და ჩათვალა, რომ ადვოკატმა რუბინმა ტყვიები მიიღო უშუალოდ კლიენტისგან.⁶³ მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში, ადვოკატის ქმედებით იქნა აღმოჩენილი შესაძლო მტკიცებულებები, ბრალდებამ მოითხოვა და სასამართლოც დათანხმდა მტკიცებულების წყაროდ კლიენტის აღიარებას.

3.3.3. ტეილორის საქმე

საქმეში სახელმწიფო ტეილორის⁶⁴ წინააღმდეგ, საპატიმროში მყოფმა ბრალდებულმა მიაწოდა თავის ადვოკატ ფიშს ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც, ადვოკატმა ამოიღო კლიენტის სახლიდან მკვლელობის იარაღი. დაახლოებით 2 წლის განმავლობაში ფიში ინახავდა იარაღს ოფისში, სანამ პოლიციამ ინფორმატორის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ მოითხოვა მისგან ამ იარაღის წარმოდგენა. საგამომძიებო ორგანოებს ამის შემდეგ შეეძლოთ მოწმის სახით დაეკითხათ ადვოკატი იარაღის წარმოშობისა და შენახვის თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა: „კრიმინალური ან თაღლითური ქმედებიდან გამომდინარე, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია აღარ არსებობს და მათ შორის

⁶² Rubin v. State, 602 A.2d 677, 689 (Md. 1992).

⁶³ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 26.

⁶⁴ State v. Taylor, 502 So. 2d 537 (La. 1987), www.law.justia.com.

კომუნიკაციაც არ შეიძლება დაცულად ჩაითვალოს⁶⁵. შესაბამისად, ადვოკატ ფიშის დაკითხვაც კანონიერი იყო, რადგან მას ამ იარაღის შენახვა და გამოკვლევა არ სჭირდებოდა კლიენტისთვის კვალიფიციური და ინფორმირებული სამართლებრივი რჩევის მისაცემად.

3.3.4. სახელმწიფო დუგლასის წინააღმდეგ⁶⁶

ამ საქმეში ადვოკატმა ამოიღო მკვლელობის იარაღი – პისტოლეტი იმ ადგილიდან, რომელიც მნიშვნელოვანი იყო მტკიცებულების ღირებულების თვალსაზრისით. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მიიღეს ეს იარაღი ადვოკატისგან. მათ ჰქონდათ უფლება, რომ ინფორმაციის წყაროდ დაესახელებინათ ადვოკატი, მაგრამ მათ არ ჰქონდათ უფლება, მოეთხოვათ ადვოკატისგან იმის გამჟღავნება, რომ კლიენტმა მიუთითა დანაშაულის იარაღის ადგილმდებარეობის შესახებ. ამის საპირისპიროდ,

3.3.5. საქმეში ხალხი მერედიტის წინააღმდეგ⁶⁷

ადვოკატის მიერ დაქირავებულმა გამომძიებელმა დაარწმუნა ციხეში მყოფი კლიენტი, რათა მას გაემჟღავნებინა ადვოკატისთვის მკვლელობის მსხვერპლის საფულის ადგილმდებარეობა, რომელიც კლიენტის სახლთან დამწვარ კასრში იყო. ამით ადვოკატმა გაანადგურა კლიენტისა და საფულის კავშირი ერთმანეთთან, რითაც შეამცირა ან საერთოდ გაანადგურა მტკიცებულების ღირებულება. სასამართლომ დაადგინა, რომ გამომძიებელს შეეძლო მართებულად ამოეღო საფულე და ადვოკატიც უფლებამოსილი იყო, გამოეკვლია ობიექტი, თუმცა მისი გადაცემა მთავრობისთვის არასათანადოდ მიიჩნია.

⁶⁵ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 43.

⁶⁶ State v. Douglass, 20 W. Va. 770, 775 (1882). Douglass apparently represents the first time that a state high court addressed these issues, როგორც ჩანს, დუგლასის საქმე იყო პირველი, სადაც უმაღლესი სასამართლო შეეხო ამ საკითხს.

⁶⁷ People v. Meredith, www.supreme.justia.com.

სასამართლომ მოითხოვა მტკიცებულების ამოღებასთან დაკავშირებული წყვეტის შევსება ადვოკატის მიერ დაქირავებული გამომძიებლის მიერ ჩვენების მიცემის ან საფულის ადგილმდებარეობის გაცხადების გზით: „როდესაც დაცვის მხარე ცვლის ან გადაადგილებს ნივთიერ მტკიცებულებას, ის უკარგავს პროკურატურას შესაძლებლობას, გამოიკვლიოს მტკიცებულება მის თავდაპირველ მდგომარეობასა და მდებარეობაში.“ როგორც კალიფორნიის ადვოკატთა ასოციაციის სააპელაციო კომიტეტი აცხადებს, „ამგვარ საქმეებში მტკიცებულების თავდაპირველ მდგომარეობასა და მდებარეობასთან დაკავშირებული ჩვენების ნებართვა საშუალებას აძლევს დაცვის მხარეს, გაანადგუროს კრიტიკული მნიშვნელობის ინფორმაცია. ამ საქმეშიც, ფრაზა „დამწვარი საფულე ბრალდებულის სახლის სიახლოვეს“ იძენს სულ სხვა დატვირთვას, ვიდრე ადვოკატის მიერ წარმოდგენილი დამწვარი საფულე.“⁶⁸

დაცვის მხარე მოითხოვდა, რომ საგამომძიებო ორგანოებს არ უნდა მისცემოდათ ადვოკატის მიერ დაქირავებული გამომძიებლის დაკითხვის უფლება, რადგან „პოლიციას შეეძლო, მოეძებნა მტკიცებულება პირვანდელ ადგილას მანამდე, სანამ ამას ადვოკატის მიერ დაქირავებული გამომძიებელი შეძლებდა“. სასამართლომ ეს მოთხოვნა შეაფასა „უკიდურესად სპეკულაციურად“.⁶⁹ თუმცა, თუ გავითვალისწინებთ რეალობას, შესაძლოა ადვოკატებმა ჩათვალონ, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში უმჯობესია „ნაგვის შემგროვებლებმა“ და არა პოლიციელებმა მიაგნონ მნიშვნელოვან მტკიცებულებას, ვიდრე ადვოკატებმა ჩაიყენონ თავი სავალდებულო გამჟღავნების მდგომარეობაში.

⁶⁸ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 28.

⁶⁹ იქვე.

3.3.6. რაიდერის დისციპლინირების საქმე⁷⁰

პოლიცია ბრალს სდებდა რაიდერის კლიენტ კუკს ბანკის მარცვაში. თავისუფლებაზე მყოფი კუკმა უთხრა რაიდერს, რომ „დანომრილი“ ფული გამარცვული ბანკიდან იყო მის პირად საბანკო სეიფში, თუმცა ბანკი მას არ გაუდარცვავს. მან განაცხადა, რომ ვიღაცამ გადაუხადა ფულის შენახვისთვის თანხა, მაგრამ რაიდერმა მას არ დაუჯერა. კუკის ადვოკატის უფლებამოსილების საფუძველზე რაიდერმა გახსნა სეიფი და აღმოაჩინა იქ არა მარტო ფული, არამედ გადაჭრილი თოფი. რაიდერმა თავისი ქმედება ახსნა იმით, რომ მას სურდა, კუკის ფული გადაეტანა თავის სეიფში, რათა დაეცვა ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით. თოფის ნახვის შემდეგ ადვოკატმა გადაიტანა კუკის ნივთები თავის სეიფში.⁷¹

დისციპლინირების დაწყების მოთხოვნის დოკუმენტში სასამართლომ განაცხადა, რომ: „არც ეთიკის საფუძვლები და არც კანონი არ აძლევდა რაიდერს უფლებას, დაემალა ბანკის ფული თავისი კლიენტისთვის სასურველი განაჩენის მიღწევის მიზნით.“ სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „ადვოკატის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა იყო დანაშაული, რომელმაც ხელი შეუშალა გამოძიებას. ადვოკატი არ აპირებდა ამ მტკიცებულებების წარდგენას, მანამდე სანამ მთავრობამ არ აღმოაჩინა ისინი და სასამართლომ არ მითხოვა მათი წარდგენა.“ 1967 წელს რაიდერი ჩამოაშორეს საადვოკატო პრაქტიკას.⁷²

რაიდერმა განაცხადა, რომ ის მოქმედებდა „კუკის მიერ ფულის დახარჯვის თავიდან აცილების მიზნით“.⁷³ მართალია, რომ თუ ადვოკატი არ გადაიტანდა ნივთებს, კუკს შეეძლო, აეღო ფული და იარაღი, რაც საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი იქნებოდა. თუმცა, სასამართლოს არ დაუდანაშაულებია ადვოკატი

⁷⁰ In re Ryder, 263 F. Supp. 360 (1967) In re Richard R. RYDER, Civ. A. No. 4976, United States District Court E. D. Virginia, Richmond Division, January 23, 1967.

⁷¹ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 29.

⁷² იქვე.

⁷³ იქვე.

რაიდერი ნივთების აღებაში, ის დადანაშაულდა მათ საკუთარ სეიფში შენახვის გამო.

საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა და ამ შემთხვევაში ბანკიდან მოპარული თანხის დაცვა არის ის მისასალმებელი მოქმედებები, რომლებსაც უპირისპირდება მთავრობის მოთხოვნა ადვოკატის მიმართ წარმოადგინოს მის კლიენტის დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებები. ასეთმა მიდგომამ შესაძლოა გამოიწვიოს ადვოკატების მხრიდან იმ მნიშვნელოვანი სიკეთის დაცვაზე უარის თქმა, რომელიც დიდი ალბათობით ვერ გადაიწონება კონკრეტული პირის მიმართ განაჩენის დადგომით.

მაგრამ ამ შემთხვევაში, რადგან ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ამოიღეს რაიდერის სეიფიდან ნივთები, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადვოკატის ქმედებას ხელი არ შეუშლია გამოძიების მიმდინარეობისათვის. სამაგიეროდ, ადვოკატის მოქმედებამ დიდი ალბათობით დაიცვა მტკიცებულებები კუკის მხრიდან ხელყოფისაგან. ამდენად, საზოგადოების მხრიდან უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, უმჯობესია ადვოკატს ჰქონდეს სრული ინფორმაცია თავისი კლიენტისგან და დაიცვას საზოგადოება, თუ საერთოდ უარი ვთქვათ ადვოკატის მიმართ კლიენტის ნდობის არსებობაზე.

3.3.7. ქლუმე რუშენის წინააღმდეგ⁷⁴

საქმეში ქლუმეს ბრალად ედებოდა თავის მანქანაში მგზავრის მკვლელობა. მას მოეხსნა ბრალდება, რადგან მისი ადვოკატის გამომძიებელმა – ბრალდებულის მეუღლემ აღმოაჩინა ქვითრები, რომელთა მიხედვით, ირკვეოდა, სად შეაცვლევინა ბრალდებულმა მანქანის სკამები. შეცვლილ სკამებზე მსხვერპლის სისხლი იყო. სასამართლომ მტკიცებულებად დაუშვა სკამები, მაგრამ მტკიცებულების სიიდან ამორიცხა ქალბატონი ქლუმეს კომუნიკაცია პოლიციასთან. სასამართლომ დაადგინა, რომ რადგან ადვოკატს ჰქონდა ნივთების გამოკვლევის უფლება და პროკურორისთვის მათი გადაცემის ვალდებულება, არც ადვოკატს

⁷⁴ Clutchette v. Rushen, 770 F.2d 1469 (9th Cir. 1985)

და, შესაბამისად, არც მის გამომძიებელს კანონმდებლობა არ დაურღვევიათ.⁷⁵

ქლუშემ განაცხადა, რომ იგი აიძულეს აერჩია აშშ კონსტიტუციის მე-5 და მე-6 შესწორებებს შორის. ბრალდებულს უნდა აერჩია, მიეწოდებინა ადვოკატისთვის სრული ინფორმაცია თუ დაემალა საკვანძო მტკიცებულებების გამჟღავნება ადვოკატისთვის, რომელიც შემდეგში გადასცემდა ამ მტკიცებულებებს პროკურორს. სასამართლომ განაცხადა, რომ ქლუშე არ იდგა ამ დილემის წინაშე: „მნიშვნელობა არ ჰქონდა, ადვოკატი შინახავდა თუ არა ავტომანქანის სკამების გამოცვლის ქვითრებს, რადგან მათი მნიშვნელობა ისედაც ნათელი იქნებოდა. რადგან ბრალდებულმა გამოცვალა სკამები, მან გამოძიებას ჩაუშალა იმ მტკიცებულების პოვნის ყველა გეგმა, რომელსაც შეეძლო მისი ბრალის დამტკიცება. მე-6 შესწორების შინაარსი არ ეწინააღმდეგება ასეთ ქმედებას.“ სასამართლომ ასევე დაადგინა: „კონსტიტუციური დილემა იარსებებს, თუ ადვოკატი ვერ შეძლებს მკაფიოდ ჩამოაყალიბოს კლიენტის მიერ მიწოდებული მტკიცებულებების წარმომავლობისა და მათი დაცვის მიზნებისთვის გამოყენების აუცილებლობას მათი შენახვის გარეშე. ასეთი შეიძლება იყოს ბალესტიკური ან დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით მტკიცებულებების გადაადგილება.“⁷⁶

ქლუშეს საქმე არის ერთადერთი საქმე, სადაც სასამართლომ არ მისცა უფლება ბრალდების მხარეს, გამოეყენებინა ადვოკატისთვის ცნობილი მტკიცებულება ბრალდებულის საწინააღმდეგოდ. თუმცა, როგორც სასამართლომ განაცხადა, ამ საქმეში ასეთი საჭიროება არ არსებობდა.⁷⁷

3.3.8. ხალხი ლის წინააღმდეგ⁷⁸

საქმეში ბრალდებულის ცოლი იყო პროკურატურის არაპირდაპირი წყარო, რომლის საშუალებითაც იქნა აღმოჩენილი თავდასხმის დროს გამოყენებული სისხლიანი ჩექმები. ლის მეუღლემ მიაწოდა

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ იქვე, 30.

⁷⁷ იქვე, 31.

⁷⁸ People v. Lee 83 Cal. Rptr. 715, 717 (Ct. App. 1970), www.law.justia.com

ჩექმები საზოგადოებრივ დამცველს, რამაც გამოიწვია პროკურორის მხრიდან უწყების გამოწერა და ამ მტკიცებულებისა და ბრალდებულის მეუღლის მოწმედ გამოძახების თაობაზე. რადგან დაცვის ადვოკატის წყარო არ იყო დასაცავი პირი, ბრალდებას ჰქონდა მისი იდენტიფიცირების უფლება.

3.3.9. ჰიჩის საქმე⁷⁹

საქმეში მსხვერპლის მაჯის საათის, როგორც მტკიცებულების, წარმოდგენი იყო ბრალდებულის მეგობარი გოგონა. სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატს არა მარტო აუცილებლად უნდა წარედგინა ეს მტკიცებულება სასამართლოსთვის, არამედ არც ჰქონდა სხვა არჩევანის უფლება.⁸⁰

3.3.10. მორელი სახელმწიფოს წინააღმდეგ⁸¹

გატაცების საქმეში წყარო იყო ბრალდებულის მეგობარი, რომელმაც ბრალდებულის მანქანაში აღმოაჩინა მისი ხელით დაწერილი გატაცების გეგმა. ეს გეგმა ბრალდებულის მეგობარმა გადასცა ადვოკატს და აღარ გამოართვა მას. ადვოკატმა, თავის მხრივ, ხელნაწერი გადასცა სამართალდამცავ ორგანოებს, რადგან მას აღარ ჰქონდა წყაროსთვის დაბრუნების შესაძლებლობა.

3.3.11. ხალხი სანჩესის წინააღმდეგ⁸²

საქმეში არსებულ დღიურში იყო ბრალდებულის ჩანაწერი მის მიერ განხორციელებულ მკვლელობასთან დაკავშირებით. ეს დღიური იპოვა ბრალდებულის დამ და გადასცა ის ადვოკატს, რომელმაც

⁷⁹ Hitch v. Pima County Superior Cour, 708 P.2d 72, 74 (Ariz. 1985), www.law.justia.com

⁸⁰ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 31.

⁸¹ Morrell v. State, 575 P.2d 1200, 1206 (Alaska 1978), www.law.justia.com

⁸² People v. Sanchez, 30 Cal. Rptr. 2d 111, 114-15 (Ct. App. 1994), www.law.justia.com

წარადგინა სასამართლოში. პროკურორმა წარმატებით გამოიყენა მიღებული მტკიცებულება.⁸³

ჰიჩის და სანჩესის საქმეები საყურადღებოა, რადგან თითოეულში განსხვავებულად მოხდა დასაბუთება, რაც ხშირად იგნორირებული იყო. ჰიჩის საქმეში მოსამართლე ფელდმანმა დაწერა: „დაცვის ადვოკატი არასდროს უნდა ჩადგეს იმ პოზიციაში, როდესაც ის ეხმარება მთავრობას ბრალის დამტკიცებაში. მე მაქვს ურყევი პოზიცია, რომ ადვოკატს არ აქვს ვალდებულება, შეინახოს ბრალდების დამტკიცებისთვის არსებული უდავო მტკიცებულება მესამე მხარისგან. სალი აზრი მკარნახობს, რომ მან არასდროს უნდა ეძებოს ასეთი მტკიცებულებები და უარი უნდა თქვას მესამე მხარისგან მათ მიღებაზე. მისი მოქმედების შინაარსი უნდა იყოს საგნების დატოვება პირვანდელ მდგომარეობაში. თუ ადვოკატს ექნება ინფორმაცია მტკიცებულებების მესამე პირის მხრიდან განადგურების საფრთხის არსებობის შესახებ, იგი უნდა შემოიფარგლოს ამ პირის გაფრთხილებით.

რა თქმა უნდა არსებობს გამონაკლისები ამ წესიდან. ადვოკატი უფლებამოსილია, მიიღოს და თუ საჭიროა, გამოიკვლიოს მტკიცებულება, თუ ეს ექსკლუზიურია (უდავოა), ან თუ ადვოკატი თვლის, რომ ეს მტკიცებულება გამოადგება კლიენტის დასაცავად.“⁸⁴

სანჩესის საქმეში მოსამართლე ჯონსონმა განაცხადა: „მინდა, მოვისმინო არგუმენტი იმ მოქმედებების თაობაზე თუ რატომ უნდა გადაეცეს დანაშაულში მამხილებელი დოკუმენტები (დღიური) პროკურორს. გადასახადების დამალვის ან „თეთრი საყელოს დანაშაულში“ ბრალდებულის ადვოკატმაც უნდა წაიკითხოს, შეისწავლოს და შემდეგ პროკურორს უნდა გადასცეს ათასობით გვერდის დოკუმენტაცია, რათა არ დაიმალოს დანაშაული? რა შედეგი ექნება ასეთ წესს დასაცავი პირის უფლების თვალსაზრისით და რამდენად ეფექტური იქნება მის მიერ ადვოკატისთვის დასახმარებლად მიმართვა.“⁸⁵

⁸³ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 32.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ იქვე, 33.

მინდა, მოვისმინო არგუმენტი იმ მიდგომის შედეგების თაობაზე, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა უნდა გადასცეს პროკურორს მისთვის მესამე მხარის მიერ გადაცემული ინფორმაცია. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ მიდგომამ დაცვისთვის აუცილებელი ინფორმაციის მესამე მხარის მიერ გადაცემის სურვილზე? რა გავლენას მოახდენს ასეთი მიდგომა ადვოკატის განწყობაზე, მიიღოს ინფორმაცია მესამე მხარისაგან? შესაძლებელია, რომ ასეთი მიდგომის დამკვიდრებით გაიზარდოს საქმიდან მნიშვნელოვანი მტკიცებულებების გაქრობის რისკი.“⁸⁶ მართლაც, რთულია იმ არგუმენტების მოძიება, რომლებიც დაუპირისპირდება აშშ ისტორიაში გამორჩეული ამ ორი მოსამართლის მოსაზრებასა და პათოსს. რა კრიტერიუმებითაც არ უნდა ხდებოდეს სისტემის შეფასება, საქმის სრულფასოვანი განხილვა ყოველთვის იქნება მართლმსაჯულებისადმი ნდობის არსებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამის მიღწევა კლიენტის მხრიდან ადვოკატისადმი ნდობის გარეშე ძნელად წარმოსადგენია.

3.4. სასამართლოს მკაცრი პოზიციის უარყოფითი შედეგები

3.4.1. შპს „ართურ ანდერსენი“ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ

2005 წელს განხილულ საქმეში⁸⁷ მომველიებული იყო აშშ კოდექსი, რომელიც ადგენს, რომ დანაშაულია თუ პირი „განზრახ,

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ Arthur Andersen, 544 U.S. at 706 The Court wrote: The parties vigorously disputed how the jury would be instructed on "corruptly." The District Court based its instruction on the definition of that term found in the Fifth Circuit Pattern Jury Instruction for [18 U.S.C.] § 1503. This pattern instruction defined "corruptly" as "'knowingly and dishonestly, with the specific intent to subvert or undermine the integrity' of a proceeding. The Government, however, insisted on excluding "dishonestly" and adding the term "impede" to the phrase "subvert or undermine." The... jury was told to convict if it found petitioner intended to "subvert, undermine, or impede" governmental factfinding by suggesting to its employees that they enforce the document retention policy. These changes were significant. No longer was any type of "dishonest[y]" necessary to a finding of guilt, and it was enough for petitioner to have simply "impede[d]" the Government's factfinding

კორუფციული მიზნით არწმუნებს სხვა პირს, შეცვალოს, გაანადგუროს, დააზიანოს ან დამალოს ობიექტი იმ მიზნით, რათა ხელი შეეშალოს ოფიციალურ სამართალწარმოებას“. ამას ზოგჯერ მოწმეთა შემაკავებელ ფაქტორსაც უწოდებენ, როდესაც მათ სურთ ობიექტის შეცვლა ან დამალვა. ამ საქმეში, სასამართლომ აღნიშნა, რომ ნაფიც მსაჯულებს ტერმინი „კორუფციული“ განემარტათ როგორც „განზრახ, არაკეთილსინდისიერი ქმედება, რომელსაც ოფიციალური სამართალწარმოებისათვის აქვს კონკრეტული მადესტაბილიზებელი და ძირგამომთხრელი მიზანი“. თუმცა მთავრობამ მოითხოვა, რომ ამ განმარტებიდან ამოეღოთ სიტყვა „არაკეთილსინდისიერი“ და დაემატებინათ ფრაზა „სამართალწარმოებისთვის ხელისშემშლელი“. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რამაც ძალიან მნიშვნელოვნად შეცვალა რეალობა.⁸⁸ ლოგიკურად გამოდის, რომ თუ პირი კეთილსინდისიერად და უდანაშაულოდ დაარწმუნებს სხვა პირს, არ გაუმყდავნოს ინფორმაცია სამთავრობო ორგანოებს, მისთვის ბრალის წაყენებისთვის საკმარისი იქნება სამართალდამცავი ორგანოების შუამდგომლობის წარდგენა.

„ფიზიკური მტკიცებულება“ და „ოფიციალური სამართალწარმოება“⁸⁹ აშშ კანონმდებლობით ფართოდ არის

ability.... The dictionary defines "impede" as "to interfere with or get in the way of the progress of" or "hold up" or "detract from." By definition, anyone who innocently persuades another to withhold information from the Government "get[s] in the way of the progress of" the Government.

⁸⁸ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 20.

⁸⁹ Section 215.35 provides the following definitions: 1. "Physical evidence" means any article, object, document, record or other thing of physical substance which is or is about to be produced or used as evidence in an official proceeding. 2. "Official proceeding" means any action or proceeding conducted by or before a legally constituted judicial, legislative, administrative or other governmental agency or official, in which evidence may properly be received. დებულება ადგენს: 1. „ნივთიერი მტკიცებულება“, მოიცავს ნებისმიერ საგანს, ობიექტს, დოკუმენტს, ჩანაწერს ან სხვა ნივთს, რომელიც არის ან იქნება მტკიცებულების სახით გამოყენებული ოფიციალურ სამართალწარმოებაში. 2. „ოფიციალური სამართალწარმოება“,

განმარტებული. ეს დებულება გამოიყენებოდა, როდესაც პირს სხვა განზრახვა არ ჰქონდა, გარდა მტკიცებულების დამალვისა. ასეთი შემთხვევაა, როდესაც პირი, პოლიციის გამოჩენისას“ გადაყლაპავს ნარკოტიკულ საშუალებას ან როდესაც შეაკეთებს მანქანას საავტომობილო ავარიის ადგილიდან მიმალვის შემდეგ კვალის დაფარვის მიზნით.⁹⁰ აუცილებელია, რომ პირისთვის ბრალის წაყენებამდე ბრალდების მხარე დარწმუნდეს, რომ მტკიცებულების განადგურება ან სამართალწარმოებისთვის ხელის შეშლა განზრახ განხორციელდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმოჩნდება, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე სახით ხელს შეუშლის სამართალწარმოებას, შეიძლება დანაშაულად შეფასდეს. ეს კი დამატებითი წნეხი და ტვირთი იქნება დაცვის მხარესთვის.

3.4.2. ჯონ დოს საქმე⁹¹

ჯონ დოს და მის კომპანიას ბრალი ედებოდათ ფულის გათეთრებაში და ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ გამოითხოვა 7 სატელეფონო ჩანაწერი. იურიდიული ფირმა⁹² თავდაპირველად ჯონ დოს და მის კომპანიასაც იცავდა, მაგრამ შემდეგ მან შეწყვიტა კომპანიის მომსახურება. ამის შემდეგ მთავრობამ მოსთხოვა იურიდიულ ფირმას [საქმესთან დაკავშირებული] ჩანაწერების წარმოდგენა და დამოწმება. იურიდიულმა ფირმამ უარი თქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მიუთითა ჯონ დოსთვის აშშ კონსტიტუციის მე-5 შესწორებით მინიჭებულ უფლებაზე, ადვოკატ-კლიენტის

გულისხმობს კანონის მიერ დადგენილი ადმინისტრაციული, სასამართლო, საკანონმდებლო ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას, რომლის დროსაც შესაძლებელია მტკიცებულების კანონიერად მიღება.

⁹⁰ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 22.

⁹¹ 959 F.2d 1158 (2d Cir. 1992), www.supreme.justia.com.

⁹² Paul, Weiss, Rifkind, Wharton & Garrison LLP is an international law firm headquartered on Sixth Avenue in New York City. The firm has corporate, personal representation, entertainment law, and litigation practices.

პრივილეგიასა და ნაწარმოები პროდუქტის დოქტრინაზე. ყველა მათგანი უარყოფილ იქნა.⁹³

საინტერესო ისაა, რომ სასამართლომ ვერც კი მიანიშნა, კონკრეტულად რა გააკეთა არასწორად იურიდიულმა ფორმამ, როდესაც მიიღო და შეისწავლა ჩანაწერები და გადასცა ისინი მთავრობას უწყების გარეშე. ბოლოს და ბოლოს, თუ ოლველი ვალდებული იყო, გადაეცა დანა „მისი შუამდგომლობით“, იგივე არ უნდა გაეკეთებინა იურიდიულ კომპანიას სატელეფონო ამონაწერებზე? შესაძლოა, იურიდიულმა კომპანიამ უთხრა მთავრობას სატელეფონო ჩანაწერებთან დაკავშირებით, რათა მიეღო უწყება დოკუმენტების წარმოდგენის თაობაზე და შემდეგ გაესაჩივრებინა ის. თუ ასეა, ვერ დავადანაშაულებთ ფირმას იმისთვის, რომ მან გამოაჩინა ის მტკიცებულება, რომელთა გამოჩენაც მას არ მოეთხოვებოდა.⁹⁴

ამ საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აშშ-ში ადვოკატს არ აქვს უფლება, რაიმე საფუძვლით ან მიზეზით დაარწმუნოს სხვა პირი შესაძლო მტკიცებულების სახელმწიფო ორგანოებისთვის გადაცემისგან თავის შეკავებაში ან მათ შეცვლაში, დაზიანებასა ან განადგურებაში. ლოგიკურად, ეს ასევე უნდა გულისხმობდეს, რომ ადვოკატმა ასეთი რჩევაც კი არ უნდა მისცეს კლიენტს, რადგან თუ ეს გამჟღავნდება, ადვოკატს შეიძლება, ბრალი წაეყენოს.

4. სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების პრიმატი ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმეებში

მოსამართლე ჯონსონის პოზიცია „წინასწარმეტყველურად“ შეგვიძლია განვიხილოთ ტერორიზმის საქმეებთან დაკავშირებით. აშშ-ს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მნიშვნელოვან საფრთხედ განიხილავს ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობას და ამდენად დიდ ყურადღებას უთმობს მათი წევრების მიმართ წარმოებულ გამოძიებას. სავარაუდოდ, ასეთი მიდგომის შედეგია, რომ საქმეთა უმრავლესობა, რომელიც ტერორიზმის ბრალდებით

⁹³ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 27.

⁹⁴ იქვე, 28.

მიმდინარეობს, ბევრ კლიენტს უკარგავს ადვოკატის ნდობას, რადგან ის ხშირ შემთხვევაში, შებოჭილად და უუფლებოდ გამოიყურება.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ში მოღვაწე ადვოკატები აღმოჩნდნენ „ორ ცეცხლს შორის“ - ერთი მხრივ, პროფესიულ ვალდებულებებსა და, მეორე მხრივ, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას შორის.⁹⁵ ადვოკატთა უმრავლესობა, ისევე როგორც ყველა ღირსეული მოქალაქე, განიცდის თავისი ქვეყნის მდგომარეობას და მზად არის, თავისი საქმიანობით არა მარტო დაიცვას კლიენტის ინტერესები, არამედ მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას.

აშშ-ში მოღვაწე ადვოკატი ჯოშუა დრატელი რამდენიმე საქმეში იცავდა ტერორიზმში ბრალდებულ კლიენტებს.⁹⁶ მნიშვნელოვანია ჩემი კოლეგის მოსაზრება და პოზიცია, რადგან პრაქტიკოსი ადვოკატის შეფასება სისტემის ნაკლოვან მხარესთან დაკავშირებით არა მარტო ინფორმაციას გვაწვდის კონკრეტული საქმის დეტალების შესახებ, არამედ საშუალებას გვამლევს, გავითვალისწინოთ მისი გამოცდილება და საკუთარი ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემას შევთავაზოთ კლიენტისა და სახელმწიფოს ინტერესების დამაბალანსებელი მექანიზმები.

ადვოკატ დრატელის მოსაზრებით, ტერორიზმის საქმეებში არის სამი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის საქმიანობის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელებაზე.⁹⁷ გარდა იმისა, რომ ეს ელემენტები ეწინააღმდეგება აშშ კონსტიტუციის მე-5 შესწორებით დადგენილი უფლებების კლიენტის მიერ გამოყენებას, ასევე უქმნის ადვოკატებს

⁹⁵ Dratel, Joshua L., Ethical Issues in Defending a Terrorism Case: How Secrecy and Security Impair the Defence of a Terrorism, 2 Cardozo Pub. L. Pol'y & Ethics J. 81 2003-2004, 2.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ 1. სპეციალური ადმინისტრაციული ზომები ადგენს პატიმრობისა და კომუნიკაციის სტანდარტებს; 2. საგარეო დაზვერვის თვალთვალის აქტი ნებისმიერი ფორმით საიდუმლო თვალთვალის უფლებას აძლევს საგარეო დაზვერვას იმისთვის, რომ მათ აშშ მასშტაბითაც შეაგროვონ ინფორმაცია; 3. კლასიფიცირებული ინფორმაციის პროცედურების აქტი ადგენს კლასიფიცირებული ინფორმაციისადმი წვდომას და მის გამოყენებას სისხლის სამართლის პროცესში.

პროფესიულ, მორალურ და ეთიკურ დილემებს.⁹⁸ როგორც წესი, ამ დილემების გადაჭრას, კანონმდებლობისა და პროფესიული ეთიკით დადგენილი ნორმების დაცვით, საზოგადოება მოითხოვს ადვოკატებისაგან.

განვიხილოთ ეს სამი ელემენტი უფრო დეტალურად. 1. სპეციალური ადმინისტრაციული ზომები დაადგინა საპატიმროების ბიურომ კონკრეტული დაკავებულების მიმართ, რომელიც საკმაოდ მკაცრია და ითვალისწინებს პირის წინასასამართლო პროცესამდე პატიმრობაში ყოფნას იმაზე უფრო მკაცრი პირობებით, რაც შეიძლება ჰქონდეს მსჯავრდებულს. ასეთი ღონისძიების მიზანია ძალადობრივი დანაშაულის აღკვეთა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირისგან. ასეთი რეგულირების აუცილებლობა გაჩნდა ქუჩის კრიმინალური გაერთიანების „ლათინოამერიკელი მეფეების“ ლიდერის შემთხვევაში, როდესაც ის საპატიმროდან ამღევდა მკვლელობის ბრძანებებს. ასეთი პრევენციის გამო აიკრძალა საპატიმროში მყოფი პირის მხრიდან დაწესებულების გარეთ მყოფ საზოგადოებასთან კომუნიკაცია. ასეთი პირები განცალკევებულად იმყოფებიან საპატიმრო დაწესებულებაში და მათი სატელეფონო და ელექტრული კომუნიკაცია მკაცრად კონტროლდება.⁹⁹

მსგავსი რეგულაციები თითქმის შეუძლებელს ხდიან კლიენტის ინტერესის დაცვას, რადგან იმის ნაცვლად, რომ ადვოკატი კონცენტრირებული იყოს დაცვის სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე, მოწმეების ჩვენებების ანალიზსა თუ საქმის მასალების გამოკვლევაზე, მას უწევს კლიენტის არასათანადო საპატიმრო პირობების თაობაზე ფიქრი და კამათი. ასეთი გარემოება კი ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას დიდ ზიანს აყენებს, რაც აისახება კიდევ კლიენტის დაცვის ხარისხზე და მის ეფექტურ და სრულყოფილ დაცვაზე.

საგარეო დაზვერვის თვალთვალის აქტი 1978 წელს იქნა მიღებული, რათა გამოესწორებინა აშშ ტერიტორიაზე სადაზვერვო საქმიანობის განხორციელებასა და პირადი თავისუფლების

⁹⁸ Dratel, Joshua L., Ethical Issues in Defending a Terrorism Case: How Secrecy and Security Impair the Defence of a Terrorism, 2 Cardozo Pub. L. Pol'y & Ethics J. 81 2003-2004, 4.

⁹⁹ იქვე, 5.

შეზღუდვას შორის არსებული კონფლიქტი, რომლის მიხედვითაც, საგარეო დაზვერვას სასამართლოს სპეციალური ნებართვის გარეშე შეუძლია: 1. კონკრეტული გარემოებების არსებობისას განახორციელოს ელექტრული საშუალებებით თვალთვალი, 2. კონკრეტული სუბიექტის საკუთრებაში შეღწევა და მისი მასალების გამოკვლევა, 3. ნებისმიერი სახის ჩანაწერის შესწავლა და გამოკვლევა და 4. ნებისმიერ დოკუმენტთან წვდომა, მისი შინაარსის შესწავლის მიზნით.¹⁰⁰

მსგავსი მდგომარეობაა საქართველოშიც. ქართველი კანონმდებელი მიიჩნევს, რომ „ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“,¹⁰¹ საგამომიებო ორგანოებს სრული უფლება აქვთ, ჩაატარონ ფარული საგამომიებო მოქმედებები. ეს პრაქტიკულად ნიშნავს, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ორგანოებს შეუძლიათ, მოიპოვონ ინფორმაცია ან მასალები და თუ საჭიროდ ჩათვლიან, წინასასამართლო სხდომამდე არც კი გადასცენ დაცვის მხარეს.¹⁰² შესაბამისად, დაცვის მხარეს წარმოდგენაც არ ექნება, რა შესაძლო მტკიცებულებებს შეიძლება ფლობდეს ბრალდების მხარე.

კლასიფიცირებული ინფორმაციის პროცედურული აქტის¹⁰³ გამოყენება შეუძლია დაცვის მხარეს „მახვილად“, ისევე როგორც მთავრობა მას იყენებს როგორც „ფარს“. ამ აქტის მიღების მიზანი იყო დაცვის მხრიდან კლასიფიცირებული ინფორმაციის გამოყენებით მთავრობასთან პაექრობის სამართლიანი წესების დადგენა. ტერორიზმის საქმეები განსხვავებულია და ამ აქტის მოქმედებაც მასზე განსხვავებულად აისახება, რადგან ბრალდებულს არ აქვს კლასიფიცირებული ინფორმაციისადმი წვდომის საშუალება

¹⁰⁰ იქვე, 13.

¹⁰¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 143²-ნაწილი 2.

¹⁰² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 83-ნაწილი 5.

¹⁰³ The Classified Information Procedures Act (CIPA, enacted October 15, 1980 through S. 1482), the third appendix to Title 18 of the U.S. Code, the title concerning crimes and criminal procedures.

მანამდე, სანამ მას ბრალს არ წაუყენებენ.¹⁰⁴ ლოგიკურად, მას ვერც მთავრობასთან ექნება თანაბარი პოზიცია და ვერც ინფორმაციის გადაცემით ან გამოუყენებლობის სანაცვლოდ შეძლებს კონკრეტული ბრალის შემსუბუქებას.

11 სექტემბრის საქმეში აშშ მუსის წინააღმდეგ¹⁰⁵ განვითარებული მოქმედებები ცხადყოფს, რომ კლასიფიცირებული ინფორმაციისადმი წვდომა შეუძლებელია დაცვის მხრიდან. მუსის იზოლირება თავისი ადვოკატისგან ამწვავებს ამ საკითხს, თუმცა ეს საკითხი პრობლემური იქნებოდა მაშინაც თუ მათ ექნებოდათ მჭიდრო კავშირი, რადგან ღირებული და უტყუარი მტკიცებულების გარეშე ადვოკატი ვერ შეძლებდა მის დახმარებას.¹⁰⁶

კლასიფიცირებული ინფორმაციისა და პროცედურების აქტის მე-5 მუხლი¹⁰⁷ უკრძალავს მხარეს არა მარტო კლასიფიცირებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას, არამედ ამის მცდელობასაც კი. ეს მოთხოვნა ასევე სავალდებულოა ბრალდებულისთვის, თუ მთავრობა ამას მოითხოვს სასამართლო პროცესზე.¹⁰⁸

ადვოკატს ამის გამო უწევს ურთულესი პოზიციის დაკავება კლასიფიცირებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის მოთხოვნასა და კლიენტის ინტერესების დაცვას შორის. ის ასევე უნდა აღიჭურვოს თვითცენზურის აუცილებელი თვისებით, რათა კლიენტთან ურთიერთობის პერიოდში არ მოახდინოს „გარკვეული ინფორმაციის“ მისთვის მიწოდება.¹⁰⁹ გარდა ამისა, მან კლასიფიცირებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის მოწმეების დაკითხვის პროცესშიც უნდა გაითვალისწინოს.

¹⁰⁴ იქვე, 20

¹⁰⁵ United States v. Moussaoui, 282 F. Supp. 2d 480 (E.D. Va. 2003), www.law.justia.com.

¹⁰⁶ Dratel, Joshua L., Ethical Issues in Defending a Terrorism Case: How Secrecy and Security Impair the Defence of a Terrorism, 2 Cardozo Pub. L. Pol'y & Ethics J. 81 2003-2004, 21.

¹⁰⁷ Classified Information and Procedures Act (CIPA), 18 U.S.C.S.

¹⁰⁸ Dratel, Joshua L., Ethical Issues in Defending a Terrorism Case: How Secrecy and Security Impair the Defence of a Terrorism, 2 Cardozo Pub. L. Pol'y & Ethics J. 81 2003-2004, 22.

¹⁰⁹ იქვე, 24.

კლასიფიცირებული ინფორმაციისა და პროცედურების აქტი არღვევს მე-5 შესწორებას, რადგან ადვოკატს არ აქვს უფლება, მიაწოდოს მისთვის ცნობილი კლასიფიცირებული ინფორმაცია კლიენტს, გამოიყენოს ასეთი ინფორმაცია დაცვისთვის და უნდა გაჩუმდეს სასამართლოზე, რათა არ გაამჟღავნოს ამ აქტის შესაბამისად კლასიფიცირებული ინფორმაცია. უფრო მეტიც, ამ აქტის მე-3 მუხლის მიხედვით, მთავრობას აქვს უფლება, საკუთარი ბრძანებით აკრძალოს კლასიფიცირებული ინფორმაციის გამოყენება. მე-4 მუხლის თანახმად კი მთავრობა უფლებამოსილია, ცალმხრივად მოითხოვოს მთელი მასალის გამოყენება მისი შემდგომი გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით.¹¹⁰ შესაბამისად, დაცვის მხარე მოკლებულია რაიმე სახის ეფექტურ მექანიზმს, რომელიც დაეხმარება ბრალდებულისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებაში.

აშშ პატრიოტული აქტის¹¹¹ მიხედვით, არა სისხლის სამართლის გამოძიება, არამედ საგარეო სადაზვერვო მიზანი უნდა იყოს ამ მასალების შეგროვება და ანალიზი. აშშ სასამართლოებმა ააგეს „გამყოფი კედელი“ სისხლის სამართლის საქმეებსა და სადაზვერვო საქმიანობის საქმეებს შორის. სადაზვერვო ორგანოებიც იძულებულნი იყვნენ, დამორჩილებოდნენ ასეთ მიდგომას. მაგრამ შედეგად აღმოჩნდა, რომ სასამართლოებმა მიიღეს და დააკმაყოფილეს სადაზვერვო სამსახურის ათასობით მოთხოვნა აშშ-ის მოქალაქეების მიმართ თვალთვალისა და მათ მიმართ სამძებრო სამუშაოების წარმართვის მოთხოვნით.¹¹² აქაც „გამოიძებნა“ გზა, რომ ადვოკატმა ვერ შეძლოს იმ მასალებთან წვდომა, რომელიც მნიშვნელოვანია თავისი კლიენტის დასაცავად.

ადვოკატ დრატელის აზრით, საერთაშორისო დაზვერვის მიმართულებით განხორციელებული მოქმედებები განვითარდა „პირველხარისხოვანი მიზნიდან“ „მნიშვნელოვან მიზნამდე“, ხოლო შემდეგ „ნებისმიერ მიზნამდე“, რაც საგარეო დაზვერვის ბრძანებას დიდ და განუზომელ ძალას სძენს. ამის შედეგად, საკმარისია,

¹¹⁰ იქვე, 21.

¹¹¹ The USA Patriot Act of October 26, 2001.

¹¹² Dratel, Joshua L., Ethical Issues in Defending a Terrorism Case: How Secrecy and Security Impair the Defence of a Terrorism, 2 *Cardozo Pub. L. Pol'y & Ethics J.* 81 2003-2004, 14.

მთავრობამ სასამართლოს წარუდგინოს მოთხოვნა „საგარეო დაზვერვის ინფორმაციის“ გრიფით, რომელიც უაღრესად ფართო და არაკონკრეტულია, ხოლო სასამართლო კი „საერთაშორისო ტერორიზმისგან თავდაცვის მიზნით“ აძლევს მოქალაქეებზე თვალთვალის განხორციელების უფლებას.¹¹³

ტერორიზმში ბრალდებულთა უმრავლესობას სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატები იცავენ, რადგან მათ არ აქვთ დაცვის განხორციელების ფინანსური შესაძლებლობა. შესაბამისად, არ აქვთ ექსპერტებისა თუ საქმესთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობა, რაც ასევე უარყოფითად აისახება მათი დაცვის ხარისხზე. ბრალდებულის იზოლაცია იწვევს პარანოიას და ის თვლის, რომ სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატი არ იქნება მისი ინტერესების დამცველი და იზრუნებს მხოლოდ იმისთვის, რომ დაეხმაროს გამომძიებებს. ამიტომ კლიენტი ხშირად არ უმხელს ადვოკატს საქმესთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორცაა მოწმეთა ვინაობა, სხვადასხვა ნივთის ადგილსმყოფელი და სხვა. ეს გამოწვეულია ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის პერიოდში „სახელმწიფოს ყოფნით“, რაც ეწინააღმდეგება აშშ კონსტიტუციის მე-6 შესწორებას.¹¹⁴

ამ თვალსაზრისით, საქართველოში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების (საზოგადოებრივი ადვოკატის) დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა¹¹⁵ მნიშვნელოვნად გაზარდა დაცვის ქვეშ მყოფთა ნდობა სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელებულ დაცვასთან მიმართებით, მაგრამ სამართალწარმოების თანასწორუფლებიან პრინციპზე წარმართვისათვის აუცილებელია ფარული საგამომძიებო მოქმედებებით მიღებული ინფორმაციის და მასალების ადვოკატისთვის გადაცემის საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოიშვას ნდობა, რათა კლიენტმა სრულად მიაწოდოს ადვოკატს

¹¹³ იქვე, 14.

¹¹⁴ იქვე, 7.

¹¹⁵ იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი.

საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, მაგრამ ეს წახალისებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა ადვოკატს მისცემს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული საიდუმლო ინფორმაციისადმი წვდომის შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტი თავს შეიკავებს ადვოკატთან ღია თანამშრომლობისაგან, რადგან მის მიერ მიწოდებული ნებისმიერი ინორმაცია შესაძლოა მისსავე საწინააღმდეგოდ იქნას გამოყენებული. აქედან გამომდინარე, კონფიდენციალობის პრინციპის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი – წახალისოს კლიენტი ადვოკატისთვის დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მასალების მიწოდებისკენ ვერ იქნება მიღწეული.

5. ადვოკატის მიერ შესაძლო მტკიცებულების გამოყენების მექანიზმი

გამოცდილი ადვოკატები მარტივი ანალიზის შედეგადაც ადგენენ, რომ სასამართლოები ერთმანეთშიც ვერ თანხმდებიან შესაძლო მტკიცებულების მიღების, შენახვისა თუ გამოყენების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.¹¹⁶ ამ წინააღმდეგობრივი მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნა იურიდიული პროფესიის ყველა წარმომადგენლის ვალდებულებაა, რადგან საზოგადოების თითოეული წევრისთვის უმნიშვნელოვანესია განჭვრეტადი მართლმსაჯულების სისტემის გამართულად მუშაობა.

სტეფან გილერსის აზრით, „სასამართლოები ნაკლებად ცდილობენ სხვადასხვა მხარის ინტერესების დაბალანსებას. შესაძლოა, ეს გამოწვეული იყოს იმით, რომ სასამართლოები მცდარ გზას ირჩევენ, რადგან კონცენტრირდებიან უმნიშვნელო კითხვაზე – იცავს ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია კონკრეტულ მტკიცებულებას? პასუხი, რა თქმა უნდა, უარყოფითია. სასამართლო ამ უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ასკვნის, რომ ადვოკატმა აუცილებლად უნდა მიაწოდოს ასეთი მასალა საგამომიებო ორგანოებს, რაც მცდარია. ჩვენ ჯერ უნდა გავარკვიოთ, უქმნის თუ

¹¹⁶ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 7.

არა სავალდებულო გამჟღავნება საფრთხეს კლიენტის ინტერესებს, და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყოთ მსჯელობა, რამდენად შეგვიძლია კონკრეტული ინტერესის დაცვა კანონის აღსრულების პროცესისთვის ზიანის მიყენების გარეშე“.¹¹⁷

თუ გავყვებით ამ მოსაზრებას, ლოგიკურად მივალთ დასკვნამდე, რომ მანამდე, სანამ ადვოკატი გადასცემს ბრალდების მხარეს შესაძლო მტკიცებულებას, მან უნდა გაარკვიოს, ჰქონდა თუ არა მას მასალების მისაღებად საკმარისი საფუძველი და თუ ჰქონდა, როგორ უნდა გამოეყენებინა ის. შესაბამისად, სასამართლოებმაც იმავე შეკითხვას უნდა უპასუხოთ და თუ აღმოჩნდება, რომ ადვოკატის ქმედება არ ეწინააღმდეგებოდა კანონს, მის მიმართ რაიმე სახის სანქციის დაკისრებაც არ უნდა მოხდეს.

გილერსი ასევე არასწორად მიიჩნევს სასამართლოების მიდგომას, როდესაც ისინი ადგენენ, რომ: „ადვოკატმა საკუთარი შუამდგომლობით უნდა გადასცეს ობიექტი პროკურორს“. ამ მცდარი პოზიციის გაგრძელებად, სასამართლო მთავარ კითხვად განიხილავს, იყო თუ არა სახელმწიფო უფლებამოსილი, დაედგინა ადვოკატის წყარო, თუ თვითონ ადვოკატი იყო სახელმწიფო ბრალდების წყარო.¹¹⁸ ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან შესაძლო მტკიცებულების წყაროს შეუძლია საბოლოო განაჩენის დადგენა. ამდენად, მტკიცებულების წყაროს იდენტიფიცირებაც უნდა გამომდინარეობდეს იქიდან თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსამართლისთვის ამის განხორციელება საქმეზე ობიექტური განაჩენის გამოსატანად.

გილერსი გამოყოფს სამ პოსტულატს: პირველი პოსტულატი გულისხმობს, რომ კლიენტი არ უნდა დაზარალდეს ადვოკატის მიერ ინფორმაციის ან მასალების მოპოვების გამო (კლიენტის დაცვის პოსტულატი).

მეორე პოსტულატი გულისხმობს, რომ სახელმწიფო არ უნდა დაზარალდეს იმის გამო, რომ ადვოკატმა მიიღო ინფორმაცია ან მასალები (სახელმწიფოს დაცვის პოსტულატი).

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 35.

მესამე პოსტულატი გულისხმობს, რომ რადგან შეუძლებელია ორივე პოსტულატის დაცვა, ამიტომ უპირატესი კლიენტის ინტერესების დაცვაა და ადვოკატმა უნდა გამოიყენოს და შეინახოს ინფორმაცია ან მასალები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კანონიერია ან ემსახურება საჯარო ინტერესს. საჯარო ინტერესი ამ შემთხვევაში, შესაძლოა, იყოს საზოგადოების უსაფრთხოება ან მოპარული ქონების დაბრუნება. არც ერთ ასეთ შემთხვევაში, ადვოკატის ქმედებამ არ უნდა გაზარდოს კლიენტის ქმედების გამოვლენის და მისთვის ბრალის წაყენების რისკი. ამავე დროს კლიენტს არ უნდა მიეცეს საშუალება, ადვოკატის ოფისში დამალოს მტკიცებულებები და ამით ხელი შეუშალოს გამოძიებას. (გამაერთიანებული პოსტულატი).¹¹⁹

გილერსის მოსაზრებით, სწორედ ადვოკატი უნდა წყვეტდეს შესაძლო მტკიცებულების ბედს და მანვე უნდა აგოს პასუხი, თუ ის დაარღვევს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.¹²⁰ თუმცა,

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ A. When a Lawyer Has No Legitimate Reason to Take Possession of an Item, She Should Not. If She Does So Any way, the State Is Entitled to Require Her to Prove the Chain of Custody, even if the Source Is the Client. B. A Lawyer Has No Duty to Take Possession of or Retain an Item to Prevent Its Destruction or Alteration, to Preserve Stolen Property, or to Protect the Public, but if a Lawyer Is Permitted or Encouraged to Do So, She Cannot Then Be Required to Give the Item to the Authorities if Doing So Harms Her Client. C. A Lawyer May Take Possession of an Item Temporarily when She Has a Legitimate Need to Test or Inspect It in Order to Effectively Represent Her Client, but Must Then Return It to the Source if Possible Unless Return Is Excused for a Reason Described in Part IVD. D. A Lawyer May Take Possession of and Retain an Item Indefinitely: (1) In Order to Avoid Danger to Others; (2) When the Item Is the Lawful Property of Another and Immediate Return to the Owner Is Not Possible Without Incriminating the Client; (3) If the Item Has Exculpatory Value; and (4) When Return Is Impossible. E. When a Lawyer Is Permitted Temporarily or Indefinitely to Take Possession of Real Evidence or to Deliver the Item Anonymously, the State's Interests Can Be Protected Through a "New Investigative Procedure" and a Registry Requirement; „ა) თუ ადვოკატს არ აქვს რაიმე კანონიერი მიზეზი ნივთის მფლობელობაში მიღების, არ უნდა მიიღოს ეს ნივთი. თუ მაინც განახორციელებს ასეთ ქმედებას, მაშინ სახელმწიფო უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი პატიმრობა, მაშინაც კი თუ ადვოკატის წყარო მისი კლიენტია; ბ) ადვოკატი არ არის ვალდებული მიიღოს ან შეინარჩუნოს ნივთი მისი: განადგურების ან შეცვლის თავიდან აცილების, მოპარული საკუთრების დაცვის, ან საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით. მაგრამ თუ ის წახალისებულია ამ ქმედების განახორციელებისკენ, მაშინ მას არ შეიძლება, მოეთხოვოს ამ ნივთების

უნდა გავითვალისწინოთ, რომ აშშ-სა და საქართველოში არსებული განსხვავებული სამართლებრივი სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში მოღვაწე ადვოკატების მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებების შეფასების ეფექტურად და ობიექტურად განხორციელების მიზნით, აუცილებელია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობის მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია საკანონმდებლო დონეზე, რომლის შედეგადაც სპეციალურ რეჟიმში მოხდება ამ ორგანოს მიერ ასეთი საკითხების განხილვა.

სპეციალურ რეჟიმში განხილვის დროს გასათვალისწინებელი იქნება შემდეგი საკითხები:

1. შესაძლოა თუ არა მტკიცებულების წყარო იყოს ადვოკატი, კლიენტი ან მისი ნათესავი ან მეგობარი, რომელიც უშუალოდ მიაწვდის ადვოკატს საქმესთან დაკავშირებულ ობიექტს;

2. შესაძლო მტკიცებულების მნიშვნელობა და მისი კანონიერად ფლობის შესაძლებლობა დამოკიდებულია მის რაობაზე. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკული საშუალება და სხვა მსგავსი ნივთების შენახვა თავისთავად ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. მაგრამ მსხვერპლის საათი ან სხვა მსგავსი ნივთი, რომელიც ხსნის დანაშაულის მოტივს, ან ამტკიცებს კლიენტის უდანაშაულობას, ადვოკატმა უნდა გამოიკვლიოს;¹²¹

საგამოძიებო ორგანობისათვის გადაცემა, თუ ეს ქმედება ზიანს მიაყენებს მისი კლიენტის ინტერესებს; გ) ადვოკატს შეუძლია მიიღოს დროებით მფლობელობაში ნივთი, მისი გამოკვლევის მიზნით, თუ არსებობს ამის კანონიერი აუცილებლობა კლიენტის ინტერესების ეფექტურად დაცვის უზრუნველსაყოფად. მაგრამ ამის შემდეგ ადვოკატმა უნდა დააბრუნოს ეს ნივთი, თუ ეს შესაძლებელია; დ) ადვოკატს შეუძლია მიიღოს და განუსაზღვრელი ვადით შეინახოს ნივთი თუ: 1. ამით თავიდან აიცილებს სხვებისთვის ზიანის მიყენებას; 2. ნივთი სხვა პირის საკუთრებაა, მაგრამ მისი დაუყოვნებლივი დაბრუნება მესაკუთრისთვის შეუძლებელია კლიენტისთვის ზიანის მიყენების გარეშე; 3. ნივთს აქვს ექსკლუზიური ღირებულება და 4. მისი დაბრუნება შეუძლებელია; ე) როდესაც ადვოკატი უფლებამოსილია დროებით ან უვადოდ მიიღოს და შეინახოს ნივთები ან ანონიმურად გადაცეს ისინი, სახელმწიფოს ინტერესები დაცულია „ახალი საგამოძიებო პროცედურებითა“ და სარეგისტრაციო მოთხოვნებით.“

¹²¹ Gillers, Stephen, Guns, Fruits, Drugs, and Documents: A Criminal Defence Lawyer's Responsibility for Real Evidence, 63 Stanford Law Review 813, 2010-2011, 11.

3. ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია იცავს კლიენტის საიდუმლოებას და ადვოკატი ვალდებულია გაერკვეს, რამდენად რეალური იქნება მის ხელთ არსებული შესაძლო მტკიცებულებების მისი კლიენტის საწინააღმდეგოდ გამოყენება;

4. ობიექტის საბოლოო ღირებულება. მაგალითად, ზოგიერთ ობიექტს შეიძლება ახლდეს კლიენტთან დამაკავშირებელი ნიშნები. კერძოდ ცეცხლსასროლ იარაღს ანაბეჭდები, წერილობითი დოკუმენტი კლიენტის მიერ იყოს დაწერილი, მაგრამ თუ ასეთი რამ არ არის, მაშინ შესაძლოა არც კი იყოს საინტერესო ბრალდებლისთვის ასეთი ობიექტების გამოკვლევა. თუმცა, ბანკის ძარცვის შედეგად წაღებულ თანხასაც ვერ ექნება კლიენტთან დამაკავშირებელი ნიშნები, მაგრამ ის შესაძლოა საინტერესო იყოს გამოძიებისა და ბრალდების მხარესთვის.¹²²

აშშ სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადვოკატისთვის დისციპლინირების და გამოძიების მუქარის არათანაზომიერი არსებობა საქართველოში მოღვაწე ადვოკატს აიძულებს, უფრო მეტი იფიქროს საკუთარი უსაფრთხოების და არა კლიენტის ინტერესების დაცვაზე. ადვოკატის წახალისების შემთხვევაში კი, მისი განზრახვა იქნება მესაკუთრისთვის ქონების დაბრუნება და არა კლიენტის საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარდგენა. თუ დამატებით ან ამის ნაცვლად ადვოკატი შეინახავს მასალას თავის ოფისში საზოგადოების დაცვის ან მასალის მესაკუთრისთვის დაბრუნების მიზნით, საზოგადოება და მესაკუთრე მიიღებს სარგებელს. რა მოტივიც არ უნდა ამომრავებდეს ადვოკატს, საქმიანობის კეთილსინდისიერად განხორციელება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება თუ ქონების მესაკუთრისთვის დაბრუნება, სახელმწიფო პოლიტიკამ და კანონმდებლობამ უნდა წახალისოს ადვოკატი, მიიღოს და შეინახოს შესაძლო მტკიცებულებები, რადგან ადვოკატისგან განსხვავებით, კლიენტმა შესაძლოა გაანადგუროს, დამალოს ან შეცვალოს იგი. ხოლო ადვოკატი, რომელიც ისეთივე წარმომადგენელია იურიდიული პროფესიის, როგორც პროკურორი ან მოსამართლე, დიდი ალბათობით, გააცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას და ქმედებების შესაძლო შედეგებს.

¹²² იქვე, 12.

**ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა
კონფიდენციალობის ვალდებულებისა და კლიენტის ინტერესების
პრიორიტეტულობის დაცვით**

სოფიო ჩაჩავა*

I. შესავალი

საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსი ეფუძნება 6 ძირითად პრინციპს, ესენია: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა და კოლეგიალობა.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც რამდენიმე ეთიკური ვალდებულება თუ პრინციპი ერთმანეთთან კვეთაში მოდის და ადვოკატს მყისიერად უწევს გადაწყვეტილების მიღება. ამ მხრივ საინტერესოა, პრინციპებს შორის რამდენად არსებობს რანგირება და, წინააღმდეგობის შემთხვევაში, რომლის სასარგებლოდ უნდა მიიღოს ადვოკატმა გადაწყვეტილება. როგორ უნდა მოხდეს ამ წინააღმდეგობის გამორიცხვა ან მინიმუმამდე შემცირება; ასევე, რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს ადვოკატმა, რათა არ დაარღვიოს ეთიკური ვალდებულება და პროფესიული სტანდარტების ერთგული დარჩეს.

მოცემულ კვლევაში დასმულია საკითხი, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ადვოკატმა, რათა დროულად, ურთიერთობის საწყის ეტაპზევე, გამოავლინოს ინტერესთა კონფლიქტი ან დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხე იმგვარად, რომ არ დაარღვიოს კონფიდენციალობის პრინციპი და არ შეარყიოს ადვოკატისა და პროფესიის მიმართ ნდობა.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ინტერესთა კონფლიქტისა და დამოუკიდებლობის პრინციპის ფარგლები კონფიდენციალურობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის ჭრილში. აქვე განხილულია საკითხი, თუ როგორ შეიძლება ადვოკატმა ეფექტიანად დაიცვას კლიენტის ინტერესები და არ დაარღვიოს ეთიკური ვალდებულება. ასევე,

* ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის ეთიკის კათედრის თავმჯდომარე.

რამდენად, რა ეტაპზე და რა შემთხვევებში არის ინტერესთა კონფლიქტისა თუ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხის საფუძველით გამართლებული ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევაზე უარი და/ან ხელშეკრულების შეწყვეტა და სხვა რა ალტერნატივები არსებობს.

II. ინტერესთა კონფლიქტი, ადვოკატის დამოუკიდებლობა

1. ინტერესთა კონფლიქტის მოწესრიგება

საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსის (შემდგომში საეკ) მე-6 მუხლი ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობას. მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „ადვოკატს არ აქვს უფლება პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს რამდენიმე პირი ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც: ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგო ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე, ასევე, როდესაც ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის შეზღუდვა ვრცელდება მათ შორის ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებზე. შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის აკრძალვა ვრცელდება იურიდიული ფირმის ყველა ადვოკატზე. ანალოგიურია მიდგომა როგორც გერმანიის ადვოკატთა შესახებ

კანონმდებლობის¹ ასევე ა.შ.შ.-ის მოდელური წესებისა² და ევროპის კავშირის ადვოკატების ქცევის კოდექსის თანახმად.³

2. ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც „საქმეში ერევა მესამე პირი, ადვოკატის ინტერესები კვეთს კლიენტის ინტერესებს ან კონფლიქტი არსებობს რამდენიმე კლიენტს შორის.“⁴

მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დროულად იქნეს გამოვლენილი ინტერესთა კონფლიქტი ან ასეთის წარმოშობის საფრთხე, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გართულებები. შესაბამისად, სასურველია, სანამ ადვოკატი პოტენციურ კლიენტს თანხმობას განუცხადებს მომსახურების გაწევაზე, დაადგინოს, ხომ არ არსებობს გარემოება რომელიც ინტერესთა კონფლიქტს ან მისი წარმოშობის საფრთხეს ქმნის.

აშშ-ის გამოცდილების თანახმად, ადვოკატმა პირველ რიგში უნდა გაარკვიოს: 1) ვინ არის მისი პოტენციური კლიენტი ან კლიენტები და ვინ არის მოწინააღმდეგე მხარე; 2) არსებობს თუ არა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის საფრთხე; 3) თუ არსებობს ასეთი, გადაწყვიტოს, შეიძლება თუ არა წარმომადგენლობის განხორციელება არსებული კონფლიქტის მიუხედავად და 4) ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გაიაროს კონსულტაცია კლიენტთან და მიიღოს მათგან ინფორმირებული თანხმობა წერილობითი ფორმით.⁵ ამგვარი პრაქტიკა არ არის დასაშვები საეკ-

¹ Schwärze, Feuerich/Weyland, BRAO, § 44, Rn 10a.

² აშშ-ის მოდელური წესების 1.10 მუხლი, შდრ. მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 145.

³ CCBE ჩანაწერის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის წესები ვრცელდება საადვოკატო ფირმაზეც (იხ. ვრცლად ევროპული კავშირის ადვოკატების ქცევის კოდექსი (1988 წლის 28 ოქტომბერი), როდესაც ადვოკატები ახორციელებენ იურიდიულ პრაქტიკას კომპანიაში, პუნქტები 3.2.1-3.2.3 ვრცელდება კომპანიასა და მის წევრებზე, იხ. მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 153.

⁴ მოლიტერნო და სხვები, იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, 2009, 58.

⁵ მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 146.

ის მოწესრიგების განმარტებების თანახმად, რაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერაა დამკვიდრებული.⁶

ინტერესთა კონფლიქტი ყოველთვის სახეზეა, როდესაც ადვოკატი არ არის თავისუფალი მესამე მხარის ჩარევისაგან, ადვოკატსა და კლიენტის ინტერესებს შორის არსებობს კონფლიქტი ან ერთი ადვოკატის რამდენიმე კლიენტს შორის არის კონფლიქტი.⁷ ინტერესთა კონფლიქტის აკრძალვა ძირითადად კონფიდენციალობისა და კლიენტისადმი ერთგულების დაცვას ემსახურება.⁸

ინტერესთა კონფლიქტის დადგენის დროს ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს მისი პირადი და მისი საადვოკატო ფირმის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში გაცემული ნებისმიერი კონსულტაცია ან განხორციელებული წარმომადგენლობა.⁹ ამასთან გამოიკვილოს ნებისმიერი კავშირი პოტენციური კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან როგორც მისი, ასევე მისი საადვოკატო ფირმის ნებისმიერი ადვოკატის პერსპექტივიდან.

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატმა ან იმავე საადვოკატო ფირმის სხვა ადვოკატმა გასწია კონსულტაცია ან განხორციელა წარმომადგენლობა იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც მოცემულ ვითარებაში, პოტენციური კლიენტის მოწინააღმდეგეა. ამასთან საქმე ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულია. ერთი და იგივე ან დაკავშირებული საქმე შესაძლოა ფართოდ განიშარტოს. კერძოდ, შესაძლებელია, მხარეები სულ სხვა პროცესსა და ფორმატში დაობდნენ დღეს, მაგრამ ინტერესთა კონფლიქტი, როგორც წესი, სახეზეა, თუ დავის ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც სამართლებრივი შეფასება უნდა დაეყრდნოს, ძირითადად – ერთი და იგივე.¹⁰

⁶ შდრ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები, საქმე N #079/14, და საქმე N #015/10.

⁷ მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 138, 139.

⁸ ასევე მოლიტერნო და სხვები, იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, 2009, 59.

⁹ Träger, Feuerich/Weyland, BRAO, § 43a, Rn. 56.

¹⁰ BGH Urteil vom 4.02.1954 – 4 StR 724/53, LMRR 1954, 3.

ინტერსთა კონფლიქტი შესაძლებელია სახეზე იყოს, როდესაც პოტენციური კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სრულიად სხვა საკითხებზე სარგებლობდა ან სარგებლობს იურიდიული მომსახურებით იმავე საადვოკატო ფირმაში. ასევე როდესაც სახეზეა ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტი.¹¹ მათ შორის, როდესაც რამდენიმე პროცესში აქვს ადვოკატს განხორციელებული სხვადასხვა საქმეზე წარმომადგენლობა ან გაწეული კონსულტაცია.¹² ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა სახეზე იყოს, თუ ადვოკატი ერთ-ერთ მეუღლეს წარმოადგენდა სხვა საქმეზე (ქონებრივ ან სისხლისსამართლებრივ პროცესში) და შემდგომ განქორწინების დავაში წარმოადგენს მეორე მეუღლეს.¹³ ასევე როდესაც ადვოკატი დასაქმებულის ინტერესებს იცავდა, მაგ. სისხლის სამართლის საქმეზე და შემდეგ შრომით დავაში დამსაქმებლის ინტერესებს იცავს.¹⁴ ინტერსთა კონფლიქტად შეიძლება იქნეს მიჩნეული ხელშეკრულების გაფორმების მიზნით გაწეული კონსულტაცია, როდესაც ადვოკატი წარმოადგენს როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს.¹⁵ გერმანულ სამართალში, სადავოა, ხომ არ კვეთს ერთმანეთს არასრულწლოვანი შვილებისა და ერთ-ერთი მშობლის ინტერესები განქორწინებისა და ქონების გაყოფის დავაში.¹⁶

ინტერსთა კონფლიქტი შეიძლება ასევე წარმოიშვას, თუ რამდენიმე ადამიანი პროცესუალურად ერთ მხარეს არის, მაგრამ მათი ინტერესები ნაწილობრივ ან სრულად ¹⁷ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია, ურთიერთგამომრიცხავია. მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევაში როდესაც ადვოკატი რამდენიმე დაზარალებულის ინტერესებს წარმოადგენს და ერთ-ერთი დაზარალებულის მიმართ მეორეს შესაძლოა ასევე ჰქონდეს

¹¹ Träger, Feuerich/Weyland, BRAO, § 43a, Rn.59a.

¹² იქვე, Rn. 69.

¹³ იქვე, Rn. 67a.

¹⁴ იქვე, Rn. 69d.

¹⁵ BGH, Urteil vom 12.5.2016-IX ZR 241/14, NJW 2561.

¹⁶ BGH, Urt 23.4.2012 – AnwZ (Brfg) 35/11, NJW 2012, 3039, შდრ. ასევე § 2 Berufsrechtliche Gragen, Gross, Schnitzler Anwaltshandbuch Familienrecht, Aufl. 4, 2014. Rn. 46, 47.

¹⁷ Träger, Feuerich/Weyland, BRAO, § 43a, Rn. 64.

სოლიდარული მოვალის სახით ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.¹⁸

არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი მიდგომა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოშობის საფრთხეს უდავოდ დაადგენს. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში გარემოებების შეფასების საფუძველზე ადვოკატმა თავად უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, თუმცა საექსპერტის შემთხვევაში, უმჯობესია ინტერესთა კონფლიქტის სასარგებლოდ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება – ვიდრე პირიქით.

3. დამოუკიდებლობა

ინტერესთა კონფლიქტი დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს. მიიჩნევა, რომ კლიენტს აქვს წამყვანი როლი ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში და პრიორიტეტული სწორედ კლიენტის ინტერესებია. თუ არსებობს გარემოება, პირადი ან კორპორაციული ინტერესი ან მესამე პირი, რომელსაც აქვს გარკვეული გავლენა ადვოკატის საქმიანობაზე, ის აღარ არის დამოუკიდებელი კლიენტისათვის საუკეთესო გამოსავლის ძიების პროცესში.¹⁹

საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად ადვოკატი „თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი ადგენს, რომ „ადვოკატი ვალდებულია, არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ.“

ევროპის ადვოკატურისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს (CCBE) ადვოკატთა ქცევის კოდექსის თანახმად „რიგი

¹⁸ LG Saarbrückens, Urteil vom 16.01.2015 – 13 S 124/14 BeckRS 2015, 03794, FD-StrVR 2015, 367515.

¹⁹ Römermann, Römermann/Prass, BRAO, § 43a, Rn 12.

მოვალეობები, რომლებიც ადვოკატს აკისრია, მოითხოვს მის სრულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ყოველგვარი გარეშე გავლენისგან, განსაკუთრებით კი ისეთი გავლენისგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მისი პირადი ინტერესებიდან ან გარეშე ზეწოლისგან. ასეთი დამოუკიდებლობა ისეთივე აუცილებელია მართლმსაჯულების პროცესისადმი ნდობის მოსაპოვებლად, როგორც მოსამართლის მიუკერძოებლობა. შესაბამისად, ადვოკატმა თავიდან უნდა აიცილოს დამოუკიდებლობის შელახვა ნებისმიერი ფორმით და უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე, რათა კლიენტის, სასამართლოს ან მესამე მხარის გულის მოგების მიზნით არ დათმოს საკუთარი პროფესიული სტანდარტები.²⁰

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა კლიენტის ინტერესებისადმი ერთგულების ვალდებულებაა, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის დამოუკიდებლად რჩევის მიცემას. როდესაც დამოუკიდებლობას გარეშე გავლენა უშლის ხელს, შესაძლოა არსებობდეს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადვოკატის მიერ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ყველა ცალკეულ კლიენტთან დაკავშირებით.²¹

ადვოკატის დამოუკიდებლობა, ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანოებისაგან დამოუკიდებლობას მოიაზრებს,²² თუმცა ეს წესი თანამედროვე საზოგადოებაში მოქმედებს ნებისმიერი პირის მიმართ, მათ შორის კლიენტთან და საკუთარ ინტერესებთან მიმართებითაც.²³

შესაბამისად, ინტერსთა კონფლიქტის საფრთხის არსებობის მსგავსად, დამოუკიდებლობის პრინციპის ხელყოფის საფრთხის არსებობის შემთხვევაში უმჯობესია, ადვოკატმა უარი თქვას მომსახურეობის გაწევაზე, რათა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა და ნდობა არ დააყენოს ეჭვქვეშ.

²⁰ მუხლი 2.1.1.

²¹ მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 138.

²² Römermann, Römermann/Prass, BRAO, § 43a, Rn. 6.

²³ Römermann, BeckOK BORA, 18 Aufl., § 1, Rn 10-14.

4. ინტერესთა კონფლიქტისა თუ დამოუკიდებლობის პრინციპის მიჯნა

გერმანიის სასამართლოს პრაქტიკიდან ერთ-ერთ საქმეზე „ა“-მ ადვოკატს მიმართა იურიდიული დოკუმენტის შედგენის მიზნით. მოწინააღმდეგე მხარე იყო ბანკი „ბ“, რომელსაც ამავე საადვოკატო ფირმის ერთ-ერთი პარტნიორი წლების განმავლობაში ემსახურებოდა, თუმცა კონსულტაცია და წარმომადგენლობა ხორციელდებოდა ყოველთვის მხოლოდ კომპანიების და ორგანიზაციების წინააღმდეგ დავებში. ვინაიდან პოტენციური კლიენტი ფიზიკური პირი იყო, ადვოკატი დასთანხმდა კლიენტს მომსახურებაზე და შეადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. თუმცა ურთიერთობის შემდეგ ეტაპზე უარი უთხრა წარმომადგენლობის განხორციელებაზე წერილობით. ადვოკატი წერდა, რომ მოწინააღმდეგე მხარე წლების განმავლობაში იყო ფირმის ერთ-ერთი ადვოკატის კლიენტი. ბანკის წარმომადგენლებმა შეიტყვეს „ა“-სა და საადვოკატო ფირმის ადვოკატს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ. შესაბამისად საადვოკატო ფირმისაგან დაჟინებით მოითხოვეს, ამ საადვოკატო ფირმის მიერ არ მოხდეს იმ კლიენტისათვის მომსახურების გაწევა, რომელიც ბანკის წინააღმდეგ აწარმოებს საქმეს.²⁴

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში მიიჩნია, რომ სახეზე იყო ეკონომიკური დამოკიდებულება და გავლენა. კერძოდ, კორპორაციული კლიენტის კატეგორიული მოთხოვნის შეუსრულებლობა (მისი ინტერესის გაუთვალისწინებლობა) საადვოკატო ფირმისათვის ეკონომიკურ საფრთხეს შეიცავდა, ვინაიდან მისი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაძლოა საადვოკატო ფირმას დაეკარგა კლიენტი, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სოლიდურ შემოსავალს უზრუნველყოფდა საადვოკატო ფირმისათვის. ადვოკატი არ იყო თავისუფალი ამ გავლენისაგან, შესაბამისად, ეჭვქვეშ დადგა მისი შესაძლებლობა, ემოქმედა კლიენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.²⁵

²⁴ NJW 1997, 188, BGH, Urteil vom 17.10. 1996 IX ZR 37/96, Frankfurt a.M.

²⁵ შდრ. NJW 2008, 1307, BGH, Urteil vom 8.11.2007 – IX ZR 5/06 OLG Koblenz.

საინტერესოა, საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსის თანახმად, მსგავსი შემთხვევა დაკვალიფიცირდება დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევად თუ ეს შემთხვევა შესაძლებელია, რომ ურთიერთობის საწყისი ეტაპიდანვე ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევად ჩაითვალოს?

საქართველოს ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის განმარტების თანახმად, „ადვოკატს არ აქვს უფლება პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს რამდენიმე პირი ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც... ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

მოცემულ შემთხვევაში, საადვოკატო ფირმის ორ კლიენტს შორის წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი, მიუხედავად იმისა, რომ საადვოკატო ფირმის მიერ წარმოებაში მყოფი საქმეები არ იყო ურთიერთდაკავშირებული. კორპორაციულ კლიენტს აკავშირებდა ხანგრძლივი ურთიერთობა საადვოკატო ფირმასთან, შესაბამისად, საადვოკატო ფირმის გამოხატული ინტერესი იყო კორპორაციული კლიენტის ინტერესების უპირატესად გათვალისწინება. შესაძლოა, აღნიშნული საფრთხის იდენტიფიცირება მომხდარიყო საწყის ეტაპზევე, როდესაც კლიენტმა მიმართა საადვოკატო ფირმას და ითხოვდა ბანკი „ბ“-ს წინააღმდეგ საქმის წარმოებას.

დამოუკიდებლობის პრინციპი კი მოცემულ დავაში იმ ეტაპზე დაირღვა, როდესაც „ბ“ ბანკის მიერ საადვოკატო ფირმისათვის წაყენებული მოთხოვნა, ამ ფირმის მიერ არ მომხდარიყო კლიენტისათვის მომსახურების გაწევა, რომელიც „ბ“-ს წინააღმდეგ აწარმოებდა დავას, დაკმაყოფილდა და ამით კლიენტი „ა“-ს ინტერესების უგულვებელყოფა მოხდა „ბ“-ს ინტერესების სასარგებლოდ.

საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად ადვოკატი „თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან

სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან...“
ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი ადგენს, რომ „ადვოკატი ვალდებულია, არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის... ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ.“

მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ საწყის ეტაპზე სახეზე იყო ინტერესთა კონფლიქტი, რომლის დროულად გამოვლენის შემთხვევაში, თავიდან იქნებოდა აცილებული შემდგომი დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა. იმ შემთხვევაში, თუ საწყის ეტაპზე ინტერესთა კონფლიქტის არსებობა არ გამოვლინდებოდა ან მისი არსებობა არ დადგინდებოდა, ადვოკატს კლიენტ „ა“-სთვის არ უნდა ეთქვა მომსახურებაზე უარი.

III. ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის წარმოშობა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის და კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ჭრილში

დასაფიქრებელია, როგორ უნდა მოხდეს დროულად ინტერესთა კონფლიქტისა თუ „დამოკიდებულების“ გამოვლენა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება იმგვარად, რომ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ დაირღვეს?

1. ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის წარმოშობა

სასურველია, ინტერესთა კონფლიქტისა თუ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხე ჯერ კიდევ იმ ეტაპზე გამოვლინდეს, სანამ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოიშობა.²⁶ ამისათვის უნდა შეფასდეს, რა მომენტიდან ითვლება ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოშობილად.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო

²⁶ შდრ. Träger, Feuerich/Weyland, BRAO § 43a Rn. 54.

ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.“

მოწესრიგების თანახმად, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა შესაძლებელია წარმოიშვას მაშინაც, როდესაც მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმება არ არსებობს, თუ კლიენტს გონივრული ვარაუდი შეექმნება, რომ ადვოკატმა დაიწყო საადვოკატო მომსახურების გაწევა.²⁷

ამერიკის შეერთებულ შტატებში ადვოკატების მარეგულირებელი წესების თანახმად, „ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოიშვება, როდესაც: (1) პირი უცხადებს ადვოკატს განზრახვას, რომ ადვოკატმა მას გაუწიოს იურიდიული მომსახურება და ამასთან: (ა) ადვოკატი უცხადებს პირს თანხმობას იმოქმედოს ასე; ან (ბ) ადვოკატისთვის ცნობილია ან გონივრულ ფარგლებში მას უნდა სცოდნოდა, რომ პოტენციურ კლიენტს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ ადვოკატი გაუწევს მას მომსახურებას.“²⁸

2. ინტერესთა კონფლიქტის თუ „დამოკიდებულების“ გამოვლენის თავისებურებები კონფიდენციალობის ვალდებულების ჭრილში

2.1. კონფიდენციალობის ვალდებულების არსი

როგორც ითქვა, მნიშვნელოვანია ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტსა თუ დამოუკიდებლობასთან მიმართებით არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება ჯერ კიდევ იმ ეტაპზე მოახდინოს, სანამ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაიწყება ან სანამ პოტენციურ კლიენტს შეექმნება იმის მოლოდინი, რომ ადვოკატი მას მომსახურებობას გაუწევს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს ადვოკატს, რათა არ დაირღვეს კონფიდენციალობის ვალდებულება, რომელიც ერთი-

²⁷ იქვე; შდრ. ასევე მოლიტერნო და სხვები, იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, 2009, 22.

²⁸ მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 64.

ერთი წამყვანი და უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობაში.

კონფიდენციალობის ვალდებულება ეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ აზვას, სამართლიანი სასამართლოსადმი წვდომის უფლებას და ის პირის დაცვის უფლების ძირითადი გარანტიაა.²⁹

კონფიდენციალობის ვალდებულება ნდობის პრინციპიდან გამომდინარეობს. საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ნდობას ეფუძნება. შესაბამისად, ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან; კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“ ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.“

საქართველოს ადვოკატის შესახებ კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთან, არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა.

²⁹ Römermann, Römermann/Prass, BRAO, § 43a, Rn. 36, შდრ. EGMR, NJW 207, 3409

2.2. კონფიდენციალობის ვალდებულების ფარგლები

კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ყველაფერზე, რაც ადვოკატისთვის განდობილი იქნა ან მისთვის სხვაგვარად გახდა ცნობილი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში,³⁰ მათ შორის, შემთხვევით მიღებულ ინფორმაციაზე.³¹

თუმცა, კონფიდენციალობის ვალდებულების ფარგლებში არ ექვევა საყოველთაოდ ცნობილი საჯარო ინფორმაცია და მათი საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება, შესაბამისად, ადვოკატს არ ეკისრება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კლიენტი აღნიშნულზე ხაზგასმით მიუთითებს.³² კონფიდენციალობის ვალდებულება გრძელდება, მათ შორის, კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის დასრულების შემდეგ შეუზღუდავად.³³

გაუმჟღავნებლობის ვალდებულება მოქმედებს ნებისმიერი პირის მიმართ, მათ შორის, ოჯახის წევრების, და სხვა ადვოკატების მიმართ, ისევე როგორც ნებისმიერი უწყების მიმართ.³⁴ კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევის დადგენისათვის უმნიშვნელოა, დარღვევა განზრახია თუ გაუფრთხილებლობით.³⁵ დარღვევად არ ჩაითვლება, თუ სრულად ანონიმურობის დაცვით ხდება გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნება საადვოკატო ფორმისა თუ მხარეების მითითების გარეშე.³⁶

ადვოკატი ვალდებულია, კონფიდენციალობის ვალდებულების დაცვა უზრუნველყოს ასევე სხვა თანამშრომლებზეც და მათ მიმართ. ადვოკატს არ აქვს უფლება,

³⁰ NJW Spezial, 2008, 735, BeckRS 38843; Urteil vom 14.8.2008 – 6 B 815/08, BORA § 43a, Abs. 2, S2, § 2, Abs. 2; BRAO § 43a Träger, Feuerich/Weyland, Rn. 16; მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 125, შდრ. იაპონიის ფედერაციის ადვოკატთა ასოციაციები, მოქმედ ადვოკატთა სახელმძღვანელო პრინციპები, მუხ. 23.

³¹ Römermann, Römermann/Prass, BRAO, § 43a, Rn. 61.

³² Schwärze, Feuerich/Weyland, BRAO, § 43a, Rn. 17.

³³ იქვე. Rn. 18a

³⁴ იქვე. Rn. 19

³⁵ Henssler/Prütting § 43a, Rn. 58, 61, შემდგომი მითითებებით.

³⁶ იქვე, Rn. 19.

გამყდავნოს ინფორმაცია კლიენტის თანხმობის ან კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე.³⁷

პერსონალი, რომელსაც ხელი მიუწვდება ან ჩართულია საქმის მომზადებისა თუ წარმოების პროცესში, ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალობის ვალდებულება და ადვოკატმა უნდა მიიღოს ყველა ზომა ამის უზრუნველსაყოფად. სხვა ადვოკატებს კი, ვინც საქმეზე უშუალოდ არ მუშაობს, არ უნდა ჰქონდეთ წვდომა ადვოკატის მასალებთან.³⁸ მხოლოდ კლიენტს თავად აქვს უფლება, უარი თქვას კონფიდენციალობაზე³⁹ და გასცეს ამა თუ იმ ინფორმაციის გამყდავენების უფლება.

2.3. კონფიდენციალობის ვალდებულების დაცვა ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენისას

საქართველოს ადვოკატის შესახებ კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ახალი რედაქციის⁴⁰ თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია...არ გამყდავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა.“ აღნიშნული ნორმა წინააღმდეგობაში მოდის კონფიდენციალობის პრინციპსა და კონცეფციასთან და მისი მოქმედება უნდა შეიზღუდოს, სულ მცირე, ადვოკატის მხრიდან კლიენტის წინასწარ ინფორმირების ვალდებულებით. კერძოდ, ადვოკატმა სასურველია, გასაუბრების ეტაპზევე კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია კონფიდენციალობისა და შესაბამისი გამონაკლისების შესახებ. შესაბამისად იქვე დააზუსტოს, სურს თუ არა მისი ვინაობა დარჩეს კონფიდენციალური და, ასეთი ინტერესის შემთხვევაში, აღნიშნული ინტერესი წერილობით დაადასტუროს.

კონფიდენციალობის ვალდებულების გავრცელების მიზნით, თავად ადვოკატისათვის მიმართვა უკვე ურთიერთების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს მაშინაც კი, თუ ადვოკატი კლიენტს უარს ეტყვის

³⁷ მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 118-119.

³⁸ Römermann in Beck OK BORA, 18 Auf., § 59a, Rn. 217.

³⁹ მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 119.

⁴⁰ საქართველოს 2018 წლის 4 მაისის კანონი №2266 – ვებგვერდი, 21.05.2018.

საქმის წარმოებაზე.⁴¹ შესაბამისად, წინა სახელშეკრულებო ეტაპზე წარმართული კომუნიკაცია, მიუხედავად მისი შემდგომი გაგრძელებისა, უნდა მოექცეს კონფიდენციალობის ვალდებულების დაცვის ფარგლებში.⁴²

ამ თვალსაზრისით, დასაფიქრებელია გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმად ადვოკატმა ახალ პოტენციურ კლიენტს უნდა გაუმჟღავნოს ინფორმაცია, თუ გამოვლინდება, რომ მისი მოწინააღმდეგე მხარე ამავე საადვოკატო ფირმის მომსახურებით სარგებლობს. განმარტების თანახმად, გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც ამ საქმეებს შორის არ არსებობს შინაარსობრივი ან სამართლებრივი კავშირი.⁴³

სასამართლომ განხილული დავის ფარგლებში მიიჩნია, რომ კლიენტი საწყის ეტაპზე უნდა იყოს ინფორმირებული მის მოწინააღმდეგე მხარესა და საადვოკატო ფირმას შორის არსებული ურთიერთობის შესახებ, რათა თავად მიიღოს გადაწყვეტილება, რამდენად არის მისთვის მისაღები არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ისარგებლოს ამ ადვოკატის (საადვოკატო ფირმის) იურიდიული მომსახურებით.⁴⁴

აღნიშნული მსჯელობის ფარგლებში გასათვალისწინებელია კონფიდენციალობის ვალდებულება, რომელიც ვრცელდება მათ შორის ამა თუ იმ პირის მიერ საადვოკატო მომსახურებით სარგებლობის ფაქტზე, სულ მცირე იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ადვოკატის კანონის ახალი რედაქციის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, კლიენტმა აღნიშნული წერილობით მოითხოვა.

შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტისა თუ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით არსებული საფრთხეების გადამოწმების ეტაპზე ადვოკატს განსაკუთრებული ყურადღება მართებს, არ გაამჟღავნოს ინფორმაცია პოტენციურ კლიენტთან სხვა კლიენტის შესახებ. კერძოდ, თუ დადგინდა, რომ პოტენციური

⁴¹ Träger, Feuerich/Weyland, BRAO, § 43a, Rn.16.

⁴² Henssler/Prütting, § 43a, Rn. 47; Träger, Feuerich/Weyland, BRAO, § 43a, Rn. 16.

⁴³ NJW 1997, 188, BGH, Urteil vom 17.10. 1996 I IX ZR 37/96, Frankfurt a.M.

⁴⁴ BGH Urteil vom 8.11.2007 – IX ZR 5/06 NJW, 2008, 1307.

კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე იყო ან არის ადვოკატის კლიენტი, ამ ინფორმაციის გამჟღავნების უფლება ადვოკატს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ მას ამ პირისაგან არ აქვს გამოხატული ნება ამ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შესახებ ან თუ მათ შორის ურთიერთობა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ანალოგიურად, არ უნდა გაამჟღავნოს ადვოკატმა ინფორმაცია პოტენციური კლიენტის მიმართვის შესახებ იმ პირთან ან პირებთან, რომელთანაც შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტისა თუ დამოუკიდებლობის დარღვევის საფრთხე. ამ ინფორმაციის გამჟღავნების საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, პოტენციურ კლიენტთან დააზუსტოს, რამდენად აქვს მას სურვილი ადვოკატისათვის მიმართვის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურად შეინახოს. სასურველია, პოტენციური კლიენტი ინფორმირებული იყოს მათ შორის, რა მიზნით და რა ფარგლებში ხდება ამ ინფორმაციის გამჟღავნება. ხოლო თუ ორივე კლიენტის წინასწარი მოთხოვნაა, არ მოხდეს მათ შორის მათი ვინაობის გამჟღავნება, ადვოკატს მოუწევს, უარი თქვას მომსახურებაზე დასაბუთების გარეშე, ზოგადი საფუძვლების მითითებით, ინტერესთა კონფლიქტზე მინიშნების გარეშე.

IV. საუკეთესო გამოსავალი, ალტერნატივები

1. მომსახურებაზე უარი

ხელშეკრულების დადების ვალდებულება ადვოკატს, როგორც წესი, არ გააჩნია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი სახელმწიფოს მიერ არის სავალდებულო წესით დანიშნული. და პირიქით, ადვოკატი, ზოგიერთ შემთხვევაში, ვალდებულიც კი არის, უარი თქვას მომსახურებაზე, როდესაც მომსახურების გაწევაზე თანხმობა გამოიწვევდა ეთიკის ნორმების დარღვევას ან შექმნიდა ამგვარი დარღვევის საფრთხეს.⁴⁵

მას შემდეგ, რაც ადვოკატი გამოიკვლევს და დაადგენს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი თუ დამოუკიდებლობის

⁴⁵ მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 40.

პრინციპის დარღვევის საფრთხე, მან უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საფრთხეები იდენტიფიცირებულია პოტენციურ კლიენტთან ურთიერთობის საწყის ეტაპზე იმგვარად, რომ ჯერ არ მიუღია ადვოკატს პოტენციური კლიენტისაგან კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატმა უარი უნდა თქვას მომსახურების გაწევაზე⁴⁶ საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად. ამ მუხლის თანახმად, ადვოკატს (მათ შორის ერთსა და იმავე საადვოკატო ფირმის ადვოკატებს) უფლება არ აქვს, პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი... თუ მათ ინტერესებს შორის ინტერესთა კონფლიქტია. ხოლო თუ რამდენიმე კლიენტმა ერთდროულად მიმართა ადვოკატს (ან საადვოკატო ფირმას), და მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი თავიდანვე შეცნობადია, ან პოტენციური კლიენტისაგან კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების შემდეგ ხდება ადვოკატისათვის შეცნობადი, რომ სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი მის მოქმედ კლიენტთან, ასეთ შემთხვევაში, ადვოკატმა უარი უნდა უთხრას თითოეულ მათგანს.⁴⁷ მხოლოდ ერთ-ერთი მხარისათვის უარის თქმა გაუმართლებელია.⁴⁸

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც არსებობს დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხე. კერძოდ, ადვოკატს არ აქვს უფლება, საადვოკატო მომსახურება გაუწიოს პირს, როდესაც არსებობს დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხე.⁴⁹

2. მომსახურების შეწყვეტა

იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა კონფლიქტი მას შემდეგ გამომჟღავნდება, რაც ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა

⁴⁶ Scharmer Heusen/Hamm, Becksches Rechtsanwaltshandbuch, Aufl. 2016, § 57, Rn. 32.

⁴⁷ BVerfG (3 Kammer des Ersten Senats) Beschluss vom 20.06.2006 - 1 BvR 594/06 NJW 2469.

⁴⁸ Träger, Feuerich/Weyland, BRAO § 43a, Rn.71.

⁴⁹ იქვე, Rn. 54; შდრ. ასევე მოლიტერნო და სხვები, იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, 2009, 23, 26, 27.

დაწყებულია, საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, შეწყვიტოს „ყველა კლიენტის საქმის წარმოება.“⁵⁰

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება, დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“ აღნიშნული მოწესრიგება „ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმის უფლების“ გამოყენებას ზღუდავს, თუმცა წესი მიზანშეწონილია, ანალოგიურად გავრცელდეს ადვოკატის მიერ მომსახურებაზე უარის თქმის ვალდებულების საფუძვლების არსებობისას. კერძოდ, თუ მომსახურების გაწევის პროცესში გამომჟღავნდა ინტერესთა კონფლიქტი ან დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხე, ადვოკატი ვალდებულია, შეწყვიტოს კლიენტის საქმის წარმოება იმგვარად, რომ კლიენტს მიეცეს შესაძლებლობა, ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზიანი. ცალკეული შემთხვევის განხილვისას უნდა შეფასდეს გარემოებები კლიენტის ინტერესის უპირატესობის ჭრილში და გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მოსალოდნელი საფრთხისა და ზიანის შეფასების საფუძველზე.

3. „ჩინეთის კედელი“

სწორედ ინტერესთა შეპირისპირებისა და შეფასების შედეგად, შესაძლებელია ერთ საადვოკატო ფირმაში სხვადასხვა ადვოკატის კლიენტებს შორის, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, გამონაკლისის სახით, გამართლებული იყოს ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა ორივე კლიენტისათვის.⁵¹ ასეთი მიდგომა გამართლებული იქნება, თუ ადვოკატი მიიჩნევს, რომ ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, ადვოკატებს

⁵⁰ Scharmer, Heusen/Hamm, Becksches Rechtsanwaltshandbuch, 2016, § 57, Rn.32.

⁵¹ Träger, Feuerich/Weyland, BRAO, § 43a Rn.55.

შორის მკაცრი გამიჯვნის პირობებში შესაძლებელია წარმომადგენლობის განხორციელება ან კონსულტაციის გაწევა. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია, პირველ რიგში, თანხმობა მიიღოს კლიენტისაგან, რომლის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება იურიდიული ფირმაში დასაქმებული სხვა ადვოკატის კლიენტის ინტერესები.⁵² კლიენტის თანხმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება რელევანტური, თუ საქმეები ურთიერთდაკავშირებული არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიუხედავად მხარეთა თანხმობისა, ადვოკატმა მომსახურებაზე უარი უნდა თქვას.

ამგვარად, უნდა მოხდეს კლიენტის მიერ ადვოკატისადმი ნდობის შენარჩუნება და კლიენტისადმი ერთგულების დაცვა.⁵³

ეს მიდგომა „ჩინეთის კედლის პრინციპის“ სახელით არის ცნობილი,⁵⁴ რომლის თანახმად, თუ ადვოკატები შეძლებენ, სრულიად გაემიჯნონ ერთმანეთს, იმგვარად, რომ მათ შორის კომუნიკაცია კი გამოირიცხება საქმეთა წარმოების განმავლობაში, ინტერსთა კონფლიქტში მყოფი მხარეების წარმომადგენლობა შესაძლებელია დასაშვები იყოს.⁵⁵

V. შეჯამება

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის ან დამოუკიდებლობის პრინციპის ხელყოფის საფრთხე, და ეს გარემოებები ადვოკატისთვის ცნობილია ან ცნობილი უნდა იყოს, ადვოკატმა სასურველია, საწყის ეტაპზევე მიიღოს შესაბამისი ზომები ამ საფრთხის რეალიზების გამოსარიცხად.

თუ პოტენციური კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე საადვოკატო ფირმის კორპორაციული კლიენტია ან ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს მასთან, მიუხედავად საქმეებს

⁵² იქვე, Rn.79; მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 154.

⁵³ იქვე.

⁵⁴ მოლიტერნო/ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 154.

⁵⁵ იქვე.

შორის გადაკვეთის არარსებობისა, ადვოკატმა სასურველია, უარი უთხრას პოტენციურ კლიენტს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხის არსებობის საფუძვლით. საექვოობისას სასურველია, ყოველთვის ინტერესთა კონფლიქტის სასარგებლოდ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ პოტენციურ კლიენტთან კომუნიკაციაზე სრულად ვრცელდება კონფიდენციალობის ვალდებულება. კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ადვოკატისაგან, „არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა.“ მნიშვნელოვანია, აღნიშნულის თაობაზე ადვოკატმა კომუნიკაციის დასაწყისშივე განუმარტოს კლიენტს, რათა მან გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი, ისარგებლებს თუ არა ამ უფლებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ კლიენტის სურვილია, ადვოკატმა მისი ვინაობა კონფიდენციალურად შეინახოს, ადვოკატის მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეების გამოკვლევა იმგვარად უნდა მოხდეს, რომ არ დაირღვეს კონფიდენციალობის ვალდებულება. შესაბამისად, კლიენტის (ან პოტენციური კლიენტის) ნების გადამოწმების/თანხმობის გარეშე არ უნდა მოხდეს არავითარი ინფორმაციის (მათ შორის ურთიერთობის არსებობის ან კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის) გამჟღავნება.

გამოკვლევული გარემოებების გათვალისწინებით, საექვოობის შემთხვევაში, ადვოკატმა სასურველია, უარი უთხრას კლიენტს მომსახურებაზე, რათა შემდგომი გართულებები აიცილოს თავიდან.

მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ადვოკატმა გონივრული ვადის ფარგლებში უნდა შეატყობინოს უარის შესახებ პოტენციურ კლიენტს⁵⁶. თუ ადვოკატი საქმეს არ იღებს და ამის შესახებ დროულად არ ატყობინებს პოტენციურ კლიენტს, შესაძლოა წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის საფუძვლით წარმოშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.⁵⁷ გასათვალისწინებელია, რომ უარი არ უნდა იყოს დასაბუთებული და პირიქით, შესაძლებელია უარის შემთხვევაში, დასაბუთებით

⁵⁶ Schwärze Feuerich/Weyland, BRAO, § 43a, Rn. 8.

⁵⁷ LZ Itzehoe, Urteil 20.10.2009 – 9 S 11-09, BeckRS 2010, 13444.

(შესაბამისი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში) დაირღვეს კონფიდენციალობის ვალდებულება.⁵⁸

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენისას ადვოკატმა დაიცვას კონფიდენციალობის ვალდებულება და კლიენტსა თუ პოტენციურ კლიენტს არ გაუმჟღავნოს ამა თუ იმ პირთან ურთიერთობის არსებობა ან მომართვის ფაქტი ამ პირთაგან წინასწარ მოპოვებული ნებართვის/შეთანხმების გარეშე. პრაქტიკაში აღნიშნული უხერხულობის გამორიცხვა შესაძლებელია იმგვარად, რომ ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნებისთვის მოიპოვოს მომსახურების თუ მომართვის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების უფლება მხოლოდ იმ დოზითა და ფარგლებით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად.

ინტერესებისა და გარემოებების შეპირისპირებისა და შეფასების საფუძველზე შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევაში გამართლებული იყოს, ადვოკატმა (საადვოკატო ფირმის სხვადასხვა ადვოკატმა) აწარმოოს ინტერესთა კონფლიქტში მყოფი კლიენტების საქმეები. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია საქმეთა წარმოება მოხდეს იმგვარად, რომ ადვოკატებს შორის არსებობდეს „ჩინეთის კედელი“, კერძოდ, მათ შორის კომუნიკაციაც კი შეიზღუდოს და გამოირიცხოს კონფიდენციალობის ვალდებულებისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დარღვევის ნებისმიერი რისკი.

⁵⁸ Schwärze Feuerich/Weyland, BRAO, § 43a, Rn. 10a.

**ჰონორარი, მინდობილი თანხები
და ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებები**

ანა ლორია*

I. შესავალი

ბოლო წლებში ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ დარღვევების უმეტესობა ეხება ადვოკატის მიერ ჰონორარის განსაზღვრას, გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნებას, მინდობილ თანხებსა და ზოგადად ფინანსებთან დაკავშირებულ ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. კანონმდებლობით არ არის გაწერილი ერთიანი სტანდარტები, რითაც შეუძლია ადვოკატს იხელმძღვანელოს ჰონორარის განსაზღვრისა და მისი გამომგარიშების წესის შემუშავების პროცესში. ასევე, ადვოკატებში არსებობს იმ ფიდუციური ვალდებულებების არაერთგვაროვანი გაგება, რომელიც მათ აკისრიათ საქართველოში არსებული პროფესიული ქცევის მარეგულირებელი კანონმდებლობით.

მოცემული ნაშრომი მიმოიხილავს არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობასა და ადგილობრივ პრაქტიკას¹, არამედ ასევე უთითებს ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკას, რომელიც დაკავშირებულია ადვოკატის ჰონორართან, მინდობილ თანხებთან და ფიდუციურ ვალდებულებებთან.

ადვოკატს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. აქედან გამომდინარე, ადვოკატს აკისრია მთელი რიგი ეთიკური ვალდებულებები, რომლის კეთილსინდისიერად შესრულებით

* ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის ეთიკის კათედრის თანათავმჯდომარე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი.

¹ იგულისხმება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები/რეკომენდაციები და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები.

ადვოკატი ხელს უწყობს საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის ჩამოყალიბებას.

სწორედ ამიტომ, აუცილებელია ადვოკატმა სწორედ განმარტოს ის ნორმები, რასაც პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს ადვოკატებისათვის, მათ შორის, ჰონორარის განსაზღვრის, მისი გამოთვლის წესის, მინდობილი თანხების/ქონების და მასთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და სხვა ფიდუციური ვალდებულებების შესახებ.

II. ჰონორარის განსაზღვრა

ჰონორარი არის კომპენსაცია იმ მომსახურებისათვის, რომელსაც ადვოკატი სთავაზობს კლიენტს. ეს არის ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომ, ეთიკის კოდექსიც ეხება აღნიშნულ საკითხს და ადვოკატის მიმართ გარკვეულ ვალდებულებებს აწესებს. კერძოდ, ჰონორარის ოდენობა და მისი გამოთვლის წესი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“), მუხლი 8.8). ეს ნორმა ავალდებულებს ადვოკატს არა მხოლოდ ჰონორარის ოდენობის მითითებას, არამედ იმის განსაზღვრასაც, თუ როგორ გამოითვლება ეს ოდენობა. რას ნიშნავს ჰონორარის ოდენობის გამოთვლის წესის განსაზღვრა? აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ადვოკატის მიერ შეთავაზებული ჰონორარის ეკვივალენტური მომსახურების ფარგლებს.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატი სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულებაში უთითებს მის მიერ გასაწევი იურიდიული მომსახურებისათვის გათვალისწინებულ ჰონორარს, თუმცა არ აკონკრეტებს რა ფარგლებში სთავაზობს კლიენტს მომსახურებას. მომსახურების ფარგლების განსაზღვრა ხშირად გამხდარა დავის საგანი ადვოკატ-კლიენტს შორის.

კლიენტისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, თუ რა მომსახურებას სთავაზობს ადვოკატი მას შეთავაზებულ ჰონორარში.

აღნიშნული ინფორმაციის მიუწოდებლობა ჩაითვლება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ჰონორარის ოდენობისა და მისი გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევად.

„საადვოკატო მომსახურების დაწყების მომენტიდან ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება, როგორც მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, ასევე საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობის, გამოთვლის წესის, გადახდის ფორმისა და ვადების თაობაზე.“²

„ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმები ავალდებულებს წინასწარ განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და გაანგარიშების წესი და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს. დაუშვებელია ადვოკატმა მიუთითოს ჰონორარის ოდენობა და არ განუმარტოს კლიენტს მომსახურების ფარგლები, რომლისთვისაც განსაზღვრა ადვოკატმა მითითებული ჰონორარი.“³

ამდენად, შესაძლებელია კლიენტისათვის ცნობილი და მისაღები იყოს სრული მომსახურების საფასური, თუმცა სრულიად უცნობი იყოს ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი, რაც ეთიკის კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს.

მსოფლიოში გავრცელებულია ადვოკატის ჰონორარის ოდენობის გამოთვლის შემდეგი მეთოდები: (1) საათობრივი ანაზღაურება (Hourly Rate); (2) ფიქსირებული ოდენობა (Fixed Fee); და (3) პირობითი ანაზღაურება/წარმატების ჰონორარი (Contingent Fee).

1. საათობრივი ანაზღაურება (Hourly Rate)

საათობრივი ანაზღაურება, როგორც წესი, განისაზღვრება ადვოკატის განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და სტატუსის (პარტნიორი, უფროსი იურისტი, იურისტი, პარალელგალი და ა.შ.)

² იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 26 ივნისის რეკომენდაცია #010/13.

³ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #125/18.

შესაბამისად. ამერიკის შეერთებულ შტატებში, საათობრივი ანაზღაურების ოდენობა ასევე დამოკიდებულია ადვოკატის რეპუტაციაზე, დარგობრივ კომპეტენციასა და ადვოკატის სამუშაო ადგილზე/ლოკაციაზე⁴. საქართველოში, ადვოკატი, მის მიერ გაწეული სამუშაოსათვის დამოუკიდებლად განსაზღვრავს საათობრივი ანაზღაურების ოდენობას. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვებს საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას, ეს მთლიანად დამოკიდებულია ადვოკატის დისკრეციაზე. მთავარია, რომ ანაზღაურების გამოთვლის ეს წესი და ოდენობა ცნობილი და მისაღები იყოს კლიენტისათვის. ამ მეთოდით სარგებლობისას, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მოქმედებდეს და არ აღრიცხოს იმაზე მეტი დრო, რაც რეალურად დახარჯა კლიენტის საქმის წარმოებისათვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებულია ასევე ჰონორარის გამოთვლის ისეთი წესი, რომელიც კლიენტს სთავაზობს საათობრივ ანაზღაურებას არა იურიდიულ კომპანიაში მომუშავე კონკრეტული ადვოკატის მიერ განსაზღვრული ფასის მიხედვით, არამედ ამავე კომპანიაში არსებული საათობრივი ანაზღაურების საშუალო ოდენობის (ყველაზე მაღალ განაკვეთს დამატებული ყველაზე დაბალი განაკვეთი და გაყოფილი ორზე) გამოთვლის გზით (Blanded Rate)⁵. თუმცა ეს მეთოდი არც ისე დიდი „პოპულარობით“ სარგებლობს ამერიკელ ადვოკატებში.

საათობრივი ანაზღაურების მეთოდი საქართველოშიც გამოიყენება, თუმცა ის ისეთი გავრცელებული არ არის, როგორც ევროპის ქვეყნების უმეტესობასა (მაგ. ჰოლანდია, ლუქსემბურგი, ირლანდია, ესპანეთი, პორტუგალია, ნორვეგია, ავსტრია, დანია და ა.შ.⁶) და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად იმისა, რომ საათობრივი ანაზღაურების მეთოდის გამოყენება ზრდის ადვოკატის პასუხისმგებლობას, საადვოკატო მომსახურებისათვის

⁴ Kent D. Kauffman – Legal Ethics, third edition, Cengage Learning, NY, USA, 2014, 304.

⁵ იქვე, 303.

⁶ იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 32.

განსაზღვრული ანაზღაურების ეს მოდელი „მეტად ეფექტიან და კლიენტზე ორიენტირებულ მიდგომად განიხილება“⁷.

2. ფიქსირებული ოდენობა/მყარად განსაზღვრული ოდენობა (Fixed Fee/Flat Fee)

ფიქსირებული ოდენობა არ არის დამოკიდებული ადვოკატის მიერ დახარჯულ დროზე ან საქმეთა რაოდენობაზე. ანაზღაურების გამოთვლის ეს მეთოდი მეტად გავრცელებულია და აღიქმება, როგორც „მომხმარებელზე მორგებული“ გამოთვლის მეთოდი, რადგან კლიენტმა წინასწარ იცის, რა დაუჯდება ადვოკატის მომსახურება სრულად⁸. აღნიშნული მეთოდით ანაზღაურების გამოთვლა საქართველოშიც ყველაზე მეტად არის გავრცელებული. თუმცა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ამ მეთოდს უკავშირდება არის ის, რომ ადვოკატები ზუსტად არ განსაზღვრავენ მათ მიერ მითითებულ ფიქსირებულ ოდენობაში რა მოცულობით სთავაზობენ კლიენტებს სამართლებრივ მომსახურებას; კლიენტისათვის ხშირად ბუნდოვანია ადვოკატის მომსახურების ფარგლები. ამიტომ, მნიშვნელოვანია ანაზღაურების გამოთვლის ფიქსირებული ოდენობის მეთოდის გამოყენებისას, ადვოკატმა ზუსტად განსაზღვროს, თუ რომელ დავაში მოემსახურება კლიენტს და რა ფარგლებში (პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, სამივე ინსტანციის ჩათვლით, აღსრულების ეტაპის ჩათვლით თუ სხვა).

საუკეთესო შემთხვევაში, ადვოკატმა ჰონორარის ოდენობა უნდა განსაზღვროს მის მიერ გასაწევი მომსახურების დეტალური განმარტებით. მაგალითისათვის, ჰონორარის ოდენობა ადვოკატის მიერ სრულად, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოს სამივე ინსტანციაში განსახორციელებელი სამართლებრივი მომსახურებისათვის თუ შეადგენს 5000 ლარს, ადვოკატმა სასურველია, ხელშეკრულებაში მიუთითოს მისი ჰონორარის

⁷ იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 37.

⁸ იხ. Kent D. Kauffman – Legal Ethics, third edition, Cengage Learning, NY, USA, 2014, pg. 307.

ოდენობა ინსტანციების მიხედვით – ადმინისტრაციულ ორგანოებში დავის დასრულების შემთხვევაში ჰონორარის ოდენობა შეადგენს 2000 ლარს, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოება (სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ჩათვლით) შეადგენს 1000 ლარს, მეორე ინსტანციაში (გადაწყვეტილების გამოტანის ჩათვლით) – ასევე 1000 ლარს და მესამე ინსტანციაში – 1000 ლარს. ასეთ დროს ადვოკატისთვისაც და კლიენტისთვისაც წინასწარ იქნება განსაზღვრული ჰონორარის გამოთვლის წესი და მათ შორის ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ადვილად მოხდება გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობის პროპორციულობის გამოთვლა.

3. პირობითი ანაზღაურება/წარმატების ჰონორარი (Contingent Fee)

ტრადიციულად, პირობითი ანაზღაურების სისტემა მიჩნეულია გადახდის ხელსაყრელ მექანიზმად იმ კლიენტებისათვის, რომელთაც არ შესწევთ უნარი საათობრივად ან მყარად განსაზღვრული (ფიქსირებული) თანხა აანაზღაურონ, მაგრამ სამაგიეროდ აქვთ „მოსაგები“ საქმე⁹.

აღნიშნული მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას იმ ფენებისთვისაც, რომლებიც მართალია არ განეკუთვნებიან სოციალურად დაუცველ ფენას, თუმცა არ აქვთ ეკონომიკური შესაძლებლობა ისარგებლონ ადვოკატის მომსახურებით.

ძირითადად, პირობით ანაზღაურებაზე შეთანხმება ისეთი საქმეების წარმოებისას გამოიყენება, რომელთა მოგების შემთხვევაშიც მოსალოდნელია კლიენტის მიერ თანხის მოგება მისი ქონებრივი ან პირადი ინტერესის შესაბამისად¹⁰.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგებული თანხის პროცენტი საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში მერყეობს საშუალოდ 25%-დან 35%-მდე; საქმის სასამართლოში წარმატებით მოგების შემთხვევაში 35%-დან 40%-მდე. მოგებული თანხის

⁹ იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 35.

¹⁰ იქვე.

პროცენტი შესაძლოა იყოს უფრო მაღალი, თუ გასაჩივრების შემთხვევაშიც უცვლელი დარჩება ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რის მიხედვითაც ადვოკატმა მოიგო კლიენტის საქმე¹¹. შესაბამისად, მოგებული თანხის პროცენტი, არ არის დამოკიდებული „მოგებული“ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე ან თანხის ამოღებაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ძირითადად, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე გამოიყენება ადვოკატის მომსახურებისათვის ანაზღაურების გამომანგარიშების ეს მეთოდი¹², თუმცა ამ მეთოდის გამოყენება არაეთიკურად ითვლება არასრულწლოვანი კლიენტის წარმომადგენლობის შემთხვევაში¹³, ასევე „საოჯახო დავებსა და სისხლის სამართლის საქმეებზე“¹⁴, რადგან ასეთ საქმეებზე არ არსებობს ის „მოგებული სიკეთე“, საიდანაც თანხის ამოღება იქნებოდა შესაძლებელი და გარკვეულწილად, ასეთი ტიპის საქმეებისადმი არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი¹⁵.

პირობით ანაზღაურებაზე შეთანხმება არც ისე დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპის ქვეყნებში. მეტიც, მაგალითად, იტალიისა¹⁶ და საფრანგეთის¹⁷ კანონმდებლობით, პირობით ანაზღაურებაზე შეთანხმება საერთოდ დაშვებულია. საქართველოს კანონმდებლობით, ანაზღაურების ამ მეთოდზე შეთანხმება არ ეწინააღმდეგება ეთიკურ სტანდარტებს.

¹¹ იხ. Kent D. Kauffman – Legal Ethics, third edition, Cengage Learning, NY, USA, 2014, 304.

¹² იქვე, 303.

¹³ იხ. Robert L. Wheeler, INC. v. Scott, Supreme Court of Oklahoma, 1989, 777 P.2d. 394.

¹⁴ იხ. მოლიტერნო ჯ. და ჰარისი ჯ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 84; ასევე იხ. ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული ქცევის მოდელური წესები, წესი 1.5(d).

¹⁵ იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 35.

¹⁶ იხ. იტალიის ადვოკატთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 45.

¹⁷ იხ. პრაქტიკის ჰარმონიზაციის წესები, საფრანგეთის ადვოკატთა საბჭო, მუხლი 11.3.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა ადვოკატის ჰონორარის გამოთვლის წესი და განმარტა, რომ საადვოკატო მომსახურების „ხელშეკრულების შინაარსი: „თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ადვოკატის კლიენტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით“ – არ წარმოადგენს პირობადებულ გარიგებას, რადგან საადვოკატო ჰონორარის ანაზღაურების კლიენტის ნებაზე დამოკიდებულ პირობად ან პოზიტიურ პირობად განმარტება სრულიად არაგონივრული, უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვის დამაზიანებელი იქნებოდა“¹⁸.

თუ ადვოკატი გადაწყვეტს აირჩიოს ანაზღაურების გამოთვლის ეს მეთოდი, მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს დავის მორიგებით დასრულების შემთხვევაში მისი პროცენტი. ასევე მნიშვნელოვანია, ადვოკატმა კლიენტს წინასწარ განუმარტოს, თუ რას ნიშნავს წარმატების ჰონორარი; უკავშირდება თუ არა ის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას და დამოკიდებულია თუ არა გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

საქართველოში ხშირად მიმართავენ ანაზღაურების გამოთვლის კომბინირებულ მეთოდს: ფიქსირებულ ოდენობაზე შეთანხმებას და პირობით ანაზღაურებაზე/წარმატების ჰონორარზე შეთანხმებას; ან საათობრივ ანაზღაურებაზე შეთანხმებას და პირობით ანაზღაურებაზე/წარმატების ჰონორარზე შეთანხმებას. საქართველოში, ადვოკატთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი შეთანხმება არ ითვლება არაეთიკურად, თუ ის წინასწარ არის ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის.

III. ჰონორარის შეთავაზება და ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატები მათ მიერ გაწეული მომსახურებისათვის ჰონორარს განსაზღვრავენ უცხოურ ვალუტაში – ევროში, ამერიკულ დოლარში და ა.შ.; ასევე,

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1161-1116-2016.

ანგარიშსწორებას ახორციელებენ უცხოურ ვალუტაში, რაც არ შეესაბამება არც საქართველოს კანონმდებლობას და არც პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

1. ადვოკატის მიერ გასაწევი მომსახურების ჰონორარის შეთავაზება უცხოურ ვალუტაში

ადვოკატებმა მათ მიერ გასაწევი საადვოკატო მომსახურებისათვის ჰონორარი უნდა განსაზღვრონ ეროვნულ ვალუტაში – ლარში. მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ანდა რეკლამირებისას ფასი გამოხატული უნდა იყოს მხოლოდ ლარით (საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 34.2¹). აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში 2016 წლის 29 დეკემბერს, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისიდან.¹⁹ მითითებული წესის დარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სანქცია – წინადადების მიმცემის (ოფერენტის), ან რეკლამის დამკვეთის გაფრთხილება ან ჯარიმა 1000-დან 5000 ლარამდე ოდენობით (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 153⁷). საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, თუ აღნიშნული წესების დარღვევამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 216).

საადვოკატო საქმიანობა არის მომსახურების ერთ-ერთი სფერო. საქართველოში საადვოკატო საქმიანობის განხორციელება ითვლება საქართველოში მომსახურების გაწევად და შესაბამისად, მასზეც ვრცელდება მომსახურების ფასის ეროვნულ ვალუტაში განსაზღვრის ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნა.

¹⁹ იხ. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #N238-რს, 29.12.16.

ამასთან, საადვოკატო მომსახურება არ განეკუთვნება იმ ტიპის მომსახურებას, რომლის ფასდადებისთვისაც კანონი ითვალისწინებს გამონაკლისებს აღნიშნული წესიდან. მაგ. ტურისტული მომსახურება (ავიაბილეთების რეალიზაცია); ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვა; ენერგეტიკის სფეროში ინვესტორის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში განხორციელებული მომსახურება; როუმინგის მომსახურება და ა.შ.²⁰

2. ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურებისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურებისათვის, მათ შორის, საადვოკატო მომსახურებისათვის, არა მხოლოდ ფასდადება, არამედ ასევე ანგარიშსწორებაც უნდა განხორციელდეს ეროვნულ ვალუტაში – ლარში. საქართველოში დასაშვებია უცხოური ვალუტით ნებისმიერი გადახდის ოპერაციის განხორციელება, გარდა საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების საფასურის გადახდის ოპერაციებისა, თუკი აღნიშნული ოპერაცია არ არის დაკავშირებული ექსპორტ-იმპორტთან.²¹ ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა კლიენტი უცხო ქვეყნის რეზიდენტი თუ არა. თუ საადვოკატო მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება, მოქმედებს ეროვნული ბაკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული წესები ფასდადების განსაზღვრისა და ანგარიშსწორების ეროვნულ ვალუტაში განხორციელების შესახებ.

²⁰ იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება #93/04 „მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან/და რეკლამირებისას ფასის გამოხატვასთან დაკავშირებით განსხვავებული წესის დადგენის თაობაზე“, 22.06.2017.

²¹ იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“, №8/04, 22.01.2015, მუხლი 22(ა).

3. ეთიკის კომისიის პრაქტიკა უცხოურ ვალუტაში ფასდადებისა და ანგარიშსწორების შესახებ

აღსანიშნავია ამ მიმართულებით ეთიკის კომისიის პრაქტიკა, თუ როგორ არეგულირებს უცხოურ ვალუტაში თანხის შეთავაზებისა და ანგარიშსწორების განხორციელების საკითხს.

2019 წლამდე, ეთიკის კომისიას მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული, სადაც აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, უცხოურ ვალუტაში მომსახურების ფასის შეთავაზება და ანგარიშსწორება შესაძლოა წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წესების დარღვევას, თუმცა ამ საკითხის განხილვა არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში და ეთიკის კომისია განმცხადებლებს მოუწოდებდა, ამ დარღვევის თაობაზე მიემართათ შესაბამისი ორგანოებისათვის. კერძოდ, ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ შესაძლოა, დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 216-ე მუხლი საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესი ან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153¹-ე მუხლი საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესი. თუმცა, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიას არ გააჩნია კომპეტენცია, იმსჯელოს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და მოუწოდა საჩივრის ავტორს მიემართა შესაბამისი ორგანოსათვის“²².

აღსანიშნავია, რომ ადვოკატს პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა აკისრებს კანონიერების ფარგლებში მოქმედებისა და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებას. კანონის ფარგლებში კლიენტის ინტერესების დაცვა გულისხმობს კანონის შესაბამისად მოქმედებას; მოცემულ შემთხვევაში კი უცხოურ ვალუტაში ფასის შეთავაზებასა და ანგარიშსწორებასთან იმ აკრძალვების

²² იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N025/11.

გათვალისწინებას, რასაც საქართველოს კანონმდებლობა აწესებს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფასის შეთავაზებას და ანგარიშსწორებას უცხოურ ვალუტაში თავად კლიენტი ითხოვს, ადვოკატმა მაინც უნდა დაიცვას კანონის მოთხოვნები და ფასი განსაზღვროს ეროვნულ ვალუტაში, რადგან კანონიერების პრინციპი ყველა სხვა პრინციპზე, მათ შორის, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობაზე მაღლა დგას. კანონიერების პრინციპის უპირატესობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კანონიერება, რაც მოიაზრებს ადვოკატის ვალდებულებას, იმოქმედოს კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპი ყველა სხვა პრინციპზე მაღლა დგას. ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია კანონის უზენაესობის დამკვიდრება საზოგადოებაში. ადვოკატს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მართლმსაჯულების განხორციელებაში. ადვოკატი იცავს კლიენტების კანონიერ უფლებებს სხვის მიერ მათი ხელყოფის დროს. ადვოკატს ორმაგად მოეთხოვება კანონიერების ფარგლებში მოქმედება, რადგან თავად იყოს მაგალითი საზოგადოებისათვის“²³.

ამდენად, სასურველია, ეთიკის კომისიის პრაქტიკა შეიცვალოს ამ მიმართულებით, პროფესიული სტანდარტი ამალდეს და აღნიშნული დარღვევა მოექცეს ადვოკატის კეთილსინდისიერად და კანონიერების ფარგლებში მოქმედების ვალდებულების ქვეშ.

4. დასკვნა

კანონი პირდაპირ განსაზღვრავს საქართველოში მომსახურების განმახორციელებელი სუბიექტების მიმართ შეთავაზებისა და ანგარიშსწორებისათვის დადგენილ ვალუტას – ლარს და აწესებს პასუხისმგებლობას მსგავსი წესის დამრღვევების მიმართ.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი სადვოკატო საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად

²³ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #093/17.

ადგენს კანონიერების პრინციპს, რომლის ფარგლებში მოქმედების ვალდებულება ეკისრება ადვოკატს. ამავე კანონით დადგენილია ადვოკატის კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება.²⁴ ეთიკის კომისიის უახლესი პრაქტიკით, უცხოურ ვალუტაში მომსახურების ფასის შეთავაზება, ისევე როგორც ანგარიშსწორება არღვევს კანონიერების პრინციპს და ადვოკატის კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებას.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი უცხოურ ვალუტაში განახორციელებს ფასდადებასა და ანგარიშსწორებას, შესაძლოა, დადგეს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი არაკეთილსინდისიერად მოქმედების საფუძვლით, რადგან კანონის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს მომსახურების ფასის განსაზღვრა და ანგარიშსწორების განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

IV. ჰონორარის ოდენობის გონივრულობა

პრაქტიკაში ხშირია ადვოკატ-კლიენტს შორის დავა ჰონორარის ოდენობის გონივრულობასთან დაკავშირებით. საქმის შედეგით ან/და ადვოკატის მომსახურებით უკმაყოფილო კლიენტი ჰონორარის ოდენობის გონივრულობაზეც ამხვილებს ყურადღებას და იწყებს ადვოკატის წინააღმდეგ დავას სასამართლოში ან/და შეაქვს საჩივარი ადვოკატის მიმართ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში. ადვოკატის ჰონორარის ოდენობის გონივრულობასთან დაკავშირებით, ადვოკატთა პროფესიის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მოცემულ თავში საუბარი იქნება როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროგაერთიანების ქვეყნის კოდექსებით დადგენილ სტანდარტებზე ჰონორარის ოდენობის გონივრულობასთან დაკავშირებით.

²⁴ იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 3(ა), 5(ა).

1. საქართველოს კანონმდებლობა

2012 წლამდე, ეთიკის კოდექსში არსებობდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრებოდა ჰონორარის ოდენობის გონივრულობა. კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავდა წესებს, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ ადვოკატებს ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას. იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ განსაზღვრული ჰონორარის ოდენობა ჩათვლილიყო გონივრულად, ის შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საქმის სირთულესთან, მოცულობასთან, საქმის შესრულების ხანგრძლივობასთან, კვალიფიკაციასთან, ხოლო ქონებრივი დავების შემთხვევაში – დავის საგნის (სარჩელის ფასის) ღირებულებასა და მნიშვნელობასთან და ა.შ.²⁵. ეს ნორმა ჰონორარის ოდენობის გონივრულობის შეფასების მეტად ფართო და სუბიექტურად შეფასებით კრიტერიუმებს განსაზღვრავდა.

თავისუფალი ბაზრის პირობებში არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, 2012 წელს ეს ნორმა შეიცვალა და მას მერე ადვოკატს აქვს მინიჭებული დისკრეცია, თავად განსაზღვროს ჰონორარის რა ოდენობა იქნება გონივრული ამა თუ იმ საქმისათვის. კლიენტთან შეთანხმებული ჰონორარის ოდენობის გონივრულობის საკითხის შეფასება, 2012 წლის ცვლილებების შემდეგ აღარ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. ეთიკის კომისიის მიერ მთავარ შესაფასებელ ნაწილად რჩება ჰონორარის ოდენობისა და მისი გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის წინასწარ ინფორმირება და მისგან თანხმობის მოპოვება²⁶. სხვა მხრივ, ეთიკის კომისია აღარ იჭრება ადვოკატის დისკრეციაში, თავად განსაზღვროს თავისთვის და თავისი კლიენტისათვის მისაღები ჰონორარის ოდენობა, და აღარ აფასებს მის გონივრულობას.

²⁵ იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8 (2006 წლის ვერსია).

²⁶ იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8 (2012 წლის ვერსია).

2. აშშ-ის კანონმდებლობა (ABA Model rules of Professional Conduct)

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ 1969 წელს მიღებული პროფესიული პასუხისმგებლობის მოდელური წესების (შემდგომში „მოდელური წესები“) თანახმად, ადვოკატის მიერ განსაზღვრული ჰონორარის გონივრულობის საკითხის განხილვა შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, რადგან კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს იმ კრიტერიუმებს, რითაც უნდა იხელმძღვანელოს ადვოკატმა ჰონორარის „გონივრული“ ოდენობის განსაზღვრისას. კერძოდ, მოდელური წესების თანახმად, ადვოკატმა არ უნდა მიიღოს „აშკარად ზედმეტი“ ჰონორარი მომსახურებისათვის. ჰონორარი „აშკარად ზედმეტი“ იმ შემთხვევებში, როდესაც ფაქტების გადასინჯვისას ადვოკატი, რომელიც გააზრებულად ფრთხილად მოქმედებდა, აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ ჰონორარი აღემატება მისაღებ თანხას²⁷. ამავე წესების მიხედვით, საფასურის გონივრულობა/რაციონალურობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების მიხედვით (1) საჭირო დრო და სამუშაო, საკითხის ორიგინალურობა და სირთულე, იურიდიული მომსახურების სწორად წარმართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; (2) შესაძლებლობა იმისა (თუ ეს ნათელია კლიენტისათვის), რომ გარკვეული საქმიანობის მიღება შეაჩერებს ამ ადვოკატის სხვა საქმიანობას; (3) ამ რეგიონში მსგავსი იურიდიული მომსახურებისათვის მიღებული გადასახადი; (4) დახარჯული თანხა და მიღებული შედეგი; (5) დროითი შეზღუდვები, რომელიც გარკვეულმა გარემოებებმა ან თავად კლიენტმა გამოიწვია; (6) კლიენტთან პროფესიული ურთიერთობების ბუნება და ხანგრძლივობა; (7) იმ ადვოკატის ან ადვოკატების გამოცდილება, რეპუტაცია და უნარი, რომლებმაც განახორციელეს იურიდიული მომსახურება; და (8) გადასახადი იყო ფიქსირებული თუ პირობითი.²⁸ შესაბამისად, რადგან ამერიკაში, ეთიკის მარეგულირებელ კანონმდებლობაში პირდაპირ არის მითითებული ის კრიტერიუმები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს ადვოკატმა

²⁷ იხ. ამერიკის იურისტთა ასოციაცია, პროფესიული პასუხისმგებლობის მოდელური წესები (1969), წესი #2-106(a.b.).

²⁸ იხ. ამერიკის იურისტთა ასოციაცია, პროფესიული პასუხისმგებლობის მოდელური წესები (1969), წესი #2-106.

ჰონორარის გონივრული ოდენობის განსაზღვრისას, ეთიკის კომისია უფლებამოსილია, იმსჯელოს ამ საკითხზე და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი დისციპლინური ზომები გადაცდომის ჩამდენი ადვოკატის მიმართ.

3. ევროგაერთიანების კანონმდებლობა (CCBE)

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE) მიერ 1988 წელს მიღებული ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (შემდგომში „ევროგაერთიანების კოდექსი“) მოდელური წესების მსგავსად აფასებს ადვოკატის მიერ ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას გონივრულობას. კერძოდ, ევროგაერთიანების კოდექსი ადგენს, რომ ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს „სამართლიანი“ და „ზომიერი“²⁹. თუ ადვოკატი ჰონორარის ანგარიშზე ან/და ხელზე გადახდას მოითხოვს, ამგვარმა გადახდამ არ უნდა გადააჭარბოს ჰონორარის ზომიერ ოდენობას და შეესაბამებოდეს სავარაუდო გადახდას.³⁰

როგორც ნორმების შინაარსიდან ირკვევა, ევროგაერთიანების კოდექსი, მართალია, აწესებს ჰონორარის გონივრულობის სავალდებულობას, თუმცა მოდელური წესებისაგან განსხვავებით, არ გვთავაზობს გონივრულობის შეფასების ჩამონათვალს და არ ადგენს ჰონორარის ოდენობის გონივრულობის შეფასებისას სამართლიანობისა და ზომიერების განსაზღვრის კრიტერიუმებს.

4. დასკვნა

ამდენად, ჰონორარის გონივრულობის საკითხი სხვადასხვაგვარად წესრიგდება საქართველოს, ამერიკისა და ევროგაერთიანებაში არსებული პროფესიული ქცევის სტანდარტების მარეგულირებელი კანონმდებლობით. 2012 წლამდე, საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებდა გონივრულობის შეფასების კრიტერიუმებს,

²⁹ იხ. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) 1988, მუხლი 3.4.1.

³⁰ იხ. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) 1988, მუხლი 3.5.

თუმცა, დღეის მდგომარეობით, ეს ნორმა უკვე აღარ მოქმედებს. 2012 წელს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე, ეთიკის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას აღარ არსებობს კანონმდებლობაში „ზედმეტად მაღალი“, „შეუსაბამო“ ან მსგავსი შეფასებითი კრიტერიუმები და ადვოკატს სრული ავტონომია აქვს, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს თავისთვის და თავისი კლიენტისათვის მისაღები ჰონორარის ოდენობა.

V. მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება, რომელიც ადვოკატს აკისრია კლიენტთან ურთიერთობისას, არის მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის წინასწარი ინფორმირება. „მოსალოდნელი ხარჯები“ – ეს არის ჰონორარის მიღმა არსებული ისეთი ტიპის ხარჯები, რომელიც უკავშირდება კლიენტის საქმის წარმოებას. მაგალითად, სახელმწიფო ბაჟი, სანოტარო მომსახურების საფასური, ადმინისტრაციული ორგანოებიდან დოკუმენტაციის გამოთხოვის/ქონების რეგისტრაციის ან სხვა მომსახურებისათვის დადგენილი საფასური, ექსპერტიზის საფასური, დოკუმენტაციის გადათარგმნის საფასური, ტრანსპორტის საფასური, ფოსტის საფასური და სხვა დანარჩენი ხარჯი, რომელიც უკავშირდება კლიენტის საქმის წარმოებას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა განსაზღვრავს ადვოკატის ვალდებულებას, წინასწარ მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია საქმის წარმოებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.³¹ ბუნებრივია, ეს ნორმა არ ავალდებულებს ადვოკატს, ზუსტად განსაზღვროს ყველა ის ხარჯი, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს კლიენტის საქმეს, ეს შეუძლებელიც არის. თუმცა, ადვოკატს გააჩნია ვალდებულება, წინასწარ განსაზღვროს ისეთი ხარჯები, რაც

³¹ იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2; ასევე, იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6.

თავიდანვე ნათელია და აღნიშნული ინფორმაცია წარუდგინოს კლიენტს. მაგალითისათვის, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, ისევე როგორც სანოტარო, სათარჯიმნო, სატრანსპორტო, საქესპერტო ან საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი ხარჯები წინასწარ განსაზღვრადია.

„ადვოკატს პროფესიული რეგულაცია ავალდებულებს, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოხმარდება კლიენტის მიერ გადახდილი თანხა... კომისიის შეფასებით, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდა ინფორმაცია თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და შემდეგ წარუდგინა ანგარიშგება, ეკისრება ადვოკატს.“³²

„ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება მისი საქმის წარმოების შესახებ და, ბუნებრივია, ასეთი განმარტების შედეგად, თუკი მისაღებია კლიენტისათვის, საბოლოოდ შედგება თანხმობა. ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ დაცვასთან, რადგან კლიენტმა ყოველთვის უნდა იცოდეს, ფინანსურად რამდენად შეძლებს ის სამართლებრივი მომსახურებით სარგებლობას, რომელსაც ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული იურიდიული შედეგის მისაღწევად. კლიენტისათვის მოსალოდნელი ხარჯების შესახებ ინფორმაციის დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება ხელს უწყობს ადვოკატის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას.“³³

ჰონორარის ოდენობისა და მინდობილი თანხის გამიჯვნის მნიშვნელობაზე იმსჯელა ასევე ეთიკის კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ „ადვოკატმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და მისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს მოსალოდნელი ხარჯების ოდენობა, რადგან ჰონორარი წარმოადგენს ადვოკატის საკუთრებას, ხოლო ხარჯების სახით კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული თანხა წარმოადგენს კლიენტის და არა ადვოკატის საკუთრებას, რის გამოც

³² იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #084/13.

³³ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #103/18.

ამ თანხების – მინდობილი თანხების მიმართ ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ვალდებულებებს აწესებს ადვოკატისათვის³⁴.

საინტერესოა, რატომ ანიჭებს კანონმდებელი ამხელა მნიშვნელობას ამ ტიპის ინფორმაციის წინასწარ მიწოდებას კლიენტისათვის. ეთიკის კომისიამ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და მიუთითა, რომ ამ ინფორმაციის კლიენტისათვის წინასწარ მიწოდება მნიშვნელოვანია სამი ძირითადი ფაქტორის გამო: „1) თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება, გააგრძელოს თუ არა მისი საქმისწარმოება სასამართლოში, რადგან შესაძლოა ხარჯმა გადააჭარბოს მისაღებ სარგებელს; 2) თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება, მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, რაც დაზოგავს მის ფინანსებს; და 3) თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება, მოურიგდეს თუ არა მხარეს, რათა შეიმციროს საქმესთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯები. ამ ნორმის არსი გამომდინარეობს იქიდან, რომ კლიენტს წინასწარ უნდა მიეცეს საშუალება, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება თავისი საქმის წარმოების შესახებ. შესაბამისად, მოცემული ნორმის დაცვა, ადვოკატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც, როგორც საპროცესო ეკონომიურობიდან, ასევე კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარეობს“³⁵.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც იმსჯელა მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულებაზე, რომელიც ადვოკატს აკისრია და ამ ინფორმაციის „დროულად და კვალიფიციურად“ მიწოდება დაუკავშირა „კეთილსინდისიერების პრინციპს“³⁶.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ადვოკატმა ზედმიწევნით დაიცვას ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული

³⁴ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #125/18.

³⁵ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #098/17.

³⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1161-1116-2016.

მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რათა არ დაზარალდეს კლიენტის ინტერესები და კლიენტს მიეცეს საშუალება, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. ამასთან, მითითებული ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს ადვოკატის დისციპლინირების ერთ-ერთ საფუძველს.

VI. ვალდებულებათაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ მინდობილი თანხების დამოუკიდებელ, ნეიტრალურ ანგარიშზე განთავსების ვალდებულება.

1. მინდობილი თანხების განთავსებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

ნებისმიერი ფულადი სახსრები, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს, უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად.³⁷ რას ნიშნავს დამოუკიდებელი/ნეიტრალური ანგარიში? ხშირ შემთხვევაში, ამ ვალდებულების შესრულების მიზნით, ადვოკატი ბანკში, თავის სახელზე ხსნის ცალკე ანგარიშს (მიმდინარე/სახელფასო ანგარიშს) კლიენტების მინდობილი თანხების განსათავსებლად, რაც არ ითვლება დამოუკიდებელ/ნეიტრალურ ანგარიშად და შესაბამისად, წარმოადგენს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ამ მავალდებულებელი ნორმის მიზანი არის ის, რომ ადვოკატის პირადი ფინანსური ვალდებულებები (მაგ. იპოთეკა, გირავნობა, იძულებითი აღსრულება და ა.შ.) არ გავრცელდეს კლიენტის საკუთრებაში არსებულ თანხებზე, რომელიც მინდობილია ადვოკატზე. სწორედ ამ მიზნით, იმისათვის, რათა დაცული იყოს კლიენტის ქონება, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება, მინდობილი თანხები განათავსოს არა პირად, არამედ დამოუკიდებელ/ნეიტრალურ ანგარიშზე. ადრე მხოლოდ ნოტარიუსები სარგებლობდნენ ნეიტრალური

³⁷ იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13.

ანგარიშებით, დღეს საბანკო სფერო ადვოკატებსაც სთავაზობს მსგავს მომსახურებას, რომელსაც „ესქრო ანგარიშები“ ეწოდება.

ესქრო მომსახურების დროს ფული, ფინანსური ინსტრუმენტი ან აქტივი, ხელშეკრულების მხარეების მითითებით, არის მესამე მხარის მფლობელობაში, სანამ მესამე მხარე – ესქრო აგენტი არ მიიღებს მხარეებისგან მითითებას მათ გადაცემაზე, ან არ შესრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ესქრომომსახურების მიღება შესაძლებელია ესქროაგენტის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ნებისმიერი კომერციული ბანკი. ესქრომომსახურების მიღება შეუძლიათ როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე ორგანიზაციულ წარმონაქმნებს, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები³⁸.

ადვოკატს შეუძლია, გახსნას ასეთი ტიპის ანგარიში, რომელსაც გამოიყენებს საადვოკატო საქმიანობის პროცესში კლიენტებისაგან მიღებული მინდობილი თანხების განსათავსებლად. ამით არა მხოლოდ თავიდან აიცილებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, არამედ კლიენტის ქონებასაც დაიცავს, რაც საბოლოო ჯამში მოემსახურება იმ ძირითადი მიზნის მიღწევას, რასაც ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს – საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემა და ნდობის გაღრმავება.

მინდობილი თანხების ნეიტრალურ ანგარიშებზე განთავსების ვალდებულებას ითვალისწინებს ასევე ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული ქცევის მოდელური წესებიც. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ ვალდებულების შესრულებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მისი დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს ადვოკატს საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხი. ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში, მხოლოდ იმის გამო, რომ ადვოკატმა კლიენტის ნებართვის გარეშე მოხსნა სადეპოზიტო ანგარიშებიდან კლიენტის კუთვნილი თანხა და მალევე უკან დააბრუნა, მოხდა მისი დისციპლინირება და

³⁸ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=660> [07.02.19].

სახდელის სახით განესაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა³⁹.

2. მინდობილი თანხების განკარგვის უფლებამოსილება

მინდობილი თანხების განკარგვის უფლებამოსილებას კლიენტი ანიჭებს ადვოკატს, რათა გაუადვილოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელება და ეს პროცესი არ გაჭიანურდეს. შესაბამისად, ადვოკატი არის მინდობილი თანხების უშუალო მფლობელი და განკარგვაზე უფლებამოსილი პირი, თუმცა მინდობილ თანხებზე საკუთრების უფლება ბოლომდე უნარჩუნდება კლიენტს.

3. მინდობილი ქონების კეთილსინდისიერი მართვის ვალდებულება

გარდა თანხებისა, კლიენტმა, საქმისწარმოების პროცესში ადვოკატს შესაძლოა მიანდოს ქონებაც, რომელზეც ანალოგიური რეგულაციები ვრცელდება.⁴⁰ კერძოდ, ამ ქონების ადვოკატის ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვისა და მისი კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება.

ადვოკატისაგან კლიენტის ქონების დაცვა, ადვოკატის ფიდუციური ვალდებულების ერთ-ერთი ასპექტია⁴¹.

კლიენტის ქონებისადმი გულისხმიერი მოპყრობის ვალდებულების (ფიდუციური ვალდებულების) დამრღვევი ადვოკატი პოტენციურად, მომავალი კლიენტებისათვისაც წარმოადგენს საფრთხეს. ამიტომაც, ასეთი ტიპის დარღვევების შემთხვევებში, ტრადიციულად, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით გამოიყენება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევა⁴².

³⁹ იხ. IN RE ARNOLD M. WARHAFTIG, DRB, 524 A.2d 398 (N.J. 1987); იხ. ასევე IN RE JOHN M. ROSELLINI, DRB, 646 P.2d 122 (Wash. 1982).

⁴⁰ იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13.

⁴¹ იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 38.

⁴² იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 40.

არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ეთიკის კომისია ადვოკატის ფიდუციური ვალდებულების დარღვევას, თუმცა ამ საფუძვლით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა (ლიცენზიის ჩამორთმევა), როგორც სახდელის ფორმა, ჯერ არ გამოყენებულა საქართველოში ლიცენზირებული არც ერთი ადვოკატის მიმართ.

„კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების ან ქონების მინდობისას, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების კეთილსინდისიერი მართვა და მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა ეფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული“⁴³. აღნიშნული მსჯელობა სრულად გაიზიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რითაც ძალაში დატოვა ეთიკის კომისიის 2012 წლის 18 ივნისის გასაჩივრებული გადაწყვეტილება⁴⁴.

კლიენტის მიერ მინდობილი ქონების კეთილსინდისიერ მართვასთან დაკავშირებით იმსჯელა ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.13 მუხლით განსაზღვრული „ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია, რომ კლიენტმა მიანდოს ქონება ადვოკატს და ეს მინდობა უკავშირდებოდეს ადვოკატის მიერ თავისი პროფესიული ფუნქციის განხორციელებას. ნორმის გამოყენების წინაპირობების დადგენა შედარებით მარტივია, როდესაც ქონება უშუალოდ დავის საგანია ან უკავშირდება დავის საგანს. წინაპირობების შემოწმება უფრო რთულია, როდესაც ქონება არ არის დავის საგანთან კავშირში“⁴⁵.

⁴³ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #004/12.

⁴⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/5-14.

⁴⁵ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებას, საქმე # 096/18.

„ადვოკატს ბუნებრივად აქვს კლიენტის მხრიდან მაღალი ნდობა. ადვოკატისადმი ნდობა შეიძლება განაპირობებდეს, როგორც საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ კლიენტის გადაწყვეტილებების მიღებას კლიენტის მხრიდან, ასევე საადვოკატო მომსახურების გარეთაც ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც ასეთი სპეციფიკური ნდობით არსებობის გარეშე, არ იქნებოდა მიღებული კლიენტის მხრიდან. ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს ადვოკატისათვის ქონების მინდობა, რომელსაც უცხო პირს, შესაბამისი სახელშეკრულებო დაცვის გარეშე კლიენტი არ მიანდობდა. შედეგად, როდესაც ქონება უშუალოდ არ არის დავის საგანი, იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად გამომდინარეობს ან დაკავშირებულია ქონების მინდობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობასთან, შესაძლოა ლოგიკური უარყოფის კონსტრუქციის გამოყენება: მიანდობდა კლიენტი ადვოკატს ქონებას იმ პირობებში, როდესაც ეს პირი არ იქნებოდა მისი ადვოკატი და შესაბამისად, ნდობით აღჭურვილი პირი, სხვა წინაპირობების არარსებობისას, როგორც შეიძლება იყოს ახლო ნათესაობა, მეგობრობა, პროფესიული საქმიანობა, რომელიც ქონების მართვას ან შენახვას უკავშირდება? თუ შეკითხვაზე პასუხია არა, ეს ნიშნავს, რომ კლიენტის ქონების მინდობით ადვოკატს წარმოეშობა 8.13 მუხლიდან გამომდინარე შემდეგი პროფესიული ვალდებულებულებები ქონებასთან მიმართებით: ცალკე შეინახოს ქონება და მართოს ის კეთილსინდისიერად.“⁴⁶

ამავე გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ ასევე განმარტა მინდობილი ქონების კეთილსინდისიერად მართვა. კერძოდ, ეთიკის კომისიის პრაქტიკით, „კეთილსინდისიერება გულისხმობს, რომ ქონების მართვის სახე უნდა იყოს გონივრულად მიღებული და შეთანხმებული ქონების მიმნდობთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებას ემუქრება მყისიერი საფრთხე და ობიექტურად შეუძლებელია თანხმობის მიღება... თუნდაც რომ ჩაითვალოს, რომ ავტომატურად გადაადგილება ქონების დაცვის ინტერესით იყო განპირობებული, კეთილსინდისიერი მართვა გამორიცხებულია, როდესაც ქონების გამოყენება ხდება ადმინისტრაციული

⁴⁶ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებას, საქმე # 096/18.

სამართალდარღვევის ჩასადენად – კანონის დარღვევით განხორციელებული პარკირებით. კეთილსინდისიერი მართვა ასევე გამორიცხებულია, როდესაც ხდება ადვოკატის მინდობაში არსებული ქონების დაზიანება და ადვოკატს არ წარმოუდგენია კანონით დადგენილი წესით გაფორმებული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ქონების დაზიანებაში. შედეგად, სავარაუდოა, რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია ასევე ქონების კეთილსინდისიერად მართვის პრინციპი⁴⁷.

ამდენად, ეთიკის კომისიის პრაქტიკით, მინდობილი ქონება ფართოდ განიმარტება და უკავშირდება არა მხოლოდ დავის საგანს, არამედ სხვა ქონებასაც, რომელიც კლიენტმა ადვოკატს მიანდო წარმომადგენლობის პროცესში მის მიმართ არსებული ნდობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ ქონებაზეც ვრცელდება ადვოკატის მიმართ პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული კეთილსინდისიერად მართვის ფიდეუციური ვალდებულება. ასევე, ეთიკის კომისიის პრაქტიკით განმარტებულია კეთილსინდისიერების არსი მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს ქონების გონივრულად მართვასა და ქონების მართვის ფორმის შეთანხმებას კლიენტთან.

4. ხარჯთაღრიცხვის წარმოება

ადვოკატის ფიდეუციური ვალდებულებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს სწორედ მინდობილი თანხებისა და ქონების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოება და კლიენტისათვის წარდგენა. ადვოკატი ვალდებულია, კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13). ეს ნორმა აწესებს ადვოკატის ვალდებულებას, აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა მიუხედავად იმისა, კლიენტი ითხოვს თუ არა ამას. „ადვოკატის ქცევა, როდესაც ის არ აწარმოებს კლიენტისგან მიღებული თანხებისა და საქმის წარმოების ხარჯის შესახებ ჩანაწერებს,

⁴⁷ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე # 096/18.

შეფასდება კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულების დარღვევად. ადვოკატის მიერ ხარჯთაზღვრის წარმოების შესახებ ვალდებულების შესრულება არ არის დაკავშირებული კლიენტის მოთხოვნასთან. მიუხედავად კლიენტის მოთხოვნისა, ადვოკატს საწმისწარმოების პროცესში ევალება აღნიშნული ფიდუციური ვალდებულების შესრულება⁴⁸. ამდენად, ეს ვალდებულება წარმოიშობა არა კლიენტის მოთხოვნიდან, არამედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების მომენტიდან.

ხარჯთაზღვრის წარმოების ვალდებულებაზე იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, და განმარტა, რომ „საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი“ ჩანაწერის წარმოების ვალდებულება გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი დოკუმენტის წარმოებას“⁴⁹.

ამავე გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა მტკიცების ტვირთზე და განმარტა, რომ „ფინანსური ანგარიშგების სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების“ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს⁵⁰.

„კლიენტისთვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და სხვ.) წარმოებას.“⁵¹

⁴⁸ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე 125/18.

⁴⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/5-14.

⁵⁰ იხ. იქვე.

⁵¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/1-17.

საქართველოს უზენაესი სასამართლო მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკიხს ამ გადაწყვეტილებაშიც შეეხო და განმარტა, რომ „საჩივრის ავტორს არც ეთიკის კომისიაში და არც სადისციპლინო პალატაში არ წარმოუდგენია მიღებული თანხების მიზნობრიობის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის მიერ გადაცემული საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება“⁵².

ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულებაზე იმსჯელა ეთიკის კომისიამ 2015 წლის გადაწყვეტილებაშიც და განმარტა, რომ „კლიენტისათვის საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას“⁵³.

„ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და ა. შ.) სათანადოდ წარმოებას. ასევე, თანხის გადაცემის შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას.“⁵⁴

შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიდუციური ვალდებულებაა, რომელიც ადვოკატს აკისრია საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას. ამ ვალდებულების წარმოშობა არ არის დამოკიდებული კლიენტის მოთხოვნაზე. ადვოკატს კლიენტთან ურთიერთობის დაწყების მომენტიდან წარმოეშობა ეს ვალდებულება, რომელიც კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს,

⁵² იხ. იქვე.

⁵³ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2015 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #133/13.

⁵⁴ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #012/16.

რათა კლიენტში არ გაჩნდეს ეჭვი მისი თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით, რაც საბოლოო ჯამში, არა მხოლოდ ამ ადვოკატის რეპუტაციას, არამედ მთლიანად ადვოკატთა ასოციაციის პროფესიას მიაყენებს ზიანს.

VII. ჰონორარის რეგულირება საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას

ადვოკატებს შორის ყველაზე დიდ ინტერესს იჩენს ჰონორარის რეგულირების საკითხი კლიენტის ან თავად ადვოკატის ინიციატივით საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში. ამ საკითხს არეგულირებს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი. მოცემულ თავში საუბარი იქნება საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას ადვოკატის ისეთ ვალდებულებებზე, როგორც არის: (1) გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნება; (2) პროპორციული ოდენობის განსაზღვრა; (3) დაუხარჯავი მინდობილი თანხების ან სხვა ქონების დაბრუნება; და (4) საქმის მასალების დაბრუნება.

1. გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნება

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი ჰონორარი. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, თუ ვისი ინიციატივით წყდება ხელშეკრულება – ადვოკატის თუ კლიენტის და რა საფუძველი უდევს მას. ეთიკის კოდექსი უთითებს „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას“ ადვოკატის გარკვეულ ვალდებულებებზე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15). კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტა კი შესაძლოა განხორციელდეს როგორც კლიენტის, ასევე ადვოკატის ინიციატივით, ამისათვის ყოველგვარი მიზეზის არსებობის გარეშე. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა ასევე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და განმარტა, რომ „მითითებული ნორმით გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება, როგორც კლიენტის, ისე ადვოკატის

ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე⁵⁵. შესაბამისად, ეთიკის კოდექსი, ამ თავში მიმოხილული ვალდებულებების განსაზღვრისას, მოიაზრებს ორივე მხარის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებს.

„ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ხელშეკრულების ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც ადვოკატი უარს აცხადებს ჰონორარის ნაწილის დაბრუნებაზე ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს და არ ათავისუფლებს ადვოკატს გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულებისაგან“⁵⁶.

გამომუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებისა და სამოქალაქო კანონმდებლობით განმტკიცებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ურთიერთმიმართებაზე იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წელს დაადგინა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს, სახელშეკრულებო დათქმა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი წესების თანახმად, რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად (სკ-ის 715.1 მუხლი), მათ შორის წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებისათვის ანაზღაურების სახით გადახდილი საფასურის თანხის ის ნაწილი, რომელიც ეხება გაუწეველი მომსახურების ღირებულებას. სადისციპლინო კოლეგია ადვოკატის ქცევის სტანდარტის დაცულობის შემოწმებისას არ არის შებოჭილი მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ტექსტით. პროფესიული ქცევის

⁵⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/5-14.

⁵⁶ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #101/17.

სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა⁵⁷.

ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ გამორიცხავს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას, ნებისმიერი მხარის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობა. ამასთან, გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს ადვოკატი, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ადვოკატს შეუძლია, ნებისმიერი ოდენობის თანხა დაუბრუნოს კლიენტს და ამით „ფორმალურად“ დაიცვას ეთიკის კოდექსის მოთხოვნები. მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მოქმედებდეს გამოუმუშავებელი ჰონორარის განსაზღვრისას და მის მიერ გაწეული მომსახურების პროპორციული ოდენობა დაუბრუნოს კლიენტს.

2. პროპორციული ოდენობის განსაზღვრა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას მნიშვნელოვანია, ადვოკატმა განსაზღვროს გამომუშავებული ჰონორარის პროპორციული ოდენობა, დაუხარჯავი მიწოდებული თანხები, გამოაკლოს ეს თანხები კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მთლიანობაში გადაცემულ თანხას (ჰონორარის და მიწოდებული თანხების ჩათვლით) და დანარჩენი ნაწილი დაუბრუნოს კლიენტს. სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით ეთიკის კომისიას არ აქვს ერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, ეთიკის კომისიის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში⁵⁸ ეს ვალდებულება განმარტებულია ფორმალურად და თუ ადვოკატის მიერ შესრულებული იქნება თანხის – თუნდაც 1 ლარის დაბრუნების ვალდებულება, ეთიკის კომისია აღარ შედის არსებითად იმის განხილვაში თუ რამდენად პროპორციული იყო ადვოკატის მიერ კლიენტისათვის

⁵⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16. 21.11.2016.

⁵⁸ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #057/17.

დაბრუნებული გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობა. მაშინ, როდესაც ბოლო წლებში, ეთიკის კომისიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში ეს ვალდებულება არ არის განმარტებული ფორმალურად, და ნორმის მიზნიდან გამომდინარე ეთიკის კომისია ადვოკატის მიერ ამ ვალდებულების შესრულებას არა მხოლოდ ფორმალურ დაბრუნებას უკავშირებს, არამედ დაბრუნებული ჰონორარის პროპორციულობის საკითხზეც მსჯელობს და თუ ეს თანხა აშკარად არაპროპორციულია, ადგენს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს, დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა“⁵⁹.

„კლიენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი ადვოკატის მომსახურებაზე და ადვოკატს წარმოემოზა ეთიკური ვალდებულება – სავარაუდო თანხა, რაც შეიძლება ეკვივალენტური იყოს მის მიერ გაწეული მომსახურებისა, გამოქვითოს გადახდილი ჰონორარიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილი კი დაუბრუნოს კლიენტს“⁶⁰.

„თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერი თანხის ოდენობის დაბრუნება

⁵⁹ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #015/18.

⁶⁰ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #101/17.

არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა.⁶¹

ეთიკის კომისიამ ერთ-ერთი გადაწყვეტილებაში ადვოკატის მიერ გამოთვლილი ჰონორარი მიიჩნია „არაგონივრულად“ და „არაპროპორციულად“ და მიუთითა შემდეგი, „ადვოკატს რომ შეესრულებინა ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტი – მიეწოდებინა კლიენტისათვის ზუსტი და დეტალური ინფორმაცია მისთვის ჰონორარის სახით გადაცემული თანხის სანაცვლოდ მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, ეწარმოებინა სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტის მიერ გადაცემულ თანხასთან დაკავშირებით, ადვოკატი შეძლებდა მარტივად და გონივრულად გამოეთვალა თავისი ჰონორარი და შესაძლოა მხარეთა შორის დავა ისე მოგვარებულიყო, რომ კლიენტს ადვოკატის გამოუმუშავებელი ჰონორარის დასაბრუნებლად სასამართლოსთვის მიმართვა არ დასჭირვებოდა“⁶².

ამდენად, ეთიკის კომისიის პრაქტიკით, ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების შესრულებაზე მსჯელობისას, ეთიკის კომისია აფასებს ადვოკატის მიერ განსაზღვრული ოდენობის პროპორციულობას და ფორმალურად არ განმარტავს პროფესიული ეთიკის კოდექსში გათვალისწინებულ ნორმას.

ამასთან, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროპორციულობის განსაზღვრა, არამედ ასევე პროპორციულობის დასაბუთება. ამისათვის კი აუცილებელია ადვოკატმა სწორად განსაზღვროს ჰონორარი, მისი გამოთვლის წესი, შეაფასოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და გამოითვლოს კლიენტისათვის დასაბრუნებელი თანხის პროპორციული ოდენობა. „ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას,

⁶¹ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #035/18, ასევე იხ. ეთიკის კომისიის წევრის განსხვავებული მოსაზრება, საქმეზე N057/17; ასევე იხ. ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე 098/17.

⁶² იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #093/17.

გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან, იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში.⁶³ ამდენად, ადვოკატმა აბსტრაქტულად არ უნდა განსაზღვროს კლიენტისათვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობა. კლიენტისათვის ნათელი უნდა იყოს, თუ საიდან გამოიანგარიშა ადვოკატმა მისთვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობა და არ უნდა გაუჩნდეს ეჭვი ადვოკატის მიერ დასაბრუნებელი თანხის პროპორციულობის სამართლიანად განსაზღვრაში.

3. დაუხარჯავი მინდობილი თანხების ან სხვა ქონების დაბრუნება

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატს ასევე ეკისრება კლიენტისათვის დაუხარჯავი მინდობილი თანხების დაბრუნების ვალდებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15). ეს ვალდებულება გარკვეულწილად უკავშირდება ადვოკატის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოების მოვალეობას (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.14), რადგან სწორედ ამ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში ხდება შესაძლებელი დაუხარჯავი მინდობილი თანხების ოდენობის ზუსტი განსაზღვრა. გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ მინდობილი თანხები არის კლიენტის საკუთრება, ურთიერთობის შეწყვეტისას, ბუნებრივია, ადვოკატს წარმოეშობა ამ თანხებიდან იმ ნაწილის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება, რომელიც საქმისწარმოების პროცესში არ/ვერ დაიხარჯა. კლიენტისათვის არ უნდა იყოს ბუნდოვანი ინფორმაცია მისი კუთვნილი თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით. ადვოკატის მიერ აღნიშნული ფიდუციური ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ კონკრეტული კლიენტის ინტერესებისათვის, არამედ, ზოგადად, საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემისა და ნდობის გაღრმავებისათვის.

⁶³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16.

4. საქმის მასალების დაბრუნება

გარდა გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის და დაუხარჯავი მინდობილი თანხების დაბრუნების ვალდებულებისა, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატს ეკისრება ვალდებულება, დაუბრუნოს კლიენტს საქმის მასალები. კერძოდ, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა ის დოკუმენტი/ნივთი, რომელიც საქმისწარმოებისას მოიპოვა, ან თავად შექმნა. დაუშვებელია, ადვოკატმა განახორციელოს მანიპულირება კლიენტის საქმის მასალებით, თუნდაც არსებობდეს ამის ლეგიტიმური მიზანი, მაგალითად, ადვოკატის მიერ გამომუშავებული ჰონორარის მიღება. ადვოკატს ეთიკის კოდექსი უწესებს საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულებას საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ აქვს შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, მაგალითად, არ აქვს გადახდილი ჰონორარი იმ მომსახურებისათვის, რაც ადვოკატმა უკვე გასწია, ამ შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია, მისი მოთხოვნა სასამართლოს წინაშე დააყენოს და დააკისროს კლიენტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

„ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისას და შემდგომ, საქმის წარმოების მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია საქმის მასალები, რომელსაც კლიენტი ანდობს ადვოკატს, რაც თავისთავად, აღნიშნული ურთიერთობის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც კლიენტის მიერ ადვოკატისადმი ნდობას ეფუძნება. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული საქმის მასალები, აგრეთვე, საქმის თაობაზე ადვოკატის მიერ ნაწარმოები დოკუმენტაცია წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და, თავის მხრივ, ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობაა, კლიენტს არ შეუზღუდოს საქმის მასალების ხელმისაწვდომობა, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ აღარ სურს კლიენტს, ადვოკატმა განაგრძოს მისი საქმისწარმოება და ითხოვს საქმის მასალების დაბრუნებას. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია, დროულად უზრუნველყოს კლიენტისათვის მასზე მინდობილი დოკუმენტაციის გადაცემა, მით უმეტეს, თუ მასთან იმყოფება დოკუმენტაციების ორიგინალები,

რომელთა ადვოკატის მიერ დროულად დაბრუნებამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს კლიენტის სამომავლო ინტერესებზე.⁶⁴

საქმის მასალების დაბრუნების ვალდებულებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი. სამწუხაროდ, არც კანონმდებლობით და არც ეთიკის კომისიის პრაქტიკით დადგენილი არ არის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი ამ შემთხვევაში, თუმცა ლოგიკური ანალიზიდან გამომდინარე, საქმის მასალების, ისევე როგორც დაუხარჯავი მინდობილი თანხების, კლიენტის ქონებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი ადვოკატის მხარეს იქნება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ადვოკატებმა, საკუთარი უფლებების დასაცავად, წინასწარ იზრუნონ ამ საკითხზე და მოიპოვონ მტკიცებულება (მაგალითად, კლიენტთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, გადახდის ქვითარი და ა. შ.), რომელიც მათი მხრიდან ამ ვალდებულების შესრულებას დაამტკიცებს.

5. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატის მიერ მასზე დაკისრებული ფიდუციური ვალდებულებების დაცვა მნიშვნელოვანია როგორც ამ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში, ასევე იმ ძირითადი მიზნის მიღწევაში, რასაც ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს – საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გაღრმავებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, ადვოკატმა ზუსტად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ დააზიანოს კლიენტის ნდობა და კეთილსინდისიერად განახორციელოს მისი მოვალეობები.

ფინანსებთან დაკავშირებით ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ფიდუციურ ვალდებულებებზე⁶⁵ საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც იმსჯელა და განმარტა, რომ „აღნიშნული მოთხოვნების დაცვა

⁶⁴ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #015/18.

⁶⁵ იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.12, 8.13, 8.15.

ზედმიწევნით უზრუნველყოფს როგორც კლიენტის ნდობას ადვოკატის მიერ ფულადი სახსრების მართვისას, ასევე განაპირობებს ნდობას ადვოკატის პროფესიული ნიშნისადმი. მითითებულ ვალდებულებათა ნორმატიულ დონეზე დაცვა კი, თავისი არსით, ემსახურება როგორც კლიენტის ინტერესების მაღალი ხარისხით წარმოჩინებას, ასევე განამტკიცებს სანდოობის უკეთეს ხარისხს კლიენტსა და მისი ინტერესების დამცველს შორის. აღნიშნული ფორმის ურთიერთობა კი, თავის მხრივ, განაპირობებს სამართლებრივი ურთიერთობის ეფექტურობას“⁶⁶.

VIII. ეთიკის კომისიის კომპეტენცია თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში

მომჩივანების უმეტესი ნაწილი, ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენით ითხოვს არა მხოლოდ ადვოკატის დისციპლინირებას, არამედ იმ თანხის დაბრუნებას, რაც წარმომადგენლობის პროცესში გადასცეს ადვოკატს ჰონორარის სახით. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად⁶⁷, ეთიკის კომისიის კომპეტენციაში შედის მხოლოდ ადვოკატის დისციპლინირება, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას, თანხის გადახდა დააკისროს ადვოკატს.

„საპროცესო კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს, რომ ეთიკის კომისიას არ გააჩნია კომპეტენცია, იმსჯელოს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების საფასურის დაბრუნების თაობაზე, რადგან აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას და არის სასამართლოს განსჯადი“⁶⁸.

„საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ მოთხოვნის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. შესაბამისად, განხილვის კოლეგია

⁶⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/5-14.

⁶⁷ იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 28.10.

⁶⁸ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #025/11.

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარს აცხადებს აღნიშნულ ნაწილში საჩივრის ავტორის მოთხოვნის არსებითად განხილვაზე. მხარეს განემარტოს, რომ უფლება აქვს, თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით“⁶⁹.

„საჩივრის ავტორის მოთხოვნაზე, ადვოკატმა დაუბრუნოს მას მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაური, კომისია განმარტავს, რომ თანხის დაბრუნების თაობაზე ადვოკატის ეთიკური ვალდებულების დარღვევაზე მსჯელობა ეთიკის კომისიის უფლებამოსილებაში შედის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 ნაწილიდან გამომდინარე, მხოლოდ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, როდესაც ადვოკატს დასრულებული არ აქვს მომსახურება და წარმოეშობა ეთიკური ვალდებულებები გადაცემული „გამოუმუშავებელი“ ფულადი სახსრების კლიენტისთვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ დროს ეთიკის კომისიამ შესაძლოა, დაადგინოს ადვოკატის მიერ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ფაქტი და განახორციელოს ადვოკატის დისციპლინირება. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატმა დაასრულა კლიენტის მომსახურება, ხოლო კლიენტი ეთიკის კომისიაში მომსახურების ხარისხიდან ან დამდგარი შედეგიდან გამომდინარე აყენებს ადვოკატის მიერ მომსახურებისთვის მიღებული საზღაურის მისთვის დაბრუნების მოთხოვნას, აღნიშნული სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას და წარმოადგენს სასამართლოს წესით განსახილველ საკითხს. ამასთან, საქმის კლიენტისთვის სასურველი შედეგით დაუსრულებლობა არ წარმოშობს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას, დაუბრუნოს მას შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ მიღებული თანხა. ამასთან, თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში, განემარტოს საჩივრის ავტორს, რომ მიმართოს სასამართლოს, რადგან აღნიშნული საკითხის განხილვა –

⁶⁹ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #026/17.

ადვოკატისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“.⁷⁰

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის თანხის დაბრუნების თაობაზე მოთხოვნის განხილვა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეთიკის კომისია არ მსჯელობს ადვოკატის მიერ თანხის დაბრუნების საკითხზე. რადგან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში (მუხლი 8.15) პირდაპირ არის გაწერილი, რომ გამოუმუშავებელი ჰონორარის და დაუხარჯავი მინდობილი თანხების დაბრუნების, როგორც ადვოკატის ეთიკური ვალდებულების დარღვევა, იწვევს ადვოკატის დისციპლინირებას. შესაბამისად, ეთიკის კომისია მსჯელობს თანხის დაბრუნების საკითხზე და ადგენს (ან არ ადგენს) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რის გამოც ახორციელებს ადვოკატის დისციპლინირებას, თუმცა თანხის დაბრუნების მოთხოვნას არ იხილავს, რადგან კანონის თანახმად, არ გააჩნია მსგავსი უფლებამოსილება.

IX. დასკვნა

ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლის მატარებელს, ადვოკატთა ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა პროფესიული ქცევის მაღალ სტანდარტებს უწესებს. ამ სტანდარტებს შორისაა ადვოკატის მიერ ჰონორარის განსაზღვრა და მისი გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირება. ნაშრომში განხილულია ის პრობლემატიკა, რაც არსებობს ამ ვალდებულების სწორად აღქმასა და შესრულებასთან დაკავშირებით. ასევე მოცემულია ანაზღაურების გამოანგარიშების ის მეთოდები (სათობრივი ანაზღაურება, ფიქსირებული ანაზღაურება, წარმატების ჰონორარი), რომელიც ყველაზე მეტად არის გავრცელებული ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში. ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის თანახმად, ადვოკატმა არა

⁷⁰ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #031/18.

მხოლოდ უნდა განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა, არამედ მისი გამოთვლის წესიც უნდა განუმარტოს კლიენტს.

ნაშრომში ასევე ხაზგასმულია განსხვავებები, რაც არსებობს საქართველოს, ამერიკისა და ევროპის ადვოკატთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელ ნორმებში ჰონორარის ოდენობის გონივრულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ასევე, მოცემულია საქართველოში მოქმედი ის ამკრძალავი ნორმები, რომელიც ეხება უცხოურ ვალუტაში ადვოკატის მომსახურების შეთავაზებასა და ანგარიშსწორებას. ამ მხრივ, მიმოხილულია ეთიკის კომისიის პრაქტიკა და მოცემულია რეკომენდაცია, თუ რომელი ეთიკური ვალდებულების დარღვევად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ადვოკატის მიერ ჰონორარის შეთავაზების განსაზღვრა და ანგარიშსწორების წარმოება უცხოურ ვალუტაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ასევე განხილულია მოცემულ ნაშრომში, არის მინდობილი თანხები/ქონება და მასთან დაკავშირებული ფიდუციური ვალდებულებები. ამ მხრივ, მიმოხილულია არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა, არამედ უცხო ქვეყნების პრაქტიკაც, რომლის თანახმადაც, ფიდუციური ვალდებულებების დარღვევა, ერთ-ერთ უმძიმეს დისციპლინურ გადაცდომად ითვლება, რომლისთვისაც შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს ისეთი მძიმე სახდელის ფორმა, როგორც არის საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევა.

ასევე ნაშრომში საუბარია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისა და პროფესიული ქცევის კოდექსით შემზღუდველი ნორმის ურთიერთმიმართებაზე, რომელზეც საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც იმსჯელა და დაადგინა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ ქმნის პროფესიული სტანდარტების უარყოფის საფუძველს“⁷¹. შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას ადვოკატი ვალდებულია დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი და სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა მას გადასცა წარმომადგენლობის პროცესში. ამ მხრივ, განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც არის

⁷¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16.

პროპორციულობის დაცვა აღნიშნული გაანგარიშებისას. ადვოკატმა ფორმალურად არ უნდა განმარტოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი და კლიენტს უნდა დაუბრუნოს არა ნებისმიერი ოდენობის, არამედ ის თანხა, რომელიც მის მიერ შეუსრულებელი სამუშაოს პროპორციული იქნება. ამასთან, მნიშვნელობა არ ენიჭება რომელი მხარის ინიციატივით წყდება ვადამდე საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. გამოუმუშავებელი ჰონორარისა და დაუხარჯავი მინდობილი თანხების/გადაცემული ქონების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება მაინც აკისრია ადვოკატს.

დაბოლოს, ნაშრომში ასევე მითითებულია რეკომენდაცია ეთიკის კომისიის კომპეტენციის თაობაზე ადვოკატისათვის თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარისა და მინდობილი თანხების დაბრუნების საკითხს იხილავს ეთიკის კომისია, ამ მხრივ ადგენს ან არ ადგენს ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს და ახდენს ადვოკატის დისციპლინირებას ან ამართლებს მას, თუმცა ეთიკის კომისიას, სასამართლოსაგან განსხვავებით, არ აქვს კომპეტენცია ადვოკატს დააკისროს თანხის გადახდა.

ადვოკატის მიერ ჰონორარის განსაზღვრის, მისი გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირების, მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების, მინდობილი თანხების/ქონების კეთილსინდისიერი მართვისა და სხვა ფიდუციური ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს არა მხოლოდ იმ კონკრეტულ კლიენტთან ურთიერთობაზე, რომლის საქმესაც ადვოკატი აწარმოებს, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსზე, რაც საზოგადოებაში გააღრმავებს ნდობას და გამოიწვევს უფრო დიდ პატივისცემას ამ პროფესიის წარმომადგენლებისადმი.

**კონფიდენციალურობის პრინციპის უტილიტარიანისტული
ანალიზი ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში**

ლაშა ლურსმანაშვილი*

*“The world will not be destroyed
by those who do evil, but by those who
watch them without doing anything”*

Albert Einstein

აბსტრაქტი

ადვოკატის პროფესიული საქმიანობა ეფუძნება მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებსაც სხვაგვარად საადვოკატო საქმიანობის პრინციპებსაც უწოდებენ. პრინციპები იგივე ეთიკური პოსტულატებია, რომელთა განუხრელი დაცვაც, საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, წარმოადგენს ნებისმიერი ადვოკატის წარუვალ, მორალურ ვალდებულებას. კონფიდენციალურობის პრინციპი ერთ-ერთი იმ პრინციპთაგანია, რომლის ეთიკური ღირებულება განუზომელია ნებისმიერი ადვოკატისთვის, მაგრამ არის თუ არა იგი იმდენად განუზომელი, რომ ამ უკანასკნელს დაცვის ისეთი მასშტაბი მიენიჭოს, რათა თავისი ხარისხით, თითქმის აბსოლუტური ხასიათი შეიძინოს? კონფიდენციალურობის პრინციპის ქართული მოდელი მართალია, სწორად წარმოაჩენს ამ უკანასკნელის ფუნქციურ და შინაარსობრივ ღირებულებასა და დატვირთვას, მაგრამ სარისკოა მოქმედების ისეთი ფართო არეალის დადგენა, რომელსაც ითვალისწინებს დღევანდელი მოწესრიგება. აღსანიშნავია, რომ სტატია მიზნად არ ისახავს კონფიდენციალურობის პრინციპის ღირებულების დაკნინებას, პირიქით მასში საფუძვლიანად არის გაანალიზებული ქართული საკანონმდებლო და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მექანიზმებით დადგენილი სტანდარტები, ამ უკანასკნელის მნიშვნელობა და ღირებულება. პირიქით, მის მიზანს წარმოადგენს ქართული სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა.

* საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტი.

ამდენად, იგი მიზნად ისახავს კონფიდენციალურობის პრინციპის ქართული მოდელის ანალიზს. კერძოდ, სტატიის მოკრძალებული მცდელობაა როგორც კონფიდენციალურობის პრინციპის ქართული მოდელის ეთიკურობის საკითხის უტილიტარიანისტული შეფასების ტესტის მეშვეობით გააზრება, აგრეთვე, კონფიდენციალურობის პრინციპის ქართული პერსპექტივის ძირითადი უფლებების ჭრილში განხილვა.

1. შესავალი

ეთიკური ნორმები საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალურ-კულტურულ მოვლენათა რიგს განეკუთვნება. მარტივად რომ ვთქვათ, ეთიკური ნორმა სოციალურ-კულტურული მოვლენაა, რომლის ევოლუციაც დამოკიდებულია სოციუმში დამკვიდრებული სტანდარტების ცვლილებაზე, განვითარებასა ან, ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია, გაუარესებაზეც კი. ამრიგად, სარისკო საქმე იქნებოდა ეთიკური ნორმების ზუსტი განმარტების ძიება და მათი ერთიან დეფინიციად მოქცევის მცდელობა. რასაკვირველია, არც მაქვს მათი უნიფიკაციის პრეტენზია, ვინაიდან ძნელია, ზოგადად, და მითუმეტეს სამართალში, ერთიანი და ყოვლისმომცველი ცნებების შემუშავება. ამდენად, ეთიკური ნორმის სოციალური თვისების ანალიზისას, ვადგენთ, რომ იმას, რასაც საზოგადოება ერთ დროს ამორალურად და არაეთიკურად მიიჩნევდა, ახლა პირიქით, შესაძლებელია, რომ სრულიად მორალურად და ეთიკურადაც კი მიიჩნევდეს. ამის ნათელი დასტურია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ევოლუციური განმარტების ფუნქცია, რომელიც მკვეთრად გამოხატული დინამიკურობით, მოქნილობითა და საზოგადოებრივ ურთიერთობებთან ადაპტირებით გამოირჩევა. საინტერესოა კოსტელო რობერტის საქმე, რომელშიც სასამართლოს მითითება კონვენციის ევოლუციური განმარტების მიზანშეწონილობაზე სრულიად რელევანტურია.

ეთიკური ნორმების ისტორიული რეტროსპექტივა გვიჩვენებს, რომ საზოგადოება ყოველთვის მისწრაფვოდა საყოველთაო ეთიკური დებულებების შექმნისკენ. ამდენად, ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივ, სოციალურ-პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში გაბატონებული იყო ერთიანი „სწორი

მორალის“ პრიმატი, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული ობიექტურობითა და საყოველთააობით. შედარებით უფრო გვიან, განმანათლებლების პერიოდში და, მოგვიანებით, XIX-XX საუკუნეებში, როდესაც წინა პლანზე ადამიანის თავისუფალი გონის პრიორიტეტმა გადმოინაცვლა, მორალურ-ეთიკურმა ნორმებმა დაიწყეს ინდივიდუალიზმთან მორგება და მკვეთრად გამოხატული სუბიექტური ხასიათი მიიღეს. ჩემი მოკრძალებული აზრით, დღესდღეობით ლიბერალიზმის ყვავილობის ხანაში არც დგას მორალურ-ეთიკური ცნების საყოველთაოდ განმარტების გარდაუვალი საჭიროება, ეს უფრო ფილოსოფოსებისა და თეოლოგიების სამსჯელო ასპარეზია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი ერთიანი დეფინიციის შემუშავება რთულია, და მეორეც – დღესდღეობით ნებისმიერი პირის აღქმა მორალისა და ეთიკის შესახებ ინდივიდუალური და აბსოლუტურად სუბიექტურია.

კანონიერება და სამართლიანობა ურთიერთდამოკიდებულ კომპონენტებს წარმოადგენენ. ნებისმიერი ნორმატიული აქტის, საკანონმდებლო ნორმის ძალაში შესვლამდე, გარდა უამრავი გასათვალისწინებელი მოქმედებისა, ხდება თავად ასეთი ნორმის სამართლიანობის შეფასება. სამართლიანობა კი მეტწილად შეფასებით კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება. შესაბამისად, სამართლიანობის რეცეპტი ბუნებაში მზა სახით არ გვხვდება. მიუხედავად აღნიშნული სირთულისა, ეს სულაც არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ასეთი გამოწვევის გამო, კანონმდებელი ერიდება საკანონმდებლო ნორმის სამართლიანობის ჭრილში განხილვას. საინტერესოა, რა არის სამართლიანობის შეფასების კრიტერიუმები? შეგნებულად მივუთითებ, „სამართლიანობის“ მზა ფორმის არარსებობის ფაქტზე. ამდენად, ნორმის სამართლიანობის შეფასება თითოეული ინდივიდის თვალსაწიერიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ზოგი ემხრობა კანაფის ლეგალიზაციას, ზოგი – არა. ერთნი მიუთითებენ აბორტის აკრძალვაზე, მეორენი ამტკიცებენ აბორტის დაშვების აუცილებლობას. ერთნი მიუთითებენ ევთანაზიის აკრძალვაზე, მეორენი პირიქით – აქტიური ევთანაზიის ლეგალიზაციას უჭერენ მხარს. დასახელებული საკითხების ანტაგონისტი და პროტაგონისტი მხარე აუცილებლად ჩამოაყალიბებს თავისი პოზიციის გამამყარებელ საკმაოდ წონად არგუმენტს. ეს არგუმენტი

კი ძირითადად იქნება მათი პოზიციის სამართლიანობის გამამყარებელი საშუალება. ერთნი არგუმენტად გამოიყენებენ მორალს, მეორენი – რელიგიას, მესამენი – ლოგიკას, მეოთხენი – თავისუფლებას. მოცემულ შემთხვევაში, ამოსავალი წერტილი არის არა არგუმენტის სისწორე, არამედ ის, რომ საკითხის სამართლიანობა ყოველ ადამიანს სხვადასხვაგვარად ესმის და ასეთი „სამართლიანობა“ საკუთარი „სამართლიანი“ შეხედულებებისა და არგუმენტების მეშვეობით მყარდება. ამდენად, კანონმდებლის დაუღალავი შრომის მიუხედავად, პრაქტიკულად ვერ მოხერხდება „ოქროს შუაღედის“ შემცველი საკანონმდებლო სისტემის შეთავაზება, აბსოლუტური ჭეშმარიტების ძიება. ამიტომ, პრობლემატური საკითხების ირგვლივ ყოველთვის გაჩაღდება მსჯელობა და რთული იქნება კონსენსუსის მიღწევა.

იურისტის მოქმედებას განსაზღვრავს კანონი. შესაბამისად, კანონი ახდენს იურისტის თვითნებობის ბოჭვას და განსაზღვრავს დასაშვებ თუ დაუშვებელ ქცევებს წესებს. გამომდინარე იქიდან, რომ სამართლიანობისა და კანონიერების პრობლემას ყველაზე უფრო მეტად აღიქვამს ვინ, თუ არა იურისტი, მას უწევს მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოწვევის წინაშე დადგომა: აღასრულოს თავისთვის უსამართლო კანონი და დაიცვას კანონიერება თუ არ აღასრულოს კანონი და დაიცვას სამართლიანობა, რომელიც, როგორც ვახსენეთ, მორალურ-ეთიკური და სხვა ღირებულებების შეფასების საგანს განეკუთვნება. ეს ჭიდილი, ერთი მხრივ, „შეუიარაღებელი თვალისთვის“ მარტივად აღქმადი მოცემულობაა, მეორე მხრივ, ასეთ პრობლემებთან მიმართებით იურისტის მონაწილეობით ყველაზე უფრო დიდი ბრძოლა საკუთარ თავთან, სინდისსა და მორალთან ბრძოლაა. მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია, რომ იყოს მარტივი, თუმცა თავად პროცესი, რასაც იურისტი გადის ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, განსაკუთრებული კომპლექსურობით ხასიათდება.

როგორც ვახსენეთ, ეთიკური ნორმების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას იურისტის პროფესიაში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეთიკურ-მორალური დილემებით სავსეა სამართალმცოდნეობა და იურისტის პროფესიული ასპარეზი. რა არის სწორი და რა არის უფრო სწორი, სწორედაც რომ რიგითი იურისტის შინაგანი ღირებულებების

კონფლიქტის შედეგად მიღებულ პასუხს წარმოადგენს. თუმცა, მთელი დატვირთვა, სიმძიმე და სიმწვავე იურისტის პროფესიისა, რომელსაც მუდამ თან სდევს მორალისა და ეთიკის უხილავი აჩრდილი, იმაში მდგომარეობს, რომ იურისტის პროფესიაში განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას მოჰყვება შესაბამისი პასუხისმგებლობა, დგება შესაბამისი სამართლებრივი შედეგი და უკავშირდება შესაბამისი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას. ამიტომ, ძნელია განსჯა, რა მოჰყვება მიღებულ გადაწყვეტილებას, მთელი დარჩენილი ცხოვრება სინდისის ქენჯნა თუ ეთიკური გადაწყვეტილების მიღებით, ღირსეულად დათესილი და შემდეგ ასევე ღირსეულად მომკილი სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამის აღნიშვნა მიწევს გამომდინარე თავად ეთიკისა და მორალური ნორმის უკიდურესად სუბიექტური შინაარსიდან. რამეთუ ხშირ შემთხვევაში, სამართლის მიზანს წარმოადგენს როგორც, „უმეტესობისთვის“ მისაღები მორალური წესრიგის შექმნის მცდელობა, ასევე სამართლებრივი წონასწორობის შექმნისკენ სწრაფვა და „შედარებით უფრო“ ბალანსირებული სისტემის უზრუნველყოფა. ამდენად, დასახელებული პროფესია არ უჩივის ეთიკურ-მორალური დილემების ნაკლებობას. ამიტომ, სწორედ იურისტზეა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული, რაც ხშირ შემთხვევაში, არცთუ ისეთი მარტივია.

ამდენად, ადვოკატის ცხოვრებაში არსებული ნებისმიერი გამოწვევა სასწორის პინებზე მოთავსებული ღირებულებების შეჯიბრს ჰგავს. ასეთი სასწორი, თითოეული ადამიანის ცნობიერში გვხვდება, ზოგან ემოციური, ზოგან ინტელექტუალური, ზოგან – რელიგიური ან სხვა ფორმით. თუმცა ჩვეულებრივი სასწორისგან განსხვავებით, სადაც სხვადასხვა საგნის ჩვენთვის სასურველ უკვე არჩეულ წონას ვათავსებთ და დანარჩენს უკვე სასწორის მექანიზმს ვანდობთ, ინდივიდის შინაგანი სასწორი შედარებით უფრო რთულად ფუნქციონირებს, ჩვენ თავად ვართ ასეთი სასწორის შემქმნელები და ჩვენ თავად ვანიჭებთ ასაწონ სიკეთეებს შესაბამის ღირებულებას. ამიტომ, დაფიქსირებული შედეგი, მეტწილად ჩვენივე არჩევანის პროდუქტია, რაზეც, თითოეულმა ჩვენგანმა განსაკუთრებით, კი ადვოკატმა, რომელიც სხვებთან შედარებით, სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირია, უნდა აიღოს განხორციელებული ქმედების თანმდევი შესაბამისი

პასუხისმგებლობა. ნიუტონის კანონი, „ქმედება იწვევს უკუქმედებას“, აქაც რელევანტურია.

2. კონფიდენციალურობის პრინციპი: კლიენტის პრივილეგია სხვათა უფლებების პირისპირ

კონფიდენციალურობის პრინციპის ნორმატიული მოწესრიგება ადგენს, რომ კლიენტის პრივილეგიას, იყოს დაცული ნებისმიერი სახის ინფორმაციის გამჟღავნებისგან, გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა ადვოკატის უფლებასთან მიმართებით, გაამჟღავნოს მათი კომუნიკაციისას მიღებული ინფორმაცია განსაკუთრებული და საგულისხმო ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას. საკუთრივ კონფიდენციალურობის პრინციპის თითქმის „განუზომელი და აბსოლუტური“ დაცვის ხარისხი კლიენტს ანიჭებს დომინანტურ მდგომარეობას არამხოლოდ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული ურთიერთობის კუთხით, არამედ თუ ფართოდ განვმარტავთ, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებებისაც, ხოლო ამის გარდა, ზოგადად საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის და კონსტიტუციური უსაფრთხოების განმტკიცებისა და გარანტირების კუთხით. რა შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ პრინციპის აღნიშნულმა მოდელმა? თუ კლიენტი ადვოკატს გაანდობს ინფორმაციას, რომ მომავალში კონკრეტულ ინდივიდთა სიცოცხლე დაექვემდებარება ხელყოფას, მოხდება მათი სხეულებრივი სიმრთელის დაზიანება ან ჯანმრთელობის გაუარესება, ხოლო ადვოკატი ამ ინფორმაციას შეატყობინებს შესაბამის საგამომიებო ორგანოებს, იმისათვის, რომ განხორციელდეს შესაბამისი საფრთხეების პრევენცია, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, იგი დაარღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰიპოთეტურად თუ მაინც არსებობს სხვათა ნეგატიური, ბუნებითი უფლებების ხელყოფის გონივრული რისკი და ადვოკატი ადამიანის წარუვალი, დაბადებით მინიჭებული უფლებების დაცვის მოტივითა და ასეთი საფრთხის აღკვეთის მიზნით, თუ შეატყობინებს რელევანტურ ორგანოებს, დაარღვევს ეთიკის კოდექსით და „ადვოკატის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კონფიდენციალურობის პრინციპს. საინტერესოა, რატომ

უნდა ჩაითვალოს ამ კონტექსტში, ადამიანის ბუნებითი და ნეგატიური უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ქმედება, ხელყოფის რეალური საფრთხის და გონივრული ალბათობის არსებობის შემთხვევაში, კანონის და ეთიკური პრინციპების დარღვევად? კიდევ უფრო საინტერესოა იმის განსაზღვრა, თუ რა უფრო ეთიკურია, ადამიანის ნეგატიური უფლებების ხელყოფა თუ პირის საპროცესო-სამართლებრივი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა? თუ ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი იქნება ტერორისტული ორგანიზაციის წევრი და იგი მას გაანდობს ასეთი სახის ინფორმაციას, გაცილებით უფრო მიმზიდველი ხდება ეთიკის კოდექსით და „ადვოკატთა შესახებ“ კანონით დადგენილი კონფიდენციალურობის პრინციპის მოდელის ეთიკურობისა და მორალურობის საკითხის განსაზღვრა. სტატიაში დასმული პრობლემა გაანალიზებული იქნება ორ განსხვავებულ კონტექსტში.

1. რატომ უნდა ჩაითვალოს ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი საგამომიებო ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება კანონისა და ადვოკატის ეთიკური პრინციპების დარღვევად, და რამდენად იქნება მორალურად გამართლებული, ადვოკატმა რომ მიაწოდოს ან არ მიაწოდოს ასეთი ინფორმაცია საგამომიებო ორგანოებს? უტილიტარიანიზმის სახელით ცნობილი მორალური თეორიის გამოყენების მეშვეობით შევეცდები ამ შეკითხვისთვის პასუხის გაცემას. გარდა ამისა, აღნიშნული შეკითხვისთვის პასუხის გაცემას მივყავართ ადვოკატის სამართლებრივი სტატუსის განხილვის საჭიროებამდე.

2. თუ ადვოკატი კონფიდენციალურობის პრინციპის ამ მოდელის პირობებში, დაარღვევს კლიენტის უფლებას, იყოს დაცული ინფორმაციის გამჟღავნებისგან, რამდენად ექვემდებარება ადვოკატის ქმედება კონსტიტუციურ სამართლებრივ გამართლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ძირითად უფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასების ტესტის ჭრილში? ასევე, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას მაგალითები იქნება მოყვანილი ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან.

კონფიდენციალურობის პრინციპის თაობაზე გამართული დისკუსია დაიწყება ამ უკანასკნელის ფილოსოფიური ასპექტების გააზრებით, ხოლო შემდგომ მოვახდენ მის სამართლებრივ ანალიზს

და შევეცდები ზემოთ დასმული შეკითხვებისთვის პასუხის გაცემას. თუმცა, მანამდე მიზანშეწონილია კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელობის გამოკვეთა და მისი თეორიული განზომილების მიმოხილვა.

3. კონფიდენციალურობის პრინციპის საკანონმდებლო მოწესრიგება

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულაში ვკითხულობთ, რომ „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.“ პრეამბულაში დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპების თავში განმტკიცებული მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დებულებები. აპეკ-ის პირველი მუხლი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპებს. პირველი მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, სხვა პრინციპებთან ერთად, იხელმძღვანელოს კონფიდენციალურობის პრინციპით. სამოქალაქო განმარტებით ლექსიკონში კონფიდენციალურობა განმარტებულია, როგორც „იმის უზრუნველყოფა, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს, მხოლოდ იმათთვის, ვისთვისაც იგი არის განკუთვნილი. იგი წარმოადგენს ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ ქვაკუთხედს და არის ძირითადი ეთიკური პრინციპი მრავალი პროფესიისთვის.“¹ მსგავს სულისკვეთებას იზიარებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. მე-4 მუხლის თანახმად, „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას,

¹ იხ. კონფიდენციალურობის დეფინიცია <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16589>.

კონფიდენციალურია.“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, არ დაუშვას მესამე პირთა წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციაზე. ხოლო, მე-3 წინადადება არ აკონკრეტებს იმ ინფორმაციის კატეგორიას, რომელიც ექვემდებარება კონფიდენციალურობის პრინციპით დაცვას. ეს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, მიუხედავად მისი ღირებულებისა და კატეგორიისა, იმსახურებს კონფიდენციალურობის პრინციპის მეშვეობით დაცვას, რაც, თავის მხრივ, მისასლმებელი მოვლენაა, და ამ კუთხით, კანონმდებელი ნამდვილად იმსახურებს აპლოდისმენტებს. საინტერესოა, თუ რა შემთხვევაშია დაშვებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი იმპერატიულად ადგენს სამ წინაპირობას, რომლის დროსაც დასაშვებია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება.² უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების წინაპირობები საჭიროებს კანონმდებლის მიერ დამატებით გადახედვას. კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის დამატებით გარანტიებს შეიცავს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი. კერძოდ, მე-5 მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება.“ დამატებით კი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტი ადგენს პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას, „გასული დროის მიუხედავად.“ თავის მხრივ, აპეკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილიც ადგენს, რომ „კონფიდენციალურობა არ არის შეზღუდული დროში.“ ეს ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელობა არ ააქვს, თუ რამდენი დროა გასული ადვოკატ-კლიენტის ურთერთობის დასრულებიდან, ადვოკატს მაინც ეკისრება კლიენტის მიერ მისთვის განდობილი ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება. სწორედ ეს იგულისხმება ჩანაწერში, რომ კონფიდენციალურობა, როგორც ინფორმაციის დაცვის მექანიზმი, არ ექვემდებარება ამოწურვას, ხანდაზმულობას. იგი დროსა და სივრცეში, სინქრონულად და დიაქრონულად, მოქმედებს შეუზღუდავად. ინფორმაციის

² იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

გამყდავენების კუთხით კი, „ადვოკატთა შესახებ“ კანონი აუცილებელ წინაპირობად განიხილავს მხოლოდ კლიენტის თანხმობას.³ როგორც ვხედავთ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს. მიზანშეწონილია, მათი ერთობლივად, ერთიან ცოცხალ ორგანიზმად განხილვა და აღქმა. საგულისხმოა, რომ კონფიდენციალურობის პრინციპის დამცავი მექანიზმების არსებობის კუთხით, ქართული კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დოკუმენტებსა და სტანდარტებს. მაგალითად, „ადვოკატთა როლის შესახებ, გაეროს ძირითადი პრინციპების“ 22-ე პუნქტის თანახმად, „სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ და პატივი სცენ ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის ყველა კომუნიკაციისა და კონსულტაციის კონფიდენციალურობას მათი პროფესიული ურთიერთობის ფარგლებში.“ ასევე, საყურადღებოა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21, რომლის მიხედვითაც, „მიღებულ უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის პატივისცემა.“ ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის თანახმად, „ადვოკატმა პატივი უნდა სცეს იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რომელიც მისთვის პროფესიონალური საქმიანობის განხორციელებისას გახდება ცნობილი.“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ნამდვილად გვთავაზობს იმგვარ ნორმატიულ ბაზას, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის პრინციპის გარანტირებას ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობას შორის, ხოლო, მეორეს მხრივ, უფრო ფართოდ რომ განვსაზღვროთ, ემსახურება მნიშვნელოვან კონსტიტუციურ ღირებულებას, კერძოდ: განამტკიცოს პირის სასამართლოში მიმართვის უფლება. როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კონვენციის მე-6 მუხლის ჭრილში, სასამართლოში მიმართვის უფლებას არ განმარტავს ვიწროდ, როგორც მხოლოდ, პირის

³ იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტი.

უფლებას, შეეძლოს სასამართლოსთვის, ფიზიკური თვალსაზრისით მიმართვის განხორციელება, მაგალითად, თუ დაკმაყოფილებულია სასამართლოს ადგილმდებარეობის გეოგრაფიული ელემენტი (როგორც ყველა ინდივიდისთვის გონივრულად ხელმისაწვდომი), არამედ სასამართლო მას განმარტავს ფართოდ. კერძოდ, სასამართლოში მიმართვის უფლება მოიცავს ყველა იმ საპროცესო გარანტიის უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია ადვოკატზე წვდომის უფლების სრულყოფილად განხორციელებისთვის. ხოლო, კონფიდენციალურობის პრინციპის არსებობის გარეშე, შეილახებოდა პირის უფლება ადეკვატურ დაცვაზე. დაცვის ადეკვატური გარანტიების გარეშე კი, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა სამართლიან სასამართლო განხილვის უფლებაზე საუბარიც კი. ამდენად, კონფიდენციალურობის პრინციპი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და დაცვის მიზნებისთვის, სასიცოცხლოდ აუცილებელია ამ პრინციპის საკანონმდებლო დონეზე გარანტირება. როგორც უკვე ვახსენეთ, ამ მხრივ, კონფიდენციალურობის პრინციპის მოწესრიგების ქართული მოდელი მეტწილად ადეკვატურად პასუხობს მის წინაშე მდგარ თანამედროვე გამოწვევებს. კონფიდენციალურობის პრინციპის საკანონმდებლო და საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების განხილვის შემდეგ მიზანშეწონილია ამ უკანასკნელის თეორიული მოცემულობის მიმოხილვა.

4. კონფიდენციალურობის პრინციპის თეორიული ასპექტები

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება განსაკუთრებულ ნდობას, რომლის ძირითადი საყრდენია ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვა.⁴ კონფიდენციალურობის არსს თუ ჩავუღრმავდებით, დავასკვნით, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისთვის გაზიარებული ინფორმაცია

⁴ გასიტაშვილი, ე., ხუბულური თ., ბოჭორიშვილი, კ., & კვაჭანტირაძე, დ., ეთიკის კომისიის საქმიანობა: პრეცედენტები, რეკომენდაციები, 2010-2013, 2013, 23.

მხოლოდ მაშინ დაექვემდებარება კონფიდენციალურობის პრინციპით დადგენილ დაცვის ფარგლებს, თუ მათ შორის ურთიერთობა ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან ადამიანურ თვისებას, როგორც ნდობაა. ნდობა წარმოადგენს არამხოლოდ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმატებული მსვლელობის საფუძველს, არამედ იგი ნებისმიერი ადამიანური ურთიერთობის საწყისი წერტილია. ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა ქმნის გარანტიას, რომ კლიენტი ადვოკატს გაანდობს მისთვის სენსიტიურ თუ ნაკლებად სენსიტიურ ინფორმაციას, ხოლო ადვოკატი კონფიდენციალურობის პრინციპის ძალით, დაექვემდებარება სავალდებულო ბოჭვას და არ ექნება კლიენტის თანხმობის გარეშე ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების უფლებამოსილება. ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები. კონფიდენციალურობის უექველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა.⁵ ადვოკატმა პატივი უნდა სცეს იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რომელიც მისთვის პროფესიონალური საქმიანობის განხორციელებისას გახდება ცნობილი.⁶ როგორც ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსშია ნახსენები, კონფიდენციალურობის პრინციპი უზრუნველყოფს როგორც მართლმსაჯულების ეფექტიან ადმინისტრირებას, ასევე კლიენტის ინტერესების ადეკვატურ დაცვას. მნიშვნელოვანია კლიენტის ინტერესების ჯეროვან დაცვასა და მართლმსაჯულების ეფექტიან ადმინისტრირებას შორის წონასწორობის შენარჩუნება. ეს ნიშნავს იმას, რომ კლიენტის ინტერესებისთვის გადაჭარბებული პრიორიტეტის მინიჭებით არ უნდა შეიღახოს მართლმსაჯულების ეფექტიანი ადმინისტრირება და პირიქით, მართლმსაჯულების ეფექტიანი ადმინისტრირებისთვის უპირობო პრიორიტეტის მინიჭებით არ უნდა მოხდეს კლიენტის ინტერესთა განხორციელების პრევენცია. საგულისხმოა, რომ კონფიდენციალურობის პრინციპი სწორედ

⁵ ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, 2.3.1. პუნქტი.

⁶ იხ. იქვე, 2.3.1. პუნქტი.

გონივრული წონასწორობის დადგენას ცდილობს, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს მის მნიშვნელოვან როლზე. ამ მიზნებისთვის ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი ადგენს, რომ კონფიდენციალურობის პრინციპს „ეკუთვნის განსაკუთრებული დაცვა სახელმწიფოს მხრიდან.“⁷

აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი მუხლით დადგენილი სახელმძღვანელო დებულებები ადვოკატისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონეა და, უფრო მეტიც, კოდექსი ამ დებულებათა შესასრულებლად სავალდებულოობას ადვოკატის არამხოლოდ მორალურ, არამედ პროფესიულ ვალდებულებადაც განიხილავს. კონფიდენციალურობის პრინციპის განცალკევებულად განხილვა თავად ამ კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილი არ იქნებოდა. როგორც ეთიკის კომისიის პრაქტიკა გვიჩვენებს, ნებისმიერი პრინციპი, მათ შორის, კონფიდენციალურობის პრინციპი უნდა განიხილებოდეს სხვა პრინციპებთან ურთიერთდამოკიდებულებასა და თანხვედრაში. ეს განპირობებულია იმით, რომ თვითონ პრინციპების სამართლებრივ შინაარსში მოიაზრება სხვა პრინციპებთან პარალელის გავლების აუცილებლობა. მაგალითად, როგორც ვახსენეთ, კონფიდენციალურობის პრინციპი მნიშვნელოვნად ეფუძნება ნდობას. ამიტომ, კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევისას წამოიჭრება საკითხი, ხომ არ ჰქონია ადგილი, ასევე ნდობის პრინციპის დარღვევას? ეს უკანასკნელი ლოგიკურად აიხსნება, თუ გავიხსენებთ ნდობის პრინციპის ნორმატიულ დეფინიციას, რომლის თანახმადაც, „ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა.“ საკუთრივ, თუ ადვოკატი არღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს და არ ამართლებს კლიენტის მოლოდინს მასზე მინდობილი ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით, რაციონალურია ვარაუდი, რომ ადგილი ექნება ნდობის პრინციპის დარღვევასაც. კონფიდენციალურობის პრინციპი ასევე მჭიდრო კავშირშია კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთანაც. აპკ-ის მე-5

⁷ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაშია მნიშვნელოვან საერთაშორისო სტანდარტებთან

მუხლის მიხედვით, „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ უნდა დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.“ კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის ადვოკატს ევალება პროფესიული საიდუმლოების დაცვა, ინფორმაციისა, რომელიც მის ხელთ სწორედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში აღმოჩნდა.⁸ ადვოკატს ევალება, გაამართლოს მისდამი კლიენტის ნდობა, რაც უპირველესად კლიენტისაგან უშუალოდ მიღებული ინფორმაციის, კლიენტის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისადმი პროფესიულ მიდგომას მოითხოვს.⁹ კონფიდენციალურობის ვალდებულება ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში საინტერესოდ წარმოჩნდა ეთიკის კომისიის, როგორც სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოს საქმიანობაში.¹⁰ მაგალითად, 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაში, N°027/11/ საქმეზე ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის წარმოშობის მომენტის საწყის წერტილზე. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ „ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან.“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების მომენტიდან ადვოკატს წარმოეშობა კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, კონსულტაციის გაწევის შემდეგ კლიენტი გააგრძელებს თუ არა მასთან ურთიერთობას.¹¹ როგორც განმარტებიდან ჩანს, კონფიდენციალურობის პრინციპით მინიჭებული დაცვის ფარგლები კლიენტს დაცვის საკმაოდ მაღალ სტანდარტს სთავაზობს და მხედველობაში არ იღებს ფაქტს, რეალურად შედგა თუ არა მათ შორის ურთიერთობა, არამედ კონსულტაციის მომენტიდანვე ახდენს ადვოკატის კონფიდენციალურობის ძალით ბოჭვას. საგულისხმოა, რომ ეთიკის კომისია, N°106/12 საქმეში, პარალელს ავლებს კლიენტის

⁸ გასიტაშვილი, ე., ხუბულური თ., ბოჭორიშვილი, კ., & კვაჭანტირაძე, დ., ეთიკის კომისიის საქმიანობა: პრეცედენტები, რეკომენდაციები, 2010-2013, 2013, 23.

⁹ იხ. იქვე, 24.

¹⁰ იქვე.

¹¹ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე N°106/12, პარაგ. 7.2.

ინტერესების უპირატესობის პრინციპთან და აღნიშნავს, რომ „წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება, დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშობა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით.“ თუმცა იქვე კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კონფიდენციალურობის პრინციპი უფრო ადრე, კონსულტაციის დაწყებისთანავე იწყებს მოქმედებას, ხოლო 2011 წლის 14 ივნისის, №092/10 გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისია ხაზს უსვამს, რომ „კლიენტისგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაციის მიმართ, ადვოკატს დაცვის ვალდებულება უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.“ როგორც ვხედავთ, კონფიდენციალურობის პრინციპი მჭიდრო კავშირშია ეთიკის კოდექსით დადგენილ სხვა პრინციპებთანაც. ამდენად, ეთიკის კოდექსით დადგენილი დებულებები უნდა განიმარტებოდეს ერთიანად, ნორმის განმარტების სისტემური მეთოდის გამოყენებით. ერთი პრინციპის დარღვევით შესაძლებელია დაირღვეს სხვა პრინციპები და – პირიქით.

5. კონფიდენციალურობის პრინციპი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას სხვაგვარად ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიაც ეწოდება. პროფესიული საიდუმლოება და ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია მიიჩნევა ინსტრუმენტებად, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის განტმკიცება და კანონის უზენაესობის პრინციპის შენარჩუნება.¹² სამართლის ძალიან ბევრი სისტემა იზიარებს საერთო გაგებას, რომ თუ მოქალაქის უფლება კონფიდენციალურობაზე, ე.ი. მისი უფლება, იყოს დაცული იმ ინფორმაციის გამჟღავნებისგან, რომელიც მან გაუზიარა ადვოკატს, იქნება უარყოფილი, ინდივიდებს წვდომა შეეზღუდებათ

¹² CCBE RECOMMENDATIONS: On the protection of client confidentiality within the context of surveillance activities, 12.

არამხოლოდ დაცვის უფლებაზე, არამედ, ზოგადად, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე.¹³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებში ეს საკითხი ფართოდ არის განხილული. ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის საკითხებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლით დაცულ სფეროებში აქცევს. უფრო კონკრეტულად, სტრასბურის სასამართლო ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიას კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილ დაცვას ანიჭებს, ხოლო პროფესიულ საიდუმლოებას კი, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების განმტკიცების ჭრილში – მე-8 მუხლით დაცვას უქვემდებარებს.¹⁴

კონფიდენციალურობის პრინციპის გარეშე არ არსებობს უფლება სამართლიან სასამართლოზე. სასამართლო ცხადყოფს, რომ „ყველას უფლება სამართლიან სასამართლოზე მიჯაჭვულია „ნდობაზე დაფუძნებულ, საფრთხილო ურთიერთობაზე“ [ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ ურთიერთობაზე].“¹⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის განმტკიცების კუთხით ადგენს მნიშვნელოვან გარანტიებს. აღსანიშნავია, რომ ურთიერთობის ეს კატეგორია განსაკუთრებული სიფაქიზით გამოირჩევა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ფრთხილ და გულისხმიერ მოპყრობას საჭიროებს. ცნობილ საქმეზე, *Niemitz v. Germany*, სასამართლო აღნიშნავს, რომ „სასამართლო პროცესზე, ადვოკატის ჩართულობის შემთხვევაში, პროფესიული საიდუმლოების მარწუხებში მოქცევით შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებს და უფრო მეტიც, მართლმსაჯულების ჯეროვან ადმინისტრირებას, ზოგადად.“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ საქმეში ხაზს უსვამს დემოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატისთვის მინიჭებულ განსაკუთრებულ როლს. ადვოკატები ვერ შეძლებენ მათზე დაკისრებული მნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულებას, თუ მათ არ ექნებათ

¹³ იხ. იქვე.

¹⁴ Spronken, Taru and Fermon, Jan (2008) Protection of Attorney-Client Privilege in Europe, *Penn State International Law Review*: Vol. 27: No. 2, Article 9, 7.

¹⁵ ECtHR, *Michaud v. France*, App. No.12323/11, 2011 წლის 19 იანვარი, para.117-8.

გარანტია, რომ კომუნიკაციის განმავლობაში გაცვლილი ინფორმაცია დარჩება კონფიდენციალურად. ამის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ადვოკატის ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება. მართლაც, საქმეზე *S. v. Switzerland*, სასამართლომ დაადგინა, რომ „ბრალდებულის უფლება, შეეძლოს კომუნიკაცია თავის დამცველთან მესამე პირთა ჩართულობის გარეშე, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზოგადეს, საბაზისო ელემენტს დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (c) ქვეპუნქტით დადგენილ მიზნებს.“ სასამართლო ასევე უთითებს, რომ თუ ადვოკატი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, მისცეს თავის კლიენტს კონკრეტული მითითებები მესამე პირთა ჩართულობის გარეშე, ადვოკატის მხარდაჭერა მნიშვნელოვნად დაკარგავს თავის სარგებლიანობას, მაშინ როდესაც თავად კონვენციის არსში მოიაზრება უფლებათა პრაქტიკული და ეფექტიანი გარანტირება.¹⁶ მაგალითისთვის, *Golder*-ის საქმეში, განმცხადებელს სურდა ციხის ბადრაგის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა, მაგრამ მას უარი ეთქვა არამხოლოდ ადვოკატთან კონფიდენციალურ შეხვედრასა და საუბარზე, არამედ საერთოდ ადვოკატთან კონსულტაციაზე.¹⁷ ამ კუთხით, სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადად, ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დასაცავად პატიმრობაში მყოფ პირს უნდა ჰქონდეს ადვოკატთან შეხვედრის შესაძლებლობა, და – პირიქით.¹⁸

კონვენციის მე-6 მუხლით უპირობოდაა გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მასთან ერთად, პირის უფლება, ექვემდებარებოდეს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის ფარგლებს, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილია კონვენციის მე-8 მუხლის კონტექსტში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სახელმწიფოს მიერ პირადი და

¹⁶ ECtHR, *S. v. Switzerland*, App. No.12629/87, 1991 წლის 28 ნოემბერი, para.48.

¹⁷ ECtHR, *Golder v. United Kingdom*, App. No. 4451/70, 1975 წლის 21 თებერვალი.

¹⁸ Spronken, Taru and Fermon, Jan (2008) "Protection of Attorney-Client Privilege in Europe," *Penn State International Law Review*: Vol. 27: No. 2, Article 9, 12.

ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის გამოსავლენად, იყენებს შეფასების ტრადიციულ ტესტს, რომელიც ეფუძნება სასამართლო პრაქტიკაში შემუშავებულ კარგად აპრობირებულ მეთოდს. ამდენად, სტრასბურის სასამართლოს უწევს შემდეგ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემა: ა. განხორციელდა თუ არა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა; ბ. შეესაბამებოდა თუ არა ასეთი ჩარევა მოქმედ, ეროვნულ კანონმდებლობას? სადაც იგულისხმება არამხოლოდ, ზოგადად, სამართლის ნორმის არსებობა, არამედ თავად ამ საკანონმდებლო ნორმის ხარისხი: განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა; გ. ემსახურება თუ არა ასეთი ჩარევა კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ლეგიტიმურ მიზნებს? იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში? იყო თუ არა სახეზე მომეტებული სოციალური საჭიროება? იყო თუ არა პროპორციულობის პრინციპი დაკმაყოფილებული? აღსანიშნავია, რომ თითოეული საქმის ამ ტესტის მეშვეობით გამოკვლევის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, განხორციელდა თუ არა მე-8 მუხლით დაცული სიკეთის, ამ შემთხვევაში, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის პრივილეგიის პრინციპის დარღვევა.

კონფიდენციალურობის პრინციპის, სხვაგვარად კი, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის მნიშვნელობა ყველაზე მწვავედ სისხლის სამართლის პროცესებში ჩანს. შესაბამისად, ამ საკითხის ირგვლივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა უმეტესობა სისხლის სამართლის პროცესს ეხება. მართლაც, სისხლის სამართლის პროცესში ყველაზე უკეთ ჩანს კონფიდენციალურობის პრინციპის და მასში სახელმწიფოს ჩაურევლობის საკითხთა მნიშვნელობა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული კორესპონდაცია უნდა იყოს დაცული. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ნათლად უსვამს ხაზს ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული კორესპონდენციის დაცვის მომეტებულ საჭიროებას და ადგენს, რომ ჩვეულებრივ კორესპონდენციასთან შედარებით, კონვენცია ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციას სთავაზობს ბევრად უფრო

მაღალი ხარისხის, გაძლიერებულ დაცვას. კონვენციისეული მიდგომა ნამდვილად იმსახურებს შექებას იმდენად, რამდენადაც, ხშირ შემთხვევაში, ბრალდებულისთვის, როგორც მოწყვლადი ინდივიდისთვის, ინფორმაციის კონფიდენციალურად დარჩენას და მასზე სახელმწიფო წვდომის შეზღუდვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, საქმეში *Campbell v. U.K.*, სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ პატიმრობაში მყოფ პირსა და ადვოკატს შორის კომუნიკაცია ექცევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. ამავე საქმეზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის ნებისმიერი კატეგორია, მიუხედავად ამ უკანასკნელის ღირებულებისა, ღირსია რომ იყოს დაცული კონვენციის მე-8 მუხლით.¹⁹

საინტერესოა, 1978 წლის 6 სექტემბერის საქმე *Klass and Others v. Germany*, სადაც 5 ადვოკატი აცხადებდა, რომ გერმანული კანონმდებლობა შესაბამის ორგანოებს უფლებამოსილებას აძლევდა, რომ განეხორციელებინათ მათი სატელეფონო ხაზებისა და კერძო კორესპონდაციის მონიტორინგი, თანაც ისე, რომ არ ეკისრებოდათ ადვოკატების წინააღმდეგ გამოყენებული ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. სასამართლომ მიუთითა, რომ ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურებოდა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ლეგიტიმური მიზნების მიღწევას, კერძოდ ეროვნული უსაფრთხოების დაცვასა და დანაშაულის პრევენციას. ხოლო, გერმანული კანონმდებლობა სრულიად შეესაბამებოდა კონვენციით დადგენილ სტანდარტს. ტერორიზმის საფრთხე წარმოადგენდა იმ საგამონაკლისო ვითარებას, რომლის დროსაც პროპორციული იყო მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ამგვარი ინტენსიური ჩარევა. უკვე, 1998 წლის 25 მარტს, საქმეში *Kopp v. Switzerland*, ადამიანის

¹⁹ ECtHR, *Campbell v. U.K.*, App. No. 13590/88, 1992 წლის 25 მარტი. para.48 როგორც მითითებულია 48-ე პარაგრაფში: „სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს, რათა განასხვავოს ინფორმაციის კატეგორია, ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული კორესპონდაციის მიმდინარეობისას, მიუხედავად ნებისმიერი მიზნისა მანამ, სანამ ინფორმაციის ასეთ კატეგორიას გააჩნია კერძო და კონფიდენციალური ხასიათი.“

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საადვოკატო კომპანიის სატელეფონო ხაზების მონიტორინგი კონვენციის მე-8 მუხლთან შეუსაბამოდ მიიჩნია. თუმცა ამ საქმეში, Klass-ის საქმისგან განსხვავებით, სატელეფონო ხაზების კონტროლი ხორციელდებოდა საჯარო პროკურორის განჩინების საფუძველზე, სადაც ეს უკანასკნელი მესამე მხარეს წარმოადგენდა. მოცემულ საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უპირობოდ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობა მართლაც ახდენდა ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის დაცვასა და გარანტირებას, თუმცა, კანონმდებლობით ზუსტად არ იყო დადგენილი, თუ სად გადიოდა ზღვარი ადვოკატის, კლიენტის ინსტრუქციით განპირობებულ მოქმედებასა და ადვოკატის სხვა საქმიანობას შორის. საგულისხმოა, რომ საქმეში, Petri Sallinen and Others v. Finland, განმცხადებელი (ადვოკატი) უთითებდა, რომ ფინეთის ძალოვანმა ორგანოებმა გაჩხრიკეს მისი ოფისი და მტკიცებულების სახით ამოიღეს ე. წ. ჰარდ-დისკები, რომელშიც ინახებოდა კონფიდენციალური ინფორმაცია მისი 3 კლიენტის შესახებ. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება და დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ფინეთის კანონმდებლობით არ იყო მკაფიოდ დადგენილი, თუ რა კონკრეტულ პირობებში უნდა განხორციელებულიყო პრივილეგირებული მასალების ჩხრეკისთვის და ამოღებისთვის დაქვემდებარება. 2007 წლის 7 ივნისს, რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. საქმეში, Smirnov v. Russia, განმცხადებლის (ადვოკატის) კომპიუტერიდან ამოიღეს მტკიცებულება, რომლითაც დასტურდებოდა მისი კლიენტების მონაწილეობა ორგანიზებულ დანაშაულში. სასამართლომ მიუთითა, რომ ჩხრეკის განჩინების ფართო შინაარსი პოლიციას აძლევდა ტოტალურ თავისუფლებას ამოსაღები მასალის განსაზღვრის კუთხით. თუმცა მანამდე, 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით Tamoussiუს-ის საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის

საჩივარი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, დაუშვებლად ცნო. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ადვოკატის ოფისში ჩატარდა საგამომიებო მოქმედებები, რომლის ფარგლებშიც ამოღებულ იქნა მასალები, რომელიც ეხებოდა კლიენტის მიერ საგადასახადო თაღლითობის ჩადენის ფაქტს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩხრეკა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც მოიცავდა დანაშაულის პრევენციას და სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნებას და წარმოადგენდა პროპორციულ ქმედებას დემოკრატიულ საზოგადოებაში.²⁰ Smirnov-ის შემთხვევისგან განსხვავებით, საქმეში არსებული მასალების გამოკვლევისას დადგინდა, რომ ჩხრეკის პროცესს ესწრებოდა სპეციალურად შერჩეული დამცველი, რომელსაც ევალებოდა იმის განსაზღვრა, თუ რომელი დოკუმენტი ექვემდებარებოდა ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცვას. დამატებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა, პროფესიული საიდუმლოების დაცვის კუთხით, ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმებით იყო აღჭურვილი და ითვალისწინებდა როგორც გასაჩივრების, ასევე კომპენსაციის მიკუთვნების შესაძლებლობას. არანაკლებ საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება. საქმეში, *Iliya Stefanov v. Bulgaria*, ბულგარეთის საგამომიებო ორგანოებმა, მტკიცებულებეთა მოპოვების მიზნით, გაჩხრიკეს განმცხადებლის (ადვოკატის) ოფისი, რომლის ფარგლებშიც ამოღებულ იქნა ადვოკატის კუთვნილი კომპიუტერი და რამდენიმე მყარი დისკი. სასამართლომ გასაოცრად მიიჩნია, რომ ჩხრეკის მიმდინარეობას ესწრებოდა ადვოკატის ორი მეზობელი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეყრდნო ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებებს და დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ დაადგინა, რომ განხორციელებული საგამომიებო მოქმედებები ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ დანაშაულის პრევენციას. სასამართლომ ასევე რელევანტურად მიიჩნია ეროვნული

²⁰ ECtHR, *Tamosius v. The United Kingdom*, App. No. 62002/00. 2002 წლის 19 სექტემბერი

სასამართლოს მიერ ჩხრეკის ორდერის გაცემა, თუმცა, სახელმწიფომ აშკარად დაიმსახურა კრიტიკა ჩრეკის ორდერის მოქმედების „ზედმეტად ფართო“ ფარგლების გამო.²¹ აღსანიშნავია, რომ ორდერის საფუძველზე საგამომიებო ორგანოებმა ორი თვის განმავლობაში ჩაატარეს შესაბამისი მოქმედებები, რომელიც მოიცავდა ადვოკატის კომპიუტერისა და მყარი დისკების გამოკვლევას. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამართლიანად მიუთითა, რომ საგამომიებო მოქმედებათა მსვლელობაზე ორი მეზობლის დასწრება, რომლებსაც არ გააჩნდათ იურიდიული განათლება, არ შეიძლება ჩათვლილიყო ეფექტიან ზომად ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული მასალების უკანონო ამოღების პრევენციისთვის. დამატებით კი, ბულგარეთის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საგამომიებო მოქმედებათა კანონიერების გასაჩივრების და კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.²² საინტერესოა, ერთი მხრივ, თითქმის იგივეობრივი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, თუ რატომ სცნო ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, Tamousius-ის შემთხვევაში, საჩივარი დაუშვებლად, ხოლო მეორეს მხრივ, Iliya Stefanov-ის საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში, ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ემსახურებოდა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახული მიზნების

²¹ Iliya Stefanov-ის საქმეში, კერძოდ, 41-ე პარაგრაფში სასამართლო აღნიშნავს, რომ „არც ორდერის გაცემის მარეგულირებელი ნორმა და არც თავად ორდერი არ ახდენს იმ ნივთებისა და დოკუმენტების ჩამოთვლას, რაც მოსალოდნელია, რომ იქნება ნაპოვნი განმცხადებლის ოფისში, არც იმ დოკუმენტების სიაა მოცემული, რომელიც შესაძლებელია, სხვაგვარად ყოფილიყო რელევანტური გამოძიებისთვის.“

²² Iliya Stefanov-ის საქმეში, კერძოდ, 39-ე პარაგრაფში მითითებულია, რომ „იმისათვის, რომ განისაზღვროს, იყო თუ არა ეს ზომები „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, მოიძებნებოდა თუ არა ეროვნულ სამართალში ის საკანონმდებლო მექანიზმები, რომლებიც მოახდენდა დარღვევათა პრევენციას, და თუ არსებობდა, როგორ განხორციელდა მათი ეფექტიანი მობილიზება ამ კონკრეტულ საქმეში.“

მიღწევისთვის. ამასთანავე, საგამომიებო მოქმედებები ეფუძნებოდა მოსამართლის მიერ გაცემულ ჩხრეკის ორდერს, რომელშიც კონკრეტულად იყო იდენტიფიცირებული ჩხრეკის დროს ამოსაღებ საგანთა რაოდენობა, ხოლო იმისათვის, რომ არ მომხდარიყო ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული რომელიმე დოკუმენტაციის ამოღება, რაც იმთავითვე დაარღვევდა პროფესიული საიდუმლოებით დაცულ ღირებულებას, ჩხრეკისა და ამოღების პროცესს ეწრებოდა სპეციალური დამცველი, რომლის მიზანსაც სწორედ ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული დოკუმენტაციის იდენტიფიცირება და ასეთი დოკუმენტაციის ამოღების პრევენცია წარმოადგენდა. ამის გარდა, დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა საგამომიებო მოქმედებათა კანონიერების გასაჩივრებისთვის ადგენდა ეფექტურ მექანიზმებს. საპირისპიროდ, Iliya Stefanov-ის საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის ბუნდოვანიც კი იყო, შეესაბამებოდა თუ არა ასეთი ჩარევა ეროვნულ კანონმდებლობას. დამატებით, წინა საქმისგან განსხვავებით, საგამომიებო მოქმედებები ჩატარდა ორი მეზობლის თანდასწრებით, რომლებსაც არ გააჩნდათ არანაირი იურიდიული განათლება. ამდენად, ეს უკანასკნელი ვერ ჩაითვლება ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული დოკუმენტაციის იდენტიფიცირების და შემდგომ ამოღების პრევენციის ეფექტიან მექანიზმად. დამატებით კი, სოფიას საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული ჩხრეკის ორდერი საგამომიებო ორგანოებს გადაჭარბებულ უფლებამოსილებას აძლევდა. სასამართლო მართებულად უთითებს, რომ ადვოკატის კომპიუტერსა და მყარ დისკებში უეჭველად იქნებოდა, და ლოგიკურად უნდა ყოფილიყო, ისეთი მასალა, რომელიც დაცული იქნებოდა პროფესიული საიდუმლოებით, ხოლო ბულგარეთის შესაბამის ორგანოებს ეს ყოველივე მხედველობაში უნდა მიეღოთ.

როგორც ჩანს, ადვოკატის პროფესიული საიდუმლოებით დაცულ სფეროში ჩარევა, ეროვნული ორგანოების მიერ, ხშირ შემთხვევაში, მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით ხორციელდება. 2008 წლის 24 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილება, საქმეზე *André and Another v. France*, ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. საფრანგეთის საგადასახადო საგამომიებო ორგანოებმა მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით, გაჩხრიკეს ორი ადვოკატის

კომპანია. საყურადღებოა ის, რომ მტკიცებულებათა მოპოვება უნდა განხორციელებულიყო არა ადვოკატთა წინააღმდეგ, არამედ ამ საადვოკატო კომპანიის კლიენტის წინააღმდეგ, რომელსაც ედავებოდნენ საგადასახადო ვალდებულებებისგან თავის არიდებას. სცენარი კლასიკურად განვითარდა – საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უამრავი მასალა იქნა ამოღებული, მათ შორის, ხელნაწერი დოკუმენტები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, დანაშაულის პრევენციას და მართლწესრიგის დაცვას. შეკითხვაზე, თუ რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა დასახული მიზნების მისაღწევად, სასამართლო უთითებს 1993 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებას, საქმეზე *Crémieux v. France*, და აღნიშნავს, რომ ევროკონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები ჩარევის საჭიროების განსაზღვრის კუთხით, სარგებლობენ ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით, თუმცა საქმის ფაქტობრივი გარემოებები აიძულებს სასამართლოს, რომ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ინტერპრეტაცია მოახდინოს ვიწროდ. სასამართლო მიიჩნევს, რომ ადვოკატის კომპანიის ჩხრევა კლიენტის მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, რა თქმა უნდა, უტოლდება და ეჭვგარეშეა, რომ წარმოადგენს პროფესიული საიდუმლოების პრინციპის დარღვევას, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას, ხოლო კლიენტის უფლება თვითინკრიმინაციის აკრძალვაზე, დგას რისკის წინაშე.²³ ასევე გარდა იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც, ჩხრევის ორდერი მოქმედების საკმაოდ ფართო ფარგლებს ადგენდა, სასამართლომ ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ კომპანიის არცერთი ადვოკატი არ იყო ეჭვმიტანილად ან ბრალდებულად ცნობილი იმ ქმედებაში, რომ მათ რაიმე სახის კავშირი ჰქონდათ კლიენტის მიერ ჩადენილ თაღლითობასთან. უფრო მეტიც, ფაქტი, რომ სახელმწიფო ძალიან დიდი სირთულის წინაშე აღმოჩნდა კლიენტის მამტყუნებელი

²³ ECtHR, *André and Another v. France*, App. No. 18603/03, 2008 წლის 24 ივლისი, პარაგ. 39-41.

მტკიცებულებების მოპოვების კუთხით, არანაირად არ აძლევს ამ უკანასკნელს უფლებამოსილებას, შესულიყო კლიენტის დამცველის საკუთრებაში და გაუმართლებლად ჩარეულიყო პროფესიული საიდუმლოებით დაცულ სფეროში. ამდენად, სასამართლომ ამ საქმეზეც დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

როგორც ვხედავთ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები პროფესიულ საიდუმლოებასთან მიმართებით უამრავ შემთხვევას გვთავაზობს. მაგალითად, განმცხადებელი, საქმეში Tuheia v. France, უთითებდა, რომ მის ოფისში, ადვოკატთა საბჭოს პრეზიდენტის სტუმრობა, როდესაც თვითონ იქ არ იმყოფებოდა, წარმოადგენდა პროფესიული საიდუმლოების პრინციპის დარღვევას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო, აღნიშნა რა, რომ ადგილი არ ჰქონია პროფესიული საიდუმლოების პრინციპის დარღვევას. სასამართლო მიიჩნევს, რომ „ჩარევა“ ნაცვლად იმისა, რომ განხორციელებულიყო რომელიმე სხვა ორგანოს მიერ, აქ განხორციელდა არა „ჩარევა“, არამედ, ადვოკატის ოფისის ესტუმრა სხვა ადვოკატი, რომელიც ასევე ექვემდებარება პროფესიული საიდუმლოების პრინციპით ბოჭვას და მითუმეტეს, ადვოკატთა საბჭოს პრეზიდენტი, რომელიც შედარებით უფრო მაღალი ლეგიტიმაციით სარგებლობს, პირიქით მოწოდებულია ადვოკატთა კორპუსის პრესტიჟის დაცვაზე. ხოლო, გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატთა საბჭოს ევალეზა, იზრუნოს კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობაში ნდობის ხარისხის ამაღლებასა და განმტკიცებაზე, სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, ადვოკატთა საბჭო აღჭურვილია მონიტორინგისა და საზედამხედველო უფლებამოსილებებით, საპირისპიროდ, ლეგიტიმურია.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მასთან ერთად მისი უპირობო დამცველი, სტრასბურის სასამართლო, პროფესიული საიდუმლოსა და ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის განმტკიცების კუთხით, დაცვის უმაღლეს სტანდარტებს ადგენს. 2018 წლის 24 მაისის საქმეზე, Laurent v. France, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ადვოკატი და მისი კლიენტები იმყოფებოდნენ სასამართლოს შენობაში, რომლის დროსაც

ადვოკატი ფურცელზე წერდა მითითებს თავისი დაცვის ქვეშ მყოფებისთვის, და ამ გზით ახორციელებდა მათთან კომუნიკაციას. პოლიციის ოფიცერი, კი, კომუნიკაციის განხორციელების პროცესში ჩაერია და მათ ფურცლები გამოართვა. სასამართლომ მკაცრად აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რა ეწერა ფურცლის ნაგლეჯზე, პროფესიული საიდუმლოების დაცვის ფარგლები ამ მიმოწერაზეც იმანენტურად ვრცელდებოდა.

6. კონფიდენციალურობის პრინციპის ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს უტილიტარიანისტული გააზრება²⁴

უტილიტარიანიზმის სიღრმისეული კვლევა არ არის ნაშრომის თვითმიზანი. არამედ, ამ თეორიას გამოვიყენებთ კონფიდენციალურობის პრინციპის ეთიკურობის შეფასების ინსტრუმენტად, იგი შეასრულებს ამ უკანასკნელის მორალურობის საზომის ფუნქციას. უტილიტარიანიზმი ადგენს მოქმედების, წესის ან ინსტიტუციის მორალურობისა და ეთიკურობის შეფასებისთვის გამოსაყენებელ ფორმულას, ხოლო კონფიდენციალურობის პრინციპის ამ ფორმულის მეშვეობით ანალიზის შემდგომ დავასკვნით, თუ რამდენად მორალურია აღნიშნული მოდელი. ეს სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ რომელიმე სხვა ეთიკური თეორიის გამოყენებით საპირისპირო ვერ დამტკიცდება ან არ დადასტურდება. ნაშრომის მიზნებისთვის, უტილიტარიანისტული დოქტრინა მიზნის მიღწევის ყველაზე კარგი და გამოსადეგი საშუალებაა.

უტილიტარიანიზმი ეს არის ნორმატიულ-ეთიკური თეორია, რომელიც „სწორისა და არასწორის“ განსაზღვრას უკავშირებს მოსალოდნელ შედეგებს. მარტივად რომ ავიღოთ, უტილიტარიანიზმი ამბობს, რომ სწორია ის, რაც წარმოშობს საუკეთესო შედეგებს.²⁵ არასწორი კი არის ის, რომელიც ახდენს

²⁴ *საკანონმდებლო ჩარჩოში მოვიაზრებ ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალურობის პრინციპს და „ადვოკატთა შესახებ“ კანონით განსაზღვრულ პროფესიულ საიდუმლოებას. ნაშრომში შეთავაზებული მსჯელობა ვრცელდება ადვოკატის პროფესიულ საიდუმლოებაზე კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის კონტექსტში.

²⁵ Ross Powell A. & Babcock G. (Eds.). (2016). Arguments for Liberty. USA. 9.

საუკეთესო შედეგების წარმოშობის პრევენციას. მოქმედება, წესი ან ინსტიტუცია მორალურად მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არცერთი ხელმისაწვდომი ალტერნატივა არ წარმოშობს უფრო მეტ სარგებელს.²⁶ უფრო კონკრეტულად, უტილიტარიანიზმის მიზანია მოახდინოს სარგებლიანობის მაქსიმალიზაცია.²⁷ უტილიტარიანიზმის მიმდევრები სარგებლიანობაში ძირითადად გულისხმობენ სოციალურ ბედნიერებას. ამდენად, უტილიტარიანიზმი არ ამბობს, რომ ინდივიდის ქმედება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ საკუთარი ბედნიერების მაქსიმალიზაციისკენ. მორალი მოითხოვს მიუკერძოებლობას – უტილიტარიანიზმის მიხედვით, ადამიანს ევალება არამხოლოდ საკუთარ ბედნიერებაზე, არამედ საერთო, საყოველთაო და სოციალურ ბედნიერებაზე ზრუნვა.²⁸ უტილიტარიანიზმის ერთერთი ცნობილი ფუძემდებელი ჯონ სტიუარტ მილი წერდა: „ცნება, რომელიც მიღებულია, რომ ქმნის უტილიტარიანიზმის მორალის საფუძველს, ანუ სარგებლიანობა, რომელიც სხვაგვარად იწოდება როგორც ბედნიერების უზენაესი პრინციპი, ადგენს, რომ მოქმედება სწორია იმ ფარგლებით, რა პროპორციითაც იგი წარმოშობს ბედნიერებას, ხოლო მოქმედება თავის თავში არასწორია, რა პროპორციითაც იგი წარმოშობს ბედნიერების საპირისპირო მოცემულობას.“²⁹ მაგალითისთვის, თუ დავუშვებთ, რომ A ახორციელებს რაიმე B მოქმედებას, B მოქმედება მხოლოდ მაშინ იქნება ეთიკურად მართებული, თუ იგი მაქსიმალურად სარგებლიანია სოციალური ბედნიერების უზრუნველყოფის ჭრილში. ერთი შეხედვით სოციალური ბედნიერების მაქსიმალიზაციის იდეა ბუნდოვანი და აბსტრაქტულია. თუ თქვენ დგახართ არჩევანის წინაშე, გაანალიზეთ თუ რა ოდენობის ბედნიერების მომტანია თქვენი არჩევანი იმ ადამიანებთან მიმართებით, რომელთაც ეს არჩევანი ეხება, და რა ოდენობის ტანჯვის მომტანია თქვენი არჩევანი იმ მიმართებით, ვისაც ეს არჩევანი ეხება, და ამოირჩიეთ ის, რომელსაც მოაქვს საუკეთესო შედეგი. საბოლოოდ კი, უტილიტარიანიზმის მიხედვით,

²⁶ იხ. იქვე, 10.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

²⁹ Roger A., Routledge Philosophy Guidebook to Mill on Utilitarianism. 2009. 90.

მორალურად მართებულია მხოლოდ ის მოქმედება, წესი ან ინსტიტუცია, რომელიც სხვა ამოსარჩევ ალტერნატივასთან შედარებით წარმოშობს მეტ სოციალურ ბედნიერებას.

უტილიტარიანიზმი ნორმატიული ეთიკის ერთერთი თვალსაჩინო თეორიაა, რომელსაც მორალის სხვა თეორიებთან ერთად საპატიო ადგილი უჭირავს ფილოსოფიის ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორც ეთიკაა. იგი მოწოდებულია მორალურ-ეთიკური დილემების გადაჭრაზე და სწორედ ხსენებული ფორმულის მეშვეობით ცდილობს არჩევანის მართებულობის დადგენას. მართალია, ფორმულა მეტად აბსტრაქტულია, ხოლო თუ პლურალისტული მორალის თეორიის მიმდევრებს დავეკითხებით, არც არის მიზანშეწონილი მორალურ-ეთიკური ურთიერთობების ერთ კატეგორიულ ფორმულამდე დაყვანა, უტილიტარიანიზმი მაინც საკმაოდ ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევა ნორმატიულ ეთიკაში. საგულისხმოა, რომ უტილიტარიანიზმის მიმდევარი ფილოსოფოსები დავობდნენ, რომ უტილიტარიანიზმის კონცენფცია არ შეესაბამებოდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის იდეას. მაგალითად, უტილიტარიანიზმის ერთერთი სულისჩამდგმელი ჯერემი ბენტემი თავის ნაშრომში „Anarchial Fallacies” მკაცრად მიუთითებდა, რომ უტილიტარიანიზმის იდეა შეუსაბამო იყო „ადამიანის ძირითადი უფლებების“ კონცეფციასთან.³⁰ საპირისპიროდ კი, მისი შთამომავალი ჯონ სტიუარტ მილი მხარს უჭერდა ადამიანის ძირითადი და ბუნებითი უფლებების იდეას და მას უტილიტარიანიზმთან შესაბამისად მიიჩნევდა.³¹ ზოგიერთი ფილოსოფოსი მიუთითებს, რომ საუკეთესო შედეგის მიღწევისთვის შესაძლებელია მორალურად მართებულიც კი აღმოჩნდეს ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად კი ძირითადად აპელირებენ ორგანოების გადანერგვის ეთიკურ დილემაზე მითითებით.³² ეს მოსაზრება არ იმსახურებს

³⁰ Gibbard, A. (1984). Utilitarianism and Human Rights. *Social Philosophy and Policy*, 1(2), გვ.92-102.

³¹ იქვე.

³² ამ მაგალითის მიხედვით, ერთი ჯანმრთელი ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაცია ხუთი ავადმყოფის სხეულში მორალურად მართებულია, თუ იგი მიზნად ისახავს ამ ხუთი ადამიანის გადარჩენას. ამ პოზიციის

მხარდაჭერას. თუ ადამიანებს ექნებათ იმის შიში, რომ რომელიმე ინდივიდი საკუთარი ბედნიერების მაქსიმალიზაციის მიზნით, დაარღვევს მათ ძირითად უფლებებს, სამყარო ქაოსსა და განუკითხაობაში გადაინაცვლებს, ხოლო ამით საყოველთაო სოციალური სარგებლიანობა, რომელსაც უტილიტარიანისტები საყოველთაო ბედნიერების უზენაესი პრინციპის სახელით მოიხსენიებენ, საგრძნობლად შემცირდება. თუ გავიხსენებთ უტილიტარიანიზმის ფორმულას, გავიაზრებთ, რომ ამ თეორიის ამოსავალ წერტილად გვევლინება საყოველთაო, კოლექტიურ ბედნიერებაზე ზრუნვა. ამიტომ, თუ იარსებებს შიში და საფრთხე იმისა რომ მოხდება ადამიანის ძირითადი უფლებების ხელყოფა, შემცირდება ხალხთა შორის არსებული, საყოველთაო ბედნიერების მაჩვენებელი, და თავად ფორმულა, რომ არჩევანი A მაშინ არის მართებული, როდესაც B მოქმედებას მოაქვს საუკეთესო შედეგები, არ დაკმაყოფილდება. ამდენად, ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა და დაცვა უტილიტარიანისტული მიზნებისთვის განუყოფელია. ჩვენი ნაშრომის მიზნებისთვის რელევანტურია უტილიტარიანიზმის ფორმულა, რომლის მიხედვითაც ადამიანის ძირითადი უფლებების განუხრელი დაცვა და პატივისცემა თავად უტილიტარიანიზმის თეორიით ნაკარნახევი, სოციალური ბედნიერების მაქსიმალიზაციის უზენაესი იდეის ქვაკუთხედიანია.

კონფიდენციალურობის პრინციპის ქართული საკანონმდებლო მოდელის უტილიტარიანიზმის ჭრილში ანალიზისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ე.წ. Act და Rule უტილიტარიანიზმზე. კონტექსტურად, მოქმედების უტილიტარიანისტულ ანალიზში იგულისხმება ადვოკატის ქმედება, რომლის დროსაც იგი ამჟღავნებს კლიენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, როდესაც სხვა ინდივიდთა ნეგატიურ და ბუნებით უფლებებს ემუქრებათ საფრთხე, ხოლო წესის უტილიტარიანისტულ ანალიზში იგულისხმება კონფიდენციალურობის პრინციპის ქართული მოწესრიგების ეთიკურობის პრობლემის უტილიტარიანისტული თეორიის

მხარდამჭერი ფილოსოფოსები უთითებენ, რომ ერთი ადამიანის გაწირვა სხვა ხუთის გადასარჩენად მართებულია, ვინაიდან ხუთი ადამიანის გადარჩენა წარმოშობს ბევრად უფრო მეტ სოციალურ ბედნიერებას, ვიდრე ერთი ცალკეული ადამიანის სიცოცხლე.

ჭრილში განხილვა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში Act და Rule უტილიტარიანიზმი ურთიერთდამოკიდებულია. ამდენად, თუ გავიხსენებთ უტილიტარიანისტულ ფორმულას და მასში ჩავსვამთ კონფიდენციალურობის პრინციპის ქართულ მოდელს, მივიღებთ შემდეგ მოცემულობას: კონფიდენციალურობის პრინციპი მორალურად მართებულია, თუ იგი წარმოშობს საუკეთესო შედეგებს და ახდენს საყოველთაო და სოციალური ბედნიერების მაქსიმალიზაციას. აქედან გამომდინარეობს შემდეგი დილემა: თუ კლიენტი ადვოკატს მიაწოდებს ინფორმაციას, რომ, პირობითად, ხვალ დღის პირველ ნახევარში მოხდება ხალხით სავსე შენობის სავენტილაციო მილში ისეთი მომწამლავი აირის გაშვება, რომელიც ზოგიერთი ორგანიზმისთვის ლეტალურია, ხოლო ზოგისთვის – არა, რომლის დროსაც, თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლე მაინც მოისპობა, ხოლო კლიენტი დაჟინებით სთხოვს ადვოკატს, რომ არ გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია, როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს ადვოკატი? პატივი სცეს კლიენტის სურვილს, არ დაარღვიოს კონფიდენციალურობის პრინციპი და დაუშვას თუნდაც ერთი ადამიანის ბუნებითი და ნეგატიური უფლების ხელყოფა, თუ უგულვებელყოს კლიენტის ინტერესი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს, იმისათვის, რომ მოახდინონ შესაძლო საფრთხის პრევენცია? თუ ამ ორ სიკეთეს მოვათავსებთ სასწორის პინებზე და შევეცდებით უტილიტარიანისტული ფორმულის მეშვეობით პასუხის გაცემას, პირველ რიგში უნდა გაეცეს პასუხი იმ კითხვას, თუ რა საყოველთაო, სოციალური ბედნიერების (სარგებლიანობის) მომტანია სასწორის პინაზე მოთავსებული თითოეული არჩევანი? ერთერთი არჩევანი ითვალისწინებს შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინებასა და მოსალოდნელი საფრთხის პრევენციას, მეორე კლიენტის მითითებებისთვის დაჯერებას და ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვას. დასმული შეკითხვისთვის პასუხის გაცემა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სირთულეს. თუ ადვოკატი არ გაამჟღავნებს კონფიდენციალურ ინფორმაციას, დაიცავს მხოლოდ კლიენტის ინდივიდუალურ ინტერესს, მაგრამ პასიურად ხელს შეუწყობს, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ხელს არ შეუშლის სხვა ინდივიდთა ბუნებითი უფლებების ხელყოფას, ხოლო თუ გაამჟღავნებს, შეილახება კლიენტის ინდივიდუალური ინტერესი

და კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, მაგრამ გადაარჩენს სხვა, ბევრად უფრო აღმატებულ ინტერესს, მათ შორის, იმ უფლებათა კატეგორიებს, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. საყოველთაო სოციალური ბედნიერების კონცენტრაციის კუთხით თუ ვიმსჯელებთ, უტილიტარიანიზმის სახელმძღვანელო დებულებების თანახმად, ინდივიდუალური სარგებლიანობის ხელშეწყობის ნაცვლად, უმჯობესია ვიზრუნოთ საყოველთაო სარგებლიანობისა და სოციალური ბედნიერების მაქსიმალიზაციაზე. თუ მარტივად მივყვებით ამ მოსაზრებას, დავასკვნით, რომ ბუნებითი უფლებების დაცვა და მათი ხელყოფის პრევენცია საყოველთაო სოციალური ბედნიერების მიღწევის მეტად ადეკვატური არჩევანია, ვიდრე რომელიმე კლიენტის ინდივიდუალურ ინტერესზე ზრუნვა. თუმცა, თუ ასე მარტივად შევხედავთ, შესაძლებელია დაგვრჩეს განცდა, რომ უტილიტარიანიზმის მიმდევარი ფილოსოფოსები ინდივიდუალურ ინტერესზე მეტად, კოლექტიურ და საყოველთაო ინტერესს ანიჭებენ უპირატესობას. ეს მიდგომა მარტივი იქნებოდა, მაგრამ საქმე ასე იოლადაც არ არის. უნდა განისაზღვროს, თუ რა ღირებულების მატარებელია კლიენტისთვის ასეთი სახის ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა? რა ღირებულების მატარებელია ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შედეგად მოსალოდნელი საფრთხე? რა დგას რისკის წინაშე? და ბოლოს, თითოეული ღირებულების განსაზღვრის შემდეგ, საბოლოოდ გავცეთ პასუხი შეკითხვას, თუ რომელი სიკეთე ახდენს უფრო მეტად სარგებლიანობის გაზრდის ხელშეწყობას? ეს მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ხშირ შემთხვევაში, ინდივიდუალური ინტერესი გადაწონის საჯარო სიკეთეს, ან – პირიქით. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უტილიტარიანიზმის ამოსავალი წერტილი არის არა ის, თუ რა რაოდენობის ადამიანს ემსახურება ამორჩეული ალტერნატივა, არამედ ის, თუ რა რაოდენობის საყოველთაო სარგებლიანობის აკუმულირებაა შესაძლებელი განსახილველ შემთხვევაში. სავსებით შესაძლებელია, რომ ინდივიდუალური ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭებით უფრო მეტი საყოველთაო სარგებლიანობა გამოიმუშავდეს, ვიდრე რომელიმე ადამიანთა ჯგუფის კოლექტიური ინტერესის პრიორიტეტიზაციით. მნიშვნელოვანია ობიექტური საზომის ძიება. ვთქვათ, რომ

კლიენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა, თუნდაც მნიშვნელოვანი იმ ხარისხით, რომ არფრად აგდებდეს სხვა ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების შესაძლო რისკს. უფრო მეტიც, კლიენტის სუბიექტივისტური განსჯით ეს ინტერესი ბევრად აღმატებულია ვიდრე სასწორის პინაზე მოთავსებული მეორე სიკეთე ან ასეთი სიკეთეების ერთობლიობა. თავის მხრივ, სასწორის მეორე პინაზე სხვათა უფლებები და თავისუფლებებია. ადვოკატი თუ დაჰყვება კლიენტის ნებას და არ გაამჟღავნებს ინფორმაციას, მისთვის ეს საუკეთესო ვარიანტი იქნება და თავისივე მოსაზრებით, ყველაზე უფრო უკეთესი შედეგის მომტანი. მაგრამ არის თუ არა ეს ობიექტური მსჯელობის შედეგად მიღებული დასკვნა? უტილიტარიანიზმი ხომ ამბობს, რომ საუკეთესო ალტერნატივა არის ის, რომელიც ახდენს საუკეთესო შედეგების მიღწევას, ხოლო თუ კლიენტისთვის საუკეთესო შედეგია ის, რაც არის, გამოდის, რომ უტილიტარიანიზმის ფორმულა, კლიენტისთვის საყოველთაო სარგებლიანობის კონცენტრაციის შესახებ დაკმაყოფილებულია. მაგრამ, ეს ასე არ არის. ინსტიტუციონალისტური უტილიტარიანიზმი სვამს შეკითხვას, უნდა არსებობდეს თუ არა ისეთი ნორმა, რომელიც სხვათა უფლებების გაუმართლებელი ხელყოფის ხარჯზე ახდენს სარგებლიანობის მაქსიმალიზაციას. ინსტიტუციონალური უტილიტარიანიზმის თანახმად, საკანონმდებლო მექანიზმი მოწოდებული უნდა იყოს სოციალური ბედნიერების გაზრდაზე. ნორმა, რომელიც მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური ინტერესის დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული, და ამას უშვებს სხვათა თავისუფლებების შელახვის ხარჯზე, უტილიტარიანისტული საფუძვლების თანახმად, არ არის კარგი ნორმა, მიუხედავად ნებისმიერი სახის საუკეთესო შედეგის, სარგებლიანობის თუ საყოველთაო სოციალური ბედნიერების მოტანის გონივრული, არაგონივრული, რაციონალური თუ ირაციონალური შესაძლებლობისა.³³ ობიექტური საზომი ამბობს, რომ ინდივიდუალური, საყოველთაო სარგებლიანობა მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვა ადამიანების

³³ Ross Powell A. & Babcock G. (Eds.). (2016). Arguments for Liberty. USA. გვ.57-87

ინდივიდუალური და საყოველთაო სარგებლიანობა. მარტივად რომ ვთქვათ, ამორალურია სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების შენება.

დავუშვათ, რომ მოსალოდნელი საფრთხე მაღალი ალბათობით რეალიზდება და მოისპობა თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ან დაზიანდება თუნდაც ერთი ადამიანის სხეულებრივი მთლიანობა. თუ ჩვენ რაიმე მაინც ვიცით, სწორისა და არასწორის, მართებულისა და არამართებულის შესახებ, ცალსახად დავასკვნით, რომ ადვოკატის არჩევანი, რომ არ მიაწოდოს საგამომიებო ორგანოებს შესაბამისი ინფორმაცია, სიღრმისეულად მცდარია, გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატს „სთხოვენ“ ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავის შეკავებას, რომლის ფარგლებშიც საუბარია არა შესაძლო ქმედების სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციასა და ასეთი ქმედების უკანონობაზე, არამედ ქმედების მორალურ კრიმინალიზაციაზე. ეს ქმედება გასაკიცხია არა იმიტომ, რომ ასე წერია კანონში – იგი გასაკიცხია იმიტომ, რომ მორალურად დანაშაულებრივია.³⁴ აშკარაა, რომ მომწამლავი აირის სავენტილაციო მილებში გაშვებით უხეშად დაირღვევა ადამიანის ბუნებითი და ნეგატიური უფლებები. ბუნებით უფლებებში აპრიორი მოიაზრება, რომ ისინი არ გამომდინარეობენ და არც შეიძლება, რომ გამომდინარეობდნენ, და ადამიანებს ისინი არ ენიჭებათ პოლიტიკური ედიქტების, სოციალურ ინტერესთა კალკულაციების ან სპეციალური პროცედურის მეშვეობით, რომლის დროსაც მაგალითად, ადამიანს, შესაძლებელია, მიენიჭოს გარკვეული სახელშეკრულებო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება – ბუნებითი უფლებები ჩვენი ორიგინალური უფლებებია, რომელიც ადამიანს ენიჭება დაბადებით, იმ მიზეზის გამო, რომ იგი ადამიანია.³⁵ მორალური ინდივიდუალიზმის მთავარი ნიშან-თვისება მდგომარეობს იმაში, რომ თითოეულ ინდივიდს გააჩნია საკუთარი უზენაესი მიზანი. ინდივიდი ყოველთვის მიზანია და არა რომელიმე ინდივიდის ან სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სახელმწიფო ორგანოს მიერ მიზნის მიღწევისთვის

³⁴ იხ., იქვე. გვ.16-47

³⁵ იხ., იქვე. გვ. 16-47

გამოსაყენებელი საშუალება.³⁶ ფაქტია, რომ საფრთხის რეალიზების შემთხვევაში, როგორც ვახსენეთ, დაირღვევა ინდივიდის ბუნებითი და დაბადებით მინიჭებული უფლებები. ამდენად, ცალსახად დაირღვევა სოციუმში არსებული ბალანსი საყოველთაო „ბედნიერებასა“ და „უბედურებას“ შორის. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ადვოკატი არ შეატყობინებს ამ ფაქტის შესახებ საგამომიებო ორგანოებს, ცალსახად შემცირდება ბედნიერების საყოველთაო ბალანსი და გაუარესდება საყოველთაო კეთილდღეობის მაჩვენებელი. არგუმენტი, რომ ნებისმიერი ადამიანის მორალური ღირებულებების სისტემა ინდივიდუალური და უნიკალურია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ იქნება რელევანტური. არსებობს კონვენციური მორალი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებაში არსებული მნიშვნელოვანი უმრავლესობის წარმოდგენებს.³⁷ კონვენციური მორალია ის, რომ ადამიანის ბუნებითი უფლებების ხელყოფა არ არის მორალურად მართებული.³⁸ აინ რენდის ობიექტივიზმის თეორია უარყოფს სუბიექტივისტური შეხედულების არსებობას და სამყაროს ობიექტურ და რაციონალურ მოცემულობად აღიქვამს. მისი ცნობილი ფორმულა: $A=A$ -ს, ამ შემთხვევაში რელევანტურია. კონვენციური მორალის ფარგლებში ცალსახად ობიექტურია, რომ ბუნებითი უფლებების ხელყოფა არ იმსახურებს ქებას, ხოლო ბუნებითი უფლებების ხელყოფასთან მიმართებით $A=A$ -ს ფორმულა, რომ ბუნებითი უფლებების ხელყოფა=მორალურად გაუმართლებელ ქმედებას, აბსოლუტურად მართებულია. შესაძლებელია ზოგიერთის მოსაზრებით, კლიენტის მიერ განდობილი ინფორმაციის დაცვა ბევრად უფრო მაღალი

³⁶ იხ., იქვე. გვ.50

³⁷ ხუბუა გ., სამართლის თეორია. თბილისი. 2015. გვ.77

³⁸ საინტერესოა, ეთიკის კომისიის საქმე N057/10, რომელშიც ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ „ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები იყოფა ოთხ კატეგორიად: სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის, სასამართლოსა და პროკურატურისაგან; დამოუკიდებლობა მესამე პირების ზეგავლენისაგან, მათ შორის, სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან; დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე“.

პროფესიული სტანდარტის მაჩვენებელია, ვიდრე მისი გამჟღავნება, მაგრამ ვერც ეს მოსაზრება დაიმსახურებს დიდ მხარდაჭერას. აქ საუბარი არც იმ საკითხზეა, რომ რომელიმე ადვოკატი მართლმადიდებელი, კათოლიკე, თეისტი, ათეისტი, გნოსტიკოსი ან აგნოსტიკოსია. არც იმაზე, რომ მათი ტრადიციები და კულტურული ღირებულებები მათ მორალურ კოდექსს ქმნის და მათ ამ მორალური კოდექსის შესაბამისად მოქცევა ევალებათ, არამედ ის, რომ ადვოკატი უპირველესად ადამიანის უფლებათა განუხრელი დამცველია და არა კლიენტის ინტერესის განხორციელების ბრმა ინსტრუმენტი. ის, რომ სახელმწიფოს ძირითადი იდეა ადამიანის უფლებათა დაცვაში მდგომარეობს და სოციალური კონტრაქტის არსიც სწორედ ის არის, რომ სახელმწიფოს არსებობა ადამიანის უფლებათა დაცვის იდეით არის გამართლებული, მივიღებთ სურათს, რომ ადვოკატისთვის უფრო მაღალ პროფესიულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ადამიანის უფლებათა დაცვა და არა რომელიმე კლიენტის განყენებულ, მორალურად კრიმინალურ ინტერესებზე ზრუნვა. უფრო საკვირველია, რომ ეთიკის კოდექსი კონფიდენციალურობის პრინციპის ამგვარ მოწესრიგებას ადვოკატის არამხოლოდ პროფესიულ, არამედ მორალურ ვალდებულებადაც განიხილავს. საინტერესოა, რატომ უნდა იყოს ადვოკატის „მორალური ვალდებულება“ ისეთი ნორმისთვის დამორჩილება, რომელიც კანონის დარღვევად თვლის ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც მოწოდებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე, ან თუნდაც ამ უფლებათა ხელყოფის საფრთხის პრევენციაზე. ეთიკის კოდექსით და „ადვოკატთა შესახებ“ კანონით დადგენილი კონფიდენციალურობის პრინციპისა და პროფესიული საიდუმლოების ფორმულირება და ნორმის ამგვარი შინაარსის ადვოკატის მორალურ ვალდებულებად გამოცხადებაა თავადაა შეუთავსებელი ადამიანის უფლებათა დაცვის იდეასთან, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატის როლთან, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან, სამართლის უზენაესობასა და თვითონ ეთიკის კოდექსით დადგენილ მიზნებთან.

თუ დავუშვებთ, რომ ადვოკატმა არ შეატყობინა საგამომიებო ორგანოებს, ადვოკატის უმოქმედობის მორალურ ასპექტებში შეგვიძლია არც ვიგულისხმოთ საყოველთაო ღირებულებებისა და

სიკეთის გაურესება ან ასეთი ბალანსის შემცირება, რადგან ამ შემთხვევაში, ადვოკატის უმოქმედობით, ჰიპოთეტურ დაზარალებულად მოგვევლინება ზოგადად სოციუმი. ხოლო ადვოკატის უმოქმედობით დაზიანდა არა რომელიმე ჰიპოთეტური და სოციალური აბსტრაქცია, არამედ ზიანი მიაღდა კონკრეტულ ინდივიდთა ბუნებით, ნეგატიურ, წარუვალ და დაბადებით მინიჭებულ უფლებებს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ადვოკატის უმოქმედობის მორალურ გაუმართლებლობაზე. შესაძლებელია ვიმსჯელოთ იმაზეც, რომ მორალურ ქრილში ადვოკატი, დანაშაულის შესახებ შეუტყობინებლობით, თვითონ ხდება დანაშაულებრივი ქმედების თანამონაწილე, მაგრამ ეს მსჯელობა დისკუსიის საგანს გასცდება; თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ორ საკითხს ერთმანეთთან კავშირი არ გააჩნია. ადვოკატის უმოქმედობით, იმისათვის, რომ დაეცვა აშკარად ნაკლები მორალური ღირებულება – კონფიდენციალურობის პრინციპი – ფართოდ თუ განვმარტავთ, სხვა ინდივიდების მორალური ინდივიდუალიზმი და ღირებულებითი ინდივიდუალიზმი, (რომელთა უფლებების ხელყოფაც განხორციელდა) რომელშიც იგულისხმება, რომ თითოეული ადამიანი თავის თავში წარმოადგენს მიზანს და უფლება აქვს იცხოვროს საკუთარი უზენაესი მიზნისთვის, ესწრაფვოდეს მას და მიაღწიოს იმ უზენაეს წერტილს, რომელშიც უტილიტარიანისტები ბედნიერების მიღწევას გულისხმობენ, ტრანსფორმირდა ადვოკატის მიზნის მიღწევის საშუალებად. ნებისმიერი ინდივიდის მორალური უფლებიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანი უნდა იყოს მიზანი და არა საშუალება. საპირისპიროდ კი, ადვოკატი საგამომიებო ორგანოებისთვის ინფორმაციის არმიწოდებით სხვათა უფლებების დარღვევის ხარჯზე, ემსახურება, ერთი მხრივ, საკუთარ მიზანს, რომ არ დაარღვიოს კანონი, და, მეორე მხრივ, კლიენტის მიზანს, და არ ამჟღავნებს შესაბამის ინფორმაციას, ხოლო სხვა ადამიანთა მორალურ უფლებებს იყენებს საკუთარი და კლიენტის მიზნების რეალიზების საშუალებად, რაც შეუთავსებელია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს ასე არ არის, ადვოკატი მოსალოდნელი საფრთხის აღსაკვეთად აუცილებლად შეატყობინებდა შესაბამის ორგანოებს. ბუნებითი უფლებების არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სავარაუდო

დაზარალებულებს ბუნებითი და ნეგატიური უფლებები გააჩნიათ ადვოკატის წინააღმდეგ, რომ მისი უმოქმედობით არ განხორციელდეს მათი ნეგატიური უფლებების ხელყოფა და შელახვა.

ადვოკატის განსაკუთრებულ სამართლებრივ და მორალურ ვალდებულებას განაპირობებს ადვოკატის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში. იგი დემოკრატიული საზოგადოების და ზოგადად სოციუმის მნიშვნელოვანი ფიგურაა და კლიენტის სასამართლოში წარმომადგენლობის და ამ უკანასკნელის უფლებათა დაცვის მემვეობით ხელს უწყობს როგორც მართლმსაჯულების ჯეროვან ადმინისტრირებას, ასევე ემსახურება მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს, და გვევლინება კანონის უზენაესობის პრინციპის და სამართლებრივი სახელმწიფოს უზენაესი ღირებულებების განუხრელ დამცველად. ადვოკატის სამართლებრივი სტატუსის შესახებ იურიდიულ დოქტრინაში მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ადვოკატი მხოლოდ კლიენტის ინტერესების წარმომადგენლისა და დამცველის ფუნქციას ასრულებს, ხოლო თეორეტიკოსთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ ადვოკატს, გარდა კლიენტის ინტერესის დაცვისა, ევალება საჯარო წესრიგზე ზრუნვა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს გაბატონებულ შეხედულებას. განსახილველ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, ადვოკატმა, როგორც საჯარო ინტერესისა და კოლექტიური სამართლებრივი სიკეთის დამცველმა, აუცილებლად უნდა შეატყობინოს ამ ტიპის ინფორმაცია საგამომიებო ორგანოებს, გამომდინარე იქიდან, რომ იგი არამხოლოდ კლიენტის ინტერესის დაცვაზეა ორიენტირებული, არამედ მოწოდებულია დაიცვას საჯარო წესრიგი და კონსტიტუციური უსაფრთხოება. კონფიდენციალურობის პრინციპის ამგვარი საკანონმდებლო ჩარჩო კი აიძულებს ადვოკატს, „არ დაარღვიოს კანონი“ და უარი უთქვას საჯარო ინტერესისა და კონსტიტუციური წესრიგის დამცველის როლზე. საგულისხმოა, რომ განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას ამ მოქმედებით, შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს სოციუმს ან მის რომელიმე წევრს. სოციუმი შედგება წევრებისგან და წევრთა ერთობლიობა ქმნის სოციუმს. ამდენად, საზოგადოების თითოეული წევრი სოციუმის

შემადგენელი ნაწილია და მათი კოლექტიური და ინდივიდუალური ღირებულება განუზომელია. ადვოკატთა განსაკუთრებული როლი საზოგადოების წინაშე განაპირობებს მაღალ ვალდებულებით ტვირთს.

სასწორის მეორე პინაზე გვაქვს კლიენტის უფლება, იყოს დაცული ადვოკატისთვის განდობილი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისგან. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით შეილახება კლიენტის ნდობა ადვოკატისადმი. თუმცა, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთე ბევრად აღემატება კონფიდენციალურობის პრინციპით დაცულ ღირებულებას. ისევ, თუ ჩვენ სასწორის პინებზე არსებულ სიკეთეებს შევადარებთ ერთმანეთს, მივიღებთ, რომ ერთ პინაზეა, პირობითად, ინდივიდის ნეგატიური და ბუნებითი უფლებები, ხოლო მეორე პინაზე – კლიენტის უფლება კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავის დაცვაზე. აქედან სასწორის ერთ პინაზე მოთავსებული ღირებულება წარმოადგენს უზენაეს მორალურ კატეგორიასა და სიკეთეს, ხოლო მეორე პინაზე მოთავსებული ღირებულება – შედის ე. წ. ნაკლებად კატეგორიულ მორალურ ნორმათა რიცხვში. როგორც არაერთხელ აღინიშნა, ქმედების ეთიკურობის შეფასების უტილიტარიანისტული ტესტი გულისხმობს, არა ინდივიდუალური სარგებლიანობის მაქსიმალიზაციას, არამედ საყოველთაო სარგებლიანობის საუკეთესო მაჩვენებლისთვის მიღწევის ხელშეწყობას. საუკეთესო შედეგის მიღწევის კუთხით, ცალსახაა, რომ ადამიანის ბუნებითი უფლებებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით უფრო მეტად იზრდება საყოველთაო სარგებლიანობა. მორალური დილემის არსებობის პირობებში ხორციელდება ორი სხვადასხვა მორალური სიკეთის კოლიზია. ამ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს კატეგორიული მორალური ნორმა და ნაკლებად კატეგორიული მორალური ნორმა. კატეგორიულ მორალურ ღირებულებას წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე და სხვა ნეგატიური უფლებები, ხოლო ნაკლებად კატეგორიულ მორალურ ნორმაში შედის კლიენტის ინტერესთა დაცვის საპროცესო სამართლებრივი მექანიზმი, კონკრეტულად კი კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. საკითხი, თუ რა ანიჭებს ნორმებს კატეგორიულ და ნაკლებად კატეგორიულ

ხასიათს, ნაშრომის მიზნებს სცდება და მას მოკლედ განვიხილავ. კერძოდ, უტილიტარიანიზმის მიხედვით, ნორმის მორალურობის კატეგორიული ხასიათის მაკვალიფიცირებელი ელემენტები ქმედების უტილიტარიანისტულ თეორიაში მოიძებნება, ხოლო თუ კანტიანიზმის მიმდევრებს დავეკითხებით, ისინი გვეტყვიან, რომ საქმე კატეგორიულ იმპერატივშია. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი კრიტერიუმი, რაც ღირებულებას ხდის მორალურს, არის მისი შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი. კატეგორიულობაში იგულისხმება ის, რომ იგი შესასრულებლად სავალდებულოა იმის მიუხედავად, თუ რა გვსურს ჩვენ. ამ შემთხვევაში, განსახილველ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, ინდივიდის ბუნებითი უფლებების ხელყოფის დაუშვებლობა კატეგორიული მოთხოვნაა და ჩვენზე ვრცელდება, მიუხედავად ჩვენი სურვილისა და მდგომარეობისა. რაც შეეხება, კონფიდენციალურობის ვალდებულებას, იგი ნაკლებად კატეგორიული მოთხოვნაა იმდენად, რამდენადაც იგი ადვოკატზე არ ვრცელდება, მიუხედავად მისი სურვილისა და მდგომარეობისა. ადვოკატი თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი პირია და თავად წყვეტს, დაექვემდებაროს თუ არა კონფიდენციალურობის პრინციპით ბოჭვას. კერძოდ, ადვოკატი დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან, სასამართლოსა და პროკურატურისგან, მესამე პირთა ზეგავლენისგან, მათ შორის, კოლეგებისგან, კლიენტისგან,³⁹ დამოუკიდებელია თავისი პირადი მოსაზრებებიდან მორალისა და პოლიტიკის თაობაზე.⁴⁰ გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერი ადვოკატი ნებაყოფლობით ექვემდებარება ამ პრინციპის ძალას, ეს უკანასკნელი მათზე კატეგორიულად ვერ ვრცელდება, ვინაიდან პრინციპისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მინიჭება ადვოკატის ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგი იყო და სხვა არაფერი. მით უფრო ვერ იქნება კატეგორიული ის საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც ადვოკატს აიძულებს, კანონის არდარღვევით სხვათა უფლებები და თავისუფლებები დააყენოს თუნდაც მცირედი საფრთხისა და რისკის წინაშე. საპირისპიროდ,

³⁹ გასიტაშვილი, ე., ხუბულური თ., ბოჭორიშვილი, კ., & კვაჭანტირაძე, დ., ეთიკის კომისიის საქმიანობა: პრეცედენტები, რეკომენდაციები, 2010-2013 2013, 12.

⁴⁰ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #057/10, 07 მარტი, 2010 წელი.

ნეგატიური უფლებების ხელყოფის მაგალითი რომ ავიღოთ: შესაძლებელია A-ს მოუხდეს B-ს სიცოცხლის მოსპობა, მაგრამ ნორმის კატეგორიული ძალა მისგან დამოუკიდებლად ბოჭავს მას, მიუხედავად ნებისმიერი სურვილისა. განსახილველ შემთხვევაში, უტილიტარიანისტული შეფასების ტესტის მეშვეობით მსჯელობისას ვიღებთ ცალსახა შედეგს, რომ კატეგორიული მორალური ნორმების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ისეთი ნაკლებად კატეგორიული მორალური ნორმის, რომელიც კატეგორიული ნორმების ხელყოფას კანონის დარღვევად მიიჩნევს.

უტილიტარიანიზმი მორალური დილემების გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტიანი თეორიაა. საინტერესოა, რა იქნება მკითხველის მოსაზრება ამ მორალურ დილემაზე. ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირი არის ტერორისტული ორგანიზაციის წევრი, რომელიც ადვოკატს უზიარებს ინფორმაციას მოსალოდნელი მასშტაბური ტერორისტული თავდასხმის შესახებ. ადვოკატი შებოჭილია კონფიდენციალურობის ვალდებულებით. როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი? რამდენად მართებულია კონფიდენციალურობის პრინციპით ადვოკატის ბოჭვა და ადვოკატის მიერ ინფორმაციის შესაბამისი ორგანოებისთვის მიწოდების კანონის დარღვევად შერაცხვა?

კონფიდენციალურობის პრინციპის ქართული საკანონმდებლო მოდელი, რომლის მიხედვითაც ადვოკატი დაარღვევს კანონს თუ გაამჟღავნებს კლიენტის მიერ მინდობილ ინფორმაციას, თუ საქმე ეხება სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფას (ნეგატიური და ბუნებითი უფლებები), თავად არ არის ეთიკური შემდეგი მიზეზების გამო: 1. იგი ამცირებს საყოველთაო სარგებლიანობას, რაც, უტილიტარიანიზმის მიხედვით, საყოველთაო ბედნიერების მაჩვენებლის სახელით არის ცნობილი; 2. ქმნის რისკს, რომ, საფრთხის არსებობის შემთხვევაში, სხვა ადამიანთა ღირებულებითი და მორალური ინდივიდუალიზმი გამოყენებული იქნება მიზნის მიღწევის საშუალებად და 3. კლიენტს ანიჭებს განუზომელ პრივილეგიას და აყენებს დომინანტურ მდგომარეობაში, ხოლო ადვოკატის როლს, როგორც სამართლებრივი და კონსტიტუციური წესრიგის დამცველის როლს პირიქით – აკნინებს.

7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი: პროფესიულ საიდუმლოებაში ჩარევის აუცილებლობის გამართლება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს პროფესიული საიდუმლოების როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში და ძალიან ბევრ საქმეში ამხვილებს ყურადღებას მის განსაკუთრებულ ფუნქციაზე. სასამართლო პრაქტიკაში გამოკვეთილია კონკრეტული შემთხვევები, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ იმსჯელა პროფესიული საიდუმლოებით დაცულ სფეროში ჩარევასა და მისი მართებულობის თაობაზე. პროფესიულ საიდუმლოებაში ჩარევის აუცილებლობის გამართლების კუთხით, უმნიშვნელოვანესია 2012 წლის 6 დეკემბრის, ე.წ. Michaud-ის საქმე.⁴¹ საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, განმცხადებელი იყო პარიზის ადვოკატთა ასოციაციისა და ადვოკატთა საბჭოს წევრი.⁴² იგი მიუთითებდა, რომ ევროპული კავშირის მიერ მიღებული სამი დირექტივა, რომელიც მიზნად ისახავდა ფულის გათეთრებასთან ბრძოლას, არღვევდა მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პროფესიული საიდუმლოების პრინციპს. ამ დირექტივების მიხედვით, „სამართალში დამოუკიდებლად მოღვაწე პირებს“ ეკისრებათ შესაბამისი ფინანსური დანაყოფისთვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდების ვალდებულება,⁴³ როდესაც მათ „იციან, ეჭვობენ ან აქვთ გონივრული საფუძვლები, რათა დაასკვნან“, რომ ადგილი ჰქონდა ფულის გათეთრებას ან ტერორიზმის დაფინანსებას, თუმცა ეს ვალდებულება არ ვრცელდება ყველა იმ საქმიანობაზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის კავშირში კლიენტის დაცვისთვის განსახორციელებელ საქმიანობასთან.⁴⁴ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ადვოკატი შეამჩნევს, რომ მისი

⁴¹ ob. ECtHR, Michaud v. France, App.No. 12323/11. 2012 წლის 6 დეკემბერი.

⁴² იქვე, პარაგ. 8.

⁴³ Michaud v. France: A step forward into the Bosphorus doctrine, or a step backward into “subjective” foreseeability? (<https://Strasbourgobservers.com>, 21.12.2012).

⁴⁴ Council Directive 2005/60/EC on the prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering and terrorist financing [2005] OJ L. 309/15.

კლიენტი ჩართულია იმგვარ საქმიანობაში, რომელიც უკავშირდება ფულის გათეთრებას ან ტერორიზმის დაფინანსებას, ამ უკანასკნელმა ეს აუცილებლად უნდა შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის, საჭიროების ელემენტი მოითხოვს, რომ ძირითად უფლებაში ჩარევა ესადაგებოდეს მწვავე სოციალურ საჭიროებას, კერძოდ, წარმოადგენდეს პროპორციულ საშუალებას დასახული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.⁴⁵ აქვე, სტრასბურის სასამართლო იხიარებს Conseil d'Etat-ის გადაწყვეტილებას და დასძენს, რომ იგი ვერ ხედავს პრობლემას ეროვნული სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების ამგვარ დასაბუთებაში.⁴⁶ ეროვნული ხელისუფლების დასაბუთების თანახმად, კონვენცია იცავს პროფესიული კონფიდენციალობის ძირითად უფლებას, თუმცა ადვოკატისთვის შეტყობინების ვალდებულების დაწესება თავისი ხარისხით არ უტოლდება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში მომეტებულ ჩარევას [...] როდესაც სახეზეა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის აღმატებული ინტერესი.⁴⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. იგი აღნიშნავს, რომ „მართალია, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონფიდენციალურობის პრინციპს გააჩნია განუზომელი მნიშვნელობა ორივესთვის, როგორც კლიენტისა და ადვოკატისთვის, ასევე მართლმსაჯულების ჯეროვანი ადმინისტრირებისთვის და ექვარეშეა, რომ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას ეფუძნება მართლმსაჯულების ჯეროვანი ადმინისტრირება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თუმცა, მეორე მხრივ, იგი არ არის აბსოლუტური უფლება. იგი უნდა დაბალანსდეს ხელმომწერი სახელმწიფოების ვალდებულებების კუთხით, ებრძოლონ ფულის გათეთრების დანაშაულს, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი დიდი ალბათობით გამოიყენება სხვა კრიმინალური აქტივობებისა და

⁴⁵ იხ. ECtHR, *Michaud v. France*, App.No. 12323/11. 2012 წლის 6 დეკემბერი, პარაგ. 120.

⁴⁶ იქვე, პარაგ. 122.

⁴⁷ იქვე, პარაგ. 121.

ნარკოტრეფიკინგის სუბსიდირებისთვის. სასამართლო მიუთითებს, რომ ევროპული კავშირის დირექტივები, რომლებიც ადვოკატს ვალდებულებს „საექვო“ ინფორმაციის მიწოდებას, წარმოადგენს საერთაშორისო ინსტრუმენტების სერიებით ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს, ისეთი აქტივობების პრევენციას, რომელიც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ზოგადად დემოკრატიისთვის.⁴⁸ დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგული კანონმდებლობით დადგენილი იყო სპეციალური მექანიზმი, რომელიც იცავდა ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიას. კერძოდ, ექვის არსებობის შემთხვევაშიც ადვოკატს ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა, ჯერ ასოციაციის პრეზიდენტისთვის, ხოლო ასოციაციის პრეზიდენტი, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა ადვოკატთა ქვევის იმავე წესებს, მხოლოდ მაშინ გადასცემდა ინფორმაციას Traficin-ს, როდესაც თავად დარწმუნდებოდა, რომ ადვოკატის ექვი გონივრული იყო. ამდენად, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია მაინც მაქსიმალურად იყო დაცული.⁴⁹

Michaud-ის საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილების 128-ე პარაგრაფში აღნიშნა, რომ „საექვო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, არ უკავშირდება ადვოკატის დაცვის როლის ძირითად არსს, რომელიც პროფესიული პრივილეგიის უზოგადეს საფუძველად მიიჩნევა“.⁵⁰ გადაწყვეტილების ანალიზისას იკვეთება ორი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა მე-8 მუხლის დარღვევას. 1. პროფესიული საიდუმლოების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, ფულის გათეთრების პრევენციას, ხოლო გამოსაყენებელი

⁴⁸ იხ. იქვე., პარაგ. 123

⁴⁹ იხ. „The obligation on lawyers to report suspicions in the context of the fight against money laundering did not interfere disproportionately with professional privilege“

[http://www.uhdigm.adalet.gov.tr/suggam/yargi_kararlari/aih_m_kararlari/Michaud_v%20_France_06%2012%2020121.pdf] ECHR 445 (2012) 06.12.2012

⁵⁰ იხ. ECtHR, Michaud v. France, App.No. 12323/11. 2012 წლის 6 დეკემბერი, პარაგ. 128

საშუალება წარმოადგენდა პროპორციულ ჩარევას დასახული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. ნათელია, რომ ლეგიტიმური მიზნის აღმატებულმა ხასიათმა გადაწონა ადვოკატისა და კლიენტის ინდივიდუალური უფლებები. 2. ადვოკატის ვალდებულება ასეთი ინფორმაციის შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინების თაობაზე წარმოადგენს არა დაცვისთვის აუცილებელ ღონისძიებას, არამედ მძიმე დანაშაულის პრევენციას. ცალსახაა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა ნამდვილად წარმოადგენდა რელევანტურ ლეგიტიმურ მიზანს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ისეთი აღმატებული ინტერესის არსებობისას, რომელიც საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობის პრინციპს და ხელს უწყობს სამართლებრივი უწყსრივობის წახალისებას, ინფორმაციის შესაბამისი სტრუქტურებისთვის მიწოდებას არ განიხილავს კონვენციის დარღვევად. თუმცა, მეორე არგუმენტი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, პროფესიული საიდუმლოების ირგვლივ სახელმძღვანელო სტანდარტის დადგენის ჭრილში. სასამართლო აღიარებს, რომ განსახილველ შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება არ ჩაითვლება დაცვის უფლების დარღვევად. ეს განპირობებულია იმით, რომ ამგვარი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა არ მიიჩნევა დაცვის უფლების შემადგენელ ნაწილად, გამომდინარე იქიდან, რომ კლიენტის დაცვის მიზნებისთვის რელევანტურია მხოლოდ კლიენტის ინდივიდუალური ინტერესები, რომელთა განხორციელება ან განუხორციელებლობა შესაბამის სამართლებრივ შედეგს წარმოშობს მხოლოდ კლიენტისთვის ან კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული სხვა პირებისთვის, რომლებსაც ლოგიკური კავშირი აქვთ კლიენტის ინტერესებთან. საპირისპიროდ, დაცვის ვალდებულება ვერ გავრცელდება კლიენტის იმ ინტერესებზე, აქტივობებსა და საქმიანობაზე, რომელიც თავისი არსით არამართლზომიერია და ეწინააღმდეგება არსებულ სამართლებრივ წესრიგს. თუ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს გავიხსენებთ, ადვოკატს არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ მისი კლიენტი ახორციელებდა ფულის გათეთრებას, იგი აპროტესტებდა, რომ დირექტივის დებულებები, რომლის ძალითაც მას ექვის არსებობის

შემთხვევაში ეკისრებოდა ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულება, ხელყოფდა პროფესიულ საიდუმლოებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება ზუსტია. გამომდინარე იქიდან, რომ ამგვარი აქტივობების თაობაზე ექვის გაჩენის შემთხვევაში, შეტყობინების ვალდებულება და, ამდენად, პროფესიული საიდუმლოების პრინციპის უფლებელყოფა არ წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას და არც უკავშირდებოდა კლიენტის დაცვის მიზნებს, გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატის დაცვით ფუნქციაში არ შედის და არც უნდა შედიოდეს კლიენტის უკანონო საქმიანობის ხელშეწყობა. გადაწყვეტილების 124-ე პარაგრაფში ნათლადაა გადმოცემული განმცხადებლის პოზიცია, რომ „ნებისმიერი ადვოკატი, რომელიც კავშირშია ფულის გათეთრებასთან, თავად ექვემდებარება სისხლის სამართლის წესით დასჯას.“⁵¹ შესაბამისად, ექვის არსებობის შემთხვევაში, შეტყობინების ვალდებულება არ ჩაითვლება პროფესიული საიდუმლოების დარღვევად და არც დაცვის უფლების უფლებელყოფად. თუ ადვოკატი თავად იყო ჩართული კლიენტთან ერთად ფულის გათეთრებაში, მაშინ ისინი ერთად აგებენ პასუხს შესაბამისი ქმედებისთვის, ხოლო თუ ადვოკატი შემდგომში იგებს ასეთ ინფორმაციას ან ექვი უჩნდება კლიენტის მიერ ასეთი საქმიანობის განხორციელების შესახებ, ინფორმაციის შეუტყობინებლობის შემთხვევაში, იგი დაცვის უფლებას კი არ ახორციელებს (კლიენტის ინტერესთა თეორია), არამედ სამართლებრივი უწყსრიგობის პროვიცირებას უწყობს ხელს (სამართლებრივი წესრიგის თეორია). აღნიშნული განპირობებულია დაცვის უფლების შინაარსით. დაცვის უფლებაში მოიაზრება კლიენტის ინტერესების კანონიერი საშუალებების მეშვეობით დაცვა. კანონიერების პრინციპის საპირწონედ არ შეიძლება კლიენტის ინტერესების უპირატესობის, დამოუკიდებლობის პრინციპის, ნებისმიერი სხვა ეთიკური ვალდებულების განხილვა.⁵² კანონიერების პრინციპისადმი ერთგულება, ადვოკატის, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველის,

⁵¹ იხ. იქვე., პარაგ. 124

⁵² გასიტაშვილი, ე., ხუბულური თ., ბოჭორიშვილი, კ., & კვაჭანტირაძე, დ., ეთიკის კომისიის საქმიანობა: პრეცედენტები, რეკომენდაციები, 2010-2013 12.

მართლმსაჯულების მონაწილე პირისა და თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის ოქროს პრინციპია.⁵³ თუ ადვოკატი შეიტყობს, ექვი გაუჩნდება ან კლიენტი გაუზიარებს მას ამგვარ ინფორმაციას, იგი შეუტყობინებლობით დაარღვევს კანონიერების პრინციპს, რადგან უკანონო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ფლობა და მისი გაუმჟღავნებლობა ცალკე სისხლისსამართლებრივ შემადგენლობას იძლევა, ხოლო თუ ადვოკატი მაინც გააგრძელებს „კლიენტის ინტერესებისთვის ზრუნვას“, ეს იქნება არა დაცვის უფლებიდან გამომდინარე მოქმედება ან მოქმედებათა ერთობლიობა, არამედ კანონიერების პრინციპის დარღვევა და უკანონო საქმიანობის ხელშეწყობა და წახალისება, რაც საბოლოო ჯამში ძირს უთხრის არამხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს ღირებულებებს, არამედ საზოგადოების ნდობას ადვოკატთა კორპუსის წინაშე. საქმეზე, X v. The UK, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ „დაცვის უფლება არ ავალდებულებს ადვოკატს, იმოქმედოს თავისი პროფესიული პრინციპებისა და შეხედულებების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ აღჭურავს ბრალდებულს უფლებით, მოსთხოვოს თავის ადვოკატს ისეთი დაცვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მის პროფესიულ პრინციპებთან და, შესაბამისად, არც ადვოკატს აქვს უფლება, ამგვარად იმოქმედოს დაცვის განხორციელების პროცესში.“⁵⁴ უფრო მეტიც, ადვოკატი ვალდებულიც კია, არ დაუშვას კომპრომისი კანონიერების პრინციპთან მიმართებით, თუნდაც კლიენტის ინტერესების გამო, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა საადვოკატო საქმიანობაში, რათა არ გახდეს დაქირავებული „იარაღი“ კლიენტის ხელში.⁵⁵ ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით ცალსახად იმსახურებს ქებას.

Michaud-ის საქმით დადგენილი სტანდარტების მეშვეობით, მნიშვნელოვნად შეიძლება იქნეს გამოკვეთილი ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს ხარვეზები. კერძოდ,

⁵³ იქვე.

⁵⁴ იქვე, 13, მითითებით: ECtHR, CASE OF X. v. THE UNITED KINGDOM, App.No. 7215/75. 1981 წლის 5 ნოემბერი.

⁵⁵ იქვე, 14, მითითებით: ჟურნალი „ადვოკატი“ #1 - ეთიკის კოდექსის კომენტარები, 28.

კონფიდენციალურობის პრინციპისა და პროფესიული საიდუმლოების მარეგულირებელი დებულებები, რომელთა თანახმადაც, ადვოკატი მე-5 თავში განხილული ჰიპოთეტური შემთხვევის არსებობისას, დაარღვევს კონფიდენციალურობის ვალდებულებას და პროფესიულ საიდუმლოებას. ცხადია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადვოკატის მიერ დანაშაულის პრევენციის მიზნით განხორციელებულ შეტყობინებას არ მიიჩნევს „კონვენციის სულთან“ შეუსაბამოდ. ასევე ცხადია, რომ შეტყობინების ამგვარ ვალდებულებას არ განიხილავს დაცვის უფლების შემადგენელ კომპონენტად. საინტერესოა, რამდენად იქნება შესაბამისობაში პროფესიული საიდუმლოების მარეგულირებელი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან, მაშინ როდესაც ქართული კანონმდებლობით, ადვოკატის მიერ ადამიანის უფლებათა ხელყოფის პრევენციის მიზნით განხორციელებული შეტყობინება პროფესიული საიდუმლოების დარღვევად მიიჩნევა, ხოლო ეთიკის კოდექსი ასეთ ვალდებულებას ადვოკატის მორალურ ვალდებულებად განიხილავს. თუ Michaudi-ის საქმით დადგენილ სტანდარტებს გამოვიყენებთ ადვოკატის კონფიდენციალურობის პრინციპისა და პროფესიული საიდუმლოების ქართული მოდელის შეფასებისთვის, მივიღებთ შემდეგ აშკარა მოცემულობას: ა. ადამიანის ნეგატიური და ბუნებითი უფლებების ხელყოფის დროს განხორციელებული შეტყობინება ემსახურება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ლეგიტიმურ მიზნებს, კერძოდ, დანაშაულის პრევენციას. მაშინ როდესაც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ფულის გათეთრების პრევენციისთვის შეტყობინების ვალდებულება კონვენციასთან შესაბამისად მიიჩნევა, უაღრესად რთულია, ეძებო მიზეზები, თუ რატომ უნდა მიიჩნიოს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ინდივიდის ბუნებითი და ნეგატიური უფლებების ხელყოფის რისკი ადვოკატის მიერ შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინების შემთხვევაში, პროფესიული საიდუმლოების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში არაპროპორციულ ჩარევად. ბ. ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი კონფიდენციალურობის ვალდებულების მოქმედების უსაზღვრო მასშტაბი არ მიიჩნევა დაცვის უფლების შემადგენელ კომპონენტად. ადვოკატი თავად

არღვევს ეთიკის კოდექსით დადგენილ კანონიერების პრინციპს ასეთი ინფორმაციის შეუტყობინებლობით. მართალია, ადვოკატის მიზანი კლიენტის ინტერესების დაცვაა, მაგრამ აღნიშნული ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას, გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამის თაობაზე მას კლიენტმა სთხოვოს და კლიენტს საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია, კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.⁵⁶ უფრო მეტიც, ისეთი ინფორმაციის შეუტყობინებლობა, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა ადამიანების ძირითად და თანდაყოლილ უფლებებს, ადვოკატს ბრმა იარაღად აქცევს კლიენტის ხელში. ხოლო სხვათა უფლებების ხელყოფის, კლიენტის ინდივიდუალური ინტერესისთვის მორგება არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ ვალდებულებად, რომელიც ადვოკატს შეიძლება დაეკისროს დაცვის უფლებიდან გამომდინარე, ხოლო ასეთი ვალდებულების ეთიკურად გამოცხადება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თავადაა არაეთიკური. დაცვის უფლებაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც სხვათა უფლებების ხელყოფას განიხილავს კლიენტის ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაცვის უფლებაში მოიაზრება კლიენტის ინტერესებისთვის ზრუნვა ყოველგვარი კანონიერი საშუალების გამოყენების მეშვეობით, და არა სხვა ინდივიდების უფლებათა ხელყოფის ხარჯზე ამ უკანასკნელის გარანტირება. ასეთი მოქმედება აშკარად სცდება დაცვის უფლების განხორციელების ფარგლებს. შედეგად, ამ კონტექსტში კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ შეიძლება, რომ შედიოდეს დაცვის უფლების მიზნებში.

მაგალითი: დავუშვათ, კლიენტი ადვოკატს ატყობინებს, რომ აპირებს მის ნათესავზე შურისძიებას, იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მისი კუთვნილი თანხა მიითვისა. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ადვოკატი შეტყობინების შემთხვევაში დაარღვევს კანონმდებლობით დაწესებულ დებულებებს და შელახავს კლიენტის ინტერესებს. თუმცა თუ ადვოკატი

⁵⁶ იქვე, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #057/10, 07 მარტი, 2010 წელი.

შეატყობინებს ამ ინფორმაციას შესაბამის უწყებებს, იგი მაინც დაექვემდებარება კონსტიტუციურ სამართლებრივ გამართლებას. გამომდინარე იქიდან, რომ სახეზე გვაქვს ლეგიტიმური მიზანი: დანაშაულის პრევენცია, კერძოდ კი, სხვა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის პრევენცია. შეტყობინება კი ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის ადეკვატური, გამოსადეგი და პროპორციული საშუალებაა, რადგან სხვა ნებისმიერი გამოსაყენებელი საშუალება დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არაეფექტურია, ხოლო ერთადერთ ეფექტურ საშუალებად, გვევლინება სამართლდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინება. ამ მოქმედებით, ადვოკატი უფრო დიდ სამართლებრივ სიკეთეს გადაარჩენს, ვიდრე ხელყოფს, და არა პირიქით.

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კოდექსი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი კონფიდენციალურობის პრინციპს გაძლიერებულად იცავს, და ამით სრულიად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტს,⁵⁷ დაცვის ისეთი ფარგლების მინიჭებით, რომელმაც, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, შეიძლება სხვათა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს შეუქმნას საფრთხე, არ არის მართებული.⁵⁸ ამ მხრივ, ქართული საკანონმდებლო ჩარჩო არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, რომელსაც თავის მხრივ ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალა გააჩნია.

⁵⁷ იხ. ECtHR, Michaud v. France, App. No. 12323/11, 2012 წლის 6 დეკემბერი, პარაგ. 118: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ „კონვენცია სთავაზობს გაძლიერებულ დაცვას ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაციას.“

⁵⁸ იქვე, პარაგ. 128. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ „შეტყობინების ვალდებულება არ უკავშირდება ადვოკატის დაცვითი როლის ძირითად არსს, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქმნის პროფესიული პრივილეგიის უზოგადეს საფუძველს“.

8. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დასაშვებობა ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში

კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის ვალდებულებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში, განსაკუთრებით კი აშშ-ში, რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო პროცესის აკვნად ითვლება. ამერიკის შეერთებულ შტატებში პროფესიული საქმიანობის მოდალური წესებით განისაზღვრება ადვოკატთა ქცევის პროფესიული სტანდარტი.⁵⁹ პროფესიული საქმიანობის მოდალური წესები საინტერესო დებულებებს ადგენს კონფიდენციალურობის პრინციპთან მიმართებით. კერძოდ, 1.6 პარაგრაფის a პუნქტი ადგენს კონფიდენციალურობის პრინციპის ზოგად ცნებას. „ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს კლიენტის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, სანამ კლიენტი მას არ მისცემს ინფორმირებულ თანხმობას ამის შესახებ. ინფორმაციის გამჟღავნება ნებადართულია თუ ეს აუცილებელია კლიენტის წარმომადგენლობის მიზნებისთვის ან ინფორმაციის გამჟღავნება ნებადართულია b პუნქტით.“⁶⁰ b პუნქტში მითითებულია, რომ ადვოკატს მხოლოდ მაშინ შეუძლია კლიენტის თანხმობის გარეშე ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც მან უნდა განახორციელოს სიცოცხლის აშკარა ხელყოფის ან ჯანმრთელობის აშკარა დაზიანების პრევენცია.⁶¹ ამ პარაგრაფით აღიარებულია, რომ სიცოცხლე და სხეულებრივი მთლიანობა უფრო აღმატებული ღირებულებაა და ნებას რთავს ადვოკატს, გაამჟღავნოს შესაბამისი ინფორმაცია თუ არსებობს გონივრული შესაძლებლობა, რომ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. მაგალითად, თუ კლიენტი შემთხვევით შხამიან ნივთიერებას ჩაასხამს წყლის რეზერვუარში, რომელიც პასუხისმგებელია ქალაქის

⁵⁹ Model Rules of Professional Conduct, იხ. https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/rule_1_6_confidentiality_of_information/.

⁶⁰ Rule 1.6: Confidentiality of Information, იხ. https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/rule_1_6_confidentiality_of_information/.

⁶¹ იქვე.

წყლით მომარაგებაზე და არსებობს გონივრული, რეალური და არსებითი რისკი, რომ თუნდაც ერთი ადამიანი დალევს წყალს და საფრთხე შეექმნება მის სიცოცხლეს ან დაავადდება კონკრეტული სნეულებებით, და თუ ადვოკატის ჩარევა აუცილებელია საფრთხის აღმოსაფხვრელად, მაშინ მას ეკისრება შეტყობინების ვალდებულება.⁶² ასევე, ე.წ. „თაღლითობის დანაშაული“ წარმოადგენს იმ გამონაკლისს, რომლის დროსაც ადვოკატს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება, იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ადვოკატის სერვისების მემვეობით ცდილობს ამ დანაშაულის გადაფარვას.⁶³

ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დასაშვებობის კუთხით საკმაოდ მრავალფეროვანია. მაგალითად, საქმეზე *Clark v. United States*, ამერიკის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „კლიენტი, რომელის ადვოკატს ისეთ კონსულტაციას სთხოვს, რომელიც მას დაეხმარება თაღლითობის დანაშაულის ჩადენაში, არანაირ მხარდაჭერას არ უნდა ელოდეს სამართლისგან. ადვოკატმა სიმართლეს ფარდა უნდა აჰხადოს. “He must let the truth be told.”⁶⁴ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, კლიენტი ადვოკატს დაუკავშირდა იმ მიზნით, რომ მიეღო კონსულტაცია თაღლითობის განხორციელების „ლეგალური“ გზების შესახებ. ამ კუთხით სასამართლოს პოზიცია ურყევა. თაღლითობის დანაშაული იმ საგამონაკლისო შემთხვევათა სიაშია, როდესაც ადვოკატს პირიქით ეკისრება შესაბამისი ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. კიდევ ერთი საინტერესო საქმეა *Shorter v. State*. ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, კლიენტი ურეკავს ადვოკატს და ეუბნება, რომ აპირებს მისი ცოლის ბოიფრენდის მოკვლას. ადვოკატი ატყობინებს ინფორმაციას შესაბამის

⁶² Disclosure Averse to Client. იხ. https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/rule_1_6_confidentiality_of_information/comment_on_rule_1_6/.

⁶³ Michmerhuizen, S., Confidentiality, Privilege: A Basic Value in Two Different Applications. Center for professional Responsibility, 2007 წლის მაისი. იხ. https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/professional_responsibility/confidentiality_or_attorney.authcheckdam.pdf.

⁶⁴ *Clark v. United States*, 289 U.S. 1, 15 (1933).

ორგანოებს, თუმცა პოლიციის მისვლამდე, კლიენტი კლავს სამიზნეს.⁶⁵ ამ საქმეზე, ამერიკის უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის მნიშვნელობას და სიწმინდეს უკვე ღრმად აქვს ფესვები გადგმული იურისპრუდენციაში, თუმცა პრივილეგიის ყველაფრის ფასად (at all costs) დაცვა არ არის მართებული.“⁶⁶ ამერიკის უზენაესი სასამართლო საინტერესოდ მსჯელობს ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის მოქმედების ფარგლებზე. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს: „იმისათვის, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული კომუნიკაცია დაექვემდებაროს პრივილეგიით დაცვას, იგი უნდა ხორციელდებოდეს კანონიერი მიზნებისთვის ან, ყოველ შემთხვევაში, მას უნდა ჰქონდეს კანონიერი დასასრული. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენამდე ე.წ. კლიენტის მიერ განხორციელებული კომუნიკაცია იმ მიზნით, რომ მას ადვოკატი ან რჩევას მისცემდა ან რაიმე სახით მაინც დაეხმარებოდა, არცერთ შემთხვევაში არ ექვემდებარება პრივილეგიით დაცვას.“⁶⁷ შესაბამისად, სატელეფონო კომუნიკაცია დასაშვებ მტკიცებულებად იქნა ცნობილი, რაც განპირობებული იყო იმით, რომ პროფესიული ქცევის მოდალური წესები ადვოკატს აძლევდა შეტყობინების განხორციელების უფლებას, როდესაც საფრთხე ემუქრება სხვა ადამიანის სისიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში ნათლად ჩანს პათოსი, რომ ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია არ ვრცელდება თაღლითობის დანაშაულებსა და იმ ქმედებებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა ინდივიდის ბუნებით და ნეგატიურ უფლებებს. საგულისხმოა, რომ საქმეზე, *Both v. Frantz*, ამერიკის უზენაესმა სასამართლომ დააფიქსირა იგივე პოზიცია, რაც უკვე დაფიქსირებული ჰქონდა ადრე გადაწყვეტილ საქმეებში. საქმე ეხებოდა თაღლითობას. კერძოდ, მოპასუხე და მისი ადვოკატი ცდილობდნენ მოსარჩელის ქონების მითვისებას, რაც

⁶⁵ The Attorney-Client Privilege, Most, but not necessarily all, of what you tell your lawyer is privileged. *ob.* <https://www.nolo.com/legal-encyclopedia/attorney-client-privilege.htm>.

⁶⁶ *Shorter v. State*, 33 So. 3d 512 (Miss. Ct. App. 2009). *ob.* ასევე, *Grand Jury Subpoenas v. United States*, 144 F.3d 653, 659-60 (10th Cir.1998).

⁶⁷ *ob.* იქვე, 13.

დასტურდებოდა მათი სატელეფონო საუბრით. ადვოკატი უთითებდა, რომ ამ შემთხვევაში ვრცელდება ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია. თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა ეს მოსაზრება და მიუთითა იმ მნიშვნელოვან საჯარო და ინდივიდუალურ ინტერესზე, რის წინააღმდეგაც „ილაშქრებდა“ თაღლითობის დანაშაული. ამდენად, კომუნიკაციების დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლომ დასაშვებად ცნო და მიუთითა, რომ იმ კომუნიკაციაზე, რომლის მიზანიც არის თაღლითობის ჩადენა, ვერ გავრცელდებოდა პრივილეგიით დაცვა.⁶⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ამერიკის უზენაესი სასამართლოს შეხედულებებში იკვეთება მნიშვნელოვანი განსხვავება. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ ასეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, როდესაც საფრთხე ეხება კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეებს, ვრცელდება პროფესიული საიდუმლოების პრინციპი, თუმცა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ექვემდებარება პროპორციულობის პრინციპის ტესტის მეშვეობით გამართლებას. საპირისპიროდ კი, ამერიკის უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ უკანონო მიზნების არსებობისას, ჩარევა კი არ ექვემდებარება რაიმე სახის გამართლებას, არამედ ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია წყვეტს მოქმედებას და უკანონო მიზნის მქონე დიალოგი, კომუნიკაცია ან სხვა რომელიმე მოქმედება ექცევა ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის დაცვის ფარგლების გარეთ. განსახილველ შემთხვევაში შედეგი ერთია, თუმცა, სასამართლოების მიერ ერთნაირ შედეგამდე მისვლა სხვადასხვა მეთოდისა და შეხედულებების მიხედვით ხორციელდება.

საყურადღებოა, რომ ამერიკის უზენაესი სასამართლოს შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახაა და იგი განმტკიცებულია არამხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებებით, არამედ პროფესიული ქცევის მოდალური წესების მარეგულირებელი დოკუმენტითაც.

⁶⁸ Both v. Frantz, 278 Ga. App. 556 (2006)

9. დასკვნა

წინამდებარე სტატიაში ადვოკატის კონფიდენციალურობის პრინციპისა და პროფესიული საიდუმლოების ირგვლივ არსებული ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფისა და კონკრეტული საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მიზნით გაანალიზდა კონფიდენციალურობის პრინციპის ქართული საკანონმდებლო მოდელი. უტილიტარიანიზმის სახელით ცნობილ ნორმატიულ-ეთიკური თეორიის პრიზმაში, უფრო მასშტაბურად წარმოჩნდა სადავო რეგულირების თანმდევი რელევანტური რისკები. საბოლოოდ კი მომოხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი პროფესიული საიდუმლოების ძირითად უფლებაში ჩარევის გამართლების თაობაზე, ხოლო ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ემსახურებოდა საილუსტრაციო მიზანს, რათა მკითხველს ცალსახა წარმოდგენა შექმნოდა აღნიშნული პრინციპის მართებული რეგულირების თაობაზე. ასევე, კანონმდებლისთვისა და ადვოკატთა ასოციაციისთვის შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (სსმ, 22, 06/07/2001, 20/06/2001, №976) მე-7 მუხლს დაემატოს „გ“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება, მაშინ როდესაც საფრთხე ემუქრება სხვა პირთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.“

ს.ს.ი.პ. „ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ მიღებულ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილს დაემატოს „დ“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) თუ ეს აუცილებელია, სხვა პირთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად.“

ნდობის პრინციპის მნიშვნელობა ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში

სოფიო ტოლიაშვილი*

შესავალი

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მესამე მუხლის თანახმად: „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს კლიენტის მისდამი ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.“ ეს პრინციპი ყველაზე მნიშვნელოვანია ადვოკატის პროფესიული საქმიანობისთვის და მოიცავს ეთიკის რამდენიმე სხვა ძირითად პრინციპსაც. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავ სწორედ ნდობის პრინციპს, მის არსს და მიმართებას დანარჩენ პრინციპებთან ეთიკის კომისიის პრაქტიკისა და ამ საკითხის უცხოური რეგულირების მოშველიებით.

1. ნდობის პრინციპის არსი

რა არის ნდობა? ნდობა ადამიანებს შორის ყველა სახის ურთიერთობას უდევს საფუძვლად. მეგობრებს შორის, მეუღლეებს შორის, მშობელსა და შვილს შორის იქნება ეს თუ სულაც ახალ გაცნობილ ადამიანებს შორის, ჩვენ თავადვე ვირჩევთ, ვის ვენდოთ და ვის – არა. ხანდახან ინტუიცია გვკარნახობს, რომ ადამიანი ჩვენს ნდობას იმსახურებს, ან ეს დიდხნიანი ურთიერთობის და გამოცდილების შედეგია, ზოგჯერ კი, უბრალოდ, სხვა არჩევანი არ გვაქვს; ბავშვობიდან გვასწავლიან და გვინერგავენ, რომ ადამიანებს არ უნდა ვენდოთ. თუნდაც ოჯახში, როდესაც მშობელი არიგებს შვილს, რომ უცხოს არ უნდა გამოელაპარაკოს და მანქანაში არ უნდა

* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

ჩაუჯდეს, რადგან ის შეიძლება, ცუდი ადამიანი აღმოჩნდეს და ბოროტი განზრახვა ამოძრავებდეს. ანიმაციური ფილმებიც კი გვასწავლიდნენ, რომ ოჯახის წევრებსაც კი ეჭვის თვალით უნდა ვუყურებდეთ. მაგალითად, სიმბა თავის ბიძას ენდო და მისი რჩევით სახლიდან გაიქცა, რათა მამამისის მკვლელობაში არ დაედანაშაულებინათ; სინამდვილეში კი თავად ბიძა აღმოჩნდა ის, ვინც მოკლა თავისი ძმა, რათა მისი სამეფო ჩაეგდო ხელში.¹ ჩვენი საყვარელი რომანები, პიესები, ფილმები თუ სხვა ნაწარმოებები თითქმის ყოველთვის ასეთ მოტივებზეა დაფუძნებული და გვასწავლის, რომ არა თუ სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც კი არ უნდა ვენდოთ. ამ პირობებში კი ნამდვილად რთულია ნდობის ჩამოყალიბება ურთიერთობაში. ამიტომაც მოითხოვს ეს პროცესი ძალიან დიდ დროსა და ენერგიას. თანაც ისეთი ფაქტიზი რამაა, რომ ერთი არასწორი ნაბიჯით შეიძლება უცებ ჩამოიშალოს.

სხვადასხვა პროფესიაში განსხვავებულად ყალიბდება ნდობა. ზოგ შემთხვევაში, მრავალი სხვა ადამიანის გამოცდილებიდან გამომდინარე, ეჭვის თვალით შეიძლება უყურებდნენ რომელიმე პროფესიის წარმომადგენლებს. მაგალითად, საზოგადოებაში გავრცელებული აზრია, რომ ნარდობის ხელშეკრულების დადებისას ხელოსნებს არ უნდა ვენდოთ და როდესაც გვეუბნებიან, რომ 3 დღეში შეაკეთებენ გაფუჭებულ ნივთს, ეს 3 დღე შეიძლება 3 კვირად ან სულაც 3 თვედ გადაიქცეს. ზოგჯერ კი სხვა გზა არ გვაქვს, გარდა იმისა, რომ დავუჯეროთ პროფესიონალს და მის მითითებებს მივყვეთ. მაგალითად, ექიმებმა, რომლებიც ჩვენს ჯანმრთელობაზე არიან პასუხისმგებლები, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენზე უკეთ იციან, რა გვჭირდება და, უმჯობესია, დავუჯეროთ.

ჩვენს პროფესიას რაც შეეხება, მას ნდობის განსხვავებული სტანდარტი ახასიათებს. კლიენტი, რომელიც ადვოკატთან მიდის რჩევის ან სხვაგვარი დახმარების სათხოვნელად, როგორც წესი, არის პრობლემურ სიტუაციაში და აქვს იმის განცდა, რომ პროფესიონალი მას დაეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში. იგი მას უმხელს პირად ინფორმაციას, აწვდის გარკვეულ რესურსებს, თანხას ამ მომსახურების სანაცვლოდ. ეს ყველაფერი სწორედ საზოგადოებაში

¹ The Lion King, 1994, Walt Disney Pictures.

არსებული იმ წარმოდგენიდან გამომდინარეობს, რომ ადვოკატი სამართლის, კანონის დამცველია და მისი მაღალი მორალური ღირებულებები იძლევა მის მიმართ ნდობის არსებობის საშუალებას. თანაც ექიმის მსგავსად ამ სიტუაციაშიც, გაჭირვებაში მყოფს სხვა გზა თითქოს არ აქვს. ამიტომ, ენდობა უცნობ ადამიანს. თუმცა, ამ ნდობის ჩამოშლაც ძალიან მარტივად შეიძლება, თუ ადვოკატის ქმედებები მისცემს მას ბიძგს. ბევრი იურისტი, სამწუხაროდ, ახერხებს, რომ კლიენტს სრულიად შეუცვალოს წარმოდგენა ამ პროფესიის მიმართ.

ნდობის პრინციპი, ერთი შეხედვით, ძალიან ზოგადი საკითხია; იმის უფრო ნათლად გასააზრებლად, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დარღვევა, უმჯობესია, დავშალოთ იგი უფრო კონკრეტულ საკითხებად.

1.1 კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რაც განაპირობებს კლიენტის ადვოკატისადმი ნდობის გამყარებას, არის ის, თუ რამდენად კარგად ასრულებს ადვოკატი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. კლიენტი ადვოკატს ანდობს თავის ბედს, ამიტომ მას უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ ეს უკანასკნელი ყველაფერს გააკეთებს მისი ინტერესების დასაცავად. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადვოკატი ყოვლისშემძლეა და ეჭვგარეშე შეძლებს აღებული საქმის წარმატებით შესრულებას. მთავარია, გულისხმიერებით მოეკიდოს ამ პასუხისმგებლობას და თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენოს კლიენტის დასახმარებლად. თუ ადვოკატის მხრიდან ასეთ მცდელობას ექნება ადგილი, მას ვერავინ მოედავება საქმის არაკეთილსინდისიერად შესრულებაში. მაგალითად, ეთიკის კომისიას 2014 წლის 8 იანვარს საჩივრით მიმართა თ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება იმ საფუძველით, რომ იგი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა საქმეს და არ განახორციელა კლიენტის

ინტერესების სათანადოდ დაცვა². ეთიკის კომისიამ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ადვოკატის მხრიდან განხორციელებულ იქნა რიგი ქმედებები, რასაც სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. კომისიას არ გააჩნია უფლებამოსილება, სამართლებრივად არსებითად შეაფასოს ადვოკატის მიერ არჩეული დაცვის სტრატეგია და კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოყენებული მეთოდები და საშუალებები, ამიტომ არ დააკისრა ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზნებისთვის, აუცილებელია, ადვოკატმა სუბიექტური რწმენით განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება კლიენტის დასახმარებლად; ის, თუ რამდენად ეფექტური იქნება ეს საშუალებები, ეთიკის კოდექსის განსჯის საგანი აღარაა.

მეორე მხრივ, ამასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატი კლიენტის ინტერესების დაცვისას მოქმედებდეს კანონიერების ფარგლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, „ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“ გამოდის, რომ ადვოკატის შესაძლებლობები კლიენტის ინტერესების დაცვისას შეუზღუდავი არ არის და იგი აუცილებლად კანონის ფარგლებში უნდა მოქმედებდეს. კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატი ვერ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება, თუნდაც ამას კლიენტი მოითხოვდეს და ეს საქმეს მის სასარგებლოდ დაასრულებდეს. მაგალითად, ადვოკატს არ აქვს უფლება, გააყალბოს რაიმე მტკიცებულება ან უკანონო გზით მოიპოვოს იგი, თუნდაც კლიენტი ამლევდეს ასეთ მითითებას. ამის გამო შეიძლება მისი სხვაგვარი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

² საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის გადაწყვეტილება №001/14.

1.2 კომუნიკაცია ადვოკატსა და კლიენტს შორის

ეთიკის კომისიისთვის ხშირად მიუმართავთ უკმაყოფილო კლიენტებს საჩივრით იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი მათ არ აწვდიდა საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციას, არ პასუხობდა ზარებს ან, თუ პასუხობდა, ძალიან მოკლე და არაფრის მომცემ პასუხებს სცემდა. ვფიქრობ, ეს კლიენტისთვის საკმარისი მიზეზია ადვოკატის მიმართ ნდობის დასაკარგად. კლიენტი მიდის კვალიფიციურ იურისტთან იმ იმედით, რომ იგი დაეხმარება პრობლემის მოგვარებაში. ადვოკატი მას უსმენს და დახმარებას ჰპირდება. გადის დრო და კლიენტი ინტერესდება მისი საქმის მსვლელობით, თუმცა, ადვოკატისგან ვერანაირ ინფორმაციას ვერ ღებულობს. ურეკავს მას და ასისტენტი პასუხობს, რომ მნიშვნელოვან შეხვედრაზეა და მოგვიანებით გადმოურეკოს. ან თუ როგორღაც პირადად მოახერხა მასთან შეხვედრა, ადვოკატი დაამშვიდებს და ეტყვის, რომ ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია. კლიენტი მშვიდად ბრუნდება უკან, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ იგივე მეორდება და კვლავ არანაირი შედეგი არ არის. ასეთი ინდიფერენტული დამოკიდებულების გამოხატვა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც რთულ მდგომარეობაშია და დახმარებას შენგან ელის, ძალიან ცუდია და შეუფერებელია იურისტისთვის. რაც უნდა დაკავებული იყოს ადვოკატი და უამრავი საქმე ჰქონდეს, როდესაც პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე, საჭიროა, მას სათანადოდაც მიუდგეს. სულ მცირე ყურადღების გამოჩენაც სასოწარკვეთილი კლიენტისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ამისთვის საჭიროა, ადვოკატმა მასთან კონსულტაციაზე მისულ კლიენტს ყურადღებით მოუსმინოს, თავი მნიშვნელოვან პიროვნებად აგრძნობინოს, შევიდეს მის მდგომარეობაში და, საქმის აღების შემთხვევაში, რეგულარულად მიაწოდოს ამასთან დაკავშირებით არსებული ყველა ინფორმაცია. სწორედ ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულება კლიენტს უფრო დაამშვიდებს, კეთილად განაწყობს იურისტის მიმართ და, საქმის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, ის მაინც ეცოდინება, რომ ადვოკატმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო.

მეორე მხრივ, შესაძლოა ადვოკატი სულაც ყველაფერს აკეთებდეს კლიენტის დასახმარებლად, მაგრამ პრობლემა

უბრალოდ არასწორად წარმართულ კომუნიკაციაში იყოს. კერძოდ, ადვოკატმა შეიძლება კლიენტს მცდარი ინფორმაცია მიაწოდოს საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით ან რაიმე გარანტია მისცეს საქმის შედეგებთან დაკავშირებით. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მერვე მუხლის მესამე ნაწილი უკრძალავს ადვოკატს კლიენტისთვის ასეთი გარანტიების მიცემას. ამის გამო შეიძლება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხიც კი დადგეს, რადგან მას არ აქვს უფლება, დაზუსტებით თქვას რაიმე იმასთან დაკავშირებით, რისი გადაწყვეტის უფლებამოსილებაც აქვს არა მას, არამედ – მოსამართლეს. თანაც, თუ ამ გზით დააიმიდებს კლიენტს და მერე სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს, კლიენტი იმედგაცრუებული დარჩება და ეს შეასუსტებს ადვოკატისადმი არსებულ ნდობას.

სწორად წარმართული კომუნიკაცია გულისხმობს იმასაც, რომ ადვოკატი მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს აუცილებლად უნდა უთანხმებდეს კლიენტს. მას წარმომადგენლობის განხორციელების უფლება სწორედ კლიენტისგან აქვს მიღებული კონკრეტული დავალების საფუძველზე და ამ ურთიერთობაში გამოდის, როგორც რწმუნებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 712-ე მუხლის მიხედვით, რწმუნებული მოვალეა, შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები.³ მას შეუძლია გადაუხვიოს ამ მითითებებს, თუ გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლია ივარაუდოს, რომ მარწმუნებელი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოიწონებდა ასეთ გადახვევას. მაგრამ გადახვევამდე მან უნდა შეატყობინოს მარწმუნებელს და დაელოდოს მის გადაწყვეტილებას, თუ ამ დაყოვნებით რაიმე ზიანი არ მიადგება საქმეს. ერთ-ერთი საჩივრის მიხედვით⁴, რომელიც ეთიკის კომისიაში 2013 წელს შევიდა, კლიენტმა მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. სხვა მიზეზებთან ერთად იყო ისიც, რომ ადვოკატმა მასთან შეუთანხმებლად გადასცა საქმესთან დაკავშირებული მასალები სხვა ადვოკატს. ეთიკის კომისიამ

³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 712. (დამტკიცებული საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 24 ივლისს).

⁴ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №054/13.

ამასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ რაც არ უნდა დახმარებოდა ეს ქმედება საქმის წარმატებით დასრულებას, ადვოკატს მაინც ევალუბოდა პირველ რიგში კლიენტთან შეთანხმება და მისგან ნებართვის აღება. მით უმეტეს, რომ კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე შეიქმნა. ადვოკატი თავისი საქმიანობის განხორციელებაში არის გარკვეულწილად თავისუფალი. რადგან კლიენტი მიმართავს მას დახმარებისთვის, ეს იმას ნიშნავს, რომ მას კლიენტზე მეტი გამოცდილება და კომპეტენცია აქვს საქმის საწარმოებლად. ამიტომ, შეუძლია თავად აირჩიოს, რა სტრატეგიით წაიყვანოს საქმე. მაგრამ კანონმდებლობის მიზანი ამ შემთხვევაში ის არის, რომ კლიენტსაც დაუტოვოს არჩევანის თავისუფლება. მან უნდა იცოდეს, რა გზებს მიმართავს ადვოკატი, რადგან ყველა ეს ქმედება მისი სახელით უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, უფლება აქვს, თუ არ მოეწონება ადვოკატის არჩეული სტრატეგია, შეეწინააღმდეგოს მას და მოსთხოვოს სხვა გზების მოძიება. ამიტომაც ევალუბა ადვოკატს კლიენტთან მუდმივი კომუნიკაცია მის საქმესთან დაკავშირებით და მასთან შეთანხმებული მოქმედება.

1.3 ფინანსური საკითხები

კლიენტი ადვოკატს ანდობს თავის ფინანსებს. საადვოკატო მომსახურება, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამაში შედის, როგორც ჰონორარი, ასევე საპროცესო მოქმედებების განსახორციელებლად საჭირო თანხები. ხშირ შემთხვევაში, ადამიანი ფინანსურად შეძლებული არ არის, მაგრამ ადვოკატის დახმარება რომ სჭირდება, სხვა გზა არ აქვს და ყველანაირ რესურსს ამ მომსახურების მისაღებად იყენებს. როგორც ავადმყოფს სჭირდება კარგი ექიმი და საუკეთესო საშუალებებით მკურნალობა, რისთვისაც შეიძლება სახლიც კი გაყიდოს და ბანკიდან სესხი აიღოს, ანალოგიურად შეიძლება მოხდეს იურიდიული დახმარების საჭიროების შემთხვევაშიც. ამიტომ, ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, ადვოკატი რაც შეიძლება გულისხმობდეს მიუდგეს ამ საკითხს და კლიენტის მიერ საქმეში ჩადებული რესურსები მაქსიმალურად სწორად და მიზნობრივად გამოიყენოს. ამას ავალდებულებს მას კანონიც; პროფესიული

ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, „ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს, უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია, კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება.“ ეთიკის კომისიამ 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებით⁵ დაადგინა, რომ „კლიენტის მიერ ფულადი სახსრების მინდობა ადვოკატისთვის ამ უკანასკნელისთვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა, შემლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და უკლებლივ დაუბრუნოს ამ უკანასკნელს კუთვნილი თანხა თუ სხვა ქონება.“ თუმცა, ასეთი რეგულაციების მიუხედავად, მაინც ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ადვოკატები იღებენ დიდი რაოდენობით ჰონორარს და სხვა სახის იურიდიული ქმედებების განსახორციელებლად საჭირო თანხებს და შემდეგ საერთოდ არაფერს აკეთებენ. მაგალითად, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით⁶ №052/16 ვიგებთ, რომ ადვოკატმა თ. ჯ.-მ კლიენტს მოსთხოვა ჰონორარი 500 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბაჟის თანხა 1 200 ლარი და შემდეგ დამატებით 600 ლარი. ამ თანხის აღების შემდეგ კი საერთოდ აღარ გამოჩენილა, არ შეხმიანებია კლიენტს და როგორც გაირკვა, სარჩელიც კი არ შეუტანია სასამართლოში. ადვოკატის მხრიდან ასეთი საქციელის შემდეგ კი, დამეთანხმებით, ნდობის პრინციპზე საუბარიც კი ზედმეტია. ამ შემთხვევაში არაკეთილსინდისიერებაშიცაა პრობლემა და ეს კიდევ სხვა პრობლემურ საკითხებს წარმოშობს.

⁵ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №003/12.

⁶ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №052/16.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა ამ საკითხს.⁷ მეტიც, იქმნება ცალკე სადეპოზიტო ანგარიშები, სადაც მხოლოდ კლიენტების თანხები არის მოთავსებული და სრულიად გამიჯნულია ადვოკატისა და საადვოკატო ფირმის ანგარიშებისგან. ოდნავი მცდელობაც კი ადვოკატის მიერ თავისი კლიენტის თანხების მითვისებისა, მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის სამიზნე ხდება, როგორც ეს ლენანის შემთხვევაში იყო, რომელმაც კლიენტის თანხებიდან 13 000 აშშ დოლარი მიისაკუთრა.⁸

ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დაწყებისას, საჭიროა, ადვოკატმა მას მიაწოდოს დეტალურად გაწერილი ხარჯთაღრიცხვა, თუ რა რაოდენობის თანხა მოითხოვება მისგან და კონკრეტულად რა ქმედების განსახორციელებლადაა ის საჭირო. ამ შემთხვევაში უფრო ექნება კლიენტს იმის განცდა, რომ მის მიერ გაღებული რესურსები უმიზნოდ არ იქნება დახარჯული და საქმის არასწორად განვითარების შემთხვევაში, ბერკეტი ექნება თანხის დაბრუნების მოთხოვნისთვის.

2. ნდობის პრინციპის მიმართება ეთიკის კოდექსის სხვა პრინციპებთან

2.1 კონფიდენციალობის პრინციპი

კონფიდენციალობის პრინციპი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში და, ვფიქრობ, პირდაპირ კავშირშია ნდობის პრინციპთან.

ადვოკატი მასთან კონსულტაციაზე მისულ კლიენტს უსვამს შეკითხვებს, რათა მისგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია, რომლის გაანალიზების შემდეგაც ჩამოუყალიბდება აზრი საქმესთან დაკავშირებით და გადაწყვეტს, რა სტრატეგიით იმოქმედოს. ამიტომ, კლიენტმა მას ყველა საჭირო ფაქტი უნდა მიაწოდოს.

⁷ ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესები პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ, 9-102.

⁸ “Misappropriation of Client’s Funds: Is Disbarment Always Justified?” Mary Hackett https://www.law.ua.edu/pubs/jlp_files/issues_files/vol112/vol112art04.pdf.

ამისთვის კი აუცილებელია, კლიენტს ჰქონდეს მისდამი ნდობა და არ ეშინოდეს, რომ ადვოკატი ამ ინფორმაციას მესამე პირებს გაუმხელს. ამგვარად, კონფიდენციალობის დარღვევა შემდგომში განაპირობებს ადვოკატის მიმართ ნდობის შესუსტებას, როგორც ამ კონკრეტული, ისე – სხვა, პოტენციური კლიენტებისგან.

ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“

ამავეს ითვალისწინებს ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსიც, რომლის მიხედვითაც – „ადვოკატის ძირეული ფუნქციაა, კლიენტისგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები. კონფიდენციალობის უეჭველობის გარეშე შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი და ფუნდამენტური მოვალეობაა.“⁹

ამ მხრივ, ასევე უნდა აღინიშნოს, ზოგადად რას მოიცავს კონფიდენციალობის ვალდებულება. აშშ-ს პრაქტიკით ამ ვალდებულებაში მოიაზრება როგორც კონფიდენციალური ინფორმაცია, ასევე – ადვოკატ-კლიენტს შორის არსებული პრივილეგირებული ინფორმაცია.¹⁰ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ადვოკატის მიერ უშუალოდ კლიენტისგან მიღებულ ინფორმაციას, რაც საიდუმლოა და მხოლოდ ამ ორს შორის უნდა დარჩეს. კონფიდენციალური ინფორმაცია კი არის ადვოკატის მიერ

⁹ ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის მუხლი 2.3.1.

¹⁰ ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესები პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ, DR 4-101.

ზოგადად მიღებული ინფორმაცია კლიენტის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ნებისმიერი წყაროდან შეიძლება იყოს მოპოვებული. მაგალითად, ადვოკატი შეიძლება გაესაუბროს კლიენტის მეზობელს ან მეგობარს და მისგან გაიგოს საჭირო ფაქტები საქმესთან დაკავშირებით. ეს ინფორმაციაც წარმოადგენს დაცვის ობიექტს. მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირისგან იქნა მიღებული და შეიძლება თავისუფლად გამჟღავნდეს, მთავარია ადვოკატმა შეინარჩუნოს კონფიდენციალურობა, ამ ფაქტებთან დაკავშირებით არსებული ცოდნა მხოლოდ საქმეს მოახმაროს და ბოროტად არ გამოიყენოს.

2.1.1 როდის შეუძლია ადვოკატს, გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია?

არსებობს გარკვეული გამონაკლისები, როგორც საქართველოს, ისე – უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში, როდესაც კლიენტის, საზოგადოების ან თუნდაც თავად ადვოკატის უსაფრთხოების დაცვის ინტერესი გადაწონის ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული ნდობისა და კონფიდენციალობის დაცვის პრინციპებს.

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მეოთხე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

პირველ ორ შემთხვევაში, მესამესგან განსხვავებით, მნიშვნელობა ენიჭება თავად კლიენტის თანხმობას. იმ დროსაც კი, როდესაც საქმე ეხება კლიენტის უსაფრთხოებას და კეთილდღეობას და მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის გამოყენება ისევ მის სასიკეთოდ, ადვოკატს მაინც არ აქვს ამის უფლება, სანამ კლიენტი

არ დართავს ნებას. მაგალითისთვის ავიღოთ ასეთი შემთხვევა: ბრალდებულმა მოკლა კაცი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მისი შვილი გააუპატიურა. რეალური მიზეზი იცოდა მხოლოდ ბრალდებულის ადვოკატმა, მაგრამ კლიენტისგან კატეგორიულად ჰქონდა აკრძალული ამ ფაქტის გასაჯაროება ან ნებისმიერი ფორმით გამოყენება, რათა მისი ქალიშვილის ღირსება და პატივი არ შელახულიყო. ადვოკატს ეს ინფორმაცია რომ გამოეყენებინა, კლიენტს ბევრად უფრო ნაკლებს მიუსჯიდნენ. მაგრამ, რადგან თავად კლიენტის სურვილი იყო ასეთი, ადვოკატს მისი უფლებების პატივისცემის გარდა სხვა არაფერი დარჩენოდა. შედეგად, კლიენტს იმაზე მძიმე პასუხისმგებლობა დააკისრეს, ვიდრე ეკუთვნოდა. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია კლიენტის ნდობა ადვოკატისადმი და მისი პირადი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის გარანტია. მიუხედავად იმისა, რომ ამან შეიძლება რეალურად თავად კლიენტის უფლებები შელახოს და ასევე სწორი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას შეუშალოს ხელი.

განსხვავებული პრაქტიკაა აშშ-ში. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის ნორმების თანახმად, ადვოკატი უპირობოდ ვალდებულია, გაამხილოს კონფიდენციალური ინფორმაცია ან საიდუმლოება თუ ამას მოითხოვს კანონი, სასამართლო ან თუ ეს აუცილებელია კლიენტის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად¹¹. მაგალითად, თუ კლიენტი მას გაუმხელს, რომ აპირებს თავისი მოწინააღმდეგე მხარის მოკვლას, ამ შემთხვევაში ნდობისა და კონფიდენციალობის ვალდებულება ვერ შებოჭავს ადვოკატს და ვერ აიძულებს, ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩადენას. აქედან გამომდინარე, როდესაც სასწორზე დევს ისეთი მაღალი მორალური ღირებულებების მატარებელი პრინციპები, როგორცაა ნდობა და კონფიდენციალურობა, ხოლო მეორე მხარესაა მესამე პირთა უსაფრთხოება, უპირატესობა ენიჭება სწორედ ამ უკანასკნელს. თუმცა, ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საქმე, რომელიც ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას ეხება; ეს

¹¹ ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესები პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ, DR 4-101 (C).

არის ე.წ. „დამარხული გვამების“ საქმე¹². 1973 წელს რობერტ ფრენსის გაროუ თავს დაესხა ოთხ ახალგაზრდას და მათგან ერთ-ერთი მოკლა. როდესაც იგი დაიჭირეს, მან მოითხოვა თავის ადვოკატთან შეხვედრა. ფრენკ არმანი და ფრენსის ბელჯი იცავდნენ სასამართლოში მის უფლებებს. დამნაშავემ თავის ადვოკატებს გაუმხილა სიმართლე არა მარტო ამ დანაშაულის, არამედ, წარსულში ჩადენილის შესახებაც, კერძოდ, როგორ გააუჰპატიურა და მოკლა რამდენიმე გოგო. ასევე გაუმხილა მათ, თუ სად დამარხა გოგონების გვამები. ადვოკატებმა იპოვნეს გვამები, მაგრამ არავისთვის გაუმხელიათ ეს ინფორმაცია, რადგან ეს კლიენტისგან კონფიდენციალურად ჰქონდათ მიღებული. რამდენიმეთვიანი სასამართლო პროცესის შემდეგ, როდესაც გაროუმ ბოლოს და ბოლოს აღიარა თავისი დანაშაული, მან განაცხადა ასევე მოკლულ გოგონებზეც, რომელთა ამბავსაც მათი მშობლები ამდენი ხანი უშედეგოდ იკვლევდნენ. სიმართლე გაირკვა, გვამები იპოვეს. ამის შემდეგ, ადვოკატებმაც გაამხილეს, რომ ამ ყველაფრის შესახებ მათაც იცოდნენ. შედეგად ისინი საზოგადოების მხრიდან მრისხანებისა და სიძულვილის მსხვერპლი გახდნენ, რის გამოც თავიანთ ოჯახებთან ერთად საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა მოუხდათ, დაკარგეს მეგობრები, ძველებური ცხოვრება. ერთ-ერთი მსხვერპლი გოგონას ოჯახმა საჩივარიც კი შეიტანა არმანის წინააღმდეგ იმ საფუძვლით, რომ მან მომხდარი დანაშაულის შესახებ იცოდა და არ განაცხადა. ნიუ-იორკის ადვოკატთა ასოციაციამ არ მიიღო ეს საჩივარი და დაიცვა არმანი, როგორც ადვოკატი, რომელმაც თავისი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ გაამჟღავნა. თავად არმანიმ ეს კონფლიქტი დაასათაურა, როგორც „კლიენტის საიდუმლოს შენახვის ვალდებულება მოქალაქის მიერ დანაშაულის შეტყობინების ვალდებულების წინააღმდეგ.“ თუმცა მისთვის, როგორც მშობლისთვის ძალიან ძნელი იყო, მწუხარებაში მყოფი მამისთვის არ შეეტყობინებინა მისი მოკლული ქალიშვილის შესახებ, მან მაინც არ უღალატა თავისი პროფესიული ეთიკის პრინციპს. გაროუს პროცესის მიმდინარეობის დროსაც მოქმედებდა ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის

¹² “Client Confidentiality: The Buried Bodies Case”; Lisa M. Stone, ACP. <https://www.nala.org/articles/client-confidentiality-buried-bodies-case>

ზემოაღნიშნული ნორმა, თუმცა ამ ინტერპრეტაციით ის ეხება მოსალოდნელი დანაშაულის პრევენციის მიზნით ინფორმაციის გამხელას. ხოლო შეიძლება თუ არა უკვე ჩადენილი დანაშაული ჩაითვალოს ამაში, სადავოა. ადვოკატის არანაკლებ მნიშვნელოვან მორალურ ვალდებულებას წარმოადგენს, ხელი შეუშალოს თავის კლიენტს სხვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენებაში. მაგრამ, როდესაც მან გაიგო, რომ მისმა კლიენტმა მანამდეც ჩაიდინა დანაშაული, რის შესახებაც არავინ იცოდა, მას მაინც არ ჰქონდა უფლება, ეს ინფორმაცია გაემჟღავნებინა. „დამარხული გვამების“ შემთხვევაში საქმე უფრო რთულად იყო, რადგან კლიენტის საიდუმლოს დაცვამ და მისი ნდობის შენარჩუნებამ გამოიწვია შემდგომში საზოგადოების ნდობის დაკარგვა ამ ადვოკატების მიმართ, რაც, ადამიანური თვალსაზრისით, ძალიან სპეციფიკური საკითხია. მაგრამ, ამ საქმით დადგინდა, რომ ადვოკატისთვის მართლაც არ არსებობს იმაზე მაღალი პრინციპი, ვიდრე კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა და შესაბამისად მის მიმართ არსებული ნდობის შენარჩუნებაა.

2.2 დამოუკიდებლობის პრინციპი

ადვოკატის მიმართ კლიენტის ნდობის არსებობას ასევე განაპირობებს ადვოკატის დამოუკიდებლობა თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. კლიენტს ვერ ექნება ნდობა ადვოკატის მიმართ, თუ იარსებებს ეჭვი, რომ სათანადო წარმომადგენლობის განხორციელებაში მას ხელს შეუშლის პირადი ან სხვა ინტერესების გავლენა. უფრო კონკრეტულად, როდესაც დამოუკიდებლობის პრინციპის შესაძლო დარღვევა გვაქვს სახეზე, არსებობს იმის რისკი, რომ ადვოკატის და კლიენტის ინტერესები გადაიკვეთოს და ადვოკატმა თავისივე სასარგებლოდ იმოქმედოს, რის გამოც კლიენტი დაზარალდება. ამის თავიდან ასარიდებლად ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის ნორმები უკრძალავს ადვოკატს კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელებას თუ აღმოჩნდება, რომ მათ ერთი და იმავე ქონებაზე აქვთ რაიმე

უფლება¹³. ასევე არ შეიძლება ამ ორს შორის რაიმე სახის ხელშეკრულების დადება (მაგ. ჩუქების, ნასყიდობის, იპოთეკის და ა.შ.) გარდა საადვოკატო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებისა. თუ მათ შორის მოხდა ასეთი გარიგების დადება, ადვოკატს დიდი ალბათობით თავისი ქონებრივი ინტერესები შეუშლის ხელს კლიენტის მომსახურებაში. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას განხილული აქვს საქმე¹⁴ ადვოკატ დ. კ.-სა და კლიენტ ე. წ.-ს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით. კერძოდ, საჩივრის ავტორმა (კლიენტმა) მოითხოვა თავისი ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება იმის გამო, რომ ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული ქმედებებით დაეკარგა მის მიმართ ნდობა. ადვოკატმა დ. კ.-მ კლიენტთან შეუთანხმებლად დადო მისი მოვალის იპოთეკართან ხელშეკრულება და თავად გახდა მხარეებს შორის არსებული სადავო მოთხოვნის მფლობელი. ამის შედეგად მას წარმოეშვა პირადი ინტერესი აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით, რამაც ხელი შეუშალა წარმომადგენლობის განხორციელებას და ასევე გამოიწვია კლიენტის ნდობის დაკარგვაც.

დამოუკიდებლობის პრინციპი არ ეხება მხოლოდ ადვოკატის ფინანსურ ინტერესებს. ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები შეიძლება სხვა სახისაც იყოს. მაგალითად, თუ თავისი კლიენტის საქმეზე ადვოკატს მოუწევს მოწმედ გამოსვლა პროცესზე, ერთი მეორეს ხელს შეუშლის. ადვოკატი, რომელსაც ევალება თავისი კლიენტის ინტერესების მაქსიმალური დაცვა და მეორე მხრივ – მოწმე, რომელიც აუცილებლად ობიექტური უნდა იყოს. ასეთ დროს რთული იქნება ადვოკატისთვის ამ ორი ფუნქციის გამიჯვნა ერთმანეთისგან და შეიქმნება დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საშიშროება.

სწორედ ამის გამო ვფიქრობ, რომ ნდობის და ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპები პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან და მეორის დარღვევა ავტომატურად ხელყოფს პირველს. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, ამერიკის ადვოკატთა

¹³ ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესები პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ, EC 5-2.

¹⁴ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №094/11.

ასოციაციის ეთიკის ნორმების მიხედვით, უმჯობესია, ადვოკატმა ასეთი საშიშროების დანახვისთანავე უარი თქვას აღნიშნული საქმის წარმოებაზე¹⁵.

2.3 ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

ნდობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებთან პირდაპირ ბმაშია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპიც. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატისთვის ყოველთვის უპირველეს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს. მეორე მხრივ კი, ამის განხორციელებაში მას ხელი შეეშლება, თუ ერთი და იმავე საქმეზე ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე ორ ან მეტ კლიენტს გაუწევს კონსულტაციას ან წარმომადგენლობას. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.2.2 მუხლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია, შეწყვიტოს საქმიანობა ორივე კლიენტის სახელით მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, ნდობის დარღვევის ან მისი დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკის არსებობისას.“¹⁶ იმავეს იმეორებს საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მეექვსე მუხლიც, რომლის მიხედვით: „ადვოკატს უფლება არ აქვს, პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“ აღსანიშნავია, რომ ეს ნორმები იმპერატიული ხასიათისაა და ადვოკატს არ უტოვებს არჩევანის საშუალებას.

ასეთივე ნორმაა მოცემული ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსში.¹⁷ მაგრამ, მეორე მხრივ, ამერიკაში ადვოკატს უფლება აქვს, თავად შეაფასოს, აწონ-დაწონოს ინტერესთა კონფლიქტის რისკები და თუ ძალიან მცირე შანსია კონფლიქტის წარმოშობის, და თანაც ადვოკატი დარწმუნებულია,

¹⁵ ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესები პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ, EC 5-2.

¹⁶ ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 3.2.2.

¹⁷ ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესები პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ, EC 5-15.

რომ ორივე კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელებას შეძლებს ისე, რომ დამოუკიდებლობაც შეინარჩუნოს, მაშინ, შეუძლია, ორივე საქმე აწარმოოს. თუმცა, აუცილებლად ორივე კლიენტის თანხმობით.

ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს ყველა იმ კლიენტის საქმის წარმოება, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს ქმნის. თითოეული კლიენტი ადვოკატისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და გულისხმიერად და კეთილსინდისიერად უნდა მიუდგეს მისი საქმის წარმოებას. თუ აღმოჩნდა ისე, რომ ორმა კლიენტმა მიმართა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ისინი მოწინააღმდეგე მხარეები არიან ერთ საქმეზე, ადვოკატი ვერ განახორციელებს მათ წარმომადგენლობას. მას წვდომა ექნება ორივე კლიენტის კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, მათი საქმის მასალებზე და ვერ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც რომელიმე კლიენტს მაინც არ დააზარალებს. ამიტომ, ძალიან რთული იქნება ორივე საქმეში წარმატების მიღწევა, ისე, რომ ბოლოს ყველა კმაყოფილი დარჩეს. ადვოკატის ასეთი ქმედება საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, თავად ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას და მის დამოუკიდებლობას; სამივე ერთად კი ნდობის ფაქტორს ხელყოფს.

ეთიკის კომისიას რამდენიმე საქმეზე ადვოკატის დისციპლინირების საკითხზე აქვს გადაწყვეტილება მიღებული სწორედ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დარღვევის გამო. ერთ-ერთი ასეთი იყო მაგალითად, საქმე №023/15,¹⁸ სადაც ადვოკატი ი. ნ. იცავდა თავისი კლიენტის ინტერესებს, მაგრამ მეორე ინსტანციაში სააპელაციო შესაგებელი დაუწერა მოწინააღმდეგე მხარეს. ამის შესახებ საჩივრის ავტორისთვის ცნობილი გახდა შესაგებლის მიღების შემდეგ. მან განაცხადა, რომ ასეთი ქმედების შედეგად სრულიად დაეკარგა ნდობა თავისი ადვოკატის მიმართ.

სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის სულ მცირე რისკის არსებობის შემთხვევაშიც კი ადვოკატმა უარი უნდა თქვას ნებისმიერი ისეთი მოქმედების

¹⁸ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2015 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №023/15.

განხორციელებაზე, რაც უზიძგებს ასეთ კონფლიქტს და კლიენტს დააკარგვინებს მის მიმართ ნდობას.

3. დასკვნა

დასკვნის სახით, ვფიქრობ, უდავოა, რომ ნდობის პრინციპი ყველაზე მნიშვნელოვანია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში. ამავდროს საკმაოდ კომპლექსურია და მისი დარღვევა ძალიან მარტივად შეიძლება სხვადასხვა არაკეთილსინდისიერი ან, სულაც, კეთილსინდისიერი ქმედებით. იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ხშირ შემთხვევაში კლიენტის სუბიექტურ აღქმაზე არის დამოკიდებული, დაეკარგება თუ არა ნდობა თავისი ადვოკატის მიმართ, იმის მიუხედავად, რამდენად სწორად და ჯეროვნად განხორციელებს ეს უკანასკნელი მასზე დაკისრებულ ფიდუციურ ვალდებულებებს. ამიტომ, ყველა ადვოკატი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, გაითვალისწინოს ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები და ყურადღებით გააანალიზოს თითოეული მისი ქმედების საჭიროება და შესაძლო შედეგი.

**პასუხისმგებლობა ადვოკატის პროფესიული საქმიანობის
პრინციპების დარღვევისათვის
(გადაწყვეტილებათა ანალიზი)**

ნათია სვანიძე / სალომე აბულაძე*

1. შესავალი

თანამედროვე სამყაროს ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, ადამიანები მუდმივად შედიან ერთმანეთთან სამართლებრივ ურთიერთობებში, რაც მრავალი დავის წარმოშობის მიზეზი ხდება. აღნიშნული დავები კი საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას, რაშიც გადაწყვეტ როლს ადვოკატები თამაშობენ, რადგან სწორედ მათი საშუალებით ხდება მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

კანონის უზენაესობის მიმართ პატივისცემაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში, ადვოკატს განსაკუთრებული როლი აკისრია. მისი მოვალეობები არ შემოიფარგლება იმით, რომ კანონით დაშვებულ ფარგლებში პატიოსნად შეასრულოს თავისზე დაკისრებული ფუნქციები. ადვოკატი უნდა ემსახურებოდეს სამართლიანობის ინტერესებს და მათ, ვისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და განმტკიცება აქვს დაკისრებული. გარდა ამისა, ადვოკატის მოვალეობაა არა მხოლოდ კლიენტის პოზიციის დაცვა, არამედ იგი ვალდებულია, იყოს კლიენტის მრჩეველიც.¹

სწორედ ადვოკატის მნიშვნელოვანი ფუნქციიდან გამომდინარე საჭირო გახდა ისეთი რეგულაციების შემოღება, რომლებიც შემდგომში დაარეგულირებენ უპირველეს ყოვლისა ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის პრინციპებს, აგრეთვე მათ ურთიერთობებს როგორც კლიენტებთან და კოლეგებთან, ასევე სასამართლოებთან. მოცემულ რეგულაციებს კი შეიცავს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, ხოლო მისი

* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები.

¹ ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიულ საზოგადოებათა საბჭოს ადვოკატთა ქცევის კოდექსი (პრეამბულა, 2002).

დაუცველობის შემთხვევაში, ადვოკატის პასუხისმგებლობის საკითხს არეგულირებს საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის ფარგლებში შევეცდებით, პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე ხაზი გავუსვათ ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის პრინციპების მნიშვნელობასა და სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია მათი დარღვევის შემთხვევაში.

2. ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპების არსი და მნიშვნელობა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ 2006 წლის 15 აპრილს საერთო კრებაზე დაამტკიცა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „აპეკ“-ი/ეთიკის კოდექსი), რომლითაც განამტკიცა ის პრინციპები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველა ადვოკატისათვის თავიანთი პროფესიული საქმიანობის პერიოდში. აღნიშნულ პრინციპებს განეკუთვნება: ა) დამოუკიდებლობა; ბ) ნდობა; გ) კონფიდენციალობა; დ) კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა; ე) ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა; ვ) კოლეგიალობა.

ა) დამოუკიდებლობის პრინციპი

ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლით განმტკიცებულია დამოუკიდებლობის პრინციპი. დამოუკიდებლობა საადვოკატო საქმიანობაში წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო პრინციპს, რადგან ადვოკატისთვის აუცილებელია იყოს ობიექტური და დამოუკიდებელი, თავი შეიკავოს ყოველგვარი ზემოქმედებისა და სუბიექტური მიკუთვნებებისაგან (სხვისგან ჩაურევლად იმოქმედოს).

საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლობა იურიდიულ ლიტერატურაში სიტყვა „თავისუფლებასთან“ ერთად განიხილება; ვინაიდან დამოუკიდებლობა და თავისუფლება ის ძირითადი ფუნდამენტური უფლებებია, რომლებიც განმტკიცებულია საერთაშორისო დირექტივებით, საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა შიდასახელმწიფოებრივი კანონით. მოცემული უფლებები

არამხოლოდ ინდივიდუალური/პიროვნების უფლებებია, არამედ პროფესიული ღირსების შენარჩუნების სტანდარტებია, რომელთა უპირობო დაცვა შემდგომში ადვოკატის წარმატებასაც განაპირობებს. თავისუფლება და დამოუკიდებლობა არ ხვდება ხელისუფლების ზედამხედველობის ქვეშ და რეგულირების უფლებამოსილება ენიჭება თავად პროფესიას; დამოუკიდებელია პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ინტელექტუალურად.²

ადვოკატი როგორც თავისუფალი პროფესიის მქონე პირი შეზღუდულია იმ სტანდარტებითა და რეგულაციებით, რომლებიც დაწესებულია ამ პროფესიის მქონე პირთათვის. თავისთავად მსგავსი ბოჭვა უზრუნველყოფს ურთიერთობაში მონაწილე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. იმისათვის, რომ კლიენტისა და ურთიერთობაში მონაწილე მესამე პირების (მოცემულ შემთვევაში, სასამართლო, სახელმწიფო, მოწინააღმდეგე მხარე და კოლეგა) ინტერესებს არ მიადგეს საფრთხე, აპეკი აწესებს დამოუკიდებლობის პრინციპის მიზნებს, ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ. რაშიც იგულისხმება, რომ ადვოკატი თავისი უფლებამოსილების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე უნდა მოქმდებდეს საკუთარი თვითშეგნებისა და რწმენის შესაბამისად, რომელიც თავისთავად უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

ბ) ნდობის პრინციპი

დამოუკიდებლობის პრინციპი თავის მხრივ ურთიერთგადაჯაჭვულია ისეთ პრინციპთან, როგორცაა ნდობის პრინციპი. ეთიკის კოდექსის პრეამბულა თითოეულ ადვოკატს, როგორც კორპორაციის წარმომადგენელს, აკისრებს პროფესიულ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას, საზოგადოების წინაშე იმგვარად

² მარინე კვაჭამე, ეკატერინე გასიტაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, ირაკლი კორმახია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ევროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, თბილისი, 2011 წელი, თავი I, 6-7.

განახორციელონ პროფესიული საქმიანობა, რომ ხელი შეუწყონ ნდობის მოპოვებას ადვოკატის საქმიანობისადმი და საზოგადოდ პროფესიისადმი.³

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას (აპეკი). თავის მხრივ, ადვოკატისადმი ნდობა იმ მოლოდინს ეფუძნება, რომ ადვოკატი, როგორც საკუთარი კლიენტის წარმომადგენელი და იურიდიული მრჩეველი, სწორედ მასთან შეთანხმებით, საქმის გარემოებებთან დაკავშირებით კლიენტთან სათანადო, გასაგებ ენაზე კომუნიკაციითა და ნებისმიერი ინფორმაციის დროულად მიწოდების შედეგად დაგეგმავს საქმის წარმოების ტაქტიკასა და სტრატეგიას, მათ შორის, გარკვეული ინფორმაციის (მისი ნაწილის) თუნდაც კლიენტის ინტერესების სასიკეთოდ გამოყენების საკითხს.⁴

ნდობის პრინციპის ნორმის ლოგიკური განმარტებიდან ჩანს, რომ პრინციპის მიზანია არა მხოლოდ კლიენტ-ადვოკატს შორის ურთიერთობისა და მომსახურების ეტაპზე ნდობის წარმოშობა, არამედ ეს ნდობა მანამდეც უნდა არსებობდეს და შემდგომაც; ვინაიდან ძირითადი დანიშნულება ნდობის პრინციპისა არის ის, რომ მომავალში ადვოკატის, როგორც პროფესიის განვითარების საწინდარი იყოს და საზოგადოებაში შექმნას განწყობა, რომ ადვოკატი არის კლიენტის მრჩეველი და დამხმარე, რომელიც უზრუნველყოფს უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სწორედ ამიტომ ადვოკატი არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რომ ექვევებ დააყენოს თავისი რეპუტაცია და ჩირქი მოსცხოს საზოგადოდ ადვოკატთა სპექტრს.

პრაქტიკა ნათელყოფს, რომ ნდობა არის საწინდარი შემდგომში ურთიერთობის გაგრძელებისა. მაგალითად, ეთიკის კომისიის ერთ-ერთ საქმეზე, სადაც საჩივარი შევიდა გამომძიებლის სახელით ადვოკატის წინააღმდეგ, აღნიშნული იყო გარემოება, რომ ადვოკატმა კლიენტთან შეხვედრისას გადაყლაპა ნარკოტიკი. შეიძლება თუ არა ამ დროს კლიენტის ნდობა ადვოკატის მიმართ გაქრეს? ეთიკის კომისიის პასუხი იყო შემდეგნაირი: „ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა შეუფერებელ ქმედებას და პროფესიული

³ ეთიკის კომისიის რეკომენდაცია <http://gba.ge/uploads/resolutions/2014/09/25>

⁴ იქვე.

ღირსების შელახვას. ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატის ქმედება პროფესიისათვის შეურაცხმყოფელი ფაქტია.⁵ მოცემული გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიამ წარმოაჩინა, რომ ადვოკატი თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში თავისი საქციელით უნდა ცდილობდეს, კიდევ უფრო გაზარდოს ნდობა და პატივი სცეს თავის კლიენტებს, პროფესიასა და კოლეგებს.

ამგვარად, ნდობის პრინციპის დარღვევა იწვევს არა მხოლოდ კლიენტ-ადვოკატს შორის ურთიერთობის დესტაბილიზაციას, არამედ ადვოკატის პროფესიის შეურაცხყოფას.

გ) კონფიდენციალურობის პრინციპი

კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში კლიენტი ადვოკატს აწვდის საქმის იმ არსებით გარემოებებს, რომლებიც შემდგომში გამოყენებული იქნება ან არ იქნება საქმეში, რაც თავის მხრივ, გულისხმობს კონფიდენციალური ინფორმაციის არსებობას. ამ ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლებელია: ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე; ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. მოცემული ნორმა საჭიროებს ტელელოგიურ განმარტებას, კერძოდ, რამდენად

⁵ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, #3030/07, 10 ოქტომბერი, 2007, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackv_etilebebi/10.10.2007.pdf.

შესაძლებელია მოცემული ნორმა განხორციელებული იქნეს იმ საზოგადოების პირობებში, რაშიც ცხოვრება გვიწევს. ნორმის ობიექტურ მიზანს წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვა და მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვა. მოცემული ნორმა სრულ თანაფარდობაშია საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. იმისათვის, რომ მოცემული პრინციპის არსი გახდეს უფრო თვალსაჩინო, განვიხილოთ ეთიკის კომისიის შემდეგი გადაწყვეტილება: ეთიკის კომისიამ რეკომენდაციის გაცემის გზით შეაფასა ადვოკატის შეკითხვა, ადვოკატის მიერ დაირღვეოდა თუ არა ეთიკის ნორმები იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი შეადგენდა ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას, რომლის მიხედვითაც, მას არ ექნებოდა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და კლიენტები ხელს მოაწერდნენ აღნიშნულ ხელშეკრულებას. კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების გარკვეული ვადით ან სრულად შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას იმის მიუხედავად, რომ კლიენტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და შესაბამისად, დაეთანხმა მასში მითითებულ პირობებს.“⁶

კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ადვოკატის იმპერატიული მოვალეობაა და, შესაბამისად, მას არ აქვს უფლება, სახელშეკრულებო ვალდებულებით უარყოს იგი. ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და ნდობის საფუძველზე იყოს ამ ინფორმაციის მიმღები, კონფიდენციალურობის უქველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა.⁷

ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოვალეობაა იმ სხვა პრინციპებთან ერთად, რომელთა დარღვევაც შემდგომში იწვევს პასუხისმგებლობას.

⁶ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #134/12, 27 მაისი, 2013 წელი.

⁷ ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) – 2.32.3.1 <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebis%20advokatTa%20qcevis%20kodeqsi.pdf>.

ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატის შეკითხვა, დაირღვევა თუ არა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი კონსულტაციას და/ან სამართლებრივ დახმარებას გაუწევს კლიენტს იმ ოთახში, რომელშიც ადვოკატისა და კლიენტის გარდა იმყოფება ერთი ან ერთზე მეტი მოქმედი საჯარო მოსამსახურე ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ, მოისმინონ და იცოდნენ ადვოკატის მიერ დასახული სამართლებრივი სტრატეგია. კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატი ვალდებულია მისი ქმედებები, მათ შორის კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევა ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარება განახორციელოს ისე, რომ არ გაასაჯაროოს კლიენტის მიერ მისთვის მიწოდებული, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი წინასწარ შეუთანხმდა კლიენტს, რომ კონსულტაციას გაუწევს სწორედ შეკითხვაში აღნიშნულ პირობებში და კლიენტი ინფორმირებულ თანხმობას განაცხადებს, მიუხედავად არსებული პირობებისა, ადვოკატი თავიდან აირიდებს პასუხისმგებლობის დავისრების შესაძლო საფუძვლის არსებობას.⁸

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების დარღვევა დაადგინა, როდესაც ადვოკატმა კლიენტის საქმის წარმოება მიანდო სხვა ადვოკატს ისე, რომ ამის შესახებ არ შეთანხმებულა კლიენტთან. ადვოკატმა საქმეში ახალჩართულ ადვოკატს კლიენტის ინფორმირების გარეშე გადასცა საქმის მასალები (მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული დავა). კომისიის განმარტებით, „საქმის მასალები არის კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და ადვოკატმა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია გათქვა მასთან შეთანხმების გარეშე. ადვოკატის ქმედებით კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია სრულად აღმოჩნდა მესამე, არაუფლებამოსილი პირის ხელში.“⁹

ეთიკის კომისიამ მოსაზრება გასცა ჰიპოთეტურ შეკითხვაზე, რომელიც ადვოკატის მიერ კლიენტის საქმესთან დაკავშირებით

⁸ეთიკის კომისიის რეკომენდაცია <http://gba.ge/uploads/resolutions/2014/09/25>.

⁹ ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია #017/13, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/rekomendaciebi/cerilobiti/27.09.2013-017.13.pdf.

ისეთი ინფორმაციის გაცემას ეხებოდა, რომლის გამჟღავნებაც კლიენტს ადვოკატისთვის სპეციალურად არ აუკრძალავს, მაგრამ ადვოკატმა თავისი წყაროებით იცის, რომ კლიენტს ამ ინფორმაციის გამჟღავნება არ სურს (მაგალითად, ეს ინფორმაცია კლიენტმა ადვოკატთან გასაუბრების დროს დამალა, ან სხვისგან გაიგო და ა.შ). სასამართლოზე ადვოკატმა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გააჟღერა ეს ინფორმაცია, რამაც პროცესი კლიენტის სასარგებლოდ წარმართა.¹⁰

ადვოკატი ვალდებულია, კლიენტთან შეუთანხმებლად არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც კლიენტს პირდაპირ არ აუკრძალავს, თუნდაც ეს ინფორმაცია სხვა წყაროდან იყოს მოპოვებული და ადვოკატის დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით კლიენტის ინტერესებს ემსახურებოდეს. ადვოკატმა ნებისმიერი წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია უპირველესად კლიენტს უნდა აცნობოს და შეუთანხმოს მას, რადგან კლიენტი ენდობა ადვოკატს და მის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის მაღალ სტანდარტს. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.¹¹

დ) კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი

აპეკი-ს მე-5 მუხლი კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს ადგენს: ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

კლიენტის ინტერესების უპირატესად დაცვა კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით ემსახურება ადვოკატისადმი კლიენტის

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

ნდობის პრინციპს, რომელსაც ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი ითვალისწინებს, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.¹²

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პატივისცემა თავისი შინაარსის მიუხედავად, არამხოლოდ კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობას მოიცავს თავის თავში, არამედ სხვა პრინციპებთან ერთად მის განხორციელებას. ეთიკის კომისიის 2010 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე N063/10 დადასტურებულად არ იქნა მიჩნეული ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის, კერძოდ, ნდობის პრინციპის დარღვევა. განმცხადებლის პრეტენზია ადვოკატისადმი გამოიხატა იმაში, რომ კლიენტის მოსაზრებით მისი ადვოკატი არ ახორციელებდა კვალიფიციურ წარმომადგენლობას, რაც გამოიხატა მის მიერ კლიენტის ინტერესების შესაბამისი შუამდგომლობების წარუდგენლობაში. კერძოდ, ადვოკატმა სასამართლო პროცესზე არ მოითხოვა სადავო ბინისთვის ყადაღის დადება, რის შედეგადაც ბინა გაიყიდა და შესაბამისად, განმცხადებელს მიაღდა მატერიალური ზიანი. განმცხადებლის მოსაზრებით, ადვოკატი მოწინააღმდეგე მხარესთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რითაც მან დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობისა და ნდობის პრინციპები. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად გასწია წარმომადგენლობა, ყველა სამართლებრივი საშუალება გამოიყენა კლიენტის ინტერესების დასაცავად, კერძოდ, მან უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ბინაზე ყადაღის დადების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს, მაგრამ სასამართლოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა. აღნიშნული განჩინება ადვოკატმა გაასაჩივრა კერძო საჩივრით. ამ საქმეზე არ დადასტურდა არც ინტერესთა კონფლიქტის არსებობა ან ასეთის წარმოშობის საფრთხე, არც ადვოკატის მიერ ისეთი ქმედების ჩადენა, რასაც შეეძლო კლიენტის უნდობლობა გამოეწვია.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქმეზე # 027/11 განმარტა, რომ: „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების

¹² ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #034/11, 27 აგვისტო, 2011 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/27.08.2011_03411.pdf.

დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ“. შესაბამისად იმისათვის, რომ კლიენტის ინტერესები იყოს დაცული, ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ის კანონიერი გზები, რაც აკრძალული არ არის, რათა არ დაირღვეს მოცემული პრინციპი.“ ადვოკატს, რამდენად დიდი გამოცდილებაც უნდა ჰქონდეს, მოეთხოვება საქმის გარემოებათა შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი საქმე თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება და, შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა შეძლოს კლიენტისათვის რისკის შემცველი საფრთხის განჭვრეტა”.¹³

„ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას იღებს გადაწყვეტილებას სხვა ადვოკატის პოზიციის გაზიარების ან მხარდაჭერის თაობაზე. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს კლიენტის ინტერესების დაცვას.“¹⁴

ე) ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელია თავი იჩინოს, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ, ვინაიდან ადვოკატს პროფესიული ეთიკის კოდექსის მთელი რიგი ვალდებულებები

¹³ იქვე.

¹⁴ ეთიკის კომისიის #088/12 გადაწყვეტილება, 20 აგვისტო, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saproceso_kolegia/2012/20.08.2012_088_12.pdf 4 eTikis komisiis gadawyvetileba #044/10, 22 noemberi, 2010 weli, <http://gb>.

აკისრია, როგორც არსებული, ისე ყოფილი კლიენტების მიმართ.¹⁵ ადვოკატის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა – თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი.

ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას:

1. კლიენტებს შორის, როდესაც ადვოკატი ახორციელებს ერთდროულად რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობას, რომელთა ინტერესებიც ერთმანეთს უპირისპირდება;

2. როდესაც ადვოკატი წარმოადგენს ახალ კლიენტს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში;

3. ასევე, თავს იჩენს ადვოკატსა და კლიენტს შორის სხვა კლიენტების ან მესამე პირთა მიმართ არსებული ადვოკატის პირადი, ფინანსური, პროფესიული ან სხვა ინტერესების გამო.

ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ნორმა არ აკეთებს ამომწურავ ჩამონათვალს იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი და არ არის გათვალისწინებული სხვა გარემოებები, რომლებიც შემდგომში განაპირობებენ მის არსებობას. შესაბამისად, იმისათვის, რომ შემთხვევას მიენიჭოს გარკვეული სამართლებრივი კვალიფიკაცია, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატება პრინციპების დონეზე, აუცილებელია ყოველი ფაქტის დეტალური შესწავლა ეთიკის კომისიის მიერ, რათა პრინციპების აღრევა არ მოხდეს.

ეთიკის კომისიამ არაერთხელ განიხილა საქმეები ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით და აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია.

¹⁵ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8, აპეკ-ი, მუხლი 6.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით საქმეზე # 016/11 მიიჩნია, რომ ადვოკატს არ დაურღვევია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი. საჩივრის მიხედვით, განმცხადებელი აწარმოებდა დავას საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებით დეიდის წინააღმდეგ, რომლის წარმომადგენლობასაც ახორციელებდა ადვოკატი. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სასამართლომ იგი აღიარა სადავო საცხოვრებელი ბინის მართლზომიერ მფლობელად და აღნიშნული გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მიერაც დარჩა უცვლელი. საჩივრის ავტორის განმარტებით, საჯარო რეესტრიდან ბინასთან დაკავშირებული საბუთების გამოტანისას შეიტყო, რომ ბინა გასხვისებული იყო. განმცხადებელი ბინის ახალი მესაკუთრის მოთხოვნით გამოასახლეს ბინიდან. განმცხადებელი ბინის ამჟამინდელი მესაკუთრის წინააღმდეგ აწარმოებს დავას და ამჟამინდელი მესაკუთრის წარმომადგენელი ამ დავაზე ბინის ყოფილი მესაკუთრის (განმცხადებლის ყოფილი პროცესუალური მოწინააღმდეგის – დეიდის) ადვოკატია. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ორივე შემთხვევაში ადვოკატი მოქმედებდა მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს ამ საქმეზე. კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატს შეეძლო როგორც განმცხადებლის დეიდის წარმომადგენლობის განხორციელება, ისე ამ უკანასკნელის ბინის ახალი მესაკუთრის წარმომადგენლობის განხორციელება. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს არ გააჩნდა ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ადვოკატი ორივე შემთხვევაში წარმოადგენდა განმცხადებლის პროცესუალური მოწინააღმდეგეების ინტერესებს და არ წარმოშობილა ინტერესთა კონფლიქტი, არც ამგვარი კონფლიქტის საფრთხე.¹⁶

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა იწყება ნდობით და აუცილებელია, რომ ნდობითვე დასრულდეს. სწორედ ამ ურთიერთობის განმავლობაში იჩენს თავს ერთგულების ვალდებულება, რაც მოიცავს კლიენტისათვის დამოუკიდებელი

¹⁶ მარინე კვაჭაძე, ეკატერინე გასიტაშვილი, კობა ბოჭორიშვილი, ირაკლი კორმახია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ევროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, თბილისი, 2011 წელი, თავი V, 23.

პროფესიული რჩევის მიცემას.¹⁷ სწორედ ამ დროს შესაძლოა თავი იჩინოს ინტერესთა კონფლიქტმა, რადგან ადვოკატი პარალელური რეჟიმით ემსახურება სხვა კლიენტებს და შესაძლოა საქმეები ერთმანეთთან კავშირშიც იყოს. იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ არ იქნას უგულვებელყოფილი კლიენტის ინტერესები და თანადროულად ხელყოფა არ მოხდეს ინტერესთა კონფლიქტისა, კანონი „ადვოკატთა შესახებ“ აწესებს სანქციებს.

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოიშობა მათი მოლაპარაკებებისთანავე და ურთიერთობა სრულდება მაშინ, როდესაც სრულდება წარმომადგენლობა. მიუხედავად ურთიერთობის დასრულებისა, კლიენტ-ადვოკატს შორის რჩება გარკვეული ვალდებულებები, რაც ძირითადად ეხება ადვოკატს; ადვოკატის ვალდებულებები, რომლებიც რჩება კლიენტის წინაშე შემდეგნაირია: ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ვალდებულება.

აპეკ-ი ინტერესთა კონფლიქტით დაცულ მთავარ ღირებულებად კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას განსაზღვრავს. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის დაცვა დაკავშირებულია ასევე ადვოკატის მიერ საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობასთან. თავის მხრივ კი, მოცემული თითოეული პრინციპი დაკავშირებულია ნდობის ფაქტთან.

ვ) კოლეგიალობის პრინციპი

კოლეგიალობის პრინციპი მოცემულია აპეკ-ის მე-7 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს მის არსსა და მნიშვნელობას. კოლეგიალობის მიზანია, ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრება, კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. კოლეგიალობის პრინციპი მოცემულია „ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსშიც“, რაც, თავის მხრივ, კოლეგიალობას უკავშირებს პროფესიის კორპორაციულ

¹⁷ ჯეიმზ მოლიტერნო, ჯორჯ ჩ. ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, თავი VI, 138.

არსს, რომელიც მოითხოვს ადვოკატთა შორის ურთიერთობაში ნდობასა და თანამშრომლობას. კოლეგიალობა გამოიხატება თავაზიანობასა და პატივისცემაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, საზოგადოებაში ნდობის მოპოვებას, მართლმსაჯულების განხორციელებასა და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას. ადვოკატმა თავისი ღირებულებებიდან გამომდინარე უნდა აღიაროს ყველა ადვოკატი კოლეგად და მათ მიმართ უნდა იმოქმედოს პატივისცემითა და სამართლიანად.

კოლეგიალობის პრინციპი ის უმთავრესი პრინციპია, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს თავად ადვოკატებს შორის და რომლის ვალდებულებაც ადვოკატს არამხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს აქვს, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ადვოკატს ევალება პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებანი.

კოლეგიალობის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრება, კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატებს, შეინარჩუნონ კეთილსინდისიერება კოლეგების მიმართ და არ დაუშვან მათ მიმართ უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა.¹⁸

ეთიკის კომისიამ 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებაში საქმეზე #2743/05/07 ადვოკატის მიერ კოლეგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით სატელეფონო საუბარში გაკეთებული განცხადებები მიიჩნია არაეთიკურად და კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატი დაუკავშირდა ექიმს, რომელმაც გასცა ცნობა სხვა ადვოკატის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და უთხრა, რომ ცნობის მიმღები ადვოკატი იმყოფება სისხლისსამართლებრივი დევნის ქვეშ და მას „გადაგდებული“ ჰყავს მენაბრეები, რამაც უარყოფითი აზრი ჩამოუყალიბა ამ ექიმს

¹⁸ ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები, 2010-2013, 2013, თავი XI, ურთიერთობა ადვოკატსა და ადვოკატს შორის, 121.

ადვოკატზე. აღნიშნული ხორციელდებოდა ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში და ადვოკატის განცხადება შეეხებოდა მისი კოლეგის პროფესიულ საქმიანობას.

ადვოკატის მიერ კოლეგის კრიტიკისას, ეთიკური სტანდარტის დარღვევაზე მსჯელობის დროს 2011 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე # 069/11, ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების გარანტია, რაც ეთიკის კომისიის პრაქტიკაში მოიცავს არა მარტო მოსამართლეთა მიმართ ადვოკატების მიერ გაკეთებულ გამონათქვამებზე, არამედ იურიდიული პროფესიის მქონე სხვა პირების მიმართ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებზე. კერძოდ, ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N 2317/12/06 აღნიშნა, რომ: „ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.

აგრეთვე საინტერესოა, რომ დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესებისა და კოლეგიალობის პრინციპის დაყენება. კოლეგიალობის პრინციპის დაცვამ არ უნდა შეიწიროს კლიენტის კანონიერი ინტერესი და მისი დაცვის ვალდებულება, რომელიც უპირატესია კოლეგიალობის პრინციპზე და პროფესიულ ინტერესზე. მსგავს შემთხვევებში ერთმანეთს უპირისპირდება კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კოლეგიალობის პრინციპები. ადვოკატს ევალება თავისი საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომ პატივი სცეს როგორც კოლეგებს, ისე დაიცვას კლიენტის ინტერესები და არ დაუშვას ინფორმაციის გამჟღავნება.

ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივარი, რომლის მიხედვითაც მოპასუხე ადვოკატმა მხარი არ დაუჭირა სასამართლოს წინაშე შუამდგომლობების დაყენების ეტაპზე. ეთიკის კომისიამ განიხილა საქმე და განმარტა, რომ: საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებისა და კლიენტის ინტერესებს დაცვის პროცესში, არ მიაყენოს შეურაცხყოფა კოლეგას. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების

განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას იღებს გადაწყვეტილებას სხვა ადვოკატის პოზიციის გაზიარების ან მხარდაჭერის თაობაზე. ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს კლიენტის ინტერესების დაცვას.¹⁹

კოლეგიალობის პრინციპმა არ უნდა დაარღვიოს სხვა პრინციპები. კოლეგიალობა, საერთო ჯამში, კლიენტის კანონიერ ინტერესს ემსახურება და მართლმსაჯულების ეფექტური აღსრულების მექანიზმიცაა.²⁰

4. ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობა

ადვოკატის პროფესიის არსის ერთ-ერთ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს თვითრეგულირების ცნება წარმოადგენს. ადვოკატთა ჯგუფი, როგორც პროფესიული ჯგუფი, განსხვავდება სხვა საქმიანობებისაგან, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოცემული პროფესიის წევრები აკონტროლებენ თავიანთი წევრების ქცევას, მთავრობის მხრიდან ნებისმიერი სახის კონტროლისგან დამოუკიდებლად. იურიდიული პროფესიის ეს მახასიათებელი იკვეთება ადვოკატთა ასოციაციის არსებობაში, რომლის უფლებამოსილებაშიცაა აწარმოოს თავისი წევრების დისციპლინური დევნა გადაცდომებისთვის. თვითრეგულირება კი

¹⁹ ეთიკის კომისიის #088/12 გადაწყვეტილება, 20 აგვისტო, 2012 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saproceso_kolegia/2012/20.08.2012_088_12.pdf

²⁰ ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტბირეკომენდაციები, 2010-2013, წწ, თბილისი, 2013 წელი, თავი XI, ურთიერთობა ადვოკატსა და ადვოკატს შორის, 128

წარმოადგენს პროფესიული დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ფორმას. ეს არის პრეტენზია, რომ იურიდიული პროფესიის მმართველობა არ ხვდება ხელისუფლების პოლიტიკური შტოების ზედამედველობის სფეროში და ადვოკატთა რეგულირების უფლებამოსილებას ანიჭებს თვით პროფესიას და მეტწილად სასამართლო კორპუსს, რომელთანაც იურიდიული პროფესია იზიარებს გარკვეულ თვისებებს.²¹

ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ საფუძველს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მულის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა. ხოლო მისი დარღვევისთვის დისციპლინური სახდელის სახეებს განსაზღვრავს ამავე კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტი. კერძოდ, სანქციის სახეებია: ა) გაფრთხილება; ბ) საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით; გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი აწესებს ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების სახეებს, რომელთაც მიეკუთვნება კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის სარევიზიო კომისიის უფლებამოსილების შეწყვეტა. დისციპლინური გადაცდომისთვის ადვოკატს შეიძლება, დაეკისროს მხოლოდ ერთი სახის დისციპლინური სახდელი ცალკე ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებასთან ერთად.

როგორც უკვე აღინიშნა, ადვოკატთა პროფესიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ადვოკატთა ასოციაცია იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის წევრებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების და სახდელის ფორმის განსაზღვრის შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადვოკატთა ასოციაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეყრდნობა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებას, რომელიც დამტკიცებულია 2010 წლის 11 დეკემბერს საქართველოს

²¹ ჯეიმზ მოლიტერნო, ჯორჯ ჩ. ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 34.

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე. მოცემული დებულება განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების პროცედურას, ადვოკატებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას და ადვოკატებისთვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციის გაცემის წესს.

ამ დებულების მე-6 მუხლის მიხედვით, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის წევრის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

ადვოკატის მიმართ დისციპლინურ დევნას აღძრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია. საჩივრის მიღებიდან 1 თვის ვადაში საპროცესო კოლეგიამ უნდა შეისწავლოს საქმის მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება, არსებობს თუ არა დისციპლინური დევნის აღძვრის საკმარისი საფუძველები. ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხი ეთიკის კომისიის სხდომაზე განიხილება კოლეგიურად, კომისიის 3 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ან ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხს განიხილავს ეთიკის კომისია არანაკლებ 12 წევრის შემადგენლობით. ეთიკის კომისიის სხდომა დახურულია, ხოლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.

საპროცესო კოლეგიამ 2017 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე N103/16 ვერ დაადგინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-7 და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევის ნიშნები და გადაწყვიტა, რომ არ უნდა აღძრულიყო დისციპლინური დევნა, რადგან „ადვოკატ ნ. ჯ-ს თავისი მოქმედებით არ გამოუვლენია კოლეგის - ადვოკატ შ. გ-ის

მიმართ უპატივცემულობა და არაკოლეგიალობა, როდესაც მასთან შეუთანხმებლად დაიწყო მომსახურების გაწევა მის (შ. გ-ის) კლიენტთან, რადგან საპროცესო კოლეგიის შეფასებით, კონფიდენციალური ინფორმაცია ასევე მოიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს უფლებას ადვოკატს, საჯარო გახადოს აღნიშნული საკითხი. კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებაზე, ამას ითვალისწინებს აგრეთვე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“

საპროცესო კოლეგიამ 2017 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე N093/16 დაადგინა, რომ უნდა შემწყდარიყო დისციპლინური წარმოება, რადგან „ინტერესთა კონფლიქტის ბუნებიდან გამომდინარე, ის შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ კლიენტთა ან ყოფილი და ამჟამინდელი კლიენტის ინტერესებს შორის“, ხოლო საჩივრის ავტორი ნ. ჯ. არ იყო უფლებამოსული პირი, პრეტენზიით მიემართა ეთიკის კომისიისთვის ადვოკატის პ. შ-ის წინააღმდეგ, რადგან საქმის მასალებით დადგინდა, რომ ის არასდროს ყოფილა პ. შ-ის კლიენტი, ხოლო მის კლიენტებს ადვოკატის მიმართ პრეტენზია არ ჰქონიათ.

თუ საპროცესო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე, საქმე გადაეცემა განხილვის კოლეგიას, რომელიც 3 თვის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების/დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ.

განხილვის კოლეგიამ 2015 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე N038/14 ვერ დაადგინა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილისა და მე-5 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დარღვევა და შესაბამისად უარი თქვა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. კერძოდ, „ეთიკის კომისიის

განხილვის კოლეგიამ მხარეთა მოსმენისას დაადგინა, რომ ლ. გ. და მის ძმას – გ. ნ-ს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო სამკვიდროს თაობაზე საქმეში ადვოკატ ნ. დ-ს ჩართვამდე. შესაბამისად, განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ხელი შეუშალა მასსა და მის ძმას შორის სადავო საკითხთან დაკავშირებით მორიგებას.“

განსხვავებული შედეგი დადგა 2016 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე N044/16 განხილვის კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატმა კლიენტს მისცა საქმის შედეგზე დაპირება, არ დაუბრუნა თანხა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, თვეების განმავლობაში არ ჰქონდა კლიენტთან კომუნიკაცია, ადვოკატის არაეთიკური ქმედებები კი არა მხოლოდ კლიენტისა და ადვოკატისთვის არის პროფესიული რისკის შემცველი, არამედ საფრთხეს უქმნის საზოგადოების ნდობას ადვოკატთა კორპუსის მიმართ. შესაბამისად, დადგინდა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-5 მუხლის დარღვევა, პასუხისმგებლობის ფორმად კი განისაზღვრა გაფრთხილება. იმავე მუხლების დარღვევა დაადგინა ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ სამეზე N109/12 და დაადგინა, რომ ადვოკატი კლიენტს არ აწვდიდა საქმის გარემოების თაობაზე ინფორმაციას, მისგან დამოუკიდებლად შეხვდა კლიენტის ოჯახის წევრებს და მათი თხოვნის საფუძველზე შეწყვიტა საადვოკატო მომსახურება, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს ჰქონდა მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის კვალიფიკაცია, მომსახურებას უწევდა სამოქალაქო საქმეზეც, შესაბამისად, პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გართხილება.

თუკი განხილვის კოლეგია დისციპლინური საქმის განხილვის პროცესში მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, თავისივე გადაწყვეტილებით საქმეს განსახილველად გადასცემს ეთიკის კომისიას.

ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ადვოკატთა

პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის დარღვევას, რომლის მიხედვითაც, „ადვოკატი პროფესიული უფლებამოსილების საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენის ან სხვა ზეწოლისგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლისა და პროფესიული ეთიკის ნორმებს“. ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე N112/11 დაადგინა ადვოკატის მხრიდან დისციპლინური გადაცდომა. მოცემული საქმის მასალებიდან კომისიამ დაასკვნა, რომ ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე არაუფლებამოსილი პირის დავალებით ჩაერთო, მან საგამომიებო მოქმედებებში მონაწილეობა მიიღო არა ბრალდებულის ან მისი ოჯახის წევრების, არამედ ბრალდების მხარის თხოვნითა და ინიციატივით, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას არ იყო დამოუკიდებელი. იგი საგამომიებო მოქმედებებში ჩაერთო არა პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის, კერძოდ, კლიენტის ინტერესების დასაცავად, არამედ ბრალდების მხარის თხოვნის გამო. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ კომისიის მიერ საქმის განხილვის ფარგლებში ადვოკატის წარმომადგენელმაც დაადასტურა, რომ ადვოკატის სურვილს არ წარმოადგენდა ბრალდებულის დაცვა, რაც პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ მისი მხრიდანაც არ იყო ნება გამოხატული და მისი მონაწილეობა საგამომიებო მოქმედებებში მხოლოდ ბრალდების მხარის თხოვნას ეფუძნებოდა. ამასთან, ადვოკატმა ბრალდებულს თავის საქმეში ჩართვის შესახებ აცნობა მხოლოდ და მხოლოდ მისი ნებართვის გარეშე, ორდერის გამოწერის შემდგომ, ხოლო საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობის შემდგომ მისი მდგომარეობით არ დაინტერესებულა. შესაბამისად, ვთვლით, რომ სრულიად ლოგიკურია ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, რომლითაც ადვოკატის დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 18 (თვრამეტი) თვის ვადით.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ხოლო განხილვის კომისიის ან ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ადვოკატისთვის პროფესიული სახდელის

დაკისრების თაობაზე შესაძლოა გასაჩივრებულ იქნეს ამ ადვოკატის მიერ მისთვის გადაწყვეტილების გადაცემიდან 1 თვის განმავლობაში, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. ეთიკის კომისიის 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ადვოკატს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის“ კოდექსის მე-5 და მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილების დარღვევისთვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელის სახედ განესაზღვრა 6 (ექვსი) თვით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, გასაჩივრდა ადვოკატის მიერ უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. საჩივრის ავტორი ადვოკატი აპელირებდა, რომ კომისიის მიერ მისთვის განსაზღვრული სახდელის სახე იყო დაუსაბუთებელი, რადგან მას არ გაუთვალისწინებია, რომ ადვოკატს მანამდე არასდროს ჰქონია დისციპლინური სახდელი დაკისრებული, რომ იგი იყო მარჩენალდაკარგული, ომის ვეტერანის მეუღლე და სამი შვილის დედა, შესაბამისად, შესაძლებელი იყო მხოლოდ გაფრთხილებით შემოფარგვლა. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე Nდს-შ/4-12 განმარტა, რომ „საქმის განმხილველი ორგანო დისციპლინური სახდელის და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შერჩევასა უნდა ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის შინაარსს და სიმძიმეს, შედეგებს, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხსა და ადვოკატის პიროვნებას, საქმიან და მორალურ რეპუტაციას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნა სრულიად მართებულად.“ ამდენად, სადისციპლინო პალატამ მიიჩნია, რომ დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომების ადეკვატური იყო და ადვოკატის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე ან ადვოკატის მიერ მისი გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე. ხოლო რაც შეეხება დისციპლინური სახდელის გაქარწყლებას, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 24-ე მუხლის თანახმად, ადვოკატის გაფრთხილება გაქარწყლებულად ჩაითვლება

პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში კი მისი გაქარწყლება მოხდება წევრად აღდგენიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

5. დასკვნა

ადვოკატის პროფესიული ეთიკა დაფუძნებულია პრინციპებსა და წესებზე, რომელთა დაცვა ადვოკატს განუხრელად ევალება. მოცემული კოდექსითა და საქართველოს კანონით „ადვოკატთა შესახებ“ დაცულია კლიენტის საუკეთესო ინტერესები და გათვალისწინებულია ისეთი ნორმები, რომლებიც მომავალში უზრუნველყოფს ადვოკატის ეთიკურ და მორალურ არჩევანს. მათი გათვალისწინება კი შემდგომში გარანტიას აძლევს კანონმდებელს, რომ კანონი საზოგადოებაში ქმედითია და მისი არსი და დანიშნულება ზომიერია ქვეყანაში მომხდარი მოვლენებისა. ეს პროცესები თავისთავად კი უზრუნველყოფს ადვოკატის, როგორც პროფესიის მიმართ ნდობის ამაღლებას.

ადვოკატის მიმართ დადგენილი პროფესიული პრინციპები ნათელყოფენ, რომ აუცილებელია დადგენილი იყოს სამართლებრივი რეგულაციები, რათა შემდგომში სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. მოცემულ საკითხთან მიმართებით პრაქტიკა არაერთგვაროვანია, რადგან ყველა შემთხვევა საჭიროებს დეტალურ შესწავლას და იმ ძირითადი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთას, რაც საბოლოო გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად. პრაქტიკის შესწავლის შემდგომ ნათელი გახდა, რომ ადვოკატის პროფესიული საქმიანობა შეეხება არამხოლოდ ადვოკატს, არამედ ურთიერთობაში მონაწილე ყველა იმ პირს, ვის უფლებასაც შეიძლება საფრთხე მიადგეს.

ადვოკატთა ასოციაციისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ადვოკატის მიმართ დაწესებული სანქციები ქმედითია, რომელთა შესრულება სავალდებულოა ყველა ადვოკატისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კანონმა დააწესა სანქციის მაქსიმალური და მინიმალური ზღვარი, პრაქტიკაში გამოიყენება მხოლოდ გაფრთხილება და ამის შემდგომ ადვოკატის მიერ არ ფიქსირდება დარღვევები; რაც წარმოაჩენს, რომ კანონი

ადვოკატების მიერ არის შესრულებადი და ხაზს უსვამს კოდექსისა და კანონის როლს საზოგადოებაში.

კანონმდებელი გვთავაზობს სამართლის იმგვარ მოწესრიგებას, სადაც სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპები განიხილება ფუნდამენტურ წესებად. სწორედ ამ პრინციპებით ყალიბდება შემდგომში კანონიც და სასამართლო თუ ადვოკატთა ასოციაციის პრაქტიკაც. ადვოკატთა პროფესიულ საქმიანობას ერთობლივად აწესრიგებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკა, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულების ინსტიტუტის მნიშვნელოვან როლს წარმოაჩენს და ზრდის ადვოკატის პროფესიის პოპულარობას.

ISSN 1512-0201

